1974/4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

12

1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მგრად შემოსულმა
ვერავინ ნახა:
ვერცა ოსმალომ, ვერცა მონღოლმა
და ვერცა სპარსმა...

შენი დიდების მომღერალია
ოშკი და ზარზმა,
ბებერი გაო...
შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი,
ქართულო ცაო...

ანა კალანდაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკვალი

211

გამოცემის მეთვრამეტე წელი

12

დეკემბერი

1974

თბილისი

სსრ. კკ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს კპკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა, პოეზია

3. ვაჯა აბირეჯიები. დათა თუთაშხია. წიგნი მეორე. რომანი. გაგრძელება

62. ჯემალ ინჯია. ლექსები

63. ალი აბრამიშვილი. ლექსები

64. ალექსანდრე ტაბატაძე. ლექსები

65. ვირიან ვირნელი. ლექსები

66. ჯუმალ ქარჩხაძე. ეროვრთვეტე მცნება. მოთხრობა

87. შაკრო სეფაღაშვილი. ლექსები

88. ვაჟა ჩორნაული. ლექსები

89. ირაკლი ციგროშვილი — ლექსები

91. დავით ივიდაძე. ლექსები

92. ბაღრი ბოსონელიძე. მოთხრობები

— 50 —

97. ანა კალანდაძე. ლექსები

98. ნაზი კილასონია — სიტყვა ანა კალანდაძეზე. მუხრან მაჭავარიანი — ძველაბაც, ჯანსულ ნარკვევიანი —. კაბარა ალდეგრძელო. ემზარ კვიტაიშვილი — ორი კვეყნის მიჯნა. ტარიელ ჭანტერია — ანა კალანდაძის ეფიკები. ჯუმბერ თიმბერია — შარავანდი

ნარკვევი

107. ბიბი ბუთხუზი. იყავნ ქალაქნი

წერილები

115. ჯანსულ ფიფინელია. ბუნების ფენომენი ვაჟაფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის მგზრთა ხასიათებში

125. ბეორგი თავაძე. რუსთველის კოსმოლოგია

137. ირაკლი ხალაძე. ფედაკალაქის სილამაზისათვის

149. ვახტანგ გოგუაძე. სულხან-საბა ორგანიანის „სიბრძნე-სიცრუესა“ ალეგორიის მეთოდის შესახებ

153. ყოველი მხრიდან

158. ჟურნალ „ცისკრის“ 1974 წლის ნოემბრების შინაარსი

მთავარი რედაქტორი
ჯანსულ ნარკვევიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
ვალერიან ბაძრაძე,
აკაკი ბაძრაძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
მერაბ ელიოზოშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტია ჯაჯანური
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ ფულეისარი,
ტარიელ ჭანტერია,
ხერგი ჭილაია,
თამაზ ჭილაძე,
ლაშა ჯანაია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭაბუა ამირეჯიბი

დათა თუთაშხია

რომანი

წიგნი მეორე

გრაფი სეგედი

ზარანდია დაღესტნიდან დაბრუნდა. გამოუძახებლად შემოვიდა. ხალხი მყავდა, შეატყო, მალე ვერ მოვიცლიდი; ჩემთან ვიქნებიო, მითხრა, და გავიდა. ისე კმაყოფილი, გახარებული და სახეგაბრწყინებული ჩვენი თანამშრომლობის მანძილზე, სიმართლეს ვიტყვი, არასოდეს მინახავს. მართალია, ჰქონდა კიდეც სასიხარულო — ჩამოიყვანა ყარა-ისმაილი და ოთხი მოლა — პანისლამიზმის ხუთი აგენტი, თურქთა ძირგამომთხრელი მოქმედების ორგანიზატორები, მაგრამ ამაზე გონებამახვილ, უფრო მნიშვნელოვან საქმეებში გამარჯვებული მუშნი ზარანდიაც მინახავს და ასე ბედნიერი კი — არასოდეს. ყველა ერთად, ცხვრებივით ჩამორეკა. ხუთივე ერთ საკანში მოათავსა. ეს კი იმას ჰგავდა, რომ მათი ურთიერთ[1] გამხოლოება ან იმთავითვე ვერ მოხერხდა, ანდა უკვე საჭირო აღარ იყო. დაღესტნური ოპერაციისა ამის მეტი, თითქმის, არა ვიცოდი რა და ვღელავდი. რაღაც საქმეების მსვლელობაზე ვთათბირობდით. თავიდან ვერ მოვიცილე ფიქრი, თუ რით იყო გამოწვეული ზარანდიას ესოდენ კარგი გუნება-განწყობილება. როგორც იყო გავთავისუფლდი, მუშნი ზარანდიას დაუყოვნებლივ ვუხმე და მოადგილეების თანდასწრებით მისი მივლინების შედეგები მოვისმინე.

ზევით ვთქვი, ზარანდიამ საეჭვო პირთა სიაში ექვსი კაცის გვარ-სახელთან წითელი წერტილები დასვა, ოთხი ამათგანი რეზიდენტიაო, განაცხადა და ასეთი ჰიპოთეზა მთელ გეგმას დაუდო საფუძვლად. ეს ინტუიტიური დასკვნა იყო. თუ გეგმას, როგორც აუცილებელი პირობა და წესი, რეალური, შემოწმებული, არაერთხელ დადასტურებული მასალა არ უდევს საფუძვლად, ზედნაშენი როგორღა იქნება სიმყიდეო? მუშნი ზარანდიას, ჰიპოთეზაზე აგებული თუნდაც გენიალური გეგმა და მისი განხორციელება საეჭვო ღირსების მოქმედებას წარმოადგენდა. ხელმძღვანელობის თათბირზე იმ გეგმის რეალურობა ერთხმად იყო უარყოფილი, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა მაინც

[1] გაგრძელება. დასწყისი იხ. „ცისკარი“ № 11.

სანქციონირებულ იქნა სამი მოსაზრებით: ერთი, რომ ყალბი თუმნიანებით ონოგლირება შესაძლებლობას ქმნიდა თურქეთიდან გამოგზავნილი ფულის მიმღებები დაგვეპატიმრებინა. როგორც ყალბი მონეტების გამვრცელებლები. ამით ჩვენ, სხვა რომ არა იყოს რა, ძირგამომხრელ ქსელში აღრევას შევიტანდით, მის ნაწილობრივ პარალიზებას მაინც მივაღწევდით. ცოტაოდენად იმის იმედიც იყო, რომ ამ მიზეზით დაპატიმრებულთაგან ერთ-ერთი მაინც თურქეთთან კავშირშიც გამოტყდებოდა და მაშინ კი მთელი საქმის გახსნაც უნდა მოხერხებულიყო. მეორე არგუმენტი, რამაც გეგმის განხორციელების ნებართვა განაპირობა, ის იყო, რომ მუშნი ზარანდიას ურაყეკი ავტორიტეტი გვაწვებოდა და გვრთგუნავდა. მართალია, თვით ზარანდიას ჩვენი თანხმობის მისაღებად თავისი ეს კაპიტალი არასოდეს და არანაირ ვითარებაში არ გამოუყენებია, მაგრამ კაპიტალი, ასე ვთქვათ, დამოუკიდებლად არსებობდა, გვაიძულებდა ანგარიში გაგვეწია მისთვის. მესამე — სხვა გეგმა არ გაგვაჩნდა და ამოცანის დაძლევისთვის რაიმე ახალი გასაღების გამოძებნასაც არ უჩანდა პირი. ერთი სიტყვით, გეგმა აგებული იყო ექვსი ეპემიტანილი პირიდან ოთხის შესაძლებელ მხლეებზე და ამიტომ შემდეგნირად განხორციელდა:

ყოველ მათგანზე მიჩენილ იქნა კაცი, რომლის მეშვეობით ყარა-ისმაილის გამოჩენა და სტუმრობა სათანადო ოპერატიული ჯგუფისთვის დაუყოვნებლივ ხდებოდა ცნობილი. შემდეგ, ყარა-ისმაილის წასვლისა და იმ ადგილიდან საგრძნობი მანძილით გაშორების მერე ეპემიტანილი პირის სახლში ეწყობოდა ჩხრეკა და ყალბი ფულის აღმოჩენასთან დაკავშირებით მის მფლობელს აპატიმრებდნენ. მიღებულ იქნა ზომები იმისთვისაც, რომ დაპატიმრებულთა ოჯახის წევრები დეზორიენტირებული ყოფილიყვნენ მათი პატიმრის შემდგომი ადგილსამყოფლის გამო. მაგალითად, აჩხოი-მართანში აყვანილი კაცის ოჯახს უთხრეს, გროზნოში დასაჯეთ-ად მიგვყავს და ხვალ-ზეგ შინ დაბრუნდებაო. ნამდვილად კი ელადიკავკაზს წაყვანეს. იქაური საყორბილოში მოათავსეს. ხუნსახში იმავე ხერხით დაპატიმრებულზე ითქვა, პეტროსკ-პორტში მიგვყავსო ნამდვილად გროზნოში ჩაიყვანეს და ასე შემდეგ. თვით ყარა-ისმაილ, რა თქმა უნდა, საკუთრივი და საგანგებო თვალთვალი მოუწყეს და აქაც, არ დარღვეულა გეგმის მსვლელობა; თემირხანშურიდან ნახევარი საათის სავალზე იგი გაჩხრიკეს, რაც რამ ებადა ყველაფერს ერთ ტომარაში მოუყარეს თავი და თემირხანშურისაევე საპყრობილეში მიიყვანეს. მან ვერაფრის გადამლევა ან გადადება ვერ შეძლო. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამგვარად, პროგრამა-მინიმუმი შესრულებული იყო, მაგრამ მუშნი ზარანდიას დაღესტნისკენ ვადაზე ადრე გულმა სწორედ იმიტომ გაუწია, რომ ალღომ გეგმის მთავარი ნაწილის ჩაგდების საფრთხე უკარნახა. იგულისხმება რაიმე საბუთი, ნივთიერი მტკიცება ან მითითება იმაზე, რომ ფულის მიმღებებმა იცოდნენ, რაში მიიღეს და ვისგან მიიღეს ის ფული. ცხადია, არავინ ელოდა, რომ ასეთი მტკიცება ხელწერილისა თუ თამასუქის სახით ჩავვივარდებოდა ხელში და ასე არც მომხდარა, მაგრამ ზარანდიას სწამდა, რომ ყარა-ისმაილისგან ჩჩრეკის შედეგად ჩამორთმეულ საგნებში დასტურის რაიმე კვალი უნდა უეჭველად აღმოჩენილიყო, თუკი — ვიმეორებ, — თურქები საერთოდ მოითხოვდნენ ხოლმე დასტურს.

თემირხანშურას მისულმა მუშნი ზარანდიამ ოპერაციის ხელმძღვანელის, შტაბს-კაპიტან ლენოვის ნაამბობი მოისმინა, ზოგი რამ დაუზუსტა და ყარა-ისმაილისგან ჩამორთმეული საგნები მოითხოვა.

— ყველაფერი შემოწმებული და შესწავლილია, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, —მოახსენა ლენოვმა და

უნტერ-ოფიცერი ყარა-ისმაილის ჩიხომახოიანი ტომრის მოსატანად გაგზავნა.

— როგორი ამოცანთ, რა თვალსაზრისით შეამოწმეთ?

— როგორც თქვენ ბრძანეთ, ისე. ფულის მიღების ნიშანს, დასტურს ვეძებდი.

— რა პრინციპით?

— ნიშანი უნდა როგორმე ამბობდეს, რომ სახელდობრ, ამა და ამ კაცის დასტურია... ხელმოწერასავით რამ უნდა იყოს, რომ თურქებმა თავის ნიმუშს შეადარონ. ვერაფერი აღმოვაჩინე. მგონი, რომ მანდ მსგავსი არაფერია, — ლენიოვმა იმ წუთას შემოტანილ ტომარას მიათითა.

ზარანდიას ერთი სული ჰქონდა ხელახლა შეემოწმებინა ლენიოვის მიერ გადათვალიერებული ნივთები. ეგ იყო, მოერიდა, უნდობლობაში, პროფესიული ტაქტის დარღვევაში არ ჩამორთმეოდა ეს საქციელი და გაიფიქრა, დროებით თავი უნდა შევიკავო.

— წამოყარეთ! — უთხრა მან უნტერ-ოფიცერს.

უნტერ-ოფიცერმა ტომარა მაგიდაზე გადმოცალა.

— რა აცვია დაპატიმრებულს? — იკითხა ზარანდიამ, როცა მაგიდაზე ყარა-ისმაილის ტანსაცმელს ვერ მოჰკრა თვალი.

— ჩიხა-ახალუხი... საგულდაგულოდ არის გაჩხრეკილი.

ზარანდია დაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ ერთი ხელი საცვალი და ქოშები ან სხვა რამ ფეხსაცმელი მოითხოვა.

უნტერ-ოფიცერი კაპტენარმუსთან წავიდა.

— ფული ჩამოართვით?

— დიახ.

— ქაღალდის კუპიურები არის?

— არის.

— სერგეი ივანინ, მოდით ასე მოვიქცეთ: თქვენ ხელახლა გულდასმითა და ყურადღებით გადათვალიერეთ ფულები. იქნებ, ზედ რაიმე წარწერები, ნიშნები ან ანაბეჭდები აღმოჩნდეს. მე ყარა-ისმაილის დამუშავებას შეუუდგები. დასწყვეტლოს ღმერთმა, არ შეიძლება, სადმე რაიმე კვალი არ არსებობდეს!.. თავისუფალი საკანი არის?

— როგორ არა, — ლენიოვმა პორტფელიდან ლუპა და ჩამორთმეული ფული ამოიღო, საქმეს შეუდგა.

საცვალი და ახლთახალი ჩექმები მოიტანეს. ზარანდიამ ვახმისტრის უთხრა:

— გაიხადოს ყველაფერი, მთლად გაშიშვლდეს. ეგ საცვალი და ჩექმა ჩაიცვას. გახდასა და ჩაცმას არ დაესწროთ; იქნებ, კედლებსა და ჭუჭრუტანებში რაიმეს დამალვა მოისურვოს — დავაცადოთ. ათიოდ წუთის შემდეგ სხვა საკანში გადაიყვანეთ და მისი ტანისამოსი აქ მომიტანეთ.

ვახმისტრი და უნტერ-ოფიცერი ბრძანების შესასრულებლად წავიდნენ. ზარანდიამ გაზეთი გაშალა, კითხვას შეუდგა. შემთხვევებსა და ქრონიკას მორჩა და ყარა-ისმაილის ტანისამოსიც მოიტანეს.

ყველა გვირისტი და ნაკერი საგულდაგულოდ იქნა შემოწმებული. არაფერი აღმოჩნდა.

— წამოიღეთ მისი ტანისამოსი, წამიყვანეთ მის საკანში, — თქვა ზარანდიამ.

საკანი, რომელიც ყარა-ისმაილს ის იყო დაატოვებინეს, დიდი რუდუნებით და დაწვრილებით იქნა შესწავლილი. არც იქ აღმოჩნდა რაიმე საგულისხმო. გამოდიოდა, რომ ყარა-ისმაილზევე იყო საძებნელი.

— ყველაფერი სწორია, — ჩაილაპარაკა ზარანდიამ, როცა საკნის შესწავლას მორჩა. — აქ არც უნდა იყოს რამე... დაყარეთ ტახტზე მისი ტანისამოსი. ახლა წავიდეთ და ყარა-ისმაილი ამავე საკანში დავაბრუნოთ, მაგრამ სრულიად შიშველი. უნტერ, დარჩით აქ და სანამ ჩაცმას შეუდგებოდეს, შიშველი გაჩხრიკეთ. ხომ გესმით, რასაც

ᲕᲐᲮᲣᲐ ᲐᲕᲘᲠᲘᲯᲘᲜᲘ
ᲓᲐᲗᲐ ᲗᲣᲗᲣᲠᲨᲘᲐ

ნიშნავს შიშველი კაცის კარგად გაჩხრეკა?

— დიახ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, როგორ არ უნდა მესმოდეს!

ყარა-ისმაილს უბრძანეს, გაშიშვლებულიყო, საკნიდან დედიშობილა გამოიყვანეს და ძველი ადგილსამყოფლისკენ გაიგდეს. ასე, სამოცდაუთვისა იქნებოდა, ბებრულად მიდიოდა. ცალ ხელს „შაჰ ჰოსეინ, ვაჰ ჰოსეინის“ რიტუალით დასახჩრეებულ-გამეჩხერებულ თავზე ისვამდა, მეორეში განბანვისთვის განკუთვნილი პატარა სპილენძის სურა ეჭირა.

მუშნი ზარანდიამ ყურები სცქვიტა, ეახმისტრს ყურში ჩასჩურჩულა:

— თავს დაადექით, ისე ჩაიცვას. თვალი არ მოაშოროთ, სანამ მოვალ.

შედეგი არც ახალ საკანში დატოვებული საცალეებისა და ჩექმების გასინჯვამ მოიტანა. ზარანდიამ ხელი ჩაიქნია, ყარა-ისმაილის ძველ საკანში შევიდა. პატიმარი უკვე ჩაცმული იყო, ტახტზე იჯდა.

— წამოიყვანეთ დაკითხვაზე! — ბრძანა ზარანდიამ.

პატიმარი ადგა, კარისკენ გამოემართა.

— სურა არ მოგაქვთ? — ჰკითხა ზარანდიამ.

ყარა-ისმაილმა კუთხისკენ გაიხედა და მიუგო:

— იყოს, იქ რაში გამომადგება.

— გამოგადგებათ, წამოიღეთ!

ყარა-ისმაილი წამით გაინაბა, მერე მხრები აიჩეჩა, თავი გადაიქნია, რა მენაღვლებაო, და სურა წამოიღო.

მუშნი ზარანდია ფეხდაფეხ მიჰყვა, სურას მისჩერებოდა... მან უკვე დანამდვილებით იცოდა, რომ დასტურის ნიშანი სურაში უნდა ყოფილიყო.

ლენიოვის კაბინეტში შევიდნენ. ზარანდიამ ყარა-ისმაილს სკამი მიუდგა, დაბრძანდითო, სურა გამოართვა, წყალი ხელსაბანის ნიჟარაში ჩაცალა, დათვალიერა, რატომღაც თავი დაიქნია, ყარა-ისმაილს დაუბრუნა და უთხრა:

— გახსენით!

სურის პატრონმა ხელები გაასავლებინა, არაფერი გამეგება, რას მეუბნებოდნენ.

— მოხსენით სურას ფსკერი!..

ყარა-ისმაილი გაფითრდა, მკვდრის ფერი დაედო.

— მოხსენით! — მშვიდად გაუმეორა ზარანდიამ.

— ვერ ვიცი... ჩემი არ არის...

ზარანდიამ გაიღიმა.

სურას ორმაგი ფსკერი აღმოაჩნდა, სადგამი რგოლი ხრასნილით უერთდებოდა კორპუსს. ფსკერებს შორის ქაღალდი იყო ჩატანებული. ქაღალდს ერმაში გახსნილი მურით შესრულებული ოთხი ანაბეჭდი ჰქონდა — დაპატიმრებული რეზიდენტების მარჯვენა ფეხის ცერის ანაბეჭდები. ლენოვს რაღაც ხმა აღმოხდა და თავში ისე გამეტებით ითხლიშა ხელი, რომ დაბუყუნებაზე დერიფნიდან უნტერ-ოფიცერმა შემოიხედა, მაგრამ საბოლოო ჯამში ლენიოვს ამ ოპერაციამ მაინრის რიგს გარეშე ჩინი და ორდენი მოუტანა.

საჭიროდ მიმაჩნია ერთი მოსაზრება მოვიყვანო. ამ ჩანაწერების დასაწყისში ვიხმარე გამოთქმა — იღბლის ელემენტი არც ერთ საქმეში არ არის-მეთქი გამორიცხული. განა შემთხვევითობას უნდა მიეწეროს, რომ მუშნი ზარანდიამ დალიტნის ანდაბამერის მასალების შესწავლის შემდეგ, ექვს გვარს წითელი წერტილები დაუსვა, ოთხი ამათგანი თურქეთის რეზიდენტიაო, თქვა და, რომ მარილაც ასე აღმოჩნდა? ან, იქნება, იმის გამოც შეიძლება ითქვას, მე რომ სამი დღით ადრე დავბრუნდი თბილისში და ჰაჯი-სეიდის საქმეს პირადად მივხედე, ვითარებების დამთხვევა მოხდაო? შემთხვევამ იცოდა, რომ დანაშაულის ადგილზე ზარანდიას ჩაუსვლელად დაპატიმრებულთა რეზიდენტობა ვერ დამტკიცდებოდა?.. ზარანდიას თავი დავანებოთ; ჩემი სამსახურის მანძილზე მრავალჯერ მქონია შემთხვევა, როცა მავან ზემდგომთან თუ ხელქვეითთან პასუხსაგები საუბრის გეგმა და მსვლელობა კვი-

რაობით და თვეობითაც კი მიმზადებია... მოსულა დრო, საქმე საქმეზე მიმდგარა — სულ სხვა მილაპარაკია, სულ სხვაგვარად მოვქცეულვარ და ყველაფერი ისე გამოსულა, რომ უკეთესზე ვერც კი ვიოცნებებდი. ესეც შემთხვევაა?.. არა, ალბომ მასაუბრა ასჯერ ისე, როგორი საუბრიც ჩემმა ცნობიერებამ წინასწარ ვერ დასახა. ალბომ წაიყვანა ზარანდია დაღესტანში და მე კი გაწზრახულზე სამი დღით ადრე დამაბრუნა თბილისში. ასიდან ექვსი კაცი ალბომ ამოარჩია და ამ ექვსში ოთხი რეზიდენტიც ალბომ იგრძნო ვიცი, ეს განცხადებაა და არა მეცნიერული დასკვნა, მაგრამ ერთ რამეში მეცნიერებაც საწყალია: რასაც თავისი მეთოდით ვერ წასწვდება, იმას ფიდეიზმად, ცრუ წარმოდგენად მონათლავს, სანაგვეზე გადაადგებს. ალბომ მნიშვნელობაც გადაგდებული აქვს მეცნიერებას... ეგ არის, გავა ხალმე დრო და გადადებული კვლავ მზის სინათლეზე ამოაქვთ, მოლასი და საზამთროსა არ იყოს, ვინ მე და ვინ ამაზე აუგის თქმელიო. არ ვფიქრობ, ვითომ ცნობიერებას ალბოზე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს. მაგრამ საქციელის თუ იდეის პირველსაწყისად მაინც ალბო მიმაჩნია. შემთხვევითობა და „იღბლიანი" ადამიანი თუ არსებობს კიდეც, მისი იღბლიანობა იმაში მდგომარეობს, რომ განგებამ ალბო დაიყოლა. ეს ვიგუელისხმე, როცა ამ ჩანაწერების დასაწყისში ზარანდიაზე ვთქვი, იღბლის ელემენტი არც ერთ საქმეში არ გამოირიცხება-მეთქი.

ვიცი, ჩემს ჩანაწერებში ხშირად და ნათლად იგრძნობა ზარანდიას პიროვნებით აღტაცება. მოულოდნელ მედიტაციებსა და მტკიცებებს, ალბათ, იმიტომ მივმართავ ხოლმე, რომ ჩემი ეს სისუსტე გავამართლო, საბურველი გადავაფარო მოვლენის გაზვიადებულად აღქმის ბავშვურ მიდრეკილებას. მეორე მხრივ, იქნებ, მართლაც იყო ის პიროვნება აღტაცების ღირსი და ამის დამტკიცება, იქნებ უფროა ფილისტერობა, ვიდრე თქმა — გულუბრყვილობა... მაგრამ დავუბრუნდეთ საოქმელს.

ზარანდიას მოხსენებამ და თხრობამ რამდენიმე საათს გასტანა. თათბირი დაიშალა, მარტონი დავრჩით.

— დიდი მოღუღლის ხალიჩის ფოკუსი რაღად დაგჭირდათ, მუშნი? — ვკითხე მე.

ზარანდია წამით შეყოყმანდა, თითქოს შეცბა კიდეც და მითხრა:

— დაღესტნის ოპერაცია რომ ჩავგშლოდა, მაშინ ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიხდებოდა და საწყისი საფეხური ხომ ისევ ჰაჯი-სეიდი უნდა ყოფილიყო. მასთან ურთიერთობაში უპირატესობა იყო საჭირო... ხალიჩის ფოკუსი იმ შემთხვევაშიც გამართლებული იქნებოდა, ოპერაციის მხლოდ ნაწილი რომ გამოგვსწოდა, ესე იგი, მხოლოდ მოლების ყალბისმქნელობაში მხლების შესაძლებლობაია რომ შეგვრჩენოდა ხელში. ჩვენი საბოლოო მიზანი ხომ ის იყო, რომ სხვა მტკიცებების უქონლობის შემთხვევაში, როგორმე ჰაჯი-სეიდი გამოგვეტეხა და, იქნებ, გადმოგვებირნენა კიდეც. ახლა საქმე თითქოს ისე გამოიყურება... დიდი მოღუღიდან სპარპეტამდე ყველა ჩვენს წინადმდეგ რომ ადგეს, თურქები მაინც ვეღარსად წაგვივლენ, მაგრამ გული მიგრძნობს, ხალიჩა თავისას ითამაშებს. ვნახოთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რა ვიცით.

— ვნახოთ, მუშნი, — ჩავილაპარაკე მე და დავძინე: — პოლკოვნიკი სახლოვი დღეს გამოდის პეტერბურგიდან.

ზარანდიამ ცნობისმოყვარეობით შემომხედა, მაგრამ მე ამ თემაზე ლაპარაკი რატომღაც აღარ მოვისურვე, თურქების პრობლემას დავუბრუნდი:

— წინასწარ გამოძიებას თქვენ წაიყვანთ თუ შეიტოცევს დაავალებთ?

ზარანდია გაყუჩებული იჯდა, დაგვიანებით გამომელაპარაკა:

ბაბუა აბირეჯიბი
დათა თუთაშხია

— ერთი წუთი, თქვენო ბრწყინვალებავ, ერთი წუთი!

წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ქუჩაში ყურებას შეუდგა და კარგა ხნის შემდეგღა მომიბრუნდა:

— მე მაგათთვის ვერ მოვიცლი. თქვენს ნებართვით და თანდასწრებით ერთ კომედიას მოვაწყობ. ამის შემდეგ შტოვცეეს საქმე იმდენი აღარაფერი დარჩება, მისდგეს და გამოიძიოს.

— მარტო აუვა? — ვკითხე მე და ეს „კომედიის“ მოწყობის ნებართვასაც ნიშნავდა.

— ვერ აუვა. ორი გამომძიებელი მაინც დასჭირდება, სამუშაო ტევადია. საქმე, რა თქმა უნდა, ჩვენი თვალყურითა და ზედამხედველობით წავა. რაც შეეხება კომედიას, აღარ გადავდებ. ამადამ გცალიან, გრაფ?

— მოვიცლი, თუკი საჭიროა, — სიცილით მივუგე.

— მაშინ სამზადისს შევუდგები. თერმიტზე დაგირეკავთ.

ზარანდია წავიდა. მე ისევ დიდი მოღულის ხალიჩას გადავწვდი. ბევრი ვიფიქრე და დავრწმუნდი, რომ ზარანდიასთან საუბარმა, არამცთუ სინათლე შემოიტანა ამ საქმეში, არამედ უფრო მეტად დამაბნია, რებუსი გამირთულა. გავიფიქრე, სპეციალურად გამოვიძახებ და, უნდა თუ არ უნდა, ყველაფერს დავაფქვევინებ-მეთქი, მაგრამ უმალვე მენიშნა, რომ ასე არ ვიზამდი. არ ვიზამდი იმიტომ, რომ სახნოვის თემაზე საუბარს, რატომღაც, გავურბოდი. გამიკვირდა, ნეტავი, რატომ მეშინია თუ მერიდება მეთქი! ამის ანალიზს მივყევი, შინაც დიდხანს ვიფიქრე. მერე წამთვლიმა და მეძინა, სანამ ზარანდიას ზარი გამაღვიძებდა.

— გელოდებით, თქვენო ბრწყინვალებავ. ეტლი თქვენს სადარბაზოსთან დგას.

კომედია იმაში გამოიხატა, რომ ზარანდიამ თავის კაბინეტში მოუყარა თავი ჰაჯი-სეიდს, ყარა-ისმაილს, ოთხ მოლას და ისკანდერ-ეფენდის. აქვე იყვნენ ჩვენი თარჯიმანი, ორი გამომძიებელი, ზარანდიას მოადგილე — შტოვცეეი, თვით ზარანდია და ჩვენი, ორი მოადგილეც. დიდი სიჩუმეა იყო და ვიფიქრე, რომ თუ კომედიის მეთოდით სარგებლობას ზარანდია მომავალშიც აპირებდა, სხვა კაბინეტი უნდა შემერჩია მისთვის.

შევედი, სავარძელში ჩავჯექი. მუშნი ზარანდიამ იქაურობის მოთვალიერება დამაცდა და დაწყების ნებართვა მთხოვა. თავი დავიქნე.

ზარანდიამ ასე დაიწყო:

— თქვენ ღორის სული და ვირის ჭკუა გაქვთ!.. უთარგმნეთ.

თარჯიმანმა უთარგმნა და მოქმედი პირები საგრძნობლად გამოცოცხლდნენ.

— მის უდიდებულესობას — სრულიად რუსეთის იმპერატორს, თქვენმა შამა-პაპამ ფიცით აღუთქვა ერთგულება. თქვენ იმ ფიცსაც უღალატეთ, იმპერატორსაც, საკუთარ ხალხსაც და თურქებს თითბრის თუმნიანებად მიეყიდეთ.

სანამ თარჯიმანი უთარგმნიდა, ერთ-ერთმა გამომძიებელმა თუმნიანი აიღო, ქლიბი გადაუსვა, გადაფხეკილ ადგილს სიმჟავე დაეწვეთა. ლითონმა ფერი იცვალა, გამომძიებელმა ბრალდებულებს ჩამოუარა, მონეტა ყველას სათითაოდ აჩვენა...

ერთ მოლას ყარა-ისმაილის მისამართით რაღაც წყევლაც კი ადმოხდა.

— თურქები მხდალები, ვერაგები და მექრთამეები არიან. ნამდვილი საქმის კეთების ილაჯი დიდი ხანია გამოეცალათ, ფონს ტრაბახითა და სიცრუით გადიან, ასორმოცდაათი წელიწადია არც ბრძოლის ველზე გაუმარჯვიათ და არც ჭკუით უჭობნიათ ვინმესთვის. ღმერთმა განიზრახა რუსი ხალხისთვის ძლევამოსილების რწმენა ერუქებინა და თურქები ამისთვის მოავლინა მზისა ქვეშე. სხვა მათ არაფერი მიუციათ კაცობრიობისთვის და ვეღარც რასმე მისცემენ. თქვენ თურქებს ლაქებად დაუდექით, საკუთარ ხალხში ღრტვინვასა და ამბოხს სთესავთ, წინაღმდეგობა-

სთვის აგულიანებთ, კლდიდან გადაგდებას უპირებთ.

გოოცებული ვიყავი, ზარანდიასგან ასეთი ტონი და მიმართვის შინაარსი სხვა დროს არსად გამეგონა.

— თქვენი ბოროტი გული იმისთვის აღმდგარა, — განაგრძო ზარანდიამ, — რომ კვეკასონის ხალხებსა და მათ სამშობლოს მეფის რისხვა დაატეხოთ. წამოვა დამსჯელი ჯარი. ქართველებსა და სომხებს წინ მეგზურად გამოიგდებს, ულებსა და ქალაქებს გადაგიბუგავენ, წინააღმდეგობის გამწევთ ამოსწყვეტენ, დედაბუდიანად ცომპირში გადაგასხლტენენ. ვინც სამართლიან შურისგებას ცოცხალი წაუვა და მთასა და კლდე-ღრეში შეიხიზნება — იქ სიცივით, შიმშილითა და სახადით ამოსძერვა სული. მაგ მიწებზე კაზაკების სტანიცებს დააარსებენ და თქვენი ერები თუ ოდესმე არსებობდნენ, მოამავალ კაცობრიობას მხოლოდ წიგნებიდან ეცოდინება.

თარჯიმანი ამის თარგმნასაც მორჩა. მაშინ ზარანდია ზეზე წამოდგა, რაღაც საბუთი აიღო:

— ახლა კიდევ ერთხელ იმაზე, თუ რაში ხართ უკვე მხილებული!... — ზარანდიამ ბრალდებულს ჩოყურსოფის მიერ სტონესის ბანკში ჰაჯი-სეიდის სახელზე შეტანილი თანხების ნუსხა და ბანკის მიერ ჰაჯი-სეიდთან გამოგზავნილი საშემოსავლო ორდერები გააცნო. მერე ყალბი ფულის გავრცელებაზე ელაპარაკა და მათი ჩხრეკისა და ყალბი ოქროს თუმნიანების აღმოჩენის ოქმების არსებობა მოაგონა. შემდეგ, ყარა-ისმაილის შუამავლობაზე და სპილენძის სურაში ნაპოვნი ანაბეჭდების შესახებ უთხრა და ყოველივე ეს დაამთავრა სიტყვებით:

— მე უკვე გითხარით, რომ თქვენ ღორის სული და ვირის ჭკუა გაქვთ. მაგრამ ამიერს მაინც გაიგებთ: ჩვენი იმპერიის კანონი ლმობიერი და შემწყალებელია მათთვის, ვინც გულწრფელი-ღალიერებისა და ცოდვების მონანიების გზას დაადგება. მკაცრი და დაუნდობელია მათ მიმართ, ვინც თავისი რეგვენობისა თუ ვირეშმაკობის გამო, სიცრუესა და ვერაგობას მიმართავს. წადით, სიმართლე ილაპარაკეთ, დამალვა არაფრისა სცადოთ, თორემ მოვიცლი, მოვალ და მერე, ვაი, თქვენი ბრალი!.. გაიყვანეთ! — უბრძანა მან ზედამხედველებს.

პატიმრები გაიყვანეს. შიტოცევი და გამომძიებლები წავიდნენ და ზარანდია ისკანდერ-ეფენდის ეკეთა. არ ვიცი რა დავარქვა იმ გულის ჯავრსა და ღვარძლს, რაც მან საკუთარ ავენტს მიანთხია. ყოველ შემთხვევაში ის, რაც მოლებსა და ყარა-ისმაილს ხვდათ წილად, ისკანდერ-ეფენდისთვის ნთქვამთან შედარებით დედის ალერსი იყო. ზარანდიას სტაყვებიდან ისე გამოდიოდა, რომ ჰაჯი-სეიდის, ყარა-ისმაილის, მოლების და თურქეთის სამხტოვრის საქმიანობისთვისაც ისკანდერ-ეფენდი იუნეს-ოღლუს უნდა ეგო პასუხი. ეს ქარიშხალი, სულ ცოტა, ოც წუთს გაგრძელდა. ბოლოს ზარანდია მე მომიბრუნდა და მითხრა:

— თქვენო ბრწყინვალებავ, დაკინებით მოვითხოვ, მომეცეთ უფლება დავაპატიმრო ეს ნაძირალა იმ მონაცემების საფუძველზე, რაც ჩვენს ხელთ ჯერჯერობით არის!

დავფიქრდი და მივუგე: რომ კანონის დარღვევის უფლებას ვერ მივცემდი და რომ დამატებითი გარემოებების გამომძიებენება იყო საჭირო. მაშინ ზარანდიამ ისკანდერ-ეფენდის შინაური პატიმრობის ორდერზე მოაწერინა ხელი და კაბინეტიდან კისრისტეხით გაგდო. ჩემთვის ცხადი იყო, ჰაჯი-სეიდთან ლაპარაკი მხოლოდ ეხლა უნდა დაწყებულიყო, ღმერთმა იცის, რამდენ ხანს გასტანდა და კაბინეტი მოადგილეებითურთ დავტოვე.

ზარანდიას დილამდე ჰყოლია ჰაჯი-სეიდი — მეორე დღეს სამსახურში ოთხ საათზეა მოვიდა. მანამ მოვიღოდა,

მისმა მდივანმა მომახსენა, ჰაჯი-სეიდი მესამედ რეკავს, ჩემს უფროსს კითხულობს, ფრიად მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საქმე მაქვსო.

— გადაუდებელიო?.. აცნობეთ ზარანდიას!

ჯერ ჰაჯი-სეიდისა და კონტრდაზვერვის უფროსის ურთიერთ დამოკიდებულებები მენიშნა და შემდეგ ცნობა, რომ ისკანდერ-ეფენდი იუნუს-ოღლუს წუხელ შინ მისელისთანავე აუკრეფია თავისი ხელბარგი, საითოც გაბარულა და უკიდურესად შეშინებულ ჰაჯი-სეიდს სწორედ ეს უნდოდა ეცნობებინა ზარანდიასთვის.

როდესაც მოწინააღმდეგე ციხე-სიმაგრეში გამომწყვდეული და საიმედოდ გარემოცული, ციხენბის, ძაღლების, კატების და ვირთაგვების სინსილა აქვს გავლებული და წყალიც დაუწყვიტეს, მაშინ მისი ერთადერთი ოცნება სიცოცხლის შენარჩუნებაღაა. ეხლა წარმოვიდგინოთ, რომ მოალყე აღნიშნულ სიტუაციაში არამარტო ზავსა სთხოვს გარემოცულს, არამედ მოკავშირეობასა და მესამე სახელმწიფოზე ლაშქრობას სთავაზობს და დიდი ალაფის, [illegible] ასაც აძლევს... ჰაჯი-სეიდისთვის, სახელდობრ, ამგვარი ვითარება შეიქმნა. ზარანდიამ იკი ჯერ დაარწმუნა, რომ ჯამუშობაში მხილებულისთვის უიღბლიანესი გამოსავალი და უახლოესი გეოგრაფიული წერტილი, შესაბამისად, ბორკილები და სახალინის კატორღაა და ამის შემდეგ სრული კაპიტულაციისა და თანაშშრომლობის ალტერნატივა დაუსახა. ხანგრძლივი, დამოლელი გაწამაწიის შემდეგ ცდის პირმა ხელი ჩაიქნია, ზარანდიას ყველა პირობა მიიღო. ან სხვა რა გზა ჰქონდა?.. ჰაჯი-სეიდმა სათანადო ხელწერილები დატოვა, შინისკენ გაეშურა და თან წაიყოლა ღრმა, მყარი და სამუდამო რწმენა, რომ ზარანდია ის „ფრანგი“ როდია, რომელთანაც შეიძლება გარიგების ხელშეკრულება შეადგინო, ხელიც მოუწერო და მერე კი დატოვებული თამასუქი და უარი მარსელის მისამართით გაუგზავნო...

შალვა ზარანდია

— მიაქცეთ, ალბათ, ყურადღება, გამეცინა. ეგ რომ მკითხეთ, თავი ვერ შევიკავე. იმიტომ გამეცინა, ჩემმ ბატონო, რომ მე თვითონ წლობით მიფიქრია მაგაზე და, სიმართლე მოგახსენოთ, ახლაც არ მგონია, სწორი პასუხი თუ მაქვს ნაპოვნი. გრაფ სეგედისთან. მისი სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, ცხოვრებამ მოიტანა ასე, და კარგი დამოკიდებულება შემექმნა. სულგუნი და აჯიკა უყვარდა, ცხონებულს. თბილისში არ ჩავსულვარ ისე, რომ არ მივსულიყავი და მცირედი ძღვენი არ მიმირთვა. რევოლუციამდე ზამთრობით პეტრე დიდის ქუჩაზე ცხოვრობდა. ზაფხულობით — არმაზში, აგარაკი ქონდა იქ. თავმდაბალი და უაღრესად ზრდილი ადამიანი იყო, მუსაიფი უყვარდა და რაზე და რამდენნი გვისაუბრია — ღმერთმა იცის. ერთხელ მითხრა, მუშნისთანა უბრალო და სადა გონების კაცი სიცოცხლეში არ შემხვედრიაო. მართალია ეს. ისეთი წვდომის უნარი ქონდა და ისეთი ლოგიკა, რომ ქვეყანაზე ურთულეს მოვლენას, ინფოურისთვის რომ გასაგები. გახდებოდა, იქამდე დაიყვანდა. დათა პირიქით იყო. ერთობ რთული, გაუგებარი და, თითქოს. შეუსაბამო საქციელს კაცი იყო. წარმოიდგინეთ, ადამიანმა სიცოცხლე ისე გაატარა, რომ ხელში ვერც ერთხელ ვერ ჩაიგდეს მდევრებმა. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, თავისი ფეხით მივიდა და ჩაჯდა ციხეში. რა არის ეს, რამ მოიტანა ასეთი აუცილებლობა?..

უთქვამთ უკვე თქვენთვის და უნდა დავაზუსტო ზოგი რამ. მე მათი ოჯახის მხოლოდ გაზრდილი კი არ ვარ, — ძმა ვარ მათი და შვილი ვარ მოხუცი ზარანდიების. ასე ითვლება ეს და დამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდებულებების მიხედვითაც ასეა. მე ზარანდია არ ვარ, გოგნიაშვილი ვარ გვარად. შაელგი მრქმესია იმთავით და შალვად გადაკეთდა თავისით თუ როგორ — არ ვიცი. მამაჩემს წათე ერქვა, ძალიან სახელიანი აბრაგი იყო ქართლში — იქ ყაჩაღს იტყვიან. ხუთი წლის ვიყავი მამაჩემი რომ მოკლეს. ორ თვეში დედაჩემიც გარდაცვლილა. ქართლში ხიზობა ქვია, შორიდან მოსულ კაცს თავის მიწაზე რომ დაასახლებს მემამულე. ხიზნები ვიყავით, ნათესავი არ გვყავდა იქ. გადმოვიდა სამურზაყანოდან დათა თუთაშხია, მამაჩემი წათეს ძმადნაფიცი აბრაგი, წამომიყვანა და თავის გამზრდელ თამარ და მაგალი ზარანდიებს მიმაბარა აღსაზრდელად და შვილად. ახლაც ზშირია ეს, მარა უწონ საყოველთაო წესივით იყო: ობოლი, ან სნეული დედ-მამის შვილი კი არა და, უფრო შეძლებულებს გაჭირვებული ნათესავის შვილებიც კი მიყავდათ აღსაზრდელად. მიყვანილი ბავშვის პატრონობასაც თავისი წესი ქონდა: საკუთარი შვილების გამორჩევა სირცხვილი იყო — მეზობელი დაგძარხავდა, მოახლეყ და მოჯამაგირეყ ხომ არ მოგიყვანითო. ზარანდიების ოჯახში რაც მე სითბო და მზრუნველობა მახსოვს, იმდენი საკუთარი დედ-მამის ხელში სად ქონდათ სხვებს თავის ოჯახებში! მე რომ მიმიყვანეს, მეშნი თბილისში იყო უკვე და ინვითათ მოდიოდა დედ-მამასთან. მეშნის უფროს ძმას — კონსტანტინეს, თავისი ოჯახი და სახლ-კარი ქონდა, ცალკე ცხოვრობდა. ელე ხან თავის სოფელში, მამისეულ სახლში იყო, ხან ჩვენთან და ხან მეშნისთან — ადრე ქუთაისში და მერე თბილისში. დათა მოდიოდა, ასე, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ გამზრდელი მამიდის და ბიძის სანახავად, მარა ღამით, და რომ წამოვიზარდე, მერე გავიგე ეს. ერთადერთი ბავშვი ვიყავი ოჯახში იმ დროს. მოხუცები თვითონ ხომ მიცლიდნენ და მანებივრებდნენ, მარა ელეს ვუყვარდი საკუთარი შვილივით, ზედ მაკვდებოდა, საცოდავი, როცა ჩვენთან იყო. იქედან მეშნი არ მაკლებდა ხელს და დათა ხომ აბრაგი იყო, თავისთვის რა ქონდა, საწყალს, მარა მალვით მოსული, ისიც კი არ წავიდოდა სახლიდან ისე, ჩემთვის რომ არ დაეტოვებინა რამე — სათამაშო ან ფული და რა ვიცი კიდევ რა. კეთილი იყო ხალხი უწინ და ზარანდიების ოჯახი ხომ... „სახლი სათნოებისა და სახლი სიყვარულისა“ — მაგალი ზარანდიას სიტყვებია ეს, ასეთი უნდა იყოს ოჯახიო. მაგალი ზარანდია, მოვეხსენებათ, უბრალო დიაკვანი იყო, მარა იმდენად განათლებულ კაცს იშვიათად შეეხვედრივარ. განათლებას აკადემიურს არ ვგულისხმობ. ისეთი გონების იყო, რომ თვითონ ქონდა მიგნებული ყველანაირი სიბრძნე და რასაც ვერ მიაგნო — ალღოთი ესმოდა ის. არა, ნაკეთხიც იყო ძალიან. წიგნი უყვარდა, არ დატოვებდა წაუკითხავს — ახალი იქნებოდა თუ ძველი და ჩვენც შეგვაყვარა წიგნი, ყველა შვილებს. პირადად მე იმდენი მასწავლა ცხონებულმა, რომ— მართალია, ათი წლისა მიმიყვანეს სასწავლებელში, მაგრამ — მოსამზადებელ კლასებში ყოფნისას და მერეც, გაკვირვებას იყვნენ მასწავლებლები, ასეთები სიდან იცის ამ ღლაპმო! გიმნაზიის წლებში იყო და ჩიტის რძე არ მოუკლიათ. დავამთავრე, ოთხ წელიწადს ვმასწავლებლობდი ჩვენს სოფელში, მაგალის სურვილი იყო ეს, მერე გამოჩნდა სხვა მასწავლებელი. ე, იმ წელს დაიღუპა საცოდავი დათა. გამიძახა მეშნიმ პეტერბურგში, შემიყვანა უნივერსიტეტში, ვსწავლობდი იქ. უკვე ქონდა მეშნის მელანქოლია მაშინ და მერე და მერე სხვა ავადმყოფობებიც შეუჩნდა. ევროპიდან ჩამოყავდათ მისთვის დიდ-დიდი პროფესორები, მარა ვერ გახდა ვერავინ ვერაფერს. გადავედი მეოთხე კურსზე — იურიდიულ ფაკულტეტზე ვიყავი. წამოვედი საზიფსულო არდა-

ვაჟუა აბირეჯანი
დათა თუთაშხია

დეგებზე საქართველოში და იმ ზაფხულს გარდაიცვალა ჩემი ძმა მუშნი ზარანდია, პოლკოვნიკის ჩინი ქონდა და დიდი გონების კაცი იყო, დიდი გონების! ცხრაას ცამეტში მოხდა ეს, მუშნი რომ აღარ იყო, დავიბენი და ვეღარ დავბრუნდი უნივერსიტეტში. იმ დროისთვის ხუთი შვილიდან მარტო კონსტანტინე და მე ვყავდით ცოცხალი ჩვენს მოხუცებს. კიდევ წელიწადნახევარი გავიდა — დაიღუპა კონსტანტინე იმპერიალისტურ ომში. მოხუცებს მოვლა-პატრონობა ჭირდებოდა, ოჯახსაც. ჩემმა ბატონო, და ჩავრჩი ასე. სამხედრო ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათას ადგილსამყოფლამდე რომ მივაღწიეთ, დუჩა აბრამიას მოსვლიდან მესამე დღე თავდებოდა და მაგალმ ჯერ ის კითხა მასპინძელს, უბედურობა ხომ არაფერია ჩვენს თავსო. გაიცინა ანდრო სალაყაიამ, კაი რომ მოხვედით, თვარა, ამაღამ წასვლას აპირებს, სუსტად არის ძალიან და ეგება დაარწმუნონთ, დარჩეს კიდევ სამ-ოთხ დღესო. ამოვისუნთქეთ შვებით, გავაძღეს ანდრო სალაყაია, შეგვიყვანა დათასთან.

იჯდა, იარაღს წმენდდა, ათვალიერებდა და ასწორებდა რაღაცას. მკვდრის ფერი ედო სახეზე. სისხლი დაკარგოდა ძალიან ბევრი. ნადირის ჯანმრთელობა ქონდა დათას, ერეკ ერთი კაცი ვერ გაუძლებს ქვეყანაზე, რაც დათა უძლებდა — დარღს, დევნას, ღალატს, ჭრილობებს და, ღმერთმა იცის, სხვა კიდევ რამდენი სატანჯველი და საწამებელი ეკნებოდა მისი გულის და გონების პატრონს.

განცვიფრდა და განაწყენდა დათა, რომ დაგვინახა, მარა ბაბა იქ რომ იყო, საყვედურები ვეღარ გაბედა, დამნშაესვისათო ჩაქინდრა თავი. გასაგებია, ალბათ, ლაპარაკი, მიკითხვა-მოკითხვა, სინანული და გულის ტკივილი ბევრი იყო იქ, მარა რაც მნიშვნელოვანია, იმას მოგახსენებთ, პირველ ყოვლისა:

ბაბამ კითხა დათას, როგორ მოხდა და ვინ იყო ტყვია რომ გესროლა და დაგჭრაო.

— ჩემზე მარდი და ჩუბანი იყო, ბაბა, ვინც იყო და იმიტომ მოხდა ასე,— მიუკო დათამ.

— დაბერდიო, რომ გითხრა, არ იქნება სწორი, ორმოცის არ ხარ ჯერ, მარა იმ საქმისთვის, შენ რომ მიდევ, კაი ხანში შესულო ხარ უკვე. — უთხრა კონსტანტინემ. — ახალაზრდობაში ერთი წამით ყველას ასწრებდი გასროლას და მწეკარივით კაცი იყავი, მთელმა საქართველომ იცის ეს. წავიდა ის დრო. აღარც მუხლი ვერრის, აღარც მკლავი და აღარც თვალი გიჭრის იმდენად, აბრაგობას და შენი მდევრის სიმრავლეს რომ ჭირდება. გადაურჩი, აგერ, მარა წინ ბევრი თოფია შენზე მომიზნებული და გამოგასალმებს წუთისოფელს, ვიღაც ოხერი იქნება დაფიქრება გმართებს ამაზე, დათა, ძამიკო, კაი დაფიქრება.

— რა ქნას, რას ურჩევ შენ? — კითხა მაგალმ კონსტანტინეს. — ხელახლა დაიბადოს, თუ უკვდავების წყალი დალოს, ნეტავი?

— არა, ბაბა, სახეშორო არაფერი მითქვამს მე. — გაცხარებით მიუგო კონსტანტინემ. — არ ვიცი. გიამბეს თუ არა ის ამბავი... ამ ოთხ-ხუთი წლის წინ იყო, თათარხან ანჩაბაძესთან სტუმრობდა ერთ სალამოს დათა. მესამე სართულის აივანზე ისხდნენ და ვახშამს შეექცეოდნენ სტუმარ-მასპინძელი. ხითარიშვილი არის ერთი ნაყაზაღარი და მერე ყანდარმერიის კაცი. გაიგო მან, დათა რომ არის იქ და აიპარა რაღაცნაირად ზემო სართულზე. გამოვარდა აივანზე, ორი მაუზერი მიაშვერია დათას, — არ გაინძრე, ხელები მაღლაო! დათა მოაჯირთან იჯდა და გადაეშვა მესამე სართულიდან, თვალი ვერ შეასწრო ვერაკაცმა. დიდი კაკალი რომ დგას თათარხანის სახლის წინ — იმ კაკლის კენწეროზე ჩამოეკიდა დათა. დაუმიზნა ხითარიშვილმა და ისროლა. კიდევ დაასწრო ხელების შეშვება და უფრო ქვევით ჩამოკიდება ამნან. სამჯერ თუ ოთხჯერ განმეორდა ეს, მარა ყოველთვის ცარიელი აგდელი გახვრიტა ტყვიამ — ეს აღარ იყო ხოლმი იქ. ბოლოს ჩახტა მიწაზე დათა, დაუძახა ხითარიშვილს. — არ გკლავ, მასპინძელს ვერ შევკადრებ ამასო, ერთი ტყვია ესროლა, ფაფახი მოხადა ხითარიშვილს, გადაახტა ღობეს და გაქრა საღღაც. ოთხ-ხუთი წლის წინ დათა ასეთ ფოკუსებს ახერხებდა კიდევ. დღეს და, მით უმეტეს, ოთხ-ხუთი წლის შემდეგ — ვეღარ მოახერხებს, სიბერემ მოაკითხა უკვე. აჯობებს ერთ

ბაბუა ავიცაეკიანი
დათა თუთაშხია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღღეს ხითარიშვილი თუ სხვა მისთანა ტურა. ან თავისით რომ უნდათ ზოგ კაცებს დათას მოკვლა, რომელიმე ესვრის საფარიდან. უწინ მოყვარე და მფარველი რომ ყავდა დათას, ახლა მტერი და მდევარი იმაზე ათჯერ მეტი ყავს. ხალხის ამბავი მოგეხსენება, ასი სიკეთე რომ გაუკეთო და მერე ერთი ავი საქმე — დაგივიწყებს და წყალში გადაგიყრის ყველაფერს და იმ ერთადერთ ავს დაგიხსომებს, მხოლოდ. აბრაგობას ახალგაზრდული ჯანი და გონება ჭირდება! ამის თქმა მინდა მე, მეტი არაფრის, ბაბა.

— ვისი გამოგყავ ეგ შეფარულ-შეპარული ლაპარაკი, კოსტა! — ფოხრა მაგალიმ. — იმის თქმა გინდა შენ, რომ უნდა გადაყაროს დათამ ეს იარაღი და თოხი აიღოს ხელში, ხომ?.. შეარიგა მუშნიმ მთავრობასთან ერთხელ, აიღო დათამ თოხი, მარა რა გამოვდა იქიდან, იცი შენ ეს კარგად...

— გაჩერებულიყო თავისთვის, კაცი არ ახლებდა ხელს, — შეაწყვეტინა კონსტანტინემ. — იმ პირობით შეირიგეს, რომ კანონს აღარ დაარღვევდა და იქნებოდა ჭკვიანად. ამან აქეთ — ჭანტურიებიო, იქით — ვიღაც საეჭვო კაცებთან სიარული და საქმიანობა...

— სამართლიან და წესიერ კაცს თუ უჭირს, კოსტა, კანონი აღარ არსებობს მაშინ, — თქვა დათამ.

— რა გაგიჭირდა ასეთი?

— მე — არაფერი, მათ გაუჭირდათ და მე ჩემი ვქენი...

— კანონმა თავისი ქნა და გაგაბრაგა ისევ!

დათამ მხრები აიჩეჩა, გაიღიმა, კარაბინს საკეტი დაუყენა, სასხლეტს დააცემინა.

— მაღალმა ღმერთმა, კოსტა, თავისი ხვედრი არგუნა ყველას, — თქვა მაგალიმ. — დათას ხვედრი და ჩვენი ხვედრი ის არის, როგორც ვართ და როგორც ვცხოვრობთ. მივეჩვიეთ უკვე ამას და აღარც დათას გადაკეთება მოხერხდება ახლა...

— მთლად მასე არ არის ბაბა! — გაცხარდა კონსტანტინე. — კაცი ბოლეჩო არ უნდა იყოს, ხელოვანი და იყოს, ბირდაბირი ხერხი. დათა ამბობს, ასეთი ცხოვრება მიყვარს მე და ასეც უნდა ვიყოო. თავისკენ თლის და ჩეხავს მხოლოდ. ჩვენსკენაც ხომ უნდა გადმოაპნიოს ნახერხი როდისმე?.. საყვედურად და დასაყვედრებლად არ ვამბობ, მარა, აგერ, თვრამეტი წელიწადი გათავდა, დათა რომ აბრაგობს და ამ ხნის მანძილზე იქით ელი დაატანჯა და სამოცი წლის დედაბერს დაემსგავსა ახალგაზრდა ქალი: თქვენ და ღედაჩვენი ხართ და — ცრემლი არ შეგშრობიათ თვალზე. წუხლის მეტი რა იცით დათას საქციელისგან. რამდენჯერ გაიგონეთ ჭორი, დათა აქ და აქ მოკლესო და რამდენჯერ ვაი და ვიში იყო ჩვენს ოჯახებში! მუშნი არის და, თოთხმეტი წელიწადია სულ იმის ეშვი აქვთ მის უფროსებს თბილისში და პეტერბურგშიც, რომ ეხმარება თავის ძმას. მისი გამოისობით არის, ვითომ, ვერასაზრით რომ ვერ დაიჭირეს და ვერ გაიყვანეს სახრჩობელაზე დათა თუთაშხია. ეს რომ არა, რამხელა კაცი იქნებოდა ახლა მუშნი — არ იცის არავინ, აგერ, შალვაც წამოიზარდა, გიმნაზიას დაამთავრებს სადაცაა, დაადგება თავისი ცხოვრების გზას და მასაც ბევრჯერ გადაეღობება დათას ბედიღბალი. ასეა ეს ყველაფერი. დათას აბრაგობის მანძილზე კი არა და ბავშობიდან რომელმა ჩვენგანმა დავიშურეთ მისთვის ძმობა, დობა, დედობა თუ მამობა? რომელმა დავიხიეთ ვალდებულებებისგან და რომელმა დავიწუწუნეთ ერთხელ მაინც — საყვედურზე და შემოწყრომაზე ხომ რაღა სალაპარაკოა?! ახლა, დროა თვითონ რომ იგრძნოს დათამ — სიმშვიდე გჭირდებათ მოხუცებულობაში თქვენ და ელესაც. შალვას მომავალი ასაშენებელი აქვს ჯერ, მეც მაქვს ჩემი ოჯახი, ჩემი წილი მშვიდი ცხოვრება მეც უნდა მარგუნოს ღმერთმა როდისმე. იქით მუშნის უნდა გავუწიოთ ანგარიში ყველამ ერთად —

თავისი ვზა აქვს მას და ამაზე უნდა იფიქროს დათამ.

რაც ხელეიზოზე და ბირდაბირზე მოყვა ლაპარაკს კონსტანტინე, მიიჩერდა დათა და გულდასმით უგდო ყური ბოლომდე. ისეთი მოსმენა იცოდა დათამ, რომ გეყურებინათ მისთვის, გაგიკვირდებოდათ, პირდაპირ... ერთი შექნევა არ შეექნეოდა სახეზე რამე და ერთ დახამხამებას არ დაახამხამებდა თვალს —ნახევარი საათი შეეძლო ასე და ნათლად ჩანდა, რომ კი არ ისმენდა — ყველა სიტყვას სათითაოდ ნთქავდა და ამუშავებდა გონებაში.

მორჩა ლაპარაკს კონსტანტინე. პატარა ხანს სიჩუმე იყო და მაგალიმ თქვა:

— თქვენი ხნის კაცებში მასეთი ლაპარაკი ერთი პირობით შეიძლება მხოლოდ: საქციელს თუ დაუწუნებ დამანას, იქვე და მაშინვე უნდა ითქვას როგორი საქციელი იქნებოდა კარგი და მისაღები.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— არც მე არ ვიცი ეგ, — თქვა ბოლოს კონსტანტინემ. — თბილისს მივდივარ მომავალ კვირას და თუ დამხვდა მუშნი შინ, მოვილაპარაკებ მასთან. რას იტყვის, ნეტავი?

— კოსტა, ძამიკო, მაგის ფიქრის მეტს რას ეაკეთებ მე, მაგრამ არ ვამოდის ორივე ერთად. რომ არ ვამოდის, მაშინ ის უნდა აკეთოს კაცმა, იმ ორში რომელიც უფრო ღირებულია!— წყნარად თქვა დათამ და მაგალის კითხა: — როგორ არის, საცოდავი დედა-ჩვენი, გული თუ აწუხებს ისევ?..

დილამდე დავრჩით იქ, მარა ამ საგანზე ლაპარაკი აღარ გვქონია. გვიმასპინძლა და მოგვასვენა ანდრო სალაყაიამ კარგად.

წამოვედით შინისკენ. გათავდა ეს ამბავი ამით.

ისიც უნდა მოგახსენოთ, ჩემო ბატონო, რომ დათა თავისი ცხოვრებით ოჯახის წევრებისადმი მიყენებულ საწუხარს დიდად განიცდიდა, მარა კონსტანტინეს ნალაპარაკევმა უჩინარი და დამალული სინათლეზე ამოიტანა. უჩინარი და დამალული-თქვა, იმიტომ ვამბობ, რომ ოჯახში არც ერთ ადამიანს არასდროს არ დაუჩივლია და არ დაუწუწუნია დათას ცხოვრებით გამოწვეული უხერხულობების თუ უსიამოვნებების გამო. პირიქით, სულ დათა იყო ჩვენი საფიქრალი და მისი განსაცდელი საკუთარი განსაცდელისგან არ განგვისხვავება არასდროს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო ჩვენი დამოკიდებულების გარეგნული სახე. ეგ კი არა და, მახსოვს, ერთხელ მოვიდა დათა შუაღამის ხანს. გადაგვეხვია, გადაგვკოცნა ყველა. მოუტანეს ვახშამი, ვილაპარაკეთ ამ მთის და იმ მთის. თამარმა-დედაჩვენმა ტირილით უთხრა დათას:

— შენი ტოლები, დათუნა, შვილო, ყველა მოეწია ცხოვრებას. შენი დაშოშმინება, დამშვიდება და დაოჯახება არ იქნა მარტო!..

მაგალიმ მიუგო ამაზე:

— არც მამა-პაპა ყოლია მაგას, გარემოებას რომ ურიგდებოდა, ისეთი, და არც ჩვენ გაგვიზარდია ეს კაცი დაშოშმინებული და მშვიდი ცხოვრებისთვის. რას არის, რომ ნანობ, ნეტავი!

სხვა დროსაც გამიგონია მაგალისგან, — ჩვენი ბრალია დათას ბედ-იღბალი, სხვა არაფისი და არაფრის და მისი გაჭირვება ჯერ ჩვენი გაჭირვებაა და მერე მისიო.

დათასთვის მისი ბედ-იღბლისადმი ჩვენი ასეთი დამოკიდებულება ცნობილი იყო, მარა ეს გარემოება მის სინანულსა და წუხილს, რა თქმა უნდა, ვერ აბათილებდა. ის თავისთვის დარდობდა იმას, რომ ჩვენ ვწუხდებოდით, ჩვენ — ჩვენთვის ვდარდობდით, რომ დათა უცილბლო გვყავდა და იმასაც, რომ ჩვენზე წუხდა. ასეა თუ ისე, ოჯახის მიმართ დანაშაულის გრძნობა გამუდმებით აწვალებდა დათას და მისი ნებაყოფლობითი გატუსაღების ერთ-ერ-

---

ბაბუა ამირეჯიბი
დათა თუთაშხია

თი მიზეზი ესეც უნდა იყოს, ასე მგონია მე.

ჩემი აზრით, კიდევ იყო რამდენიმე მიზეზი. ახლა, როგორ მოგახსენოთ... ორი საუბარი იყო იმ წლებში ისეთი კიდევ, რომლებსაც გარკვეული როლი უნდა შეესრულებინათ დათას ჩაჯდომის საქმეში. პირველი საუბარი ეფემია წინამძღვარს, მამაჩვენ მაგალისა და დათას შორის მოხდა... მეც დავესწარი იმას, მარა კიდევ ერთი ადამიანი იყო იქ — ეფემია წინამძღვრის მორჩილი, მაშინ — ახალგაზრდა მონაზონი. დედა ეფემიას გარდაცვალების მერე აღარ დარჩა ის ქალი მონასტერში,. ახლაც ცოცხალია და აქ ცხოვრობს ქალბატონი სალომე ბაზიერაშვილი—ოდიშელიანესა. საქმე ის არის, რომ საუბრის დროს ხშირად გავდიოდი მე — ხან ერთ საუბარ, ხან რაღაცის მოსატანად, ხან სად და ხან სად. არა, ძირითადი შინაარსი ვიცი მეც, მარა ქალბატონ სალომეს დაწერილებით და მშვენივრად ახსოვს ყველაფერი... ჩემზე უკეთესად, რა თქმა უნდა. შეგახვედრებთ ქალბატონ სალომეს და გავიხსენებთ, უკეთ გავიხსენებთ ერთად. მეორე საუბარი მამაჩვენს, მუშნისა და დათას შორის იყო. დავესწარი იმასაც და მახსოვს თუ გნებავთ, ახლავე მოგიყვებით და ქალბატონ სალომესთან ლაპარაკის შემდეგაც შეიძლება. როგორც ინებებთ.

გრაფი სეგედი

მთავარი მაინც ის იყო, რომ ჯერჯერობით ყველაფერი წინასწარ ამოცნობილი სქემის მიხედვით მიდიოდა. ჰაჯი-სეიდმა მაღმუაზელ დე ლამიეს თანამონაწილეობა აღიარა და დაადასტურა, რომ ისინი მოპოვებულ ინფორმაციას ერთმანეთს უცელდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჰაჯი-სეიდი და ჟანეტ დე ლამიე თავთავის სამსტოვრობის წინაშეც იყვნენ დამნაშავენი. საკმარისი იყო ეს გარემოება გარკვეული საშუალებებით დაინტერესებული სახელმწიფოებისთვის გვეცნობებინა და დახვრეტა ორივეესთვის გარანტირებული იქნებოდა.

— რა გზას აირჩევთ, მუშნი? — ეკითხე ზარანდიას ამ საკითხზე მსჯელობის დროს. — ჰაჯი-სეიდის გარშემო ბოლო ხანებში ჩატარებულმა აქციებმა თუ ამ ქალბატონის ყურთასმენადე რაიმე ფორმებში მიაღწია, მოსალოდნელია, რომ ჩვენი ხელიდან დასხლტომას შეეცდება და იქნებ შესძლოს კიდეც. მაშინ კულაგინისა და სტარინკოვალსკის რგოლებს როგორღა მოვუვლით?

— თქვენი აზრით, მაღმუაზელ დე ლამიეს დაუყოვნებელი აყვანა ჯობს? —მკითხა ზარანდიამ მცირე დუმილის შემდეგ.

— არ ვიცი. არ მაქვს გარკვეული აზრი მაგ საკითხზე. სწორედ ამისთვის გკითხეთ, რა გზას აირჩევთ-მეთქი.

— მადმუაზელ დე ლამიეს დაპატიმრებას, თქვენო ბრწყინვალეობავ, ორი პოლიციელი უნდა. იქნებ, ერთიც ეყოს, მაგრამ ენას კბილი რომ დაჭიროს, გაჯიუტდეს და ყველა ბრალდება უარჰყოს, მაშინ ვალდებული ვიქნებით, როგორც უცხოელი მოქალაქე, წინასწარი პატიმრობის ვადის ამოწურვისთანავე გავათავისუფლოთ, სამშობლოში გამგზავრების უფლება მივცეთ და ხელში არაფერი შეგვრჩება ევროპის ჟურნალ-გაზეთების აყალმაყალისა და დიპლომატიური გართულებების მეტი. მართალია, ისიც არ არის გამორიცხული, რომ თავიდანვე ყველაფერში გამოტყდეს, მაგრამ ასეთი რამ, ჩემი აზრით, ვარდისფერ ოცნებათა სფეროს განეკუთვნება. მამაკაცს რომ ეხებოდეს საკითხი... ქალია, საკანში ისე უნდა შევინახოთ, როგორც კეთილშობილ ასულთა პანსიონში და რაიმე სპეციალური სანქციების მიყენებაც დაუშვებელია. ეერც მასთან დაკავშირებული პირებისგან, მისი გარემოც-

ვისგან მივიღებთ ინფორმაციას. მოგეხსენებათ, დაპატიმრებულთან ურთიერთობებზე ყველა ხელს იბამს, ნაცნობობასაც კი ძნელად თუ ეისმე აკისრებენ. გამოდის, რომ მის აყვანას ამჟამად და, იქნებ საერთოდაც, არა აქვს აზრი...

— საინტერესოა! იქნებ, საერთოდაც?

— იქნებ-მეთქი, თქვენო ბრწყინვალებავ. რა თქმა უნდა, სჯობობს შემოხვევები, როდესაც მხილებული ჯაშუშის ერთადერთი გონიერი და ყოველმხრივ გამართლებული მომავალი სახრჩობელა ან პატიმრობაა. ზოგ შემთხვევაში კი, მე თუ მკითხავს ვინმე, მისი ხელახალი გამოყენება ჯობს. ათი ასეთიდან ერთმა მაინც თუ მოიკიდა ფეხი და იმედები გაამართლა — დიდი გამარჯვებაა. მადშუაზელ დე ლამიეს მიმართ ეს საკითხი მომავალში უნდა გადაწყდეს. ახლა კი, მგონია, რომ ქალბატონს ჯერ უნდა შევაჩეჩოთ და მერე პირდაპირ ხელში დავუჭიროთ სამხილი. მაშინ შემდგომი რგოლებიც ადვილად და აუცილებლად გაიხსნება.

— რით გნებავთ დაიწყოთ?

— უპირველესად ყოველმა, უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა გაჟონვის არხი: კულაგინა — მაღმუაზელ დე ლამიე, და თუ არსებობს, რა ხასიათისაა იგი...

ზარანდიას მსჯელობა თანმიმდევრული და დამაჯერებელი იყო, მაგრამ მე მაინც დამეუფლა გრძნობა, რომ მისი თეზების მიღმა კიდევ რაღაც იდო. ამაზე ფიქრის განწყობა არ მქონდა და ზარანდიას პეტერბურგიდან ახლახან მიღებული ინფორმაციის წაკითხვა მივთავაზე. საკითხი ეხებოდა არალეგალურ ჯგუფს, რომლის პირდაპირი და, იქნებ, ერთადერთი ფუნქცია, ჩვენი ხმების გავრცელების სამსახურის ანალოგიური ჟშშობა იყო. ესე იგი, დაპირისპირებულმა პოლიტიკურმა ძალამ ჩვენივე მეთოდით დაგვიწყო ბრძოლა. ისინი მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში ავრცელებდნენ მაკომპრომეტირებელი ხასიათის ხმებს წყობილებაზე, მეფის ოჯახის წევრებსა და სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირებზე.

ზარანდიამ ინფორმაცია ჩაიკითხა და მითხრა:

— გახსოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, სპადოსესის პროკლამაციაზე საუბარში ვთქვი, დამაფიქრებელია-მეთქი. სწორედ ამას ვგულისხმობდი.

— მახსოვს და რამდენიმეჯერ დავაპირე კიდეც თქვენთან ამ თემაზე ლაპარაკი. რატომღაც ვერა და ვერ მოხერხდა.

— ეს საქმე ისე გამოვიდა, გრაფ, მაშხალების გასაშვებად გამოგონილი დენთი, შემდგომში ლაღუმად რომ იქცა!

— მაგას საუკუნეები დასჭირდა და მთავარი მაინც ის არის, რომ დენთი სხეულია და არა სული. ამ საქმეს,— ხელისგული ინფორმაციას დავადე, — განვითარების სულ სხვა ტემპი აღმოაჩნდა. ვფიქრობ, ხმების გავრცელების სისტემებს ფართო პერსპექტივა აქვთ, სულ სხვადასხვანაირ ფორმებში მიიღებენ განხორციელებას და მე უკვე ვხედავ გლობალურ სულიერ დივერსიათა ეპოქას.

— დასწყევლოს ღმერთმა! — ჩვენი ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე იშვიათად მინახავს მუშნი ზარანდიას ასე გაღიზიანებული სახე. ხმის ყლერადობაც კი სხვა ჰქონდა — ოოგებიდან რაღაც ყრუ ტკაცანი აღმოხდა. ამან ჯერ შეაკრთო, მერე თავს დაეუფლა, ჩაახველა და ჩვეულებრივად განაგრძო: — ჩვენს ხელში ხმების გავრცელების სამსახური მთელი გეგმის ერთერთი შემადგენელი ნაწილი იყო და ოვით გეგმა — გარკვეული სპეციფიკის მქონე ტერიტორიისთვის შეთხზული, სახელითა და გვარით წინასწარ ცნობილი ადამიანების წინააღმდეგ მიმართული ხრიკებისა და ფინდების სის-

---

ბაბუა ანიმეიშვილი
ლეთა თუთუშვილი

ტემა. მას კერძო გამოყენების დანშნულება ჰქონდა და უფრო ფარფოდ ხმარები არ განგვიზრახავს. გულზე ხელი დავიდოთ და ვთქიაროთ: ჭორების გავრცელების საყოველთაო გამოყენების სისტემატიზებული მეთოდის სიმდაბლემდე წმინდა ბამათი ინკვიზიციაც კი არ დაცემულა! ჩვენს მოქმედებას ის ამართლებს, რომ მეთოდი მხოლოდ მოუხელთებელი მოძალადეების, მძარცველებისა და მკვლელების წინააღმდეგ გიხმარეთ. გამონაკლისი დათა თუთაშია იყო, მაგრამ მის მიმართ ამ მეთოდის გამოუყენებლობა სამსახურებრივ დანაშაულად ჩამეთვლებოდა. ეს ჩემს სინდისზეა, რა გაეწყობა.. პოლკოვნიკ სახნოვს, იქნებ, ხუთიდე კონტინენტიც ეცოტავებოდეს, მაგრამ ჩვენი სამაზრო მასშტაბის დროებითი სამსახურის მთელ სახელმწიფოში მუდმივ გამოსაყენებლად გადარგვა და კულტივრება რომ კოშმარული შედეგებით დამთავრდება, ამის განჭვრეტას სინდისი სჭირდება, უბრალო კეთილგონიერებაზე რომ აღარაფერი ვილაპარაკოთ. სახნოვს არც ერთი გააჩნია, არც მეორე. როცა სახელმწიფო იძულებული ხდება პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში ასეთი მეთოდები გამოიყენოს, ცხადია, რომ იგი უმიდო ავადმყოფია. სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობენ იმპერიის მტრები ამ დროს დგას ვიღაც კონკრეტული თუ ზოგადი სახნოვი ვეება ლოდით ხელში და დაყუდებული ბერის შუბლზე ბუზის დასაკუპებას მოუთმენლად ელის. კიდევ ერთი რამ, გრაფ... თქვენ მასწავლეთ და მოგეხსენებათ — არის კანონზომიერება, რომლის ძალითაც საქმე, დაწესებულება, ან თუ ვნებავთ, ადამიანებისგან შემდგარი სხვა რამ ორგანიზმი, თავისი არსებობის ერთ მოულოდნელ საფეხურზე მორჩილებას თვისებას კარგავს, მისი მართვა შეუძლებელი ხდება იქამდე, სანამ დამბლის მიზეზი დადგინდებოდეს და მართვის ახალი მეთოდიკა შემუშავდებოდეს. არაფერია, თუ საბაკო სისტემის მართვის სადავეები აიშვებენ; გამოუსწორებელი კატასტროფა არც იმის მეშვეობით, თუ საგადასახადო ან საბეგარო სისტემა დროებით უარს ტყვეს მორჩილებაზე, მაგრამ ჭორი ჯერ თავისთავშივეა ქაოსი, მერე მისი გადაცემა-გავრცელება ნგრევისა და ქაოტური მოვლენების მთელი ღრუბელი და მასებში გასული ჭორი ხომ ის უზარმაზარი ვულკანია, რომელიც არავინ იცის საით და როდის გაიფრქვევა. ახლა წარმოვიდგინოთ დღე, როდესაც ხმების გავრცელების საიმპერიო სისტემა მორჩილების თვისებას დაკარგავს და ვიკითხოთ, რა გადაარჩენს ამგვარ მდგომარეობაში ჩაყენებულ იმპერიას რღვევისა და ქიმიურ ელემენტებად დაშლისგან!?

— ხალხში ხმაა ვავრცელებული. რუსთ ხელმწიფე ყოველდღე კატლეტებს მიირთმევსო. — შეეწყვეტინე მე. — სასაცილოა? სრულიადაც არა, რადგან ამ ჭორის ამაფეთქებელი ძალის სიდიდეა უცნობი. კატლეტების ვერსია ტახტის მემკვიდრეს არ შეუთხზავს, ტახტის მტრებმა გამოიგონეს. ხომ უნდა მივმართოთ კონტრრონისძიებებს? უნდა მივმართოთ, და ეს განა იმას ნიშნავს, რომ ჩვენი იმპერია, როგორც თქვენ ბრძანეთ, მუშნი, უიმედო ავადმყოფია?

— არა, თქვენო ბრწყინვალებავ. ეგ ნიშნავს, რომ იმ ზომით არის ავადმყოფი, რა ზომითაც ვიქნებით იძულებულნი მივმართოთ მაგ მეთოდს პოლიტიკურ ბრძოლაში. ვართ იძულებული? სრულიადაც არა!

იმპერია რომ ავადმყოფი იყო, ბევრს ესმოდა, მაგრამ ჩვენი სამსახურის კედლებში ამის ლაპარაკი მკრეხელობად და სერიოზულ დანაშაულად ითვლებოდა. მუშნი ზარანდიამ თქმა გამიბედა. მე ვდუმდი, შენიშვნის მიცემაც არ დამიპირებია!.. ამას გარდა, ნათლად ვხედავდი, ზარანდიას შესაძლებლობა რომ მისცემოდა, სახნოვის თაოსნობით მთელ სახელმწიფოში დანერგილ ინფორმაციის სამსახურს ხელის ერთი მოსმით მოსპობდა.

— უკვე დაკანონებული ერთი ინსტიტუტის ლიკვიდაცია უფრო ძნელია, ვიდრე ხუთი ახალი ინსტიტუტის შემოღება-დაკანონება. არსებულ ვითარებაში, ოფიციალური გზებით და, ეჰოდენ, თქვენთვის ხმების გავიცელების სისტემის ლიკვიდაცია დაუძლეველ ამოცანად მესახება.

ზარანდიამ დაინახა, რომ შესაძლებელ ომში ამხანაგად და თანამებრძოლად შეყოლას არ ეპირებდი, უკიდურესი განცვიფრება გამოხატა და მითხრა:

— გრაფ, თქვენ ვერ მიმიხვდით. მაგისთანა საქმეებში ჩარევა რა ჩემოდენა კაცის საქმეა!

— ხვალ პოლკოვნიკი სახნოვი ჩამოდის, მუშნი. — სუბრის თემა შევცვალე და რეაქციას დაველოდე.

— ვიცი, გრაფ... — უდარდელად მითხრა ზარანდიამ.

პოლკოვნიკი სახნოვი თბილისს ჩამოვიდა და მის გარშემო მყისვე ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ სიმართლის დადგენა თვით ეშმაკს გაუჭირდებოდა. ორსახოვანი მოვლენების სამყაროში გადავსახლდი. თუკი რამ ხდებოდა — სტალინ-კოვალსკის ტრაგიკული ეპიზოდის გარდა — ყველაფერში ორი შინაარსი იდო, ორივე გონებამახვილი, დამაჯერებელი, მაგრამ სრულიად სხვადასხვა, სპირისპირო ბუნებისა. ჩემი გამოცდილებისა და ზარანდიას მუშაობის მეთოდების უაღრესი ცოდნის მიუხედავად, არაერთგზისი ანალიზი და კარგა ხანი დამჭირდა, რომ იმ აბლაბუდაში გავრკვეულიყავი. ნამდვილი ყალბისგან განმესხვავებინა. ზარანდია სახნოვს კაკანთების რთული სისტემით დაუხვდა. ჭეშმარიტება თვალს მიფარებულ ვითარებაში იყო საძებნელი და არა გარეგნულ ეფექტებში

საძებნელი-მეთქი, ეამბობ ამიტომ, რომ ჩემი ეჭვები დადასტურდა: ზარანდია სახნოვის საკითხებში, ჯერ იყო, ჩემთან შეუთანხმებლად მოქმედებდა და როცა ყველაფერი გათავდა, სრული სიმართლე თავისი პირით არც მერე მითხრა. ზოგ რამეში დღესაც არა ვარ დარწმუნებული, ეს ჭეშმარიტებაა, მეთქი, ბევრზე ვერაფერზე დავიჟინებ.

ზარანდიას უწინდელი თანამდებობა პოდპოლკოვნიკ კნიაზევს ეჭირა. მისი განყოფილების კურატორი კვლავინდებურად სახნოვი იყო. კნიაზევი სახნოვს ჩვენთან ერთად დაუხვდა სადგურში, სტუმრობაზე დაიყოლია და მეორე საღამოს პეტერბურგელი უფროსის თბილისს მობრძანება და თავისი ახალი თანამდებობა ვახშმით აღნიშნა. ვახშამზე სახნოვს გვერდში მადმუაზელ დე ლამიე მიეცვლებ! იგი კულაგინებმა მოიყვანეს, რა თქმა უნდა, კნიაზევებთან წინასწარი შეთანხმებით, მათი მაწყვეთო. სახნოვისა და მადმუაზელ დე ლამიეს გაცნობა-დაახლოების პროცესს, უნებლიეთ, თავიდან ბოლომდე ვადევნე თვალყური — ვესწრებოდი, თავს ხომ არ წავიყრუებდი, და სიმართლეს ვიტყვი, არც ვცდილვარ თვალი რისთვისმე ამერიდებინა. ის სამ-ოთხსაათიანი არშიყობა ქანეტ დე ლამიემ დიდი ცბიერებითა და უმაღლესი ხელოვნებით ჩაატარა. ვახშამი დამთავრდა, სახნოვმა ჩემი ეტლით ჯერ კულაგინები მიაცილა სახლამდე და შემდეგ თავისი გულის ვარდი. მეეტლის ნაამბობის თანახმად, პოლკოვნიკს, როგორც თვით ეტლში, ისე დე ლამიეს სადარბაზოსთან, უკიდურესი ალტივობა გამოუჩენია. იგი კინღამ ძალით შეჭრილა ქალის ბინაში, მაგრამ ქანეტ დე ლამიეს მტკიცე ხასიათი გამოუმეცავნებია, აცუნდრუკებული პოლკოვნიკი როგორღაც დაუმშვიდებია, სამი დღის შემდეგ კულაგინების ოჯახში ვახშამზე შეხვედრა აღუთქვამს და ბუნდოვანი ავანსის ამარა გაუსტუმრებია.

ამ ეპიზოდში ყველაფერი თავის ადგილზეა და ნორმალურად გამოიყურება. ეგ არის, მანამდე ქალბატონი კნიაზევა მადმუაზელ ქანეტ დე ლამიეს მხოლოდ მუშტრად ერგებოდა... ამას

ᲞᲐᲖᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ
ᲓᲐᲗᲣ ᲗᲣᲗᲣᲨᲘᲜᲐ

გარდა, ესოდენ მნიშვნელოვანი პერსონის პატივისცემად გამართულ ვახშამზე და სიიდუმლო პოლიციის მესვეურთა შორის კორსეტებით მოვაჭრე დიაცი, მიუხედავად სპეციალურ რადინირებული საქციელისა, ანსამბლიდან ამოვარდნილ მსახიობს ჰგავდა. მე არც ის ღამრჩენია გაუთვალისწინებელი, რომ დაეშვება ჩემი პროფესიიდან გამომდინარე მოვალეობა და თვისება იყო და მაინც ალღო არ მომეშვა, ზარანდიას ხელს მკარნახობდა.

ღილით მე მას პირდაპირ ვკითხე — წუხანდელი კომპინაცია რისთვის შეადგინეთ-მეთქი.

ზარანდიამ მხრები აიჩეჩა, მაგისი არაფერი ვიცი, ვახშმობის პერიპეტიები მაამბობინა და თქვა:

— კარგია. ეგ ალიანსი შეიძლება რამეში გამოდგეს.

დასწყევლოს ღმერთმა, ისეთი ლაპარაკი იცოდა და ეს ფრაზაც ისე თქვა რომ დაეეჭვები კიდეც, — იქნებ, მართლა არა იცის რა-მეთქი.

იმის მოხვედრას რა დიდი ჯაფა უნდოდა, რომ დე ლამე სახნოვნე იყო მიჩენილი. რა თქმა უნდა, მივხვდი, მაგრამ არც აქ მიმიღია რაიმე ზომები. ესე იგი, პირდაპირ და უყოყმანოდ გაეწირე დიდი თანამდებობის, მეფის ოჯახთან დაახლოებული პირი. ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ღირებულებათა გადაფასების ეკში ღამიდგა, შეთქმულების მონაწილედ ვიქეცი და, ამასთან ერთად, ჩემი რწმენებისთვის ეს სრულიად უცხო, მიუღებელი, დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვითარება იმეკამად არცთუ მაინცდამაინც მაღელვებდა.

ხელმძღვანელ მოხელეთა წრეებში იყო (ვგონებ, ამეკამდაც არის და, ალბათ, მომავალშიც დარჩება) — ერთგვარი ტიპის მესვეურებზე ამბობდნენ — მებრძოლი კაციაო. ეს ტერმინია და გულისხმობს ადამიანს, რომელსაც გამუდმებით აწვალებს რწმენა: „უკვე მიღწეული სტატუს-ქვო, ჩემი ნიჭის შეურაცხყოფა თუ არა, ერთობ მცირე და სათაკილო შეფასება არისო“. ეს, ალბათ, ამ ადამიანების ბრძოლა ასეთი ადამიანების [illegible]ტულ მდგომარეობას წარმოადგენს. მებრძოლი კაცები ხშირად აღწევენ იმას, რომ გამჭრიახი, ენერგიული პიროვნების რეპუტაციას იქმნიან, მაგრამ შემოხვევითა უმრავლესობაში მოწყვეტილი ვარსკვლავის ხვედრს ინაწილებენ. ასეთი მაგალითები მრავლად მოიპოვება. ამა თუ იმ პროცესისა თუ ვითარების ანალიზის დროს და განსჯილიდან დასკვნის გამოტანაში შედეგის ოდენა ძალა არც ერთ არგუმენტს არ გააჩნია. ამდენად, დამარცხებულ მებრძოლ კაცებს, პირადად მე, შეზღუდულთა თუ ნაკლულთა რიცხვს უყოყმანოდ ვაკუთვნებ ხოლმე. ნიჭიერ, სრულფასოვან მოიერიშეს იმის უნარი მაინც უნდა ჰქონდეს, რომ მოწინააღმდეგის საკონტრიერიერო შესაძლებლობები სწორად შეაფასოს, ბრძოლის პროცესში სიფრთხილის ელემენტარული ნორმების დაცვის აუცილებლობაზე თუ აღარას ეიტყვით. შეფასების უნარისა და, მით უმეტეს, სიფრთხილის უქონლობა განა შეზღუდულობას არ ნიშნავს?

სახნოვნა — ცალკე მე, ცალკე მუშნი ზარანდიას, თუ ოროთავეს ერთად, პირველმა გადმოვეიგდო ხელთათმანი. მოველოდი, რომ თბილისში, ესე იგი, მოწინააღმდეგის ბანაკში გაფაციცებულს, თვით სიფრთხილედ ქცეულს ენახავდი. სწორედ პირიქით მოხდა: თავი ისე დაიჭირა, ვითომ უკვე მოგაღული ვყავდით და პეტერბურგში მინისტრის თუ არა, შეფის სავარძელი მაინც, დაბრუნებისთანავე ჰქონდა განაღდებული. მოწინააღმდეგის ძალთა შეფასების ცოტაოდენი უნარი და მინიმალური სიფრთხილე რომ გამოეჩინა, იქნებ, აღარც წაქცეულიყო...

პოლკოვნიკმა კულალინების ვახშამდე ვეღარ მოიმთმინა. ადიუტანტის ხელით მადმუაზელ ანნეტ დე ლამეს ბარათი გაუგზავნა: კნიაზევებთან ყოფნისას უნიკალური ხალიჩის თაობაზე რომ მელაპარაკეთ და აღმოიქვეთ. მი-

გიყვანთ, გაჩვენებთ, თუ მოგეწონებათ შედარებით იაფადაც გაყიდვინებთო— სიტყვა სიტყვაა დანაპირები დღესვე უნდა შემისრულოთო. ქანტე დე ლამიემ დასტური შეუთვალა, მაგრამ დაუყოვნებლივ კი არ იხმო — ხუთ საათზე მობძანდითო, და ამას ზევით, სანამ ჩაცმა-დახურვასა და ამკაკეკლუცებას მორჩებოდა, კიდევ ერთი საათი თავისი ბინის სასტუმრო ოთახში აყურყუტა შეყვარებული პოლკოვნიკი.

ადიუტანტის გაგზავნის შემდეგ, ანუ შუადღიდან მოკიდებული საღამოს შვიდისნახევრამდე სახნოვს ლოდინმა ამოხადა სული. ისღა ასულდგმულებდა, რომ ერთი გასროლით ორ კურდღელს მოინადირებდა — სატრფოს ნახვადა, რაც თავისთავად ხვაშიადის აღსრულების პერსპექტივას შეუქმნიდა, და პეტერბურგელი კოლექციონერების გულგასახეთქად დიდი მოღუღის ხალიჩასაც დაითრევდა.

ჰაჯი-სეიდმა პოლკოვნიკი სახნოვი და მადმუაზელ ქანტე დე ლამიე, რა თქმა უნდა, პირადად მიიღო. ყავის მირთმევისა და მცირედი მუსაიფის შემდეგ დიდი მოღუღის ხალიჩა გაშალეს. ეფექტმა მოლოდინს გადააჭარბა; სახნოვი აფოფინდა, წონასწორობა დაკარგა. სპარპეტას მობარული ნივთი ოცდაათ ათასად იქნა დაფასებული. პოლკოვნიკმა ვაჭრობას მიჰყო ხელი, მაგრამ როგორც გამოირკვა მხოლოდ იმისთვის, რომ ამ საგანთან ყოველნაირი ურთიერთობა უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა და, ამასთან ერთად, სულიწარად უნდოდა სერიოზული მყიდველისა და კოლექციონერის კომპეტენტურობა გამოემჟღავნებინა, თორემ არც ოცდაათი ათასი ჰქონდა, თურმე და არც ამ თანხის მესამედი. ჰაჯი-სეიდმა ხუთი ათასი ჩამოაკლო, აქედან ფეხი აღარ მოიცვალა. პოლკოვნიკმა თქვა, ხვალ მოვალ, მოლაპარაკება განვაგრძოთო და უკიდურესად აღრეულმა დატოვა ფირმა.

მართლაც, საშინელ დღეში იყო პოლკოვნიკი: აქედან — ქალი, რომელიც, სახნოვის აზრით, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ხელიდან როგორმე დასხლტომოდა და წასულიყო. აქეთ-დან — დიდი მოღუღის ხალიჩა, რომელიც, მთელი თავისი გრანდიოზული შემზადებელობითა და სიმძიმით დაეწვა კოლექციონერის აკაწკაწებულ საღრღილს... მაგრამ სახნოვს პრინციპების ინსტინქტმა უკარნახა — ორივე დარდის ერთი გასაღები ისევ მადმუაზელ ქანტე დე ლამიესთან დაახლოებაში დევსო, თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ გულის გადაყოლების საჭიროება იგრძნო. ასე იყო თუ ისე, მიჯნურებმა რესტორანში მოიკალთეს.

იმ საღამომ, სახნოვის აზრით, თითქმის, ფუჭად ჩაიარა, რადგან იგი ამფურულ სიახლოვეს ეძებდა, ხოლო ქანტე დე ლამიემ ამას გაამხანაგების, დამამკაცების ტაქტიკა დაუპირისპირა. მართალია, პოლკოვნიკს იმ ღამეს არაფერი ერგო თავისი ქალბატონის სახლამდე მიცილებისა და გამომშვიდობებისას ხელზე კოცნის მეტი, მაგრამ სასტუმროში დაბრუნებულს ისეთი გრძნობა ეწვია, რომ კეთილის მსურველი და, იქნებ, ერთგული მეგობარიც კი შეიძინა. ამასთან დაკავშირებით, მის სულში აქვარიუმის ოქროს თევზის ფარფლივით შეირხა ბუნდოვანი სასოება. ეს მშვენიერი არსება, ბოლოს და ბოლოს, არამარტო სარეცლის განცხრომას მოუტანდა, არამედ დიდი მოღუღის ხალიჩის საქმესაც დაამშვენებდა თავის მადლიან ხელს...

ზემოთქმული მეორე დღეს დილით თვით მუშნი ზარანდიამ მაცნობა, ისიც დასძინა, რომ სახნოვ დე ლამეს შეხვედრა დღესვე, შუადღის ხანს კვლავ უნდა შემდგარიყო, მაგრამ აქაც ყველაფერზე დაიბანა ხელი, მე არაფერ შუაში ვარო.

გამეცინა.

—თქვენო ბრწყინვალებავ, მე მხოლოდ შევქმენი გარემო, რომელშიც

ჰაგუა აბირეზიები
ფათა თუთაშხია

ადამიანები საგნებისა და სიტუაციების მიმართ დამოკიდებულებებს თავისით აყალიბებენ. მიაქციეთ ყურადღება, გრაფ, მე-მეთქი, ვამბობ, და არა ჩვენ. იმის თქმა მსურს, რომ შედეგებზე მხოლოდ მე ვაგებ პასუხს. თუ საერთოდ იქნება რაიმეზე პასუხისგება საჭირო.

ახლა ის უნდა გამეანალიზებინა, თუ რამდენად შესაძლებელი იყო, რომ ზარანდიას მხოლოდ მახეები დაეგო და მის ხელწაუშველელად იმ „გარემოში“. მოქმედ ადამიანს სახელოვნურ ის ეკეთებინათ, რაც ზარანდიას ესაჭიროებოდა.

დასკვნა ასეთი მივიღე: ზარანდიას მხოლოდ ქანეტ და ლამიელგან შეეძლო სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა. მაშასადამე, კონტაქტიც ჰქონდა მასთან. პრინციპში, გამორიცხული არ იყო, რომ ზარანდია მხოლოდ ისმენდა და არაეთარ მითითებებს არ აძლევდა ქალს, მაგრამ რა აზრი უნდა ჰქონოდა ასეთ ურთიერთობას? თუკი ხელში ჩაიგდე, მაშინ აკეთებენ კიდეც! ზარანდია ის კაცი იყო, რომ ამოდენა შრომის ფასად შექმნილი ვითარება თვითდინებაზე მიეშვა?..

მახსოვს, ამ ეპიზოდის გამო გავიფიქრე, რომ ზარანდიას სულ მცირე შეცდომას საერთაშორისო სკანდალი შეიძლებოდა წარმოეშვა, მეფის ოჯახი გასვრისა და გალანძღვის შესაძლებლობის წინაშე იდგა.

აქაც გაჩუმება ვარჩიე.

იმ საღამოს კულაგინებს ვახშმად უნდა ვწვეოდით. წინა დღით, ოთხზე თუ ხუთზე ზარანდიამ დამირეკა, მოსვლის უფლება მთხოვა. მობრძანდითმეთქი.

შემოვიდა და მითხრა:

— თქვენო ბრწყინვალებავ, პოლკოვნიკმა დიდი მოღუღის ხალიჩა იყიდა. ოცდახუთი ათასი მანეთის თამასუქი ჰაჯი-სეიდს მადმუაზელ ქანეტ დე ლამიემ მისცა!

— რატომ მადმუაზელ ქანეტ დე ლამიემ?

— სახნოვს ფული არ ჰქონდა, ალამიეცგან ისესხა.

ის ახირებული ხალიჩა ინფანტერიაზე ძარღვებს მიშლიდა. შემოქმედა ახრი რომ ზარანდია ვეშაპს ბარკით კი არა, სათამაშო ბაშოლდ-ისრით უპირებდა დაკოდვას...

— მუშნი, ნუთუ გგონიათ, რომ ნაჭურდალი ხალიჩის შესყიდვის ინკრიმინაცია სახნოვისთანა ძლიერ კაცს რამეს დააკლებს?

— არ მგონია! მაგით უბნის პოლიციელსაც კი ვერაფერს დააკლებს კაცი. სხვათაშორის, არც მაქვს ამოცანად დასახული სახნოვს რაიმე დავაკლო. პოლკოვნიკი თვითონ ებრძვის თავის თავს.

— მაშინ, არ მესმის, რა უნდა მოიტანოს მაგ ხალიჩის გარშემო წამოწყებულმა ფიფხურამ!

— უკვე მოიტანა, გრაფ... — ზარანდიამ ფურცელი გამომიწოდა, — აი, ექსპერტიზის დასკვნაც ხელწერის ივიეთაბაზე. ინებეთ.

ექსპერტიზის დასკვნის გამოსართმევად გაწვდილი ხელი ჰაერში გამიშეშდა — ფურცელს ეელარ მოეწყვიტე თვალი...

გონს მოვეგე, პირველი გადავისახე, ექსპერტიზის დასკვნას ვეცი, გადავიკითხე; ეს ინსტინქტური, ქვეცნობიერი ნაბიჯი იყო და ნიშნავდა იმას, რომ ჩემს არსებაში იმედის ნაპერწკალმა იფეთქა — იქნებ, არ არის მართალი, იქნებ, ნაყალბე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივსგან ოცდახუთი ათასი რუსული მანეთი. პოლკოვნიკი სახნოვი“ (თარი-ღი).

— ჟანდარმერიის პოლკოვნიკმა სახ-ნოვმა, — ჩავილაპარაკე მცირედი დუ-მილის შემდეგ, — შეფის მოადგილემ, საგანგებო საბჭოს წევრმა, დიდი თა-ვადის ნათლულმა მიიღო ოცდახუთი ათასი რუსული მანეთი ავსტრო-უნგრე-თის ჯაშუშისგან—ფროილაინ ანნეტ დე ლამიესგან... ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ეს სკანდალია, ეს მისი უდიდებულესობის საერთაშო-რისო კომპრომეტაციაა!.. მუშნი, საი-დან გაქვთ ეს ხელწერილი?!

— ჰაჯი-სეიდმა გადმომცა.

— ჰაჯი-სეიდს რატომ უნდა ჰქონო-და ეს?

— მადმუაზელ დე ლამიე ინფორმა-ციის ვინაში გადასაგზავნად ჰაჯი-სე-იდის ირხებით სარგებლობს...

— თავი დაანებეთ ზღაპრებს! თქვენ-ნი ინსპირირებულია ყველაფერი, რაც სახნოვის გარშემო ხდება!

— ეგრეც რომ იყოს, მე მაინც ისე უნდა ვილაპარაკო, როგორც ვლაპარა-კობ, მაგრამ, გრაფ. სანტერესო ის არის, რომ ყველაფერი სწორედ ისეა, როგორც ვლაპარაკობ.

— როგორ, თქვენ დე ლამიესთან პირადი კონტაქტი არ დაგიმყარებიათ?

— ჯერ არა. ზეგ, თქვენო ბრწყინვალე-ბავ, პორუჩიკ სტარინ-კოვალსკის-თან მისი დაპირისპირების წინა ღამეს დავამყარებ პირად კონტაქტს. ხვალინ-დელი დღე, უკეთ ვთქვათ, კულაგინების ვახშამი მშვრდება. ეს საქმე, ყოველ მიზეზს გარეშე თექვსმეტამდე უნდა მორჩეს. ჩვიდმეტში პაემანი მაქვს სა-მეგრელოში, დათა თუთაშხელთან...

— მომდომინეთ... საიდან იცით, თუ რა ხდება სახნოვსა და დე ლამიეს შო-რის, როცა ისინი მარტონი არიან?

— ჰაჯი-სეიდისგან, თქვენო ბრწყინ-ვალებავ, და ქალბატონ ტერეზოვასგან. ეს მანდილსანი მეტად ნიჭიერი აღ-მოჩნდა.

— ბატონო ზარანდია, მე მსურს და მოვალე ვარ ვიცოდე ყველაფერი!

— თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ იცით სწორედ იმდენი, რამდენიც მე. ეს უკვე მომხდარს ეხება, ხოლო თუ რა არის მოსალოდნელი, ანუ ვარაუდით რა უნდა დაგვრჩეს ჯამის ხაზს ქვეშ — მზად ვარ მოგახსენოთ..

— ბრძანეთ... და უზღაპრებოთ, თუ შეიძლება!

— გრაფ. — სიცილით მითხრა ზა-რანდიამ, — თქვენ სრული უფლება გაქვთ დაეჭვდეთ ჩემს სიმართლესა და გულახდილობაში, მაგრამ არავითარი საფუძველი არ გაგაჩნიათ ეჭვი შეიტა-ნოთ ჩემს ერთგულებაში!..

— მუშნი, ადამიანები, ხშირად ხდე-ბა, მათგან მოულოდნელ ოვისებებს ამეღავნებენ ხოლმე. განაგრძეთ!

ზარანდიამ თავი სინანულით დააქ-ცინა და თქვა:

— ლიკვიდირებული იქნება ავსტ-რო-უნგრეთის, ირანისა და თურქეთის საჯაშუშო რეზიდენტურები და ქსელე-ბი. აღიკვეთება — ყოველ შემთხვევა-ში, დროებით მაინც — თურქია პანსის-ლამისტური მოქმედება ჩრდილოეთ კავ-კასიაში. ჩვენს დაზვერვას შეეძატება თითო გამოცდილი აგენტი ვენაში, თეირანში, რომში. სამსახურიდან გაფა-დგება პოლკოვნიკი სახნოვი და გადად-გომის ნამდვილი მიზეზი ჩვენ ორის მეტს არავის ეცოდინება. რეორგანიზე-ბულ იქნება ან სრულიად გაუქმდება ხმების გავრცელების სამსახური. დიდი მოღულის ხალიჩა პატრონს დაუბრუნ-დება და პოლკოვნიკ გლებიჩს დაენიშ-ნება ახალი ადიუტანტი... მართალია, ჩემს ნათქვამში ზოგი რამ, ჯერ-ჯერობ-ით, მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ ეს ვა-რაუდი ფაქტად უნდა იქცეს, თორემ— თქვენ ჯადი გწერიათ — და მე იქნებ, ცომბინაციც ამოვყო თავი, თუ ყარა-ის-მაილმა და მოლებმა მეტეხის ციხეშივე

ბაბუა ამირეჯიბი
დათა თუთაშხია

არ მოასწრეს ჩემი დახრჩობა! — ზარანდიამ გულიანად გიცინა.

ჩემი მოადგილის სიტყვებში, თითქოს, ახალი არაფერი იყო, მაგრამ ამ სრულიად ფანტასტიკურმა პერსპექტივამ მაინც გამაბრუა — ალბათ იმიტომ, რომ ასე ერთად და ყველაფერი ლამის სულ რულეში მოყვანილი მაშინ პირველად წარმოვიდგინე. ეს გრანდიოზული რამ იყო!

ქალბატონი სალომე გაზიერაშვილი—ოდიშარიასი, ბატონი შალვა ზარანდია

— მოგეხსენებათ, ჭორს და ახალ ამბავს რაც შეეხება, ამაში ქალები მამაკაცებზე ცნობისმოყვარენი ვართ. დედათა მონასტერი ხომ — აბა, რა სათქმელია!.. დათა თუთაშხიასი კი არა, ცხრა მთას იქითა ამბები ვიცოდით, დიდება შენთვის, ღმერთო! — ალბათ, ისე მოკვდები, ჭორის გავრცელების სასწაფრასას ვერაფერს გავიგებ. მონასტერში ჯორის გამორება ცოდვად გვეთვლებოდა და თვით ჩვენმა წინამძღვარმა კი სხვადასხვა ახალი ამბავი მაინც ჩვენზე მეტი იცოდა. ამასთან ჯორისა და სიმართლის გარჩევის დიდი ნიჭი ჰქონდა. გვიყვარდა „... დიდება კაცთა უფრო, ვიდრე დიდება ღმერთისა“. ოთონე, ფორმტერი, ორმოცდასამი.

ეფემია-წინამძღვარი მამაზემის უფროსი და გასლდათ, ესე იგი, გაზიერაშვილის ქალი იყო. დედა თუთაშხია ჰყავდა — ამათი მოგვარე და არა ნათესავი. საიდან და როგორ — არ ვიცი, მაგრამ დათა თუთაშხიასთან დიდი ახლობლობა და მეგობრობა ჰქონდა ეფემია წინამძღვარს. მე მის მონასტერში იმისთვის ამოვყავი თავი, რომ თოთხმეტი წლის ასაკში თავდავიწყებული სიყვარული მეწვია — მშობლებმა ცოდვას გამომარიდეს. მამიდაჩემმა ეფემიამ ერთ წელიწადს მიყურა, რატომღაც დასაკვნა, რომ მომავალში წინამძღვრად გამოვდგებოდი და საგანგებო წვრთნა დამიწყო. მეხსიერება კარგი მქონდა, ოთხივე სახარება და ძველი აღთქმის საგრძნობი ნაწილი ადვილად გავიზეპირე. თან იმ სიბრძნესაც მიზიარებდა, ასი თუ მეტი განწირული დედაკაცი მორჩილებაში და ღვთისმოსაობაში რა საშუალებებით უნდა მყოლოდა, მაგრამ სასულიერო მოღვაწეობისკენ არავითარი მიდრეკილება არ მქონდა. იმხანად ოცი წლის მხიარული გოგო ვიყავი, სიცილ-კისკისსა და მასხრობაში გამყავდა დღეები. საცოდავი მამიდაჩემი — აღმზრდელი და მენტორი — ჩუმ-ჩუმად დაცინვისა და, რაღა დასამალია, პატარა, უბოროტო ეშმაკობების საგნად მყავდა. ყრუ იყო და ცხოვრებას ესეც მიადვილებდა. დიდად განათლებული ქალი გახლდათ ეფემია-წინამძღვარი — ფრანგულ, ინგლისურსა და რუსულ ენებს ერთნაირ კარგად ფლობდა და მეც მასწავლიდა. მონასტერში საერო ლიტერატურის შენახვა აკრძალული გვქონდა. ამიტომ წინამძღვარი უცხოურსა თუ რუსულ ჟურნალ-გაზეთებს მაგალი ზარანდიას მისამართით წერდა და ქართულს ხომ წაუკითხავს არაფერს ღასტოვებდა.

ერთ ზამთრის ღამეს — ასე, თერთმეტი საათი იქნებოდა — ეფემიას სენაკის კარს ვიღაცამ მიაკაკუნა. წინამძღვარი პირველზე ადრე არ იძინებდა. გაალო, ზღურბლზე რაღაც ჩურჩული იყო, მეკარის ხმა ვიცანი. იჩურჩულეს, მეკარე წავიდა. ეფემია ჩემთან შემოვიდა და მითხრა, — თბილად ჩაიცვი, მივდივართო.

მონასტრის ჭიშკარს იქით შალვა ზარანდია გველოდებოდა, ფარანი ჰქონდა. სანამ ტალახ-ტალახ სოფელში ჩავედით, სანამ ზარანდიების კიბეებთან ფეხსაბოსი ავიფიჩაეთ — კაი ერთი საათი გავიდა.

— ეფემია-წინამძღვარს მაგალიმამაჩვენებისთვის ნათქვამი ქონდა, — დათა რომ მოვიდეს, შალვა ფეხონე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამაგებინე, აუცილებელი საქმე მაქვსო. მოვიდა ერთ ღამეს დათა და მაგალთ გადაცა ეფემია-წინამძღვრის სურვილი. გაიცინა ღ ომ, გაიქნ-გამოიქნია თავი და მითხრა, — წადი, შეატყობინეო. სანამდი მე ისინი მოვიყვანე, დათა უკვე დაბანილ-დავარცხნილი იჯდა ბუხართან, ლობიოს ქოთანს ნაკვერჩხლს უმარჯვებდა...

— ოთახში შეეედით და მაშინღა მივხედი, რომ ჩვენი მოულოდნელი წამოსვლის მიზეზი ის შავხალათა, ყავისფერ პაპუჭებიანი. წუღა-ფესტში გამოწყობილი კაცი იყო, რომელსაც მამიდაჩემმა ხელი გაუწოდა. დამხვდური ეფემია-წინამძღვარს ხელზე ემთხვია, მე ღიმილით დამიკრა თავი და მასპინძლებმა მაგიდაზე მიგვიწვიეს. დიდი მარხვა იყო, ეს ვახშამსაც ეტყობოდა. შავხალათა დამხვდური დათა თუთაშხია აღმოჩნდა. საშუალო სილამაზის მამაკაცი იყო, მაგრამ საოცრად წარმოსადეგი და ახოვანი. ეფემიას დადგენილი საერთო წესის თანახმად მე ერთთავად თვალებდახრილი უნდა ვმჯდარიყავი, მამაკაცისთვის არ უნდა შემეხედა, მაგრამ იქ გულმა ვეღარ მომითმინა, წარამარა დათა თუთაშხიასკენ ვაცეცებდი თვალებს. ეფემიას კიდევ ერთი ძირითადი წესი იმაში მდგომარეობდა, რომ მის გვერდით ხელმარცხნივ უნდა ვყოფილიყავი — ფეხზე თუ მჯდომარე, სულ ერთია, — მისი საუბრისთვის გულდასმით უნდა მეგდო ყური — ქალთან იქნებოდა თუ მამაკაცთან — და როცა ეფემია ხელის მტევანს შემართავდა, იმავ წამს, დაუყოვნებლად უნდა მეთქვა სახარების ისეთი ნაწყვეტი, რომელიც მის შეხედულებასა თუ მტკიცებას კვერს დაუკრავდა. ჩვენს წინამძღვარს სუსტი სმენა ჰქონდა, ეს უკვე ვთქვი, მაგრამ თუ ტუჩებში შემომცქეროდა — ყველაფერი ზუსტად და უცდომლად ესმოდა. ამიტომ ნაწყვეტების წარმოთქმაში სიცრუე მხოლოდ იმ შემთხვევაში შემრჩებოდა ხოლმე თუ ეფემია სიათმე სხვა მხარეს იყურებოდა. იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც მე. და ჩემი აღმზრდელი განუწყვეტელი ომის მდგომარეობაში ვყავდით. საქმე ის არის, რომ მე ჩემი მენტორის დასაკვნებსა და შეხედულებებს ოშვიათად ვიზიარებდი და ამიტომ მისი ხელის შემართვა სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ უეჭველად მისთვის საკირო და გამოსადეგ ნაწყვეტს ვიტყოდი. პირიქით, უფრო ხშირად საწინააღმდეგო შინაარსის ნაწყვეტი მომყავდა, რაც წინამძღვრის მძაფრ შენიშვნებსა და გულისწყრომას იწვევდა. წარბებს აპრეხავდა, თვალს თვალში გამიყრიდა და იტყოდა ხოლმე:

— ამ ხნის ადამიანს!.. — დანარჩენი იგულისხმებოდა და ისიც უნდა ვთქვა, რომ მის შენიშვნებს საორმო ვითარებაში არსებითი ცვლილებები ვერ შეჰქონდა.

დათა თუთაშხიასი მე ყველაფერი და კიდევ მეტი ვიცოდი — თავად ვავსებდი ხარვეზებს. ჩემი ცოდნა მარტო მონასტრული ჯორ-ამბავისგან როდი შესდგებოდა. თვით ეფემია-წინამძღვარიც მანათლებდა ამ მხრივ: ხშირად დათა თუთაშხიას რომელიმე საქციელის მაგალითზე მიმარტავდა ადამიანის ავკარგს და ხანდახან — ალბათ, ჩემს გასაგონად — თავის თავს ესაუბრებოდა ხოლმე ამ თემაზე. ყოველივე ამან, ჯერ კიდევ იმ წუღაში მფიქრებინა, რომ ის კაცი ეფემია-წინამძღვრისთვის მხოლოდღა აბრაგი არ უნდა ყოფილიყო — რა თქმა უნდა, ჩემთვის ერთობ შორეულსა და ურჩან წარსულში. ჩვენი წინამძღვარი გამუდმებით სწერდა რაღაცას. ეს ნაწერები ერთადერთი რამ იყო, რაზეც თვალი ვერ მიწვდებოდა — კარადაში ინახავდა ნაწერებს, სამი თუ ოთხი საკეტურით აღჭურვილ კარადაში.

— ეფემია-წინამძღვარი, ქალბატონო სალომე, კაი ათი წლით იყო დათაზე უფროსი. ძნელი წარმოსადგენია,

---

ბაბუა ამირეჯიბი
დათა თუთაშხია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის ტრფობა და სიყვარული ყოფილიყო როდისმე...

— არ ვიცი, ეგ ჩემთვის დღემდე გაუგებარი რამ არის, მაგრამ დიდი და რაღაც თავისებური სიყვარული რომ ჰქონდათ ერთმანეთისა, ეს უდავო მგონია... ასეა თუ ისე, ვსხედვართ — თამარ და მაგალი ზარანდიები, დათა თუთაშხია, აი, შალვა და მე — ჩაის ვსვამთ. მიიწურა უქმი სალაპარაკო, პატარა ხანს სიჩუმე იყო და ეფემია-წინამძღვარმა დათა თუთაშხიას მიმართა:

— უსამართლო ცხოვრებას ეწევი, დათა!.. ადამიანის ცოდვებს ღმრთის რისხვა მოსდევს და, აკი, არც აკლია განსაცდელი კაცთა მოდგმას ხაერთოდ და საკუთრივ შენი ცოდვების გამოისობიდ — ერს, აქ და დღეს. — ეფემიამ მარცხნა ხელი ცისკენ აღაპყრო და ჩემი ჯერი მოდგა.

— „ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას“. მათე, სამი, ათი. — მაგრამ ეფემიამ ეს კარგად გაიგონა, თვალებში შემომეტქერდა და მრისხანედ მკითხა:

— რას გულისხმობ, მხევალო?!

— „რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს“. ლუკა, თოთხმეტი, თერთმეტი,— ვთქვი, რაც ენაზე მომადგა.

ეფემია-წინამძღვარი დაფიქრდა, ეჭვის თვალი მომაბჯინა და თქვა:

— საამშემთხვევოდ ითქმის: „გიყუარდედ მტერნი თქვენნი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა“...

— ლუკა, ექვსი, ოცდაშვიდი, — ჩავაკერე და ეფემიამ კიდევ წარმოთქვა:

— „რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს ჰქვენ!..“

— მარკოზი, ოთხი, ოცდაოთხი! — დავაყოლე უმალ და წინამძღვარმა თავი ჩააქიცინა.

— ყველაფერი ღმრთისგან არის! — თქვა დათა თუთაშხიამ. ეფემია-წინამძღვარმა დაცინვად მიიღო ეს და უმალ მოუჭრა:

— არა! ბოსტანი უნდა იმარგვლებოდესო, ამ ბოლო წლებში რომ აგიხრიბია, ეგ სატანისგან არის. ბოროტების დათრგუნვა განგაზრახავს, მაგრამ იგი ბოროტებითვე ვერ დაითრგუნება. როცა ძალადობას ძალადობითვე სჯობ, მართალია, ერთ ბოროტებას ანადგურებ, მაგრამ იმავე ადგილზე რამდენიმე ახალი აღმოცენდება ხოლმე. შენ ამას ვერ ხედავ ან დანახვა არა გსურს! — ეფემიამ ხელი ისევ შემართა და ყურება დამიწყო.

რაღას ვიზამდი, მიმინოსავით შემომქქეროდა:

— „წერილ არს: სახლი ჩემი სახლ სალოცველ არს, ხოლო თქვენ ჰყავთ იგი ქვაბ ავაზაკთა“. ლუკა ცხრამეტი, ორმოცდაექვსი. — ეფემიამ თვალი მომაშორა და იქვე ჩავაბულბული: „რაჟამს ვესმოდიან ბრძოლანი და ამბავნი ბრძოლათანი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოფად“. მარკოზი, ცამეტი, შვიდი.

მაგალი ზარანდიამ თავი ვეღარ შეიკავა, გაიცინა. ეფემიამ ისევ ეჭვის თვალით გამოიხედა.

— ბოდიშს ვიხდი, დედაო, — იმავ წამს სახე იცვალა მაგალი ზარანდიამ.— ვამიკვირდა, ასე პატარა გოგონამ მშვენივრად რომ იცის სახარება...

— მონა ღმრთისა, მხევალი! გოგონა არ არის ეგ, — მკაცრად განმარტა წინამძღვარმა და დათას მიუბრუნდა:— არ არსებობს მიზანი, რომლისთვისაც იმდენი ცოდვის ჩადენა იყოს გამართლებული, რამდენიც შენ იტვირთე. ვერც ისე ვიფიქრებ, ვითომ შენი ნამოქმედარის შედეგებისა არა იცოდე რა. ბეჭუნი პერტიასთან რომ მოგიხელთა ქილიმამ და ალეა შემოგარტყა, მაშინ შენმა ამხანაგებმა ყურუას ბიჭები მძევლებად წაიყვანეს. უმცროსი ბიჭი ჭკუიდან გადაცდა და დღესაც გიჟია, საცოდავი. — ეფემიამ პირჯვარი გადაისახა. — ყურუას სახით ბოროტება უნდა დაითრგუნოს? ყურუას შვილმა

ვის: რა დაუშავა?!. ხაშურში ყანდურს შეუუგანთელ, საკუთარ თონეში საკუთარ დამქაშებს ბერლულ-ლერდილით დაამარხვინეთ — ვითომ სასაცილოა, არა? არ არის სასაცილო! ყანდურამა, ის დასტურიდე იყო თუ ვიდაცა, თონეშივე დაახრჩო და თქვენ გადაგბრალათ. ამილახვრის მოურავი დღესაც ციხეში ზის. ვერ ამტკიცებს, რომ მისი მიგზავნილები არ იყვნით. ვითომ, ბოროტ ქაცსა სძღიეთ და, აგერა, იმავ ადგილზე რამდენმა ბოროტებამ ამოხეთქა! რომელი ერთი მოეთვალო შენი ნამოქმედარი და ცოდეები. რაც მაგიებს ხელი მოჰკიდე. საქართველოში შენი სახელოთ რამდენი ბოროტება მოხდა — ვინ მოსთვლის?! არა, ის მაინც რა იყო, თორდუას რომ ქაცარია მოაკლეეინე. იძახა, თორდუამ, როგორც დაარიგე, — მე არა, დათა თუთაშხიამ მოკლაო. მაგრამ არ დაუჯერეს და აკი, კატორღაშიც ამოყო თავი...

— ქაცარიამ ცოლი გაუუპატიურა თორდუას, მის თვალწინ ჩაიდინა ეს! გასაკვირია, რომ მოკლა? — ჩაურთო თუთაშხიამ.

— შენ შეიპყარი ის ყაჩაღი და მოძალადე ქაცარია, შენ მიუყვანეს ფაცხაში თორდუას და ირაყიღე შენი იყო. ეგ რომ არ გექნა, ცოდეილ დედამიწაზე ერთი მკვლელობით ნაკლები იქნებოდა, ოთხი ობლით ნაკლები ეყოლებოდა ღმერთსა და ის უბედური თორდუაც თავის ოჯახში იქნებოდა, თავის ცოლ-შვილთან და თავის მიწაწყალზე. ვითომ, ბოროტება დათრგუნე, არა? მოკვდავი ხარ. ეგრე ცხოვრების ნება შენთვის არაფის მოუცია. „არა მოვედ მოფენად მშვიდობისა. არამედ მახვილისა“? ამის უფლება მხოლოდ მესიებს აქვთ...

— მათე, ათი, ოცდათოთხმეტი, — ჩავაყერე მარდად და ეფემია წინამძღვარმა განაგრძო:

— მხოლოდ მესიებს! ისიც მაშინ, თუ საამისოდ ვითარება არის მომწიფებული და არა ყოველთვის. — ეფემია-წინამძღვარმა ხელი შემართა.

— „მიეცით კეისრისა კეისარსა და ღმრთისა ღმერთსა“. ლუკა, ოცი, ოცდაერთეული ხუთი. — ჩავაბულბულე და უფრო მაღალ ხმაზე ვთქვი: — „რომელი ვალნ ბნელსა, არა უწყან, ვიდრე ვალნ“. იოანე, თრომეტი, ოცდათხუთმეტი.

ეფემია-წინამძღვარმა ორივე ნაწყვეტი გაიგონა და არა უთქვამს რა. მაშინ მივხედი და შემდგომში სავსებით დავრწმუნდი, რომ ჩემი მენტორი თანდათან თავადაც დაინტერესდა „სახარების თამაშით“. იმით დავრწმუნდი, რომ ერთხელ, თავისი შუხედულების დამადასტურებელი ნაწყვეტი მათქმევინა და იქვე მკითხა, — აბა, მაგისი საწინააღმდეგოც თქვიო. ვთქვი და დიდხანს იფიქრა. მერე მითხრა, — ეგენი ეშმაკეულისგან გაქვსო.

— დიდი ცოდეები გაწევს, დათა, დიდი და მრავალრიცხოვანნი. — განაგრძობდა ეფემია-წინამძღვარი. — სანამ ჩემს მთავარ სათქმელს გიტყოდე, მინდა გაგერკვე. საიდან შემოგიარა სატანამ, რა გზითა და ბზარით შემოაღწია შენს სულში და როგორ განაგდო შენგან სიკეთის მადლი. თქვი, რისთვის სჩადი მაგას?!

— გაუგებარია? — იკითხა დათა თუთაშხიამ და დამსწრეებს შემოგავლო თვალი.

— ფრიად! — მიუგო ეფემია-წინამძღვარმა.

დათა თუთაშხიამ პატარა ხანს იფიქრა და მაგალი ზარანდიას ჰკითხა:

— თქვენთვისაც გაუგებარია, ბაბა?

მაგალი ზარანდიამ ჯერ დუმილი არჩია და როცა სიჩუმემ დიდხანს გასტანა, ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— ვიცი ეგ მე, მარა...

— რა იცი? — შეუტია წინამძღვარმა.

— რისთვისაც აკეთებს იმას ეს!

— რისთვის!

— არ შეუძლია სხვაფრად და მისთვის.

ბაბუა ამირეჯიბი
დათა თუთაშხია

— ეგ ლაპარაკი არ გამოდგება! სხვაფრივ რომ არ შეუძლია — ეგ მიზეზია. მე მიზანს ვკითხულობ... თუმცა, ისიც მაინტერესებს, სხვაფრივ რატომ არ შეუძლია.

— ეკლესია, დედაო, რისთვის ქადაგებს: „ნუ კაც ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, ნუ დააკლებ კეთილს ყოფად, პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“? — იკითხა მაგალი ზარანდიამ და მე მის ნათქვამს დავძინე:

— მარკოზი, ათი, ცხრამეტი.

— სიმტკიცისთვის ზნეობისა, აღზევებისთვის სიყვარულისა, დათრგუნვისთვის ბოროტის სწყისისა ადამიანში, — მიუგო ეფემიამ.

— რა საჭიროა ეგ? — უმალ ჰკითხა დათა თუთაშხიამ.

— ბოროტი კაცი ერის მტერია, მისი განმარღვეველი. დამაკნინებელი ძალაა. კეთილი კაცი ერის შემწეა, მისი აღმაზევებელი, გამამთლიანებელი ძალაა. უკეთურისგან ერისა და სამშობლოს სიყვარულს ნუ მოელი. მისი გული ხარბია და სული თავკერძი. მაღალი ზნეობის კაცი ერისა, სამშობლოსი და მოყვასისთვის იღვწუნს უპირველესად და, თუ საჭირო გახდა, მსხვერპლადაც მიცა. ამისთვის არის საჭირო! — თქვა ეფემია-წინაამძღვარმა.

— თქვენ რაც ბრძანეთ, დედაო, იქიდან ისე გამოდის, ვითომ მამულიშვილობა და სამშობლოსთვის თავდადება მაღალი და უმაღლესი ზნეობის კაცთა ხვედრი იყოს მხოლოდ, — თქვა მაგალი ზარანდიამ. — ხომ აკლავენ მამულისთვის მტერს თავს სულმდაბალი ადამიანებიც?!

— მათ მიერეკვებიან, ისინი სასჯელის ან ზურგიდან სიკვდილის შიშით იხოცებიან, — მიუგო ეფემიამ. ხელი შემართა და ვინაიდან მე ამ საკითხში ჩაუხედავი გაჯდიო, რაც მეხსიერებამ დაუყოვნებლივ მომაწოდა, ისა ვთქვი:

— „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“. ლუკა, თოთხმეტი, ოცდაოთხი.

— მძაფრად სჯით, დედაო, — მიუგო მაგალი ზარანდიამ. — ისე აკობებენ, მგონია, სათქმელად: თავისი ქვეყნისა შვილია ის კაციც: მოთხოვა სამშობლომ ვალის აღსრულება და შეაკვდა მტერს.

— ერი და მამული! — ჩაილაპარაკა დათა თუთაშხიამ და თამარ ზარანდიას ჰკითხა: — როგორ გვასწავლიდი, დედა, შენ?

თამარმა დააყოვნა და თავისთვის თქვა:

— სანამ იტყოდე რამეს, სანამ გადადგამდე ნაბიჯს — იფიქრე, თუ გამოადგება ის ერს, მამულს, მოყვასსთქვა ასე გასწავლიდით, შვილო, ასე გვასწავლიდა მამაჩვენი ჩვენ და ჩვენი მოდგმის ყველა მამა და ყველა პაპა თავის შვილებს.

— მიზეზიც არის ნათქვამი და მიზანიც! — დაასკვნა მაგალი ზარანდიამ.

— სხვა მიზეზი და სხვა მიზანი არ მქონია არასდროს მე, — თქვა დათა თუთაშხიამ. — მარტო ქადაგება ვეთანაფერს ხდება, ხედავთ ამას თქვენ. წაიბილწა ერი. ძალაა საჭირო. „შიში შეიქმს სიყვარულსა“, შიში! ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად მარტო სიკეთე არ კმაროდა არასდროს...

— „რამეთუ უმჯობეს არს ჩვენდა, რათა ერთი კაცი მოკუდეს ერისთვის, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს“. იოანე, თერთმეტი, ორმოცდაათი, — ჩაილაპარაკე, მაგრამ წინამძღვარმა გაიგონნა და თქვა:

— „ეშმაკეულ არს და ცბის“! — ეს, მგონი, დათა თუთაშხიას და მე ერთავეს გვეხებოდა.

— იოანე, ათი, ოცი, — აღვნიშნე სასწრაფოდ. მაგრამ ჩემი მენტორის გამომეტყველების მიხედვით, ხვალინდელი დღე მშიერი ვიქნებოდი, ეს ნამდვილი იყო, თუ სასჯელად უარესს რასმე არ მომიგონებდა.

— ახლა... ამ მგონია, მთლად ისე იყოს, დედა ეფემია რომ ბრძანებს, მარა ერთია საეჭვო... — უთხრა მაგალმ დათა თუთაშხიას, ცოტა შეიცადა და განაგრძო: — რასაც შენ აკეთებ,

ბოროტების დასათრგუნად აკეთებ, ასე ჩანს მაგ სამყო. არ გამოდის ეგ, შენი მოქმედებით ერში ძალადობა მრავლდება უფრო და რომ გინდა, იმის საწინააღმდეგო შედეგი მოაქვს... თუ გაბედ-გე, რას ელაპარაკობ?.. ერთი რომ იყო, ხუთი ბოროტება ამოვიდა იმ ადგილზე და უფრო გაიხრწნა ერის ზნეობა. უკეთ-ესმა გამოდის ყველაფერი!..

— არ არის სხვა გზა და საშველი. ნასინჯია ყველაფერი უკვე. — მტკიცედ, თითქოს ჯიბრით თქვა დათა თუთაშხიამ.

— არის! — თუთაშხიასეული ჯიბრითვე ბრძანა წინამძღვარმა.

— სად, როგორ და რაშია?! — იკითხა დათამ.

— სათნოებაში, ცოდვილო, სათნოებაში!

დათა თუთაშხიამ ხმით გაიცინა:

— რა არის, დედაო, სათნოება?

— სათნოება?.. საშუალო ნამეტნაობასა და უკმარობას შორის, უსამართლოდ მოხვეჭასა და უმართებულოდ მიცემას შორის. როცა ძლიერება განშორებულია სიმართლესა და სიბრძნეს— იქ სათნოება არ არის. შენ უკიდურესობების კაცი ხარ და სათნოება კი ზომიერებაა. გესმის?! — განმარტა ეფემია-წინამძღვარმა.

— ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ხალხში ზომიერებისა და სათნოების გზით მამელისთვის სამსახური? შეუძლებელია! — წყნარად მიუგო დათა თუთაშხიამ.

— მაშინ ისეთ ქვეყანაში უნდა გადაბარგდე, სადაც ეგ შესაძლებელია!

— სად არის, ნეტავი, მაგისთანა ქვეყანა, დედაო?!

— დიდი ცოდვები გაწევს, დათა, და. შენ ის კაცი არა ხარ, რომ შენს ნამოქმედარზე ხელი ჩაიქნიო, ყველაფერი მივიწყო და უდარდელად გალიო შენი წილი წუთისოფელი. დაიტანჯები, სინდისის ქენჯნა მოგკლავს, სული ცოდვების მონანიებას მოგთხოვს უნდა ეწამო! — წინამძღვარმა ამ სიტყვას რაღაც განსაკუთრებული აზრი ამოაყოლა. დათა თუთაშხია, თითქოს, მიხვდა, რასაც გულისხმობდა მისი თანამოსაუბრე, წარმოიწია, სახეზე ცნობისმოყვარეობა, ინტერესი აუთამაშდა. — ქართველ ხალხს ჰყოლია კაცები, ვისაც ცხოვრებამ, საჭიროებამ ძალმომრეობა დააკისრა და თავისი ცოდვების მოუნანიებლად დაიხოცნენ. ხალხმა დაივიწყა ისინი. იყვნენ ისეთებიც, ვინც თავისი ნამოქმედარის ბოროტება შეიგნო და ნებაყოფლობით ეწამა. ამით იმ კაცებმა საკუთარი სიცოცხლის წრე შეჭკრეს, თავის არსებობას დასრულებული სახე მისცეს, ავად ნაღაწი — სიკეთის, მარტვილობის შარავანდედით შემოსეს და დღეს ისინი ხალხს სათაყვანებელ კერპებად ჰყავს. თუნდ სიკეთისთვის, ერისავე კეთილდღეობისთვის ჩადენილი, მაგრამ ძალმომრეობა — მხოლოდ მაშინ ჰპოვებს გამართლებას ხალხის გონებაში, თუ იგი მოწამებრივი სინანულით დაგვირგვინდება.

— რას მირჩევ, დედაო ეფემია? — ეშმაკური ღიმილით ჰკითხა დათა თუთაშხიამ.

არასოდეს არ მენახა შემცბარი ეფემია-წინამძღვარი. მოსალოდნელი იყო, რომ იგი, როგორც ყოველთვის, ყველას და ყველაფრის გამო დაურიდებლად, უყოყმანოდ ეტყოდა სათქმელს, მაგრამ ასე არ მოხდა. წინამძღვარმა თავი ჩაღუნა, კალთას ჩააცქერდა და ჩაილაპარაკა:

— ნიჭიერი კაცი ხარ, დათა. შენისთანა კაცების მცირე შეცდომაც კი ძალიან ძვირად უჯდება ერს. უნიჭობაზე საშიში ნიჭიერებაა, როცა მას მაღალი ზნეობა და ღმერთის მოშიშობა არ ახლავს თან. ნიჭიერი კაცის ყველა საქციელი გადამდებია, მაგალითის ძალა აქვს. ერისკაცობა აღარ შეიძლება შენი, — უნდა აღიკვეცო... ბერად!.. მე მოგიხერხებ, რუსეთის ერთ-ერთ მონასტერში სხვა გვარით მიგიღებენ...

სიჩუმე ჩამოდგა. თამარ ზარანდიამ წი-

ბაბუა ავირეჯიანი
დათა თუთაშხია

ნდის ჩხირებს თავი მიანება, თავჩაქინდრულ წინამძღვარს მიაჩერდა. შალვა შეშინებული თვალებით შეჰყურებდა დათა თუთაშხიას, ვითუ დათანხმდეს და მართლა ბერად შედგესო. მაგალი ზარანდია ოდნავ მღიმარი თვალებით ათვალიერებდა დათას და წინასწარ იცოდა, რომ ეფემია-წინამძღვარმა შეუძლებელი მისთავაზა. მე დრო ვიხელეთე, დათა თუთაშხიას ცისფერ თვალებსა და განიერ გულმკერდს აშკარად, უშიშრად მივჩერებოდი. ოვით დათა კი სუფრას დაჰყურებდა და წყვდიადივით სდუმდა.

ეფემია-წინამძღვარმა ანაზდად გუნება იცვალა, თავი ასწია, მიმინოს თვალები დათა თუთაშხიას მიაბჯინა და ჩვეული სიმტკიცით თქვა:

— შენ საკუთარი ერისა და მამულის მტრად იქეცი. დარწმუნებული ვარ, ხედავ კიდეც, რომ ეს ასეა, მაგრამ მაინც შენსას სჩადი, რადგან არ ძალგიძს გულსწდაკრეფილი იჯდე. ისეთი ბუნების კაცი ხარ, რაიმე უნდა აკეთო, აუცილებლად უნდა აკეთო რაიმე! რა? ეს აშკამად არ იცი და ვერც გაიგებ, სანამ საკუთარ სულში არ ჩაღრმავდები, სანამ ახალი შთაბეჭდილებებისა და ცოდნის ნაკადი არ შემოიჭრება შენს გონებაში... მონასტერი, ლოცვა, მონანიება, ფიქრი, ჭეშმარიტების ძიება და მიგნება — სხვა გზა არა გაქვს! — ეფემიამ ხელი შემართა.

— „არავინ შთაასსის ღვინო ახალი თხიერთა ძველთა, რათა არა განხეთქნეს ღვინომან ახალმან თხიერნი იგი, და ღვინო დაითხოს, და თხიერნი წარწყმედენ“. ლუკა, ხუთი, ოცდაჩვიდმეტი, — თამამად და დამარცვლულად ვთქვი, ან დასარიდალი რაღა იყო, როცა ხვალინდელი შიშილი განაღდებული მქონდა.

მენტორმა გამომხედა და ჩემდა მოულოდნელად ისეთი სიხარულით შემომღიმა, თითქოს, მადლობას მეუბნებოდა, რომ მისი მოსაზრების საწინააღმდეგო ნაწყვეტი ასე მარდად და კარგი გამოთქმით მოვიტანე.

— კაი, დედაო, ვიფიქრებ მაგაზე მე, — ღიმილითვე უთხრა დათა თუთაშხიამ ეფემიას და საუბარი ამ თემას აღარ დაბრუნებია.

ამის მერე წელიწადი თუ მეტი იყო გასული, წინამძღვარს ვკითხე:

— აღიკვეცება დათა თუთაშხია?

— არასოდეს!

— დროთა განმავლობაში მიხვდი მაგას?

— სანამ ვურჩევდი, იქამდე ვიცოდი.

— რატომღა ეუბნებოდი?

— ვალი მოვიხადე. ვალი—ღმრთის წინაშე და ვალი—თვით დათას წინაშე! მეშინოდა, მოკლავდნენ. ეხლაც მეშინია. — ეფემიამ ხელი ასწია.

— „ზელთა ხვრელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს, სადა თავი მიიდრიკოს“. ლუკა, ცხრა, ორმოცდათერთმეტი, — ვთქვი და ეფემიამ პირჯვარი გადაისახა.

ერთადერთხელ ვნახე ჩვენი წინამძღვრის მკაცრ ღაწვებზე ცრემლი.

— გათენებას არ უკლდა ბევრი, ფარანი რომ ავანთე და ეფემია-წინამძღვარს და ქალბატონ სალომეს რომ გავყევი მონასტრამდე. მახსოვს კარგად და, აგერ, ქალბატონი სალომეც დამემოწმება, ნამეტანი დაფიქრებული იყო დათა მთელ ღამეს იმ ლაპარაკის შემდეგ. ხდება ზოგჯერ, ტრიალებს ადამიანის გონებაში ფიქრი, მარა სანამდე სხვა არ ეტყვის პირდაპირ და დალაგებით იმ ფიქრისას, არ აქცევს იმდენ ყურადღებას კაცი. იმ ხანებში ისე მოეწყო, რომ დათა რამდენჯერმე ზედიზედ მოვიდა ჩვენსაკენ. ახლა ვხედავ და ვხედავ, სულ მძიმე, სევდიან გუნებაზე იყო. დანამდვილებით თქმა ძნელია, მარა იმღამინდელმა — ჯერ ეფემია-წინამძღვრის და მერე მამაჩვენი მაგალის ნალაპარაკევმა — თავისი წილი შეიტანა, მგონია, ციხეში დათას თავისი ფეხით მისვლაში. ახლა მეძნელება ზუსტად თქმა, რამდენი ხანი გავიდა, აგერ, ქალბატონ სალომეს ნამბობ ლაპარაკის შემდეგ—

კაი ხანი გავიდა, კაი ხანი — და კიდევ ერთი ლაპარაკი მოხდა ჩვენს სახლში, მეც დავესწარი ამას. გვიანია უკვე მოისვენეთ ამღამ და იმ საუბრისას ხვალ მოგახსენებთ დღისით, სანამდე მატარებელზე წასვლის დრო მოგიწევდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲠᲐᲤᲘ ᲡᲔᲒᲔᲓᲘ

კულაგინების ვახშამი სხვა ასეთისავე დანიშნულების თავყრილობებისგან შეიძლება მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ ზომაზე მეტად მოსაწყენი იყო. ისე გამოვდა, ბარე ორი საათით დავიგვიანე. ჩემი მისვლის შემდეგ ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიე უფრო სვედიანი და მომზიდველი მეჩვენა, ვიდრე კნიაზევებთან იყო. სახნოვის ორიოდ ისეთი გამოხედვაც დავიჭირე, თითქოს, რაღაცით ნიშნს მიგებდა. ერთი გაფიქრება გავიფიქრე კიდეც. ზარანდიამ ხომ არ წაიბორძიკა-მეთქი, მაგრამ ალღომ საამისო არაფერი მიკარნახა და ის გადმობრიალებები მიმავიწყა. თორმეტის ნახევრამდე ვიჯექი. მერე ბოდიში მოვიხადე,—ველარ დავრჩები-მეთქი, ეტლში ჩავჯექი და შინისკენ გავწიე.

ეს იყო და. ეს.

დილის თერთმეტ საათზე სამსახურში მივედი. გავიფიქრე, ნეტავი რაში სჭირდებოდა-მეთქი ზარანდიას კულაგინების ვახშამი და ამ დროს სახსნოვიც მეწვია. ძალიან უღიმღამოდ მომესალმა, დაჯდა. უბიდან ოთხად მოკეცილი საკანცელარიო ფორმატის რამდენიმე ფურცელი ამოიღო და ქაღალდები — რბილი გამოთქმა რომ გამოვიყენო — ჩემსკენ გადმოისროლა. ქაღალდებმა ჩემამდე ვერ მოაწია, მაგიდის კუთხეზე დაეშვა, შეტორტმანდა, რაღაც ბედად ადგილს შეჩრა.

იმავ წამს გამიელვა, რომ სახნოვი უსამოვნებაზე მიწვევდა. კაბინეტში ჩვენ ორნი ვიყავით და შესაძლებელი წალაპარაკება შემდგომში და საჭირო ადგილას, ისე შეეძლო გაეშუქებინა, როგორც მოესურვებოდა. ეს სახნოვის მასშტაბის ფანდი იყო, მაგრამ ბოლო ხანებში ჩამოყალიბებული ვითარება მოითხოვდა, რომ არც ეს საჭიმანო ღირსების საბაბი მიმეცა მისთვის. ამიტომ, ყურმილი ავიღე და პოდპოლკოვნიკ კნიაზევს ვუხმე, დაუყოვნებლივ შემოსულიყო.

შემოვიდა, მოგვესალმა.

— დაბრძანდით, — მივმართე კნიაზევს და ზანზალაკი დავაწკარუნე.

ადიუტანტმა შემოაღო კარი.

— მომაწოდეთ, აგერ, მაგიდის კუთხეზე რომ დაკეცილი ქაღალდებია, რატმისტრ!

ადიუტანტმა სასწრაფოდ მომაწოდა და მერეღა დაიბნა, — ამისთვის მიხმო, თვითონ ვერ აიღებდაო?

ქაღალდები გავშალე, სახნოვს ვკითხე:

— რა არის ეს, ბატონო პოლკოვნიკო?

სანამ პასუხს მომცემდა, ფურცლებს თვალი გადავავლე... მყისვე ვიცანი, სპადოვსკის პროკლამაციის ასლი იყო!

— თქვენი მუშაობისა და უდიდესი გამოცდილების შედეგი და, იქნებ ერთ-ღულების გამოვლინებაც!.. — დაიყვირა სახნოვმა და უკიდურესად შეურაცხმყოფელი ტონისა და შინაარსის, ასე, რუთ ექვსწუთიანი ტირადა მოაყოლა. მისი სიტყვით, მე არამარტო დასრულებული და უიმედო იდიოტი ვიყავი, რამედ მაღალი თანამდებობით შენიღბული მტერიც მისი უდიდებულესობისა.

მე/კი — რა საოცარი რამ არის აღაბიანი! — მშვიდად ვისმენდი, ცოტა მიხაროდა კიდეც. თვალი გადავაპარე — პოდპოლკოვნიკ კნიაზევსა და ჩემს ადიუტანტს მკვდრის ფერი ედოთ.

ᲒᲐᲖᲣᲐ ᲐᲕᲘᲠᲐᲔᲕᲘᲩᲘ
ᲓᲐᲗᲐ ᲗᲣᲗᲣᲜᲐᲫᲘᲐ

სახნოვმა, როგორც იქნა, ამოცალა თავხედობისა და კადნიერების გუდა. გარეშდა, მაგრამ ისეთი გაბრაზებული იჯდა, ვითომ მთელი ის სიბრიყვეები მე მეთქვას მისთვის და არა მას ჩემთვის.

ალბათ სიჩუმის ჩამოვარდნა იყო საჭირო, რომ სახნოვის წუხანდელი თვალების გადმობრიალებები მის ხელში სპადოვსკის პროკლამაციის ჩავარდნით ამეხსნა, ხოლო ამ ბოლო მომენტთან ზარანდიას სიტყვები დამეკავშირებინა: აკი მითხრა, კულაგინების ვახშამი მჭირდებაო!

— გასაგებია! — უნებლიეთ ჩავილაპარაკე და ჩემთვის ვაჟიფიქრე, რომ ამ პროკლამაციის სახნოვის ხელში ძახვედრა ზარანდიას ნამუშევარი უნდა ყოფილიყო. ეგ არის, იმას ვეღარ მიეწვდი, რაში სჭირდებოდა ეს და გაურკვევლობა ისევ სიტყვებით გამოვსატე: — კარგი, მაგრამ, მერე?.

— როგორ თუ — მერე! — ისევ აყვირდა სახნოვი. — თქვენ — საიდუმლო პოლიციის უფროსს, ქალაქრმთა სამმართველოს უფროსს — როგორც ჩანს არაფრად მიგაჩნიათ... — და უკვე ნათქვამის გამეორებას მისდგა.

წუთი იყო თუ ნაკლები — ვუსმინე. ახლს არაფერს ამბობდა, ხანზალაკი კვლავ დავწკარუნე. პოლკოვნიკი დამუხრუჭდა. პაუზით ვისარგებლე და ვუთხარი:

— თქვენ თოთხმეტში დილით ქუთაისში გელიან. ბატონო კნიაზევ, მისწერეთ სიმაკინს დეპეშა, რომ დაუხვდეს ბატონ პოლკოვნიკს. თუ საჭიროდ მიიჩნიოთ — წაჰყევით.

კნიაზევი ადგა.

— არ არის საჭირო, — ისროლა სახნოვმა.

— კეთილი და პატიოსანი, როგორც გენებათ... ბოდიშს ვიხდი, საქმეები მაქვს. წარმატებას გისურვებთ, ბატონო პოლკოვნიკო, ნახვამდის!.. როტმისტრო, დაბრძანდით აქ, — კნიაზევის ადგილზე მიგუთითე.

სახნოვი ადგა — ეს მექანიკური მოქმედება იყო. ადგა და ადგილ-ტაეპნას მოჰყვა. ალბათ, ისეთივიბა ჰქონდა, რომ აი, ასე კუდამოძუებული გასვლა არ შეიძლებოდა, რაიმე უნდა ექნა ან ეთქვა, მაგრამ, ჩანს, ხერხიანს ვერაფერს კარნახობდა გონება... ბოლოს, კარისკენ დაიძრა, ზღურბლთან შედგა და კვლავინდებური ტონით მითხრა:

— მე იძულებული ვარ, პირადად მოვახსენო მინისტრს, მაგ... მაგ შემაძრწუნებელი ფაქტის... ფაქტის, დიახ!

სახნოვი და კნიაზევი კაბინეტიდან გავიდნენ.

— ზარანდია მოსულია? — ეკითხე ადიუტანტს.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ... სძინავს, თავის კაბინეტში.

— სძინავს?

— დიახ. დილის რვაზე, თუ ცხრისნახევარზე შესულა კაბინეტში და სძინავს.

— გაიღვიძეთ და სთხოვეთ, მოვიდეს ჩემთან.

ცოტა ხნის შემდეგ ნამძინარეკი ზარანდია ჩემს მახლობლად სავარძელში ჩაეშვა.

— წუხანდელი ამბები მაინტერესებს, მუშნი.

სპადოვსკის პროკლამაციის ეპიზოდის ყველა დეტალები ჩემთვის მაშინღა გახდა ცნობილი, როცა მთელი საქმე კარგა ხნის დამთავრებული იყო. აღმოჩნდა, ჩემთან ლაპარაკში ზარანდიამ ზოგი რამ განზრახ გამოტოვა. თხრობის მიმდევრობა მოითხოვს, რომ ის გამოტოვებული ამბავი ახლავე ჩაეწერო და არა მერე და იმის მიხედვით თუ როდის გავიგე. კულაგინმა სპადოვსკის პროკლამაცია ფოსტით მიიღო სახნოვისა და ფალმეის მოსვლამდე, ასე, საათ-ნახევრით ადრე. წაიკითხა, აღშფოთდა და პროკლამაცია საკუთარი კომენტარებითურთ სახნოვს გადასცა. სახნოვმაც წაიკითხა და კულაგინთან საერთო ენა გამონახა იმ საკითხზე, რომ კავკასიაში ანტისახელმწიფოებრივ ძალებთან ბრძოლა ერთობ უთავბოლოდ

და სუსტად სწარმოებს. პოლკოვნიკმა პროკლამაცია მუნდირის ჯიბეში ჩაიდო. ამასობაში ვახშამიც მიიღეს. სახნოვის თვალებს ბრიალის მიზეზს, თუმც დაახლოებით, მაგრამ მაინც სწორად მივხვდრილვარ — მას აგურის კიკო მუნდირის ჯიბეში ედო. სტუმრები ჩემი წასვლის შემდეგ მალე აშლილან. სახნოვმა ენანტს ხელი გაუჭარა — გავისეირნოთ, შშვენიერი ღამეაო და აკი თავისი სასტუმროს კარს მიაყენა, ცხადია, იმ მიზნით, რომ ქალბატონი როგორმე ნომერში შეეტყუებინა. ენანტ დე ლამიემ თავპატიჟი გაიდო და უკარზე იდგა იქამდე, სანამ სახნოვი თვითმკვლელობით არ დაემუქრა. ქალი ჯერ, სწორად ორგანიზებულ უკანდახევას შეუდგა და ასეთი სიტყვების მერე შეჰყვა:

— Сереженька, я боюсь за тебя. Ты такой... племенной жеребчик— горяченький, горяченький...

საერთოდ, მადმუაზელ დე ლამიეს იმღამინდელი პერიპეტიები ზარანდიასთვის პიკანტურ წვრილმანებიანად უამბნია. მათ შორის ასეთი რამეც იყო: აბაზანა გამზადებული ყოფილა, სახნოვს ქალისთვის მიუთავაზებია, ჯერ თქვენ შებრძანდითო. ენანტ დე ლამიეს უთქვამს, — თქვენ მიიღეთ, როცა გამოხვალთ და დაწვებთო, მერე მე შევალ, მიყვარს, როცა მამაკაცი ლოგინში მიმელის და იმაზე ფიქრობს, თუ ბანაობის დროს როგორი ვარო. ამაზე სახნოვს ფრანგულად უთქვამს:

A la guerre comme la guerre!*

და დასაბანად შესულა.

ეს, ალბათ, კომენტარს არ საჭიროებს.

მადმუაზელ ენანტ დე ლამიემ პოლკოვნიკის მუნდირის უბიდან სპადოვსკის პროკლამაცია ამოიღო, სინათლეზე გაშალა და პორტატული ფოტოაპარატი აარხაკუნა. ხუთიოდ წუთის მერე აპარატიც და პროკლამაციაც თავთავის ადგილებზე იყო.

Sხვათაშორის, იმ ფიცხი სიყვარულის ღამეს ქალბატონმა დრო გამონახა დაეთვალიერებინა ... სახნოვს აცნობა, თოთხმეტში დილაობ ფოთში უნდა ვიყო, ოდესაში მივემგზავრები, გადაუდებელი საქმეები მაქვსო.

— როგორი საოცარი და სასიამოვნო დამთხვევაა! — წამოძახა სახნოვმა და მეორე დღეს მისმა ადიუტანტმა ფოთის მატარებელის სამი ბილეთი შეძინა ორის ნაცვლად. ორი — ქუთაისამდე, ერთი — ფოთამდე.

მადმუაზელ დე ლამიემ თავისი საწოლი ოთახის კარი ღილის ხუთ საათზე შეაღო. მუშნი ზარანდია ტახტზე წამოწოლილი დაუხვდა. ქალმა შეკავლება დააპირა, მაგრამ დამხვდურმა ტუჩებზე თითი მიიდო და სავარძელი მიუჩოჩა.

— ზარანდია, თქვენი უფროსი აქ და რუსეთის იმპერიის საზღვრებს გარეთ! დრო ცოტაა. პირდაპირ საქმე!..

კონტრდაზვერვის უფროსმა საძილე ოთახში შეხვედრა დაწვრილებით მიამბო, მაგრამ მან აქაც გამოსტოვა ერთი დეტალი: ზარანდიამ დე ლამიეს ჯერ სახნოვის ნომერში გადადებული ფირფიტები გაამეტალვინებინა, გასაშრობად დაალაგებინა და იმ „პირდაპირ საქმეს“, ეს იგი, რისთვისაც ძირითადად იყო მისული, მერეღა შეუდგა. საუბარი, სიყვავერი შეთანხმება, ინსტრუქტაჟი, ფიცის დადება და ვალდებულებრივი ხელწერილების დადასტურება ორ საათს გაგრძელდა. მერე გამშრალი ფირფიტებიდან მადმუაზელ დე ლამიემ თითო ფოტო დაბეჭდა, ზარანდიამ ნეგატივები ჯიბეში შეინახა და წამოსვლის წინ კიდევ ერთხელ შეახესინა დიასახლისს, რომ ამადამ თორმეტ საათზე სტარინ-კოვალსკისთან დაპირისპირება უნდა შემდგარიყო, ხოლო მომდევნო ღამით ფოთის მატარებელი დიდი ხნით, იქნება, სამუდამოდაც წაიყვანდა თბილისიდან იმპერიის საჭიროებათა გა-

* „ომში — როგორც ომში“. (იმოქმედე ვითარების მიხედვით).

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲐᲕᲘᲪᲝᲠᲘᲫᲔ
ᲥᲐᲗᲐ ᲗᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მო მკაცრ სასჯელს გადარჩენილ პროფესიულ ჯაშუშს.

კიდევ არ იყო გვიან. ყველაფრის გამოსწორება შეიძლებოდა და საჭიროც იყო, რადგან მოვლენებს მეტი გართულება ელოდათ. აქ ვრძნობაზე ლაპარაკი უკვე უ=დგილოა — ვიცოდი, რომ ასეც მოხდებოდა და მაინც გაეყუჩი.

ამ თემაზე საუბარს მოვრჩით, ზარანდიას ვაცნობე, რომ სამხედრო ოლქის სარდალმა სურვილი გამოთქვა მადმუაზელ დე ლამიე და, ჯერ კიდევ პორუჩიკის სტარინ-კოვალსკის „დაპირისპირებას დასწრებოდა.

— ეჭვი ეპარება? — იკითხა ზარანდიამ.

— ალბათ.

— მეთერთმეტე ბინაში ჩავატაროთ, იქ უფრო მოხერხებულია.

— კეთილი.

მეთერთმეტე ბინა ჩვენს ერთ-ერთ ქალაქგარე საიდუმლო სახლს ეჩქვა.

თორმეტს ხუთი წუთი აკლდა, ყველანი ადგილზე ვიყავით. სტარინ-კოვალსკი და მადმუაზელ ანენტ დე ლამიე ერთმანეთის პირდაპირ მაგიდას უსხდნენ. მაგიდასთანვე იყვნენ ზარანდია, მისი მოადგილე — შიტოვცევი და სამხედრო ოლქის პროკურორი — ზვიაგინი. სარდალი, პოლკოვნიკი გლებჩიკი და მე ოდნავ მოშორებით საკარძლებში მოვეწყეთ. ოთახს ორი კარი ჰქონდა, ორთავეს იქით დაბალი ჩინები გუშაგობდნენ.

-დაპირისპირება ჩვეულებრივი ფორმალობებით დაიწყო და ნახევარი საათის შემდეგ სარდალი ფეხზე წამოდგა.

— ყველაფერი გასაგებია. გამაცილეთ!

მე და პოლკოვნიკი გლებჩიკი ეტლამდე მივყევით სარდალს.

— არ გაახმაუროთ. ყველაფერი რესპექტაბელურად უნდა მოხდეს, — გვიბრძანა მან, ჩაჯდა და თბილისისკენ გასწია.

ცოტა ხანში დაპირისპირება ოქმზე ხელის მოწერით დამთავრდა. ანენტ დე ლამიე თავისი ეტლით წავიდა. ზარანდია, შიტოვცევი და მე გასამგზავრებლად წამოვიშალეთ. პოლკოვნიკ-ბიჩი ზეზე წამოდგა, უკვე სამხრეთაყრილ სტარინ-კოვალსკის მიმართა:

— ხომ იცი, რასაც მოითხოვს რუსი ოფიცრის ღირსება... ასეთ შემთხვევებში!

სტარინ-კოვალსკიმ საწერ-კლამი აიღო და დაწერა:

«Жизнь давно уже не стоит выеденного яйца. Старин—Ковальский».

გლებჩიმა მაგიდაზე რევოლვერი დაადგა. სტარინ-კოვალსკიმ აცაცაბებული ხელი წამოიღო, მაგრამ პროკურორმა იარაღი გაარდა და თავი აგვიქნია — წაბრძანდითო.

ეტლების დაძვრა იყო — გასროლაც მოისმა...

მეორე დღეს პოლკოვნიკ გლებჩიკს გადადგომის პატაკზე სარდალმა თანხმობის ვიზა დაადო.

ამავე დღეს ჰაჯი-სეიდის ფირმის მსახურებმა დიდი მოღუღული ხალიჩა პოლკოვნიკ სახნოვის ადიუტანტის თანდასწრებით რკინიგზას ჩააბარეს პეტერბურგში გადასაგზავნად. რამდენიმე საათის შემდეგ კი უსატუმბა იგი პატრონს გადასცა, სამსახურში დაბრუნდა და სპარაპეტას ხელახალი დაპატიჟების გეგმის მოფიქრებას შეუდგა.

რჩებოდა მხოლოდ ერთი რამ: საერთაშორისო ეტალონების დონეზე უნდა გაკვეთამაშებინა ავსტრო-უნგრუთის ვაკცეული ჯაშუშის — მადმუაზელ დე ლამიეს ძებნა და მიუგნებლობა.

ამისთვის გავჩხრიკეთ თბილისში მცხოვრებ ფრანგთა სახლები და სხვა უცხოელთა ბინებიც. გამოქვეყნდა სათანადო განცხადებები დე ლამიეს პორტრეტით. მთავარმართველმა კატეგორიულად მოსთხოვა უცხო სახელმწიფოთა თბილისურ საკონსულოებს, გადმოეცათ საშში დანაშაული, თუკი მან ვისიმე ექსტერიტორიულობის უფლებით ისარგებლა. ყველა მიმართულებით გამავალ მატარებელზე მოეწყო არაერთგზისი ძებნა და მგზავრების საბუ-

თების შემოწმება. ბლოკირებულ იქნა საქართველოს ნავსადგურები შავ ზღვაზე და სანაპირო დაცვის კატარღებმა გაჩხრიკეს ბოლო ორი დღედამის პანძილზე ამ ნავსადგურებიდან გასული ყველა ხომალდი...

მაგრამ ეს ოპერაცია დაიწყო მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ბუენა „დელ-ფინი“ ფოთიდან სამი საათის გასული იყო და პოლკოვნიკი სახნოვი თავის ადიუტანტს სალდიფონის იუმორით უყვებოდა ქანტე დე ლამიესთან გატარებული დროის სექსუალურ დეტალებს.

ჩვენ რუსეთის კონტრდაზვერვის „მარცხის“ ევროპული პრესის რეზონანსი გვესაჭიროებოდა და მივიღეთ კიდეც — სენსაციურმა ცნობებმა არ დააყოვნა. შემდეგ, დიპლომატიური არხები ამოქმედდნენ და გაზეთებს საღაბო ისევ ბლომად ჰქონდათ. ზარანდიას სასწრაფოდ უხმეს პეტერბურგში. იგი ჯერ კიდევ იქ იყო, როცა, მადმუაზელ ქანტე დე ლამიეს „გაქცევის“ დღიდან სამი კვირის შემდეგ, ემიგრანტების გაზეთმა სპადოვსკის პროკლამაციის სრული ტექსტი გამოაქვეყნა. ეს უკვე საერთაშორისო მასშტაბის სკანდალი გახლდათ, მაგრამ პოლკოვნიკ სახნოვის სახელი არსად და არავისგან ხსენებულა.

დაახლოებით ორი კვირის მერე ზარანდია, როგორც იტყვიან, საღი და სალამათი დაბრუნდა.

მხოლოდ ჩამოსვლის შემდეგ მიამბო, თუ როგორ ჩაუვარდა ხელში სპადოვსკის პროკლამაციის ფოტო-პირი მადმუაზელ ქანტე დე ლამიეს.

ცხოვრება ისევ თავისი კალაპოტით წარიმართა.

სახნოვი რომ ქუთაისში საქმეებს მორჩა, დასავლეთ საქართველოდან წამოსულმა ბორჯომისკენ გადაუხვია — იქ თავისი წრის ხალხი ეგულებოდა, შვებულების გატარება სურდა მათთან ერთად. ერთი თვე იქაური წყლებზე დაპყო და თბილისს მერეღა ჩამოვიდა.

დღის ბოლო იყო, სახნოვმა ადიუტანტი ზარანდიასთან აფრინა, დაუყოვნებლივ მეახლოსო.

ადიუტანტმა ზარანდიას სულზე მიუსწორო. ჩემმა ხელქვეითმა პოლკოვნიკის სურვილი მოისმინა და ბინაზე დამირეკა — მაშინ პეტრე დიდის ქუჩაზე ეცხოვრობდი.

— თქვენო ბრწყინვალებავ, ზარანდია ვარ. გადაუდებელი საქმე მაქვს, უნდა მიმიღოთ!

ცხადი იყო, რომ მტკივნეულად თავაზიანი კაცის ასე დაყინებული მოთხოვნა უსაფუძვლო არ იქნებოდა. შევინშნე, მუშნი ზარანდია ღელავდა! უყოყმანოდ დავთანხმდი, ვუბრძანე, სასწრაფოდ მოსულიყო.

ამის შემდეგ ზარანდიამ სეიფიდან ორი დიდი, უხვად დალუქული პაკეტი გამოიღო. პაკეტებში საქაღალდეები იდო. ერთი მათგანი მან ადიუტანტს გადასცა და უთხრა:

— მოახსენეთ ბატონ პოლკოვნიკს, რომ ეგ პაკეტი გახსნას, მასალებს გაეცნოს. თუ ამის შემდეგ პოლკოვნიკი ჩემთან საუბარს საჭიროდ აღარ მიიჩნევს, ხვალ კვირა დღეა, და იცოდეთ, რომ საღამოს რვა საათზე. გრაფ სეგედის ბინაში ვიქნები, პასუხი თქვენი ხელით გამოგზავნოს.

ადიუტანტმა გზავნილების მიღებაზე ხელი მოაწერა და რამდენადმე უცნაური პასუხით შეცბუნებულმა დატოვა კაბინეტი. მეორე პაკეტი ზარანდიამ ჩემთან ამოიტანა, ადიუტანტის მოსვლა, პოლკოვნიკის ბრძანება და თავისი პასუხი მაცნობა და მითხრა:

— თქვენო ბრწყინვალებავ, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სახნოვთან მისვლა აღარ დამჭირდება და, მაინც, თუ ასეთმა საჭიროებამ იჩინა თავი, თქვენ უნდა იცოდეთ, რაც გავუგზავნე პოლკოვნიკს. ეს ორი პაკეტი ჩემს სეიფში შენახული დედნის დამოწმებული ასლებია.

პაკეტს უაღრესად სასწრაფო და საგანგებოდ საიდუმლო კორესპონდენ-

ციის ნიშნები ჰქონდა. ზარანდიას კიდეც რომ არ ეთხოვნა, ვალდებული ვიყავი დაუყოვნებლივ გამეხსნა.

გავხსენი.

საქალაქოს ყდაზე არსებული წარწერის მიხედვით, ეს იყო ჟანდარმერიის პოლკოვნიკ სახნოვის მიერ ჩადენილი სახელმწიფო, პოლიტიკური, სისხლის სამართლის და ზნეობრივ დანაშაულთა მამტკიცებელი საბუთების კრებული. საქალაქოს პირველი გვერდი წარმოადგენდა საქმეში შეტანილი საბუთების ნუსხას. სტრიქონები ჩამოვთვალიერე და ბორკილების ყრუ ყლარუნი შემომესმა. მუშნი ზარანდიას გადავხედე: წამით მომეჩვენა, რომ ეს ტანხმელი კაცი, სკამზე გორგალივით იდო, კისერი ჰქონდა მოღერებული... ნუსხა გადავფურცლე — ბრალდების წარდგენის ოთხგვერდიანი ოქმი დამიხვდა და შემდეგ კი ამ ოქმში მოყვანილ ბრალდებათა მამტკიცებელი საბუთები — ასი, ასოცი გვერდის როდენობით. საქალაქოს ბოლოსწინა გვერდი ზარანდიას პირადი წერილი იყო სახნოვისადმი. ამ წერილში ეწერა, რომ პატიეცემულ პოლკოვნიკს ეძლეოდა ბედნიერი შემთხვევა, ამოერჩია ერთ-ერთი: ან საქმის გამოძიება სამინისტროს საგანგებო კომისიაში, ან ნებაყოფლობითი გადადგომა სამსახურიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებიდან გადაბარგება. ბოლო ფურცელი წარმოადგენდა მინისტრის სახელზე დაწერილ გადადგომის პატაკს, რომელსაც მხოლოდ სახნოვის ხელმოწერა აკლდა.

რაში დებდა ბრალს კავკასიის კონტრდაზვერვის უფროსი პოლკოვნიკ სახნოვს! ბრალდების წაყენების ოქმში დანაშაულობები აღმავალი წესით იყო მოყვანილი: ნაქურდალი საქონლის შესყიდვა; გარყვნილებითა და სქესობრივი აღვირახსნილობით თანხლებული მრუშება; პროფესიული უვიცობა და მოვალეობებისადმი გულგრილი დამოკიდებულება; კავკასიის საიდუმლო პოლიციის და ჟანდარმთა სამმართველოს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ მიმართული ინტრიგები; ინფორმაციების სამსახურის დარღვევაში დაბეზღებული შეცდომების კატასტროფული შედეგებ ტატების გამო პასუხისმგებლობა, რაც უცხოეთის პრესაში სათანადო ცნობების გაჟონვის ფაქტით გვირგვინდებოდა; დასასრულ, უცხო სახელმწიფოთა ჯაშუშებთან დანაშაულებრივი ურთიერთობა, მათგან ფულადი სახსრების მიღება, ჯაშუშ ქანეტ დე ლამიეს გაქცევის ორგანიზება და სხვა.

მასალა ვრცელი და ტევადი იყო. მის შესწავლასა და ანალიზს კარგა ხანი დასჭირდებოდა, მაგრამ იმ საქალაქოში თავმოყრილ საკითხებს, ძირითადად, ვიცნობდი და ამიტომ ზარანდიას აღვუთქვი, რომ ხვალინდელ საღამოს რვა საათამდე სამე შესწავლილი ქექნებოდა.

ზარანდია წავიდა. მე მისთვის მიცემული დაჰპრების კეთილსინდისიერ აღსრულებას შევუდექი.

მეორე დღეს იგი ერთი საათით ადრე ჩავიდა. არც სახნოვის ადიუტანტს დაუგვიანია — დანიშნულ დროსდე მოიტანა პოლკოვნიკთან გაგზავნილი საქალაქოდე გადადგომის ხელმოწერილი პატაკითურთ. ჩანს, სახნოვი მიხვდა, რომ მისი, ერთი შეხედვით, მიამიტი საქციელი ზარანდიამ სხვა, საბედისწერო კუთხიდან დაინახა, ყელზე ქამანდი იგრძნო, პანიკამ მოიცვა და მასალების შესწავლის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდა — მსჯავრს ვეღარსაით წაუვიდოდა.

სულ მალე მინისტრმა და ჟანდარმთა შეფმა, რამდენიმე რევერანსის შემდეგ, სახნოვის გადადგომის თხოვნა დაკმაყოფილეს.

ამ ნაწყვეტის დასაწყისში ნათქვამს გავიმეორებ: ძნელი საფიქრებელი იყო, რომ სულ სხვადასხვა ბუნების ოთახებში და ვითარებები ერთად მოიყრიდნენ თავს, ზავად წამოვიდოდნენ და ბუნდ სახნოვს დაიტანდნენ.

დიდი ხნის შემდეგ ჩემს ყურს მოსწვდა ვერსია, თითქოს, სახნოვი გადადგომით კი გადადგა, მაგრამ თავის გამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლების იმედი კარგა ხანს არ დაუკარგავს — ზარანდიას ნამოქმედარის გასაბათილებლად, ამგვარ საქმეებში გამოცდილი ადვოკატების თანადგომითა და დახმარებით, ორი წელიწადი უშრომია. ამან მისთვის სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. მართალია, კონსულტანტებმა სახნოს უკმოვნეს შესაძლებლობა მის წინაღმდეგ წამოყენებულ ათიდან სამ თუ ოთხ ბრალდებაში ზარანდიას პროფოკაციული მოქმედება დამტკიცებულიყო, მაგრამ დანარჩენი ექვსი თუ შვიდი მაინც სახნოვის კისერზე რჩებოდა. ერთი სიტყვით, დუმილი ურჩიეს და დადუმდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მე იგი გენერალური შტაბის ერთობ მაღალი თანამდებობის ოფიცრად ვიხილე... ჰოი, განგებავ!

პერმის გუბერნიაში გადასახლებული ერთი პოლიტპატიმარი სამი წლის განძილზე ყოველ ორ კვირაში სწერდა ათგვერდიან საჩივრებს გამოძიების მსვლელობაში პროცესუალური ნორმების დარღვევის გამო. მისი საქმე ჩვენ გამოვიძიეთ და ამიტომ ყველა საჩივარი მე, მეგზაურებოდა დასაკვნილთვის. მისმა დაჟინებამ მაფიქრებინა, რომ საჩივრები ყურადღების ღირსი იყო. იქნებ, სათქმელს ვერ აყალიბებს და სიმართლე კი, მართლაც მის მხარეზეა მეთქი. ხელახალი გამოძიების თანხმობა მივეცი, გადასახლებული ჩამოიყვანეს. ერთ-ერთ დაკითხვას თავადაც დავესწარი. ვესაუბრე, სიტყვამ მოიტანა და ვკითხე.

— რატომ სწერდით იმ სიგრძე საჩივრებს? ხომ მოგეხსენებათ, რაც უფრო ვრცელია საჩივარი, მით მეტი შესაძლებლობა არსებობს, რომ ან უგულისყურად იქნას წაკითხული და ან სულაც წუკითხავი დარჩეს?

— ეშმარიტებას ბრძანებთ, მაგრამ არის საქმეები, რომელთა შესახებ მოკლედ დაწერო, ნიშნავს, რომ არაფერი დაწერო! ჩემი — სახელდობრ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება. მართალი ვარ?

დავფიქრდი და გამეცინა:

— წწორი ბრძანებაა! — მისი საქმე, მართლაც ამ ტიპისა იყო.

ეს შემთხვევა იმიტომ მოვიტანე, რომ შეზღუდული თუ ჭკვიანი კაცების პრობლემაზე ჩემი შეხედულების გამოსათქმელად ამ სიგრძედ წერა, რა თქმა უნდა, აუცილებელი არ იყო და არც დავწერდი, ერთი, უკვე აღნიშნული საჭიროება რომ არა: ვიხილავ იმას, თუ რა გავლენა მოახდინა ზემოთ მონათხრობმა ამბებმა ჩემს ფსიქიკასა და მომავალზე. ამისთვის კი უფრო შემოკლებული ჩანაწერი ამოსავალ მოცულობად, ჩემი აზრით, ვერ იქმარებდა.

შალვა ზარანდია

— მოვიდა ერთხელ დათა, ზამთრის არდადეგები იყო, მახსოვს. ასე თერთმეტი საათი იქნებოდა ღამის. მოაკაკუნა მამაჩვენ მაგალის ფანჯარაზე. ნიშანი ქონდა. არ მეძინა მე და კარის გასაღებად ერთად მივედით მე და ბაბა.

შემოვიდა, მოიხადა ნაბადი, — მუშნიმ დამიბარა აქ, დღეს და ამ დროსო.

ავანთეთ ლამპა. ილაპარაკეს ჰატარა, ოჯახის და დათას საქმეების თქვეს. დედაჩვენი თამარიც გამოვიდა. იტირა, საწყალმა, და უხაროდა თან, კაი ხნის უნახავ ვაჟიშვილს რომ ნახავდა ერთად. ლიზა გაალვიძა — ობოლი გოგო იზრდებოდა ჩვენთან, ცოცხალია ახლაც, კარგი ადამიანია, ნამეტანი, — ვახშმის სამზადისს შეუდგნენ ქალები.

— რა მინდაო? ხომ არ დაუბარებია მუშნის? — კითხა თამარმა.

— გადაუდებელი საქმე მაქვს, უნდა განახო უეჭველადო. სხვა არ შემოუთვლია არაფერი, — მიუგო დათამ.

მაგალიმ გაიცინა, — რა საკითხავია ეგო! მარა დედა იყო, შვილების სიახლოვე უნდოდა და ამან აკითხვია, საცოდავს.

ბაბუა ამირეჯიბი
დათა თუთაშხია

ნახევარი საათი გავიდა დათას მოსვლის მერე და ფლოქვის ხმა გაისმა ახლოს. გაეგებე, მუშნი იქნება ესო. გავედი და მართლა ჩვენს ჭიშკარს მოადგა მგზავრი.

ჩამოსტა მუშნი, გადმეხვია, ჰოიკითხა, არ ლამანება, თვითონ შეიყვანა თავლაში ცხენი, თვითონ აჰყარა ალვარუნაგირი, თივა დაუგო და წყალი მომატანინა ხელ-პირის დასაბანად.

რკინიგზათ როდის და რომელ სადგურამდე მოვიდა, არ ვიცი, მარა იმ კუნაპეტ ღამეში მარტოკინამ როგორ გაბედა მგზავრობა, ის იყო საქმე. მოგახსენეთ უკვე, სამეგრელოში და კერძოდ, ჩვენს გზებზე მაშინდელ დროში შეღამების მერე სიარულს კაი გაბედვა უნდოდა, მაინც. ვკითხე პირის ბანის დროს, როგორ არ მოერიდე მარტოხელ მგზავრობას-თქვა.

გაიცინა:

— შალვა, ძამიკო, რამდენსაც ლაპარაკობენ, იმდენი ძარცვა-გლეჯა რომ იყოს მართლა, ყაჩაღების იქნებოდა ქვეყანა.

— ყაჩაღების არის ქვეყანაო, ბაბამ იცის თქმა.

— სხვა ყაჩაღებს ამბობს ბაბა. გზაზე დედაბერს ხურჯინს რომ წაართმევენ, იმ ყაჩაღებზე არ ლაპარაკობს. შევდეთ, ახლა.

დათა და მუშნი იმ ღამეს ერთად პირველად უნდა შენახა და კიბეებზე რომ ავდიოდით, გული ამიცახცახდა მათი შეხვედრის მოლოდინში. ერთი — აბრაგი იყო; მეორე — კონტრდაზვერვის უფროსი, მარა ძმები იყვნენ ერთმანეთისთვის...

შევედით შინ. ჯერ დედას ემთხვია ხელზე მუშნი და მერე გადაკოცნა ორივე — დედაც და მამაც. დათა ფეხზე იდგა. ათიოდ წამი ერთმანეთს უყურებდნენ ძმები. მერე მუშნი დაიძრა და დათაც წამოვიდა მისკენ. ხელი ჩამოართვეს, გადაეხვიენენ ერთმანეთს. ისე ვიდექი, რომ მხოლოდ მუშნის სახეს ვხედავდი. ზხარზე თავი დაადო ძმას, ცოტა ხანს განაპული იყო. მერე ჩაილაპარაკა, — უფრო გამოცცლილხარ და შებერებულხარ, ვიდრე [illegible] დიო და ცრემლით ატირდა, საცოდავი, ძლიეს იკავებდა ქვითინს.

ამ სურათზე თამარმა მოთქმა დაიწყო. ეცა მაგალი დასამშვიდებლად, მეზობლები გაიგონებენ და გადმოგვიკითხავენ, უბედურობა ხომ არ დაატყდეთ რამეო.

გაშორდნენ ძმები, მაგიდას შემოუსხდნენ პირისპირ. მუშნის, — ეეჰ-ო, აღმოხდა. ცრემლები შეიმშრალა და მაგიდას ჩაუშტერდა.

— შენ იყავი კარგად, მუშნი... არაფერი მიგირს მე.. — ჩაილაპარაკა დათამ და მომდგარი ცრემლი ღვინის ყლუპს ჩაატანინა.

ამსობაში ვახშამიც გამზადდა. იქნება, არც შიოდა ვინმეს, მარა იმ სიჩუმეში ხომ უნდა გეკეთებინა რამე! ბაბამ აკურთხა სუფრა, პირჯვარი გადავისახეთ ყველამ და შეუდექით ვახშამს.

კაი ხანი გავიდა ასე. მუშნიმ დაარღვია სიჩუმე:

— ვხედავ, პაემანზე მოსვლის ნაკად ხერხს გადაუხვევ, დათა. დანიშნულ დროს ნოხვედი, სწორედ.

— ჯერ არ დაგმისახურებია ჩემგან შეურაცხყოფა შენ!

— არ მესმის?..

— რა დროსაც დამბარე, მოვედი იმ დროს. ძმის და პატიოსანი კაცის სტყვა იყო ის და ჩემგან დროზე მოუსვლელობა შენს ძმობაში და რაინდობაში ეჭვის შეტანა იქნებოდა. ვერ გაკადრებდი ამას.

მაგალიმ გაიღიმა, დათას პასუხი ეამაყა. თამარმა თავი ჩაღუნა, ხელსაქმეს ჩააცქერდა: ერთ ვაეს დაუმალა მეორე ვაეს ნათქვამით გამოწვეული სიხარული.

— ჩემი სახელით რომ ესარგებლა ვინმეს და ხაფანგი მოეწყო აქ. რას შვრებოდი მაშინ? — სიცილით კითხა მუშნიმ.

— ელემ გადმომცა შენი დანაბარები.მე, — არ მიყვა ხუმრობაზე დათა.

— ჩემი პირობა და დასტურიც მან შოგატანა. უცხო არ ჩარეულა ჩვენს სიტყვაში. ვის უნდა მოეწყო ხაფანგი, ნეტავი?

— შემთხვევას, — ისევ სიცილით უთხრა მუშნიმ.

— შემთხვევას? — დათამ მუშნის შეხედა, — საით მიყავს ეს ლაპარაკი. — შემთხვევისთვის ყოველთვის მზად უნდა ვიყო მე.

მუშნი გაფაციცდა, პირისკენ წაღებული ლუკმა საინზე დააბრუნა. წამოდგა, ოთახის ყველა კუთხე და კედელი მოიარა თვალით.

— იარაღი სად არის შენი, დათა?!

— ამის მეტი არ მაქვს თან, — დათამ ჩოხაზე, მარცხენა უბესთან მიიდო ხელი. — დავმალე დანარჩენი... იარაღით რატომ უნდა გამოგვლიდეო. დი, ვითომ? რას იფიქრებდი შენ?

მაგალმაც მოათვალიერა ოთახი და მხოლოდ ახლა შენიშნა დათას უიარაღოდ ფოსვლა.

— უბეში რომ გიდევს, მაგაზე რა ვიფიქრო და როგორ ჩავთვალო ეგ? — მოგვიანებით გამოელაპარაკა მუშნი.

— ისე უნდა ჩათვალო, რომ დაჩვეული ვარ საჭურველს და შემაწუხებდა მთლად უიარაღობა.

ვახშამს შევექცეოდით, ულუფას ჩავყურებდით ყველა. მხოლოდ მე გავხედავდი ხოლმე ჩუმად, ხან ძმებს და ხან დედ-მამას.

— რა იარაღი გაქვს მანდ? — თავი არ აუწევია, ისე კითხა მუშნიმ.

— ნაგანია.

დედაჩვენი თამარი იმ დროისთვის ასაკით და დარდით იყო გატეხილი უკვე. მოხრილი დადიოდა, საცოდავი, მარა ახლა წამოიწია, მხრები გაშალა, ლარიჟით გაიმართა წელში, — ასე რატომ გიკვირს, ნეტავიო, იტყოდა. ყელი მოიღერა, მკაცრი, შეუპოვარი თვალებით დაუწყო ყურება უფროს ვაჟებს— ხან ერთს და ხან მეორეს. მისი გაზრდილი ვიყავი და მისი ასეთი განწყობილება ცნობილი იყო ჩემთვის: მაშინ იცოდა ეს, როცა შეურაცხყოფილად თვლიდა თავს, ან ოჯახის და შვილების რაიმე განსაცდელს უგრძნობდა გული. სერხე გადმომდგარ ირემს დაემგავსებოდა ხოლმე უცებ.

კიდევ გაფაციცდა მუშნი, დანა-ჩანგალი საინს მიუწყო, დათას მიაჩერდა და პატარა ხნის ფიქრის მერე უთხრა:

— გამოიღე, ერთი. მაჩვენე. ენახო, მინდა.

დათა ვერ მიუხვდა ნათქვამს.

მუშნიმ ანიშნა, — უბეში რომ გიდევს, ისო.

დათა ერთი წამით შეყოვნდა, მერე ჩოხის უბიდან რევოლვერი გამოიცა, ხელისგულზე დადებული მიართვა მუშნის. ამან ერთხანს უყურა რევოლვერს, ხელში აიღო, გადახსნა, სავაზნეს ჩახედა და იარაღი ჩვენს დასანახად მოაბრუნა:

ცილინდრში ერთადერთი ვაზნა იყო!

— გულჩვილობა შემოგპარვია, ძალია! — თქვა მუშნიმ, რევოლვერი ჩაკეტა და დათას დაუბრუნა. — სიბერემ იცის ეგ და პატარა ნაადრევი ხომ არ არის შენთვის!

— რა ხდება აქ! — მკაცრად იკითხა მაგალმ.

— თქვას მაგან, — მიუგო მუშნიმ.

ვერ გამეგო, რას ნიშნავდა ის ყველაფერი, მარა მაინც სუნთქვა შემეკრა, დამცხა და რაღაც ზუზუნი ვიგრძენი თავში.

— ასე დაგჯაბნა სიკვდილის შიშმა, რომ თავის მოკვლაც შეგიძლია, დათა, შვილო? — თქვა დედაჩვენმა.

დათამ ჩაიცინა, თავი გაიქნია, — სხვაა აქო.

მუშნის ლაწვის თავები აუცახცახდა, ნიკაპიც მოექცა თითქოს:

— რას... — ხმა ჩაუწყდა და თავიდან იკითხა: — რას გულისხმობდი?!

— თქვი ეგ შენ უკვე: შემთხვევას!— მშვიდად მიუგო დათამ.

— დაწყნარდით! — ჩაილაპარაკა დედამ და უცებ ჩადგა ყველაფერი თავის

პირვანდელ კალაპოტში. — მასე სიკვდილი მარტო შენი სიკვდილი არ იქნებოდა, დათა, და მეშინიმაც იცოდეს ეს. სირცხვილით ამოწყვეტას ნიშნავს ოჯახისას ეგ!

დედაჩვენის ნათქვამიდან ისე გამოდიოდა, რომ მეშინისგან ღალატი და ხაფანგი მოსალოდნელად მიეჩნდა... ამას მიჰვდა მეშინი, ისევ იფეთქა, მარა დედას ვერ გაუბედა უხეში სიტყვა, თავს დროზე მოეძინა და გაჭირვებით თქვა:

— მე რომ ვიკადრო ის, რაშიც თქვენ, დედა, და დათას ეჭვი შეგპარვიათ... ჩემისთანა შვილის და ძმის ყოლას და მერე კიდევ სიცოცხლეს, იქნებ მართლაც თავის მოკვლა ჯობდეს, ღმერთმანი!

— სულ სხვა ლაპარაკია ეგ ლაპარაკი... — თქვა დათამ, მარა დედაჩვენმა არ აცალა:

— თქვენით არ იწყება და თქვენით არ თავდება ჩვენი მოდგმა და ოჯახი, გახსოვდეთ ეს! შვილები და შვილთა შვილები გვყავს, წინაპრები გვყავდა და მათი საძვალე არის კიდევ. ნათესაობა გვყავს და შემაცქერალი გვახვევია. ადამიანი ადამიანით არის!

— ორივემ ვიცით ეგ, დედა, — წყნარად მიუგო დათამ. — არც ერთს არ გვიკადრებია სასირცხო საქმე და ავი სახელი ოჯახისთვის...

— ადარ მინდა მაგაზე ლაპარაკი!— ცივად მოუჭრა თამარმა, მარა მაგალიმ, — მე მაქვს სათქმელიო:

— კიდევ თუ დაგიბარა მეშინიმ სადმე და მის ქმობაში ეჭვი შეგეპარა — იარაღით მიდი იქ. თუ მოხდა მუხთლობა, იარაღი გექნება თან, დაალწიე ხაფანგს თავი — შენი ხელობაა ეგ— წადი გადასაკარგაგში და თუ დარწმუნდი, რომ მეშინის ხელით იყო ის მუხთლობა, ქენი საქმელი, მარა ისე, რომ მიზეზი ვერ გაიგოს ვერავინ. წესიერ ოჯახში ერთი თუ გამოვიდა ბოროტი და უხსენებელი, იმ ოჯახის მეორე კაცს არ აქვს უფლება, ერთის ბოროტება მთელი ოჯახისა და მოდგმის სახელად და სალანძღავად აქციოს. ოჯახის სახელი სუფთა უნდა დარჩეს ხალხის და მომავლის თვალში. გასწავლიდით მე თქვენ: შენს სამშობლოში შენი ოჯახის დასანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ — შენი ერის დასანი, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა და გარეთ — შენი ერის! სწორად ცხოვრება თუ გინდა — ეს არის, დათა, და შენც გეხება მეშინი, რაც ვილაპარაკე.

— ვთქვი მე უკვე და ახლა თქვენ ბრძანეთ, ბაბა: ძმასთან პაემანზე საშუთრელთი მისვლა, ძმის შეურაცხყოფა ხომ იქნებოდა? — მიმართა დათამ.

— იქნებოდა... — მეშინიმ ჩარევა დაუპირა, მარა დათამ ხელი აწია:

— ერთ წამს მაცალე... შემთხვევა რომ თქვა მეშინიმ, ის იქნება თუ სხვა რამ, ხომ შეიძლება მოხდეს?

— ყველაფერი ხდება, — დაუდასტურა მაგალიმ.

— მოვხვედი ისეთ ვითარებაში, რომ უნდა მეცნენ და გამიკოჭონ ხელები!.. ხალხი უეჭველად ამას იტყვის — ძმამ ძმა გაისტუმრა კატორღაში თუ სარჩობელაზეო, და ასეთ ამბავში რა ურჩევნია ადამიანობას?..

— ადამიანობას? — შეაწყვეტინა მაგალიმ. — ადამიანობას ის ურჩევნია, რომ გაგიკოჭონ ხელები და სანამდე სახრჩობელაზე გაგიყვანენ, იძახო ქვეყანაზე და არწმუნო ყველა, — ძმა არაფერ შუაშია აქ, ჩემი ძმის მტრების ხელით მოხდა ესეო!

— კაი, ბაბა, მაგრამ ჩემი ადგილი, ჩემი გონებისა და გულის ადგილი, სანამდე ჩამომახრჩობდნენ, იქამდე მაინც, თუა სადმე?

— მასეთი გზა და სავალი გარგუნა ძალიმა ღმერთმა, წამებაა შენი ადგილი! ცხოვრების მიზანი გაქვს ისეთი, რომ ღირს წამებად. მაგ საქციელში, — მაგალიმ უბეზე მიანშინა დათას,—მხოლოდ შენს თავზე, შენი გონებისა და გულის ადგილზე გაქვს ნაფიქრი, დათა, და შედეგზე ჩაგიქნევია ხელი...

— თავისი სიკვდილის პატრონიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ალარ იყოს კაცი, რაა ეს? — ჩაიცინა დათამ.

კაი ხანს იყო ამის მერე სიჩუმე.

— ამდენი ხნის უსახავ ძმებს უკეთესი სალაპარაკო რომ ალარ გაქვთ... —ხალალპარაკა თამარმა, იყო ერთხანს ჩუმად და თქვა მერე: — ვერ ჩამიდგია ერთმანეთის სიყვარული გულში თქვენთვის.

— პირიქით არის, დედა, ეგ, — მიუგო მუშნიმ. — ისეთ გზებზე გაგვიყვანა განგებამ... სხვა ძმები, ჩვენს აღგილზე, მტრად გადაეკიდებოდნენ ერთმანეთს.

— საქმეზე ვილაპარაკოთ ახლა. ამღამე უნდა წავიდე მე, — თქვა დათამ.

— მასე აჯობებს, — ყოჩაღად დაუდასტურა მუშნიმ, მარა გაუჭირდა ლაპარაკის დაწყება. შორიდან უყურდა, ფრთხილად ეპარებოდა სათქმელს.

ჭკვიანი კაცი იყო მუშნი და რაც დათასთვის ცალ-ცალკე ქონდათ ნათქვამი სხვებს, ის ყველაფერი მარტოს ქონდა მოფიქრებული, თავმოყრილი, დასაბუთებული და სათქმელად მომზადებული. აქეთ — ბერდები, აბრაგობას რომ ჭირდება, ის თვისებები გიჩლუნგდება და ახლა უფრო ადვილად მოიძებნება შენი მჯობნელი და მკვლელიო. იქეთ — ძმებს გზაზე გადაუდექი და ოჯახს სული ამოხადე შენზე დარდით და ტირილითო. ახლა, უსამართლო ცხოვრებას ეწევი, ძმიმე ცოდვებს იდებ, სხვები ვბაძავენ, ძალადობენ და აირია ქეყანაო. მერე, ვინც მოყვარე და მფარველი გყავდა, მტრად გადაკიდე ყველა და ერის სიკეთისთვის რომ სჩადიხარ, სწორედ მის წინააღმდეგ შემოტრიალდა ყველაფერით და ვინ იცის, რა არ ილაპარაკა კიდევ მუშნიმ. ისე ემოხვეოდა და ისე ერთნაირი იყო მისი და სხვისი ნათქვამი, რომ, მუშნის დარიგებული ხომ არ იყენენ ისინი — თქვა, გავიფიქრე. დათამაც ასე იფიქრა, შეიძლება, მარა ისეთი მოსმენა იცოდა, იტყოდი, — სხვაზე ფიქრობს ახლა და არც ესმის, რას ელაპარაკებიანო. რას გაუგებდი? კაი ნახევარი საათი მოუნდა მუშნი თავისი მოსაზრებების გადმოლაგებას და რომ დასასრულს, კითხა დათას:

— ასეა ეს და მითხარი, რას აპირებ მომავალში, როგორ გაქვს განზრახული?

— მონასტერში მიდის, ბერად აპირებს აღკვეცას, — გაიცინა მაგალიმ. — ეფემია-წინამძღვარი შეპირდა, მე ძოგაწყობ სადმე, რუსეთშიო!

ამაზე დათამ ოდნავ გაიღიმა და სიჩუმე ჩამოვარდა. ისე მეგონა, რომ სულაც არ აპირებდა პასუხს, მარა მუშნი მიჩერებოდა და ელოდა.

— ეგ, რაც თქვი შენ, ჩემზე იყო სულ. ისიც უნდა თქვა, მუშნი, შენ რა გინდა და მაშინ იყოს ჩემი პასუხი თუ უპასუხობა, — უთხრა დათამ.

მუშნიმ დათას თვალი თვალში გაუყარა, გაიცინა, თავი გადაიქნია და თქვა:

— პეტერბურგში გადავყავარ მინისტრს, დათა!

ყველა მუშნის მივაჩერდით და ვდუმდით. მარტო დათას ქონდა თვალები ჩახრილი.

— დიდ თანამდებობას გპირდებიან, ალბათ, — სიჩუმე დაარღვია დათამ.

— ძალიან დიდს. პოლკოვნიკ სახნოს, ტაძაძალს, იცნობ შენ. — დათამ ჩაიცინა. — მის თანამდებობას დავიკავებ, ასე, ერთი წლით და მერე სხვა ადგილზე გადამიყვანენ. ის იმხელა ადგილია... მინისტრი არ ვიქნები, მარა თალია. მაგრამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საგარეო საქმეებში ვერც მეფე და ვერც მინისტრები ნაბიჯს ვერ გადადგამენ უჩემოდ. გონიერ ნაბიჯს ვიმბობ.

— პოლკოვნიკს რას უშვრებიან, სად მიყავთ? — კითხა დათამ.

— მოეძებნება საკადრისი ადგილი.

თამარმა ახლალა მოაცილა თვალი მუშნის. ხელსაქმეს დაუბრუნდა, ცრემლი წამოუვიდა.

ბაგრატ ამირეჯიბი
დათა თუთაშხია

მაგალიმ შენიშნა ეს და დაუყვავა:

— ბერდება ეს ხალხი, თამარ. თავისი გზა აქვს ყველას. არაფერი სატირალი არ არის ეს ამბავი.

— უფრო დიდი კაცი რომ ვიქნები, დედა, უფრო ადვილად და კარგად არ მოვახერხებ ჩემი მშობლების შვილობას? — დაამშვიდა მუშნიმაც.

— რას ელი მაგ ცვლილებიდან, მუშნი? — ჩაილაპარაკა დათამ.

— საიდუმლო მრჩველის ჩინს! — ჩაიცინა მაგალიმ.

— ჩინი თანამდებობას ახლავს, — ცივად თქვა მუშნიმ. — ბევრ რამეს ველი. უპირველესად ყოლისა იმას, რომ მეტი სარგებლობის მოტანას შეეძლებ ჩემი ქვეყნისთვის და ხალხისთვის. პატარა კაცი ვარ, არავინ იცის და არც ვინმეს ანგარიშს წარვუდგენ ბასანადღებლად, მაგრამ უკვე ბევრი ვაქვს გაკეთებული ამ მხრივ. იმ თანამდებობის სიმაღლიდან მეტი მოხერხდება...

— მაგ განზრახვით და დაპირებით ბევრმა მიაღწია მაღალ თანამდებობას, მარა იქ რომ მივიდა, მერე ველარ შეძლო სურვილისა და დაპირების შესრულება, — სიტყვა ჩამოართვა მაგალიმ.— ასე იცის სხვის სამსახურში ღიღაკობამ. მეფის სამსახური მისთვის სასარგებლო და შენი ერისთვის საზარალო რაც არის, იმას გაგაკეთებინებს მარტო.

— ეგ კაცი არ ვარ მე, ბაბა! ტახტს იმიტომ ვემსახურები, რომ ერსებულზე უკეთეს აწმყოს და მომავალს ჩემი სამშობლოსთვის ჯერჯერობით ვერ ვხედავ. აქამდე და დღესაც, თვითონ რასაც ვთვლიდი ამ მხრივ მიზანშეწონილად, მხოლოდ იმას ვაკეთებ და ასე იქნება სამარის კარამდე. რეკოლუციონერები და პოლიტიკოსები ისეთ დებულებებს თუ წამოაყენებენ, სადაც ჩემი ერის უკეთეს მომავალს დავინახავ და ვირწმუნებ, მათი მხარის დაჭერას ვერავინ დამასწრებს. ერთს ველი კიდევ ჩემი მომავალი სამსახურებრივი მდგომარეობიდან: კაი რთული და ძნელი საქმეების გაკეთება შეეძელი უკვე. ოღონდ დღევანდელ სამსახურში მეტი ფასდაკლებაა იქნებ შეუძლებელიც იყოს, ასპარეზია მცირე. ადამიანი ვარ, მეტი მწყურია და მინდა ვიცოდე, რაზე გადის ჩემი შესაძლებლობების ზღვარი, გასაქანი მჭირდება.

— სწორად გადაგწყვეტია, მუშნი,— თქვა დათამ ცოტა ხნის მერე, — მაგრამ რაღაც გიშლის ხელს, მგონია, და თქვი ეგეც ბარემ.

— უბარალო ამბავია: ერთი ძმა ოცი წელიწადი აბრაგობდეს და მეორეს მეფის კარზე უზარმაზარი თანამდებობა ეკავოს — არ გამოვა ასე! — ხმამაღალი და გაღიზიანებით იყო ნათქვამი ეს.

— მერე? — გამოცოცხლდა მაგალი-მამაჩვენი, სუფრაზე შემოდო მკლავები და მუშნის მიაჩერდა.

დათამაც აწია თავი.

— მოსაზრებები ყველა და არაერთხელ არის ნათქვამი, — დაიწყო მუშნიმ. — გამეორებას აზრი არა აქვს. გამოსავალი არც ერთხელ არ თქმულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეფემიაწონამძღვრის რჩევას ბერად აღკვეცის შესახებ. მე მაქვს გამოსავალი, შინაგან საქმეთა მინისტრთან პირადად შეთანხმებული: დათა უნდა თავის ფეხით მოვიდეს, ჩაგვბარდეს და ციხეში ჩაჯდეს. ჩვენ ეს გავასამართლებთ, მივუსჯით ხუთი წლის პატიმრობას. სასჯელს საქართველოში მოიხდის. განთავისუფლდება, როგორც ყველა დანაშაულმოხდილი მოქალაქე. რომ ეს სახელდობრ ასე იქნება და არა როგორმე სხვანაირად — ამის პასუხისმგებლობას ოჯახის, ძმის და საკუთარი სინდისის წინაშე, მე ვიღებ ჩემს თავზე!

მაგალიმ გაიცინა, რაღაცის თქმა დააპირა, მარა მუშნიმ გაიჩერა:

— მოითმინეთ, ბაბა!.. ამ საკითხზე ნუღარ ვილაპარაკებთ. თვითონ ოფიციალურს დათამ. ექვსი თვე შეუძლია ფიქროს. თუ დაუჯდა ჭკუაში, აგერ ვარ მე. თუ არ მოინდომა — ისეე ის ვართ ერთმანეთისთვის, რაც აქამდე ვიყავით. გათავებულია ლაპარაკი!

— მასე იყოს, — ჩაილაპარაკა მაგალომ და მართლა აღარავის ამოუღია ხმა.

ვისხედით კიდევ ათიოდე წუთს. წამოდგა დათა, ჩაიცვა, დაგვეშვიდობა ყველას და ზღურბლიდან უთხრა მუშნის, — ვიფიქრებ მეო. იდგა პატარა ხანს ზღურბლზე, მერე მუშნისთან მივიდა, გადაეხვია და აკოცა.

— შენს საკეთებელსაც და ჩემს საკეთებელსაც ჩვენი ძმობის სიწმინდე ჯობია, მუშნი! — უთხრა დათამ და წავიდა.

სიჩუმე იყო, არკაცს არ ამოუღია ხმა. რამდენი ხანი გავიდა, ვინ იცის, და მუშნიმ თქვა თავისთვის:

— მართალია!

ასე იყო ეს.

ერთი ის არის, რომ დათას სინდისნამუსის კაცს, იქნება, არც შეეძლო სხვაფრად მოქცეულიყო — მივიდა და ჩაჯდა, მარა, მეორე მხრივ, დარწმუნებული ვარ, კიდევ რაღაც უნდა მომხდარიყო ისეთი, იმ გადამწყვეტ ნაბიჯზე რომ უბიძგებდა.

ამის, რა მოგახსენოთ, არაფერი ვიცი და არც მუშნის გაეგებოდა რამე, ვთქვი ეს მე უკვე.

გრაფი სეგედი

როგორც იტყვიან, ღრეობა დამთავრებული იყო და ზარხოშს გამონელების, ანგარიშგების დრო დამიდგა. თვით პოლკოვნიკი სახლოვი და მისი ხვედრი მეორე რიგის საკითხად მიმაჩნია, იმ ზომით აღარც ზარანდიას როლი და პოზიცია მაინტერესებდა, როგორც საქმის მსვლელობის პროცესში იყო. ახლა უკვე ვცდილობდი გამოვეტანა საბოლოო, ნათელი და მკაფიო დასკვნა — რა სულიერი ზარალი განვიცადე და განვიცადე თუ არა, საერთოდ. ვიდექი თუ არა ჩემი პრინციპების სიმაღლეზე ბოლო წლებში, თუ იაფიან ოლეოგრაფიებზე დახატულ თაგვთა-მმუსარელად ვიქეცი. თავში სრული ქაოსი მქონდა, ერთი რამ მისაღები, სამართლიანი აზრისთვის ვერაფრით მიმეგნო და ვგრძნობდი, რომ დიდი გარდატეხის ჟამი მიახლოვდებოდა.

ასეთ სულიერ ვითარებას, თითქოს, დაუყოვნებლივ უნდა გამოეწვია ზარანდიასთან საუბარი. დამოკიდებულებათა გარკვევა, ფაქტებისა და პოკულენებისთვის ნამდვილი სახელების დადგენა-დარქმევა, მაგრამ ამ გზაზეც აღმოჩნდა სპეციფიური დაბრკოლებები. ჯერ ის, რომ, როცა ორმა ადამიანმა ამა და ამ თემაზე საუბარს ერთხელ გვერდი აუარა, მომავლისთვის გადადო, მესამედ, ვითომ უადგილოდ ჩათვალა, და ბოლოს, თვითდინება არჩია, მაშინ, რაც უფრო მეტი დრო გადის, ის საუბარი მით მძიმე, საჩოთირო და შეუძლებელი ხდება. სტუდენტობაში ერთმა ამხანაგმა უმნიშვნელო თანხა მთხოვა სესხად. დანიშნულ დროს ვერ დამიბრუნა. მერე თავს მარიდებდა და ვალიც აღარასდროს დაუბრუნებია — სატყვის გატეხვისა, ვალის ასე დავიანებით დაბრუნებისა რცხვენოდა. ეს მაგალითი ზემოთქმულის ასახსნელად. ვგრნებ, ივარგებს. მეორე: ზარანდიასთან საუბარს შეიძლება ზოგი ისეთი უსიამოვნო რამ დაედასტურებინა, რაც ჩემს ცნობიერებაში მხოლოდ ჰიპოთეზის სახეს ატარებდა და, ამდენად, არც ისე მაწვალებდა, როგორც უკვე გამოტანილი დასკვნა, კონსტატირებული ფაქტი დამტანჯავდა. აქ უკეე ქეცნობიერება მამეხრუტუნებდა. ერთ დღეს ეს ყველაფერი ნათლად ვიგრძენი, საშინლად აღშფოთდი — ჩემი თავი მხდალი, დამყაყებული, უსუსური დავინახე, მაშინვე ყველა საქმე გადავდე და ზარანდიას ვეხმე. იგი პეტერბურგიდან ორი თუ სამი დღის დაბრუნებული იყო.

მოვიდა, დაჯდა. გრძნობდა, რისთვი-

ᲒᲐᲯᲐᲠᲝᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ
ᲓᲐᲗᲐ ᲗᲣᲗᲣᲠᲐᲨᲘᲐ

საც ჯუზმე. ამანაც შემაყოვნა, მაგრამ თავს მოვერიე და ვთქვი:

— მუშნი, ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი სალაპარაკო გვაქვს. მე თქვენგან სრულ გულწრფელობასა და პირდაპირობას ველი. ამ საუბრის შედეგებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ძალიან ბევრი!

— გისმენთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ზზად ვარ.

დაფიქრდი, როგორ დავიწყო-მეთქი და მომეჩვენა, რომ ყველაფერი ცხადია და სალაპარაკოც აღარა იყო რა.

ამ მოსაზრებამ ღიმილი მოიგვარა. ზარანდიას მომლოდინე იერი ჰქონდა, ძალიან გამიჭირდა საკითხის დასმა. ამაში საუბრის თემის ზუსტად ჩამოყალიბებას არ ვგულისხმობ. მოელვანათ რთული ხლართიდან მთავარის გამოყოფა ვერ მომეხერხებინა, ალბათ, ისიც მიქმნიდა დაბრკოლებას, რომ მეშინოდა, სულიერ გასაჭირს, უილაჯობას არ დამგვანებოდა ჩემი პირველი ფრაზა.

— მე მინდა გავიცნო თქვენს შეხედულებას იმაზე, თუ რამდენად სწორად ვიმოქმედეთ პოლკოვნიკ სახნოვის მიმართ!

ზარანდიამ პასუხი დააყოვნა, ფიქრობდა.

რაზე უნდა ეფიქრა? ამ კითხვაზე მას, რა თქმა უნდა, დეტალებში დაზუსტებული პასუხი ამთავითვე უნდა ჰქონოდა — სხვაფრივ იგი სახნოვის წინააღმდეგ მოქმედებას არ შეუდგებოდა, ეს ზარანდიასთან ურთიერთობების გამოცდილებით ვიცოდი.

— თქვენო ბრწყინვალებავ, მე მინდა დავაზუსტო, რას გავცე პასუხი: როგორია ჩემი შეხედულება ივ. ან ისეთ „მოქმედებაზე“ ზოგადად, თუ მოქმედებაზე კერძოდ სახნოვის შემთხვევაში?

ძალიან გულიანად გამეცინა, რაღაან ზარანდიას შეყოვნებისა და დაფიქრების მიზეზს მივხვდი:

— მუშნი, ადამიანებთან ურთიერთობის ზოგიერთი ხერხი თქვენი ფსიქიკის განუყოფელ, აუცილებელ კომპონენტად იქცა. რაღაც მეკანიზმი ჩაგეთრგზა ბათ ხოლმე, მოუხედავად იმისა, სანდო რა თუ არა. თქვენი ეგ კონტროშქანიზა ქვეცნობიერი იყო და მიზნად ისახავდა საუბარში ინიციატივა თავიდანვე, დაუყოვნებლივ ჩაგეგდოთ ხელში. ამკერძად საუბარი მე უნდა წავიკანონ. მიპასუხეთ დასმულ კითხვაზე და რაც შეიძლება, მოკლედ.

— იქნებ, მართალიც ბრძანდებით, მაგრამ არ მიფიქია, მაგრამ არ მგონია, ეგ თვისება უარყოფითი იყოს. ახლა, პასუხი თქვენს კითხვაზე: ვიმოქმედე მე და არა ჩვენ, თქვენო ბრწყინვალებავ!

— მე არ შეგიშალეთ ხელი, არ შეგაჩერეთ, თუმც კი მთავარი ვიცოდი და მეორეხარისხოვანს — გგრძნობდი. ვიმოქმედეთ ჩვენ და არა მარტო თქვენ. ბანაგრძეთ!

— არსებობს მეორე პასუხიც: სახნოვი მოქმედებდა და არა ჩვენ.

— ნუ ვიქნებით სიბაქლეებში. თავს ქვეშაში ნუ წავიყოფთ, მუშნი! მივიღოთ და სადავოდ ნუღარ გავხდით დებულებას, რომ ორივემ ვიმოქმედეთ.

— თქვენ უარჰყოფთ ვერსიას, რომელიც ცალკე შინაგან საქმეთა მინისტრმა და ცალკე შეფმა მიიღეს, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტება?

— მიიღეს თქვენგან და, ამასთან ერთად, რომ სხვა ვერსია მათ ხელს არ აძლევს!

— კეთილი და პატიოსანი! მაშინ იმის დასადგენად, სწორი იყო თუ არა ჩვენი მოქმედება, ჯერ ის აღვნიშნოთ, თუ საიდან გამოვდივართ. სახელმწიფოს და ტახტის ინტერესებიდან, ხომ?

— დიახ, მაგრამ ერთია — სწორი ამოსავალი პოზიცია და მეორეა, თუ რამდენად სწორია ესა თუ ის მოქმედება, თუნდ უუსწორესი პოზიციიდანაც კი.

— იმ პოზიციიდან, საიდანაც უნდა გამოვდიოდეთ და ყველა შემთხვევაში გამოვდივართ კიდეც, სახნოვის მიმართ ჩვენი მოქმედება მიზანშეწონილად და სწორად მიმაჩნია! — მტკიცედ თქვა

ზარანდიამ და უფრო მტკიცედ დასძინა: — ყოველდა დაუშვებელი იყო მის ხელში მართვის სახელმწიფოებრივად დიდმნიშვნელოვანი სადავეების ჩაგდება!.. შეზლუფლი პროვინება! ეს თქვენი გამოთქმაა და მე სავსებით ვიზიარებ მაგ კონცეფციას. ერთადერთი არგუმენტი, გრაფ, რომელიც შეიძლება გამოგეგებნოთ ის არის, რომ სხვა, მღიბელი, დაკანონებული ხერხებისთვის უნდა მიგვემართა. ეგ არის, სასურველი შედეგის მისაღებად, სახელდობრ, როგორ და რა უნდა გვეღონა— არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის და ვერც ვვეცოდინება. რატომ? სხვა გზები არ არსებობდა, იმიტომ. მე, რა თქმა უნდა, რეალურ გზებზე მოგახსენებთ და არა სათუო ღონისძიებებზე, თუ სანახევრო ზომებზე, რაიც სახნოვის მდგომარეობას განამტკიცებდა და არა ჩვენსას. ის, რაც მოვიმოქმედდეთ, სახელმწიფოს სჭირდებოდა, გრაფ. და მერე მე და თქვენ.

— ჩვენ სასაძაგლეები, მუხანათობები, პროგოკაციები გამოვიყენეთ, ბატონო ზარანდია!.. — სიტყვა გამიწყდა, რადგან აქ უკვე მუშნი ზარანდიას აუვარდა სიცილი. — რატომ იცინთ, მართალი არ ვარ?!.

— როგორ **არა**, თქვენო ბრწყინვალებავ, ჭეშმარიტებას! ბრძანებთ, ჭეშმარიტებას, მაგრამ... ეს გამოთქმა მეპატიოს, სხვა სავარძელში გადაბრძანება ინებეთ და მაგას იქიდან ლაპარაკობთ! თქვენი ნათქვამი ჭეშმარიტებაა ზოგადკაცობრიული ზნეობის თვალსაზრისით. აკი გკითხეთ, როგორ პასუხს თხოულობთ-მეთქი, — ზოგადს თუ კონკრეტულად სახნოვთან მიმართებაში? Quod licet jovi, non licet Bobi. ზოგადკაცობრიული სამართლიანობისა და ზნეობრივი ნორმების დაურღვეველად თანმედროვე სახელმწიფოს კეთილდღეობა გამორიცხულია; მეორე მხრივ, ადამიანთა უმრავლესობამ ჩაწერილი სამართლიანობა და ზნეობრივი ნორმები თუ არ დაიცვა— სახელმწიფო კი არა, თვით სიცოცხლეც მოისპობა. ცბიერება და ბოროტება, იმპერიის შემთხვევაში, სახელმწიფოს ის იარაღია, რომლითაც მან საზოგადოებას სამართლიანობისა და სიკეთის ბორბები უნდა აღასრულებინოს. მიაქციეთ უურადღება, გრაფ, მე ვამბობ უნდა აღასრულებინოს-მეთქი.

— ეგ მაკიაველიზმია, ბატონო ზარანდია!

— დიახ, მაკიაველიზმია! ის ბრძენი და კეთილი ადამიანი ბეგრს ბოროტ კაცად იმიტომ მიაჩნია, რომ მან გულაცხელად, საქვეყნოდ თქვა ის, რასაც სხვები სიკეთის ნიღაბს ამოფარებულნი, ვერაგულად და აკანკალებული ხელებით აკეთებენ. ის, როგორც თქვენ ბრძანეთ, სასაძაგლეები, მუხანათობები, პროვოკაციები, რაც სახნოვის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული — სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობდა!

— მაშ, სახელმწიფო თქვენც ბოროტ საწყისად მიგაჩნიათ?

— იმპერია! მაგრამ კაცობრიობა დაუცხრომლად მუშაობს იმაზე, რომ სახელმწიფო ნამდვილი სიკეთის წყაროდ აქციოს.

— თქვენ და თქვენი ბიძაშვილის მეგობრებს ერთნაირი შეხედულებები ვქონიათ, მუშნი!

— იმ განსხვავებით, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ მათი ნება თუ იქნებოდა, იმპერიას დღესვე მოსპობდნენ. მე — ლოდინს ვამჯობინებ.

საუბარი შეწყდა. პირველად და ცხადად დავინახე, რომ სახელმწიფოს დანგრევის მსოფლიო-ისტორიული სული გაღვივების ინტენსიურ პროცესს განიცდიდა. მოვლენების ცენტრში ვიდექი და ვიცოდი, რომ მსოფლიოში გასაოცრად იმატა იმ ადამიანთა რიცხვმა, ვინც ყველა და ყოველგვარ საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა პანაცეად ნგრევას მიიჩნევდა. იგულისხმებოდა არა პრუდონისა და ბაკუნინის რეცეპ-

ტურა სახელმწიფოს ინსტიტუტის გაუქმების შესახებ, არამედ იმპერიის დანგრევა ახალი სახელმწიფოს შექმნის მიზნით. განსაკუთრებით საყურადღებო ის იყო, რომ ზემოხსენებულმა სულმა ჩვენი საზოგადოების ყველა ფენა მოიცვა, რაც ერთობ სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვდა. რა იყო ეს? იმ წმინდა და მხოლოდ რუსული სულის გამოვლინების მოსამზადებელი პერიოდი, როცა ეიღაც გარეწარი უნდა გამოცხადებულიყო, ეთქვა, — დიმიტრი მეფე ვარო, და რუსეთის მიწა-წყალს შფოთი და არეულობა დაუფლებოდა? ან ახალი ემელკა პუგაჩოვი იტყოდა, — პეტრე III გოლდშტინელი ბატონიშვილი გაეცოცხლდიო, და მილიონნაირნი ბრბოები ცელებითა და სამთითებით ზარბაზნებზე მიიტანდნენ იერიშს? იქნებ, თვისობრივად და ხარისხობრივად სხვა, სრულიად უცნობი რამ მზადდებოდა? თუ იმპერია საერთოდ და კერძოდ ჩვენი იმპერია ბოროტების აქტიურ საწყისად იქცა, მაშინ მე — მისი ერთგული მსახური — ბოროტების განხორციელებას ვანდომებდი ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიასა და ნიჭს. მეორე მხრივ, ჩემს ხელში გამოვლილ პოლიტიკურ პატიმართა დიდი უმრავლესობა, უდავოდ, პატიოსანი. პირუთვნელი და უანგარო ადამიანებისგან შესდგებოდა. სწორედ ესენი ესწრაფვოდნენ იმპერიის დანგრევას და არა ეიღაც ნაძირალები!

სად იყო ამ ვითარებაში პატიოსანი კაცის, ერთგული მამულიშვილის ადგილი? როგორი იყო ამოსავალი კონცეფცია? რომელი ზნეობრივი, პლატფორმიდან უნდა მომეხდინა აბსტრაგირება?

დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს და მე აკვიატებული ჰანგივით ვიმეორებდი ყველა მოსაზრებას. რაც კი ამის თაობაზე წამეკითხა, მსმენოდა თუ ნანახიდან გამომეტანა. ერთხელ დალაქის სავარძელში მთვლემარეს მეწვია აზრი, რომ საუკეთესო გამოსავალი სამსახურიდან გადადგომასა და მოვლენათა გარედან ჭვრეტაში იყო. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ სანამ განზე გადგებოდი, ვერც მართებულ დასკვნებს მივაგნებდი, ვერც ღირსეული და მიზანშეწონილი ადგილის პოვნას მოვახერხებდი. ეს აზრი ფსიქიკაში ლურსმანივით ჩამერჭო და გადადგომის ყოველი გაფიქრება ამ ლურსმანს ჩაქუჩივით ურტყამდა.

ბოლოს ის დღეც გათენდა, როცა გადადგომა გადაწყვეტილი მქონდა და აღარც დამიყოვნებია. ათას ცხრაას ოთხი წლის აღრე გაზაფხულზე, მინისტრს გადადგომის პატაკი მივართვი და პასუხის მოლოდინში ბუსავით გავინაბე. ვითარების ლოგიკა მკარნახობდა, რომ ჩემს თხოვნას დაკმაყოფილებდნენ და, აი, რატომ: დიდმა თავადმა, თურქე, დაუფარავი საყვედურის ტონით ჰკითხა შინაგან საქმეთა მინისტრს, — ჩემი ნათლული სიკ ადვილად როგორ გიმეტეთო! მინისტრს უთქვამს, — სხვა გამოსავალი არ იყო, მაგრამ შევეცდები არც მის მტრებს შევარჩინო რამეო. თუკი გადავდგებოდი, მინისტრს საშუალება მიეცემოდა დიდი თავადისთვის ეთქვა: თქვენი ნათლულის დაბრუნება, მართალია. ვერ ხერხდება, მაგრამ დაპირება შევასრულე, გრაფი სეგედი სამსახურიდან გადადგა.

ვერც სამსახურიდან გასვლის გადაწყვეტილებამ მომიტანა სიმშვიდე. ჩემს საფიქრალს ახალი საღელვიც დამეტა. გამიშვებდნენ თუ არა? მზადყოფნით თუ სინანულით? ღირსეულად თუ ვაწლის ნაღრღნენით გადამაგდებდნენ? ჩემი ხნის კაცს ცხოვრებისეული ვამოცდილებით, ასაკობრივი სიბრძნით უნდა მეხელმძღვანელა, მაგრამ, არ დავმალავ, სული მიცქმუტაოდა. ფრიად გავრცელებული და, ოითქმის საყოველთაო თვისებაა, რომ ადამიანს თუ გულზე რაიმე სადარდებელი აწევს, მაშინ თავის საწუხარზე სხვებთან საუბრის მოთხოვნილებაც აწვალებს — უპირატესად ჭკვიან, საქმეში ჩახედულ კაცებთან საუბრისა. ჩემს წრეში ამ თემა-

ზე თანამოსაუბრე არავინ მყავდა, თუ ზარანდიას არ მივიღებდით მხედველობაში, და, ღმერთმა ხომ იცის, იმ საუბარზე სჯა-ბაასის როგორი ჭიაც მეჯდა. ვიხელთებდი თუ არა განმარტოებას — ფიქრი დამრეოდა ხელს, უნებლიეთ მეხსიერებაში ვიქექებოდი, ისეთ კაცს დავეძებდი, რომელთანაც ორიოდ სიტყვის თქმა და მოსმენა შეიძლებოდა ერთი ასეთი დაფიქრების დროს სანდრო კარიძის ფიგურა ამოტივტივდა. ლანდს ხელი ავუქნე, უცნობ კაცთან ესოდენ საკუთარ ტკივილებზე რამ უნდა მასაუბროს-მეთქი, მაგრამ იქვე გავიფიქრე, რომ ისეთ ადამიანთან, როგორადაც მე სანდრო კარიძე მყავდა წარმოდგენილი, სიამოვნებით გავიტარებდი, ვთქვათ, ერთ ან ორ საღამოს.. გავიდა ცოტა ხანი, ლანდი კვლავ გამომეცხადა, ისევ უკუვაგდე მასთან ურთიერთობის აღდგენის იდეა და აქ უნებლიეთ დავიწყე იმის გახსენება თუ სად ირიან ან რას აკეთებენ დათა თუთაშხიას და ქალბატონ ნანოს გარშემო ერთ დროს შემოკრებილი ადამიანები. ყველა სათითაოდ მოვიგონე. გამოიარკვა, რომ ჩემს საფიქრალს არც ერთი მათგანი არ სჭირდებოდა და მაინც, ანაზღაურ, ჩემთვისვე მოულოდნელად თანაშემწეს ვუხმე, სანდრო კარიძის ადგილსამყოფლის დადგენა ვუბრძანე. უკვე გადიოდა და მივაძახე, — მისი დოსიეც მომიტანეთ-მეთქი.

ერთი საათის შემდეგ ვიცოდი, რომ სანდრო კარიძე — თავისი ერისა და დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი კაცი — ყოველდღიურ ამაოებას გასცლოდა და შიმოგვიმის მონასტერში აღკვეცილიყო. იქ მას სრულიად არაფერი ევალებოდა. პირიქით, მიჩენილი ჰყავდა მორჩილი, რომელიც მისი პირადი მდივნის როლს ასრულებდა და სამეურნეო სამსახურსაც უწევდა. სანდრო კარიძეს თავისი ბიბლიოთეკა მონასტერში გადაეტანა — კითხულობდა. სწერდა. რას სწერდა? ესეც ცნობილი იყო: სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ტრაქტატებს და არა თეოლოგიურ ესსეებს იმაზე, თუ ნემსის ყუნწში ერთდროულად რამდენი ეშმაკი გაეტევოდა. აი, მისი ტრაქტატების სათაურებიც: „ადამიანი, მისი დანიშნულება“; „ისტორია და ზნეობა“; „პიროვნება, ერი, კაცობრიობა“; „მოქალაქე და სახელმწიფო“; „პოლიტიკოსები და ხალხები“ და სხვა. დოსიე შეიცავდა ჩვენი აგენტის დასკვნასაც: „ბ-ნი კარიძის ნაწერები ძირს უთხრის ქრისტიანულ სარწმუნოებას და არსებული წყობილების წინააღმდეგ არის მიმართული“. იყო ყოველივე ამაში ღიმილის მომგვრელი რადაც, ვინაიდან, დოსიეს მიხედვით, თავისი მოქალაქეობრივი ცხოვრება სანდრო კარიძეს უკიდურესი მონარქისტობით დაუწყია. რას იქმს კაცი, აქაც ოგივე მომხდარა: mutantur tempora et nos mutamur in illis.

უკვე წაკითხული ხომ საინტერესო იყო, მაგრამ სანდრო კარიძის ურთიერთობების თაობაზე შეკრებილ ინფორმაციას როცა გავეცანი — სუნთქვა შემეკრა! რამდენიმე აგენტურული დასმენის ერთად გაანალიზების შედეგად ასეთი რამ გამოდიოდა: კარიძესთან ოთხჯერ იყო ნამყოფი კაცი, რომლის გარეგნობა, საქციელი, მეგრული კილო და აღწერილობის სხვა დეტალები ზუსტესად ხატავდა ბატონ დათა თუთაშხიას... ან ბატონ მუშნი ზარანდიას!..

დასწყვეტლოს ღმერთმა, ეს სპირიტიზმს ჰგავდა იმ განსხვავებით, რომ სული საჰაოდან, სინამდვილიდან გამოვიწვიე. მე რომ სანდრო კარიძეს ვნახავდი, ეს, თითქოს, იქვე და მაშინვე გადავწყვიტე, მაგრამ ჯერ ყოყმანმა და შემოვე თვით შეხვედრის ხერხების შერჩევა-დაგეგმვამ კარგა ხანი მოითხოვა. შეხვედრას შემოხვევის ხასიათი უნდა ჰქონოდა. ამისთვის სანდრო კარიძის დღის წესრიგი იყო შესასწავლი, ანუ მონასტრიდან გამოსვლების მიმდევრობა. მისვლის ადგილები და სხვაც

ბაბუა ამირეჯიბი
დათა თუთაშხია

ბევრი რამ. ამ მზადებას ერთი თავისებურებაც ჰქონდა — კარიძესთან ჩემი შეხვედრა ზარანდიას არ უნდა სცოდნოდა, ყოველ შემთხვევაში, შეხვედრამდე მაინც. ეს ასე აიხსნებოდა: ერთი, რომ პირადი მოტივები მაძიძრავებდა და ზარანდიას, ანუ სამსახურს ამაში არაფერი ესაქმებოდა, მეორე: ის ეშვის აღმძვრელი კაცი, რომელიც კარიძესთან ოთახზის იყო, თუ დათა თუთაშხია აღმოჩნდებოდა, მე, რა თქმა უნდა, შეეცდებოდი ისიც მენახა, მაგრამ სასაუბროდ და არა სამსახურებრივ მოვალეობათა აღსასრულებლად. ესე იგი, ზარანდიას ჩარევა ჩემთვის არც აქ იყო სასურველი. ვერც იმას გამოვრიცხავდი, რომ კარიძესთან მარტო თუთაშხია როდი დადიოდა. იქნებ ზარანდიაც?!. ხომ შეიძლებოდა აგენტს ერთ და იგივე პირად მიეჩინა ტყუპებივით დამგვანებული. ბიძაშვილ-მამიდაშვილი, მით უმეტეს, რომ კარიძესთან არც თუთაშხია მივიდოდა ორ-ორი მაუზრით და არც ზარანდია — ეპოლეტებით; დაახლოებით ერთნაირად იქნებოდნენ ჩაცმული.

დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა მმართებდა კიდეე იმიტომ, რომ კარიძეზე მიჩენილ აგენტს შეეძლო თავისი გადამბირებლისთვის ჩემი მისვლის ფაქტიც ეცნობებინა. პირველი შეხვედრა მონსტერის გარეთ, სადმე გზაზე ან რკინიგზის სადგურზე უნდა მომხდარიყო და სასურველი იყო — პირისპირ, ისე, რომ კარიძის მორჩილიც კი არ დაგვსწრებოდა. ერთი სიტყვით, გეგმის მონახაზი უკვე მქონდა და მოქმედება, ცხადია, იმით დავიწყე, რომ გავიგე, სახელდობრ ვისთვის მუშაობდა კარიძეზე მიჩენილი აგენტი...

ზარანდიასთვის!

ყველაფერი ყირამალა დადგა. გავიფიქრე, რომ ზარანდიას ფიგურა, აი, უკვე რამდენი წელიწადია, აჩრდილივით მდევდა და შეეძლო შიზოიდური მოგლენები აღეძრა ჩემს ფსიქიკაში. ეგ არის, მაგარი ნერვები მქონდა და ვთვლიდი, რომ ცხოვრება სწორედ მოულოდნელობებისგან შესდგება.

ასე იყო თუ ისე, იმის მეტი არ მრჩებოდა რა, რომ ან განზრახვაზე ეფიქრა ამეღო, ან ზარანდიას შესაძლებლობებით მესარგებლა. ამ ორჭევანსაც კარგა ხანი მოვანდომე. ბოლოს, გადავწყვიტე ჯერ თვით ზარანდიას გამოვლაპარაკებოდი და. როცა პირისპირ დავრჩით, ვკითხე:

— მუშნი, საღ არის ცენზურის ყოფილი მოხელე, ბატონ დათა თუთაშხიას მეგობარი — სანდრო კარიძე?

— შიომღვიმის მონასტერში, თქვენო ბრწყინვალებავ. ბერად შედგა, — ღიმილით მითხრა ზარანდიამ.

— მეც ასე ვიცი. როგორ გგონიათ, რამ გამოიწვია ეგ მეტამორფოზა?... ამბობენ, სისხლითა და ხორცით ერისაკეთაო.

— ყველაფერი ცნობილია, ბრაფ. კარიძესთან ორი აგენტი მუშაობს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ასე, რომ ცნობების შემოწმების საშუალებაც კი გვაქვს. პოლიტიკურ ტრაქტატებს წერს და ქრისტიანული სარწმუნოების რეფორმაციის თეორიულ საფუძვლებს ქმნის. ყოველ შემთხვევაში, ასე უწოდებს ჩვენი ერთ-ერთი აგენტი კარიძის საქმიანობასა და ნაწერებს. მონასტერსაც, ალბათ, ამისთვის მიაშურა, მაგრამ მგონი, ოჯახურ განხეთქილებასაც უნდა ეთამაშა გარკვეული როლი. ბერებს კარიძე არ უყვართ, ზურგს უკან წურბელასა და მუქთამჭამელს ეძახიან. სამაგიეროდ, წინამძღვარი მფარველობს, თანამოაზრეები არიან, ყოველ მხრივ უწყობს ხელს.

— რატომ დაინტერესდით კარიძეთი?

— შტაბსკაპიტანი ლიამინი დაინტერესდა. სურდა, გაეგო, რას აკეთებს კარიძე მონასტერში. მკითხა, იქ აგენტი ხომ არ გყავსო. არ მყავდა, მაგრამ მე უფრო მიმიწვევებოდა ხელი და გავიჩინე კიდეც. ჯერ ერთი აგენტი და მერე— მეორე. ლიამინისთვის საინტერესო საკითხის მოკვლევაში კი შემოხვევით ისიც დადგინდა, რომ კარიძეს დათა თუთაშხიასთან კავშირი არ გაუწყვეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ დარწმუნებული ხართ, მუშნი, რომ ის ოთხჯერ მისული კაცი დათა თუთაშხიაა?

ზარანდიამ გაიცინა და მითხრა:

— ოთხგზის ნამყოფობას დღისე შეიტყვს, თქვენო ბრწყინვალეობავ. ისე კი... ისე, იქამდეც დადიოდა, სანამ ჩვენმა ბიჭებმა მუშაობა დაიწყეს. დღისეში ხსენებული ოთხი მოსვლიდან ორი დათა თუთაშხიასია და ორი ჩემი. პირველად იმისთვის მოვედი, რომ სანდრო კარიძეს გავსაუბრებოდი და დათა თუთაშხიასთან შუამავლობა მეთხოვა. მეორედ მოვედი, რომ გამეგო, თანახმა იყო თუ არა შეხვედრაზე დათა თუთაშხია.

— თანახმაა?

— არა, თქვენო ბრწყინვალეობავ.

— რატომ?

— რაც უნდა მელაპარაკო, ვიცი და თუ შენი ნახვა მომეწყინა, გიპოვი როგორმეო! — ზარანდიამ გადაიხარხარა.

— მე კარიძის ნახვა და მასთან საუბარი მაინტერესებს, მუშნი.

ზარანდია დაფიქრდა, ისევ გაიცინა და მითხრა:

— შეეუფთვლი, გრაფ. დათანხმდება. ოღონდ ერთი პირობით: მეც წამიყვანეთ.

— სიამოვნებით! — უყოყმანოდ დავყევი.

ის შეხვედრა სხალტბაში მოხდა და შემდგომში ჩვენი დაახლოება გამოიწვია. უკვე პირველი შეხვედრის დროს გადამდგარი ვიყავი. მერე, არმაზში აგარაკი ვიყიდე, უმეტესად იქ ვცხოვრობდი. არმაზიდან შიომღვიმის მონასტრამდე შვიდი, რვა ვერსია და ამ გარემოებამ მე და სანდრო კარიძე უფრო დაგვაახლოვა. თვე არ გავიდოდა, რომ ერთმანეთს რამდენჯერმე არ შეხვედროდით. ჯერ — პირველი შეხვედრა.

სხალტბა შიომღვიმის ქარაფებს ზემოდან არის. პირობისამებრ მამასახლისთან მივედით. ოროთახიანი პატარა სახლი ედგა.

— მესპინძელო! — დაიძახა ზარანდიამ.

მამასახლისის ეზოს საკმაოდ მაღალი ტყრუშელი ერტყა, მაგრამ უნაგირის სიმაღლიდან ყველაფერი ჩანდა. ბაღის ბოლოში, მხარმარჯვნივ, ტოტებ გაბარდულ-გადახლართული, სწორედ ქოლგასავით გაშლილი პანტა იდგა. პანტის ძირში სკამ-მაგიდა იყო გამართული. ორნი ისხდნენ. ერთი, თავად მამასახლისი გახლდათ — ზარანდიას ძახილზე უმალ ეშიკრისკენ გამოსწია. მეორე ბერი იყო, სანდრო კარიძის მეტი ვინ იქნებოდა.

მამასახლისი ქარცი კაცი აღმოჩნდა, მოკუტტული თვალებით იყურებოდა, თვთრ წამწამებს ადახულებდა, ჩამოვსტეთ, ეზოში შევედით. ცხენები მამასახლისის ბიჭმა წაიყვანა. თვით მასპინძელი პანტისკენ გაგვიძღვა. კაი ასი ნაბიჯი იყო გასავლელი.

ერთმანეთს ერისკაცურად მივესალმეთ. სანდრო კარიძეს მცირედი მღელვარება ემჩნეოდა. ალბათ, ჩემი ნახვის გამო. ასეთი თანამდებობის პირის სტუმრობას, თავისთავად ცხადია, მის გუნება-განწყობილებაში გარკვეული აღრევა უნდა გამოეწვია. დავსხედით. პატარა ხანს სიჩუმე იყო, უხერხული და მოუხეშავი. ჯერ მამასახლისი დაფაცურდა — ღვინო დაგვისხა, საჭმელები შემოგვთავაზა, არ მოგვეშვა, სანამ დანა-ჩანგალი არ ავიღეთ. მერე, სანდრო კარიძემ ფერდობებზე აბიბინებულ ყანებს გახედა. მოსავალზე დაიწყო ლაპარაკი. დაწვრილებით უბნობდა, ესმოდა, რომ სიცარიელეს შევსება ესაჭიროებოდა.

კარიძის ლაპარაკში გამიელვა, — კარგი იქნებოდა შემთხვევით დათა თუთაშხიაც რომ მოსულიყო-მეთქი. ბიძაშვილ-მამიდაშვილის... არა, სახელდობრ, მუშნი ზარანდიას და დათა თუთაშხიას შეხვედრა მაინტერესებდა, პირდაპირ, ცნობისმოყვარეობა მკლავდა. ერთხელ

ბაგუა ამირეჯიბი
დათა თუთაშხია

უკვე ვთქვი, ზარანდიას თავდადებული სიყვარულით უყვარდა დათა თუთაშხია, ალალ ძმად სთვლიდა და ტრაგიკულად განიცდიდა მის ახირებულ ცხოვრებასმეთქი. ეს ის გამოვლინება იყო, რითაც ზარანდიას არსებაში ჩვეულებრივი ადამიანი ხორციელდებოდა, მაგრამ იქვე განცალკევებულად ცოცხლობდა, დამოუკიდებლად მოქმედებდა საკუთარი რწმენებიდან გამომდინარე ვალდებულების, პასუხისმგებლობის გრძნობა, მავანი ადამიანის მიმართ დაგუბებული სიძულვილი და ღვარძლი კი არა — როგორიღაც კონკრეტული დემონი, რომელსაც „სხვარიგად არ ძალუძდა". იგი გასაოცარი დაეინებით, აზარტითა და სამკვდროდ ებრძოდა დათა თუთაშხიას... არა! ფენომენს, რომელიც დათა თუთაშხიას სახით არსებობდა. ადამიანური და დემონური—ეს ორი საწყისი პარალელურად მოქმედებდა და სულის გაორებას კი არ ქმნიდა, არამედ მუშნი ზარანდიას ერთობ თავისებური ნატურის მთლიანობის შედეგი იყო.

მამასახლისმა საქმე მოიმიზეზა, ბოდიში მოგვიხადა და წავიდა. სანდრო კარიძემ ან ყველაფერი თქვა, მოსაცალზე თუკი რამ გაეგებოდა, ან მიიჩნია, რომ ახლა სხვისთვის უნდა მიეცა ლაპარაკის საშუალება და დადუმდა. ჩვენც ვდუმდით. მერე ვიგრძენი, რაღაც უნდა მეთქვა და ვთქვი:

— ამ ტყეებში ნადირი თუ იცის?

— დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ, თოფის ხმა ხშირად ისმის, ნადირობენ, — მაცნობა კარიძემ.

ზარანდიამ ტყეებს გახედა, გაიცინა და თქვა:

— სულ ადვილი შესაძლებელია, რომ დათა თუთაშხია მანდ სადმე ხეზეა გასული და დურბინდით გვზვერავს...

მეც გამეცინა, მაგრამ კარიძის მოღუშული სახე, ზარანდიაზე მიბჯენილი გულმოსული თვალები შევნიშნე და უნებლიეთ გავფაციცდი.

— თუ ხუმრობით ბრძანეთ, ბატონო ზარანდია, — მიმართა კარიძემ, — შევნიშნავ, უადგილო ხუმრობაა. თუ სერიოზულად არის ნათქვამი — მეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაა!

ჩანს, არც მე და არც მუშნი ზარანდია არ ვიყავით მზად იმისათვის, რომ სანდრო კარიძე მკაცრი სულიერი მამის როლში მოგვევლინებოდა და დავიბენით.

— დათა თუთაშხია იმდენად გამჭრახი და ფხიზელი კაცია, რომ შეუძლებელია ჩვენს დროში — ამ პიროვნული და საყოველთაო სულმოკლეობის პირობებში — საერთოდ ვინმეს და, სახელდობრ თქვენ, გულწრფელად გენდობოდეთ, — დასძინა კარიძემ -და ეს, ცხადია, ჩვენ ორს გვეხებოდა. — ამასთან, იმდენად სულგრძელიც არის, რომ სახელდობრ თქვენდამი უნდობლობის გამჟღავნებას თავის თავსაც კი არ აკადრებს გამჟღავნებას-მეთქი!

— უნდა გაცნობოთ, ბატონო სანდრო, — მივმართე მე, — რომ ჩვენ ორივენი ზუსტად მაგ აზრისანი ვართ.

სიჩუმე ჩამოვარდა, საკმაოდ უხერხული და ხანგრძლივი. დაძაბულობის განმუხტვა იყო საჭირო და კარიძეს მივმართე:

— თემას ოდნავ გადავუხვევ და შეგეკითხებით: ჩვენს დროში, ანუ როგორც თქვენ ბრძანეთ, პიროვნული და საყოველთაო სულმოკლეობის პირობებში, დათა თუთაშხიას კეთილშობილება და სულგრძელობა ანაქრონიზმად არ მიგაჩნიათ?

— ჰმ, ანაქრონიზმად? — ჩაიქირქილა კარიძემ, ერთხანს ჩუმად იყო და მკითხა: — რას იტყვით, ვრაფ, ნოეს დროს ბოთლი და საცობი არსებობდა?

ვერ მივხვდი, რისთვის დამისვა ეს საოცარი კითხვა და გაცინებით ვუშველე თავს.

მუშნიმ შემაშველა.

— ღვინო ნოეს დროსაც იყო, ბატონო სანდრო. ცხადია, საცობიანი ჭურჭლეულიც იქნებოდა.

— იქნებოდა, მართალია!.. — თავისთვის დაადასტურა კარიძემ. — მაშ-

ინ, აი, როგორ მოხდებოდა ეს საქმე: კიდობანში თავისუფალი ადგილი რომ აღარ აღმოაჩნდა, ნოემ დათა თუთაშხია დაამატარავა, ბოთლში ჩასვა, საკობი დუტკო და წყალში გადაადო, რომ წარღვნის შემდეგ სადმე გარიყულიყო და ხელმეორე ცხოვრება დაეწყო. ღმერთებმა ნოეს ხელით კაცობრიული სულგრძელობა, მაღალი ზნობა გადაარჩინეს!

— თქვენ, ბატონო სანდრო, ღმერთებისგან განსხვავებით, ფრიად აღმატებული ბრი ბქონიათ ნოესდროინდელი საზოგადოების ზნეობრივ დონეზე, — სიცილით შენიშნა მუშნი ზარანდიამ. — წერილ არს, წარღვნა კაცთა უკეთურობისა გამო მოუვლინეს ღმერთებმა დედამიწას!..

— დათა თუთაშხია ნოესდროინდელი ზნეობის დონეზე რომ მდგარიყო, ღმერთები მას დანარჩენი კაცობრიობის ხვედრს მიაგებდნენ. იგი მაშინაც ანაქრონიზმს წარმოადგენდა, მაგრამ მარადის საჭიროს დაუიცილებელს.

— თქვენ იმის თქმა გსურთ, რომ ყველაფერი წარმავალია და მხოლოდ მაღალი ზნეობაა მარადისი? — კვლავ კარიძეს.

— დიახ. მიუხედავად იმისა, აღზეგებულია ზნეობა, თუ იმდენად დათრგუნვილი, როცა თითო-ოროლა პიროვნების კუთვნილებასღა შეადგენს — იგი მაინც მარად არის. სხვა დანარჩენი — ხან არის, ხან :რა. რამდენჯერაც უნდა გაირყვნის და დაეცეს კაცთა მოდგმა, რამდენჯერაც უნდა გაიმეტონ მოსაშთობად ღმერთებმა იგი, იმდენჯერ გადაარჩენს განგება დათა თუთაშხიას, როგორც კვეთსა და მაწვნის დედას. თქვენი პრაქტიკაც ხომ არ ადასტურებს ჩემს მოსაზრებას? იმას ვგულისხმობ, რომ დღემდე ვერაფრით მოგიხელთებია.

— თქვენ მისტიკოსი ყოფილხართ, ბატონო სანდრო, — შეენიშნე მე. — ამყამად მთელი მსოფლიო ახალ წარღვნაზე ‡ლაპარაკობს. სულის კაწკაწინელის გლობალურ კატაკლიზმებს. გამოდის, რომ დათა თუთაშხიას ხელმეორედ ჩააბრუნებენ ბოთლში?

ვიხუმრე, მაგრამ ჩემი ხუმრობა იმის მინიშნებასაც შეიცავდა, რომ სანდრო კარიძის ნაწერებში არსებული რევოლუციის წინასწარმეტყველება ჩვენთვის ცნობილი იყო.

— წარღვნა კარზეა მომდგარი. ამაში ძველის განადგურება და ახლის წარმოქმნა იგულისხმება, — მითხრა კარიძემ. — რაიმე სახით ნოეც იქნება და კიდობანიც, როგორც ანალოგიური მოვლენების აუცილებელი თანმხლები. არც დათა თუთაშხია დარჩება ბოთლში ჩაუსმელი, ესაც აუცილებელი ატრიბუტია.

— ბატონო სანდრო, მაგ თემაზე დათასთან თუ გისაუბრიათ? — ჰკითხა ზარანდიამ.

— მრავალგზის, როგორც სიტყვას მოყოლილ სალაპარაკოზე. რატომ გაინტერესებთ?

— იმიტომ, რომ ნოე ვარ! ცალ ხელში ბოთლი მიჭირავს, მეორეში — საკობი. აგერ, მესამე წელიწადია დავდევ საკუთარ ბიძაშვილს, ვცდილობ დაპატარავებასა და ბოთლში ჩაჯდომაზე დავიყოლიო. ჯერჯერობით არაფერი გამომდის.

სანდრო კარიძემ პატარა ხნის ფიქრის შემდეგ სერიოზული ტონით თქვა:

— ვიცი მე ეგ. იქნებ, მართლაც ნოე ხართ?!

ბოთლისა და საკობის თემა ამოიწურა. კარგა ხანს უმნიშვნელო დიალოგი გვქონდა — ამ მთისა და იმ მთის. ტრაპეზს მოვრჩით, ბაღ-ვენახი და მარანსაწნახელიც დავთვალიერეთ, ისევ მაგიდას მივუსხედით და სანდრო კარიძემ მკითხა:

— აი, თქვენო ბრწყინვალებავ, ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი ბრძანდებით...

— აღარ ვარ, ბატონო სანდრო... უკეთ რომ ვთქვათ, ერთი კვირის ან

---

‡ ბაგუა ამირეჯიბი
დათა თუთაშხია

ათი დღის შემდეგ აღარ ვიქნები! — სიტყვა ჩამოგართვი.

ზარანდიაკი და კარიძეც თითქმის პირდაღებული შემომცქეროდნენ.

— ამ თვე-ნახევრის წინ გადადგომა მოვიფიქრე. გუშინწინ დასტური მივიღე. ჩამოვლენ, ბრძანებას ჩამოტანენ, ახალ მესვეურს მოიყვანენ. საქმეებს გადავაბარებ და თავისუფალი კაცი ვარ, — განვმარტე მე. — კაცია!

— შეუძლებელია! — ამოღერღა ზარანდიამ. — მინისტრი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო... ჩემი ყურით მოვისმინე.

— ალბათ დიდმა თავაღმა დამიჭირა მხარი, — ღიმილით მივუგე.

— აა! — აღმოხდა ზარანდიას. ფიქრებს მიეცა და კარგა ხანს აღარ ამოუღია ხმა.

კარიძემ განცვიფრებას თავი დაანება, შეიშმუშნა და დაწყებული საუბარი განაგრძო:

—აი, თქვენო ბრწყინვალებავ, რუსი მამულიშვილი, დახვეწილი ინტელიგენტი, ტახტისა და არსებული წყობილების უერთგულესი ქვეშევრდომი ბრძანდებით... მოაზროვნე, მოფიქრალი კაცი. ძალიან მაინტერესებს... რა ვიცი, იქნება უხერხულიც იყოს...

— ბრძანეთ, ბრძანეთ.

კარიძე შეყოვნდა. ალბათ, კითხვის ჩამოყალიბებას მოანდომა დრო.

— რის აღმოცენებას ისურვებდით რუსეთის იმპერიის ნაგრეკებზე? — ისე მკითხა, ვითომ თავზე ხელი აიღო.

გამეცინა: მე ხომ ჯერ კიდევ ყანდარმერიის სამმართველოს უფროსი ვიყავი?!.

— სრულიად რუსეთის სახელმწიფოს აღმოცენებას!

— მძიმე პრობლემაა, მაგრამ პირადად მე მგონია, რომ სწორედ ეგრე მოხდება.

— პოლიტიკურ მიმდინარეობათა უმრავლესობა ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას, იმპერიის დანაწევრებას ითვალისწინებს.

— ის პოლიტიკური ძალა გაიმარჯვებს, რომელიც რუსეთის იმპერიის ხალხებისთვის თვითგამორკვევის ლების მინიშნების გზით შეინარჩუნებს სახელმწიფოს მთლიანობას, — აღნიშნა კარიძემ.

— თვითგამორკვევის უფლება ეროვნულ დამოუკიდებლობას ნიშნავს, ხოლო რუსეთის იმპერიის ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობა — იმპერიის დაშლას შემადგენელ ნაწილებად. ასეთ ვითარებაში სრულიად რუსეთის მთლიანი სახელმწიფოსთვის მხოლოდ ოცნებაში რჩება ადგილი.

— არა! — კარიძემ თავისი ბანჯგვლიანი თავ-პირი გაბრაზებულივით გაიქნ-გამოიქნია. — ამა თუ იმ ერის-თვის დამოუკიდებლობა საჭირო. იმდენად, რამდენადაც მისი ეროვნული, მოქალაქეობრივი და კულტურულ-ეკონომიური ინტერესების დამყოფილებაა საჭირო და აუცილებელი. ახლა, წარმოვიდგინოთ პოლიტიკური ძალა, რომელიც მომავალი სრულიად რუსეთის სახელმწიფოს დროშის ქვეშ რუსეთის იმპერიის ჩაგრული ხალხებისთვის მათი ეროვნული, მოქალაქეობრივი და კულტურულ-ეკონომიური ინტერესების სრული დაკმაყოფილების გარანტიებს შექმნის. ვიღას და რაღად უნდომება დამოუკიდებლობა?

— თქვენ, ბატონო სანდრო, არ გნებავთ ანგარიში გაუწიოთ რუსეთის იმპერიის ხალხებში ფესვგადგმულ სპარატისტულ, ცენტრისადმი განწყობილებებს. ეს ობიექტურად არსებობს.

— ეგ განწყობილებები ეროვნული ბურჟუაზიისა და გაკოტრებული არისტოკრატიის კუთვნილებაა და არა მასებისა, რომელთაც ისტორიულმა ვითარებამ, განვითარების მსვლელობამ გადამწყვეტი ძალის როლი არგუნა. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმაზე ჰკიდია, შესძლებს თუ არა რუსეთის პოლიტიკური აზროვნება ხალხთა თანაარსებობის ისეთი მოდუსის შემოთავაზებას, როდესაც განთავისუფლებული ერები სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებას ამჯობინებენ!

— გეგულებათ დღეანდელ რუსეთში ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნება ძალუძდეს?

— თქვენ, გრაფ, Inder librorum prohitorum*-ში — შეტანილი ლიტერატურით არ სარგებლობთ?

— ცოცხალებ. სამსახურებრივად მოვალე ვარ. ყველაფერს ვიცნობ... ფუნდამენტურად არა, რა თქმა უნდა.

— სოციალ-დემოკრატების, უფრო ზუსტად — ბოლშევიკების პროგრამაც იცით?

— ულიანოვის ფრთას გულისხმობთ?

— დიახ.

— ბოლშევიკების პოლიტიკური დოქტრინები... ისინი მზად არ არიან ამ პრობლემის გადაჭრისთვის,—ეთქვი მე.

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ჯერ-ჯერობით არ არიან მზად, მაგრამ მანდეთ მიდიან. მათ კიდევ ათი წელიწადი ან რაღაც დაანლოცონ ამდენი დრო აქვთ, მაგრამ არა უმეტესი. მთავარი აქ ის გახლავთ, რომ მხოლოდ ამ პარტიის ესმის: სრულიად რუსეთის ახალი მთლიანი სახელმწიფოს შექმნა რუსეთის იმპერიის ხალხთა ეროვნული, მოქალაქეობრივი და კულტურულ-ეკონომიური მოთხოვნილებების მაქსიმალურად შესაძლებელ დაკმაყოფილებაზე გადის. სხვაგვარად ეს მიზანი განუხორციელებელი დარჩება.

—პოლიტიკოსები დაპირებებს არასოდეს იშურებდნენ, — ხმა ამოიღო მუშნი ზარანდიამ.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ულიანოვი გულწრფელი და პატიოსანი კაცია. ეს მისი გონიერებიდან მოდის. მას მარილა სურს რუსეთის იმპერიის ხალხთა კეთილდღეობა. სამართალი და პატიოსნება თვით მის მოძღვრებაშია. მასა სიმართლეს ტანით გრძნობს და პატიოსან იღეებს წაპყვება კიდეც, როცა დრო მოვა.

— ბოლშევიკი ხართ? — სიცილით ვკითხე.

— არა, — ისევ გაბრაზებულივით გაიქნია ბანჯგვლიანი თავპირი კარიძემ.

— საერთოდ უპარტიო ხართ თუ ჩემსავით ერთკაციანი პარტიის ერთადერთი წევრი? — თითქოს სერიოზულად ჰკითხა მუშნიმ.

კარიძემ ეჭვით გამოხედა, ხომ არ მამასხარავებსო და მიუგო:

— პარტია კონკრეტულობაა!

—ზოგადი მოძღვრება გაქვთ? — მუშნი ზარანდიამ ინტონაციით გაამქღავნა, რომ ხუმრობის გუნებაზე დადგა.

— შეხედულებების სისტემა, მომავალი მოძღვრების საფუძვლები! — კვლავინდებური სერიოზულობით მიუგო სანდრო კარიძემ.

— დევიზი?

— არ მესმის, — მომიბრუნდა კარიძე.

— სოციალ-დემოკრატების დევიზია — „ხალხი“. პირობითად ვამბობ. თქვენი შეხედულებების დევიზი როგორილაა?

— „ერი“ — მეც პირობითად ვამბობ.

— რა განსხვავებაა — ხალხი, ერი?!.

— მაგ თემაზე სასაუბროდ მზად არ ვარ. თქვენის ნებართვით. ეგ როდისმე მერე იყოს, თუკი მერე შეხვედრაც გვიწერია.

ბინდი დაიძრა და სანდრო კარიძემ ალბათ ამაზე მიგვითითა. ისიც შესაძლებელია, რომ დაიღალა ან მუშნი ზარანდიას ხუმრობა ლაზღანდარობად მიიღო და ეწყინა. ასე იყო თუ ისე, კიდევ თხუთმეტიოდე წუთი უქმ ლაპარაკში გავატარეთ და დავიშალეთ. მინდოდა, პაემანი დამეწინაა, მაგრამ რაღაცამ შემაშალა ხელი — იქნებ იმან, რომ იმდღევანდელ საუბარს ჩვენი საამისო დაახლოება არ მოუტანია.

არმაზის აგარაკის შეკეთება-მოწ-

* აკრძალული წიგნების ნუსხა (ლათ.)

ბაბუა ამირეჯიბი
დავთა თუთაშხია

ყობას ბარე სამი თვე მოუნდა ცხრაას ოთხი წლის შემოდგომაზედა შევსახლდი. ეს იყო ჩემი სიცოცხლის მერვე ნახევრის საუკეთესო, მე ვიტყოდი, ვარდისფერი მონაკვეთი. ვკითხულობდი, ვწერდი, ვნადირობდი, ვთევზაობდი, ვფიქრობდი. თვეში ორჯერ ან სამჯერ სტუმრები მყავდა ხოლმე. საკუთარი ეტლი გავიჩინე. თბილისის ბინა ზამთარში საცხოვრებლად და სხვა საპიროებებისათვის მქონდა. იმ დროს ეკუთვნის ჩემი ცხოვრების ყველაზე ღრმა და სერიოზული რომანი. ამავე პერიოდში გადაეწყვიტე და განვაცხადეთ კიდეც რუსეთის მამულების ლიკვიდაცია. ახალმა გარემომ ადვილად გამომიხატა საფიქრალ-სადარდებელიცა და სამსახურში ყოფნის მრავალწლოვანი ჩვეულებაც. გამიჩნდა ახალი ნაცნობ-მეგობრების წრე, ურთიერთობები, გატაცებები. ერთი სიტყვით, ოცდაათი წლით გავახალგაზრდავდი და, დარწმუნებული ვარ, ჩემი ოთხმოცდაათი წლის ასაკამდე მოღწევა არმაზში გატარებული ჩვიდმეტი წლითაც აიხსნება.

იმავე შემოდგომაზე სანდრო კარიძე მცხეთაში შემხვდა. არ დავმალავ, ვეძებდი იმ შეხვედრას, თვალყური მეჭირა, ვიცოდი, შეხვედრა ბოლოს და ბოლოს მოხდებოდა. ეუამბე, რომ არმაზში სახლკარი შეეიძინე და ვთხოვე, მწვეოდა. არ დაუყოვნებია, მოვიდა. თანდათან, არამცთუ დავახლოვდით — ერთმანეთთან ურთიერთობის მძაფრი მოთხოვნილებაც კი გაგვიჩნდა. ვიმეღოვნებ, დაყვედრებაში არ ჩამომართმეავ, ნურც იმაში, თითქოს, წარსული სამსახურიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის შერბილება მდომოდა: სანდრო კარიძე მე, ჩემი ყოფილი ურთიერთობისა და შენარჩუნებული გავლენის წყალობით, ორჯერ გამოვიყვანე სატესაოდან — ცხრაას ექვსი წლის დასაწყისში, რევოლუციასთან დაკავშირებული ამბების გამო აყვანილი, და მერე კიდევ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის საქმეზე დაპატიმრებული. ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, - რომ ძმაკაცი შემიყვარდა ის საკმაოდ ახალგაზრდა ელი, მძიმე ხასიათის ადამიანი ეს შარეგა დავად ხსენებული ნაკლისა, იგი მეტი სიყვარულის ღირსი იყო.

ცხადია, ინტერესს მოკლეტანელი ჩვენი ურთიერთობების დაწერილებითი აღწერა. მოვიყვან მხოლოდ ორ-სამ საუბარს, ისეთს, ამ ჩანაწერებთან რომ შინაგანი კავშირი აქვთ და კიდევ ერთი მიზეზის გამო: მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა მოფილოსოფოსო-მოპოლეტიკოსო ტიპმა. ამ ხალხში ყველა წოდებისა და კლასის წარმომადგენელნ შეხვდებოდით. იყვნენ უუკეიანესნი და ტუტუცებიც; ფრიად განათლებულნიც და უბრინნიც; ფანტიკოსებიც და ფეხის ხმას აყოლილნიც; ინდივიდუალობების და ორიგინალობის პრეტენზიის მქონენიც. ჩემი ღრმა რწმენით, მათ ბევრი გაკეთეს რევოლუციისთვის. გაკეთეს იმით, რომ ხალხში დაუღალავად ავრცელებდნენ, თუმც სხვადასხვა პოლიტიკური პრწამსის, მაგრამ საბოლოო ჯამში, რევოლუციის გარდუვალობის შემცველ შეხედულებებს. ასეთი ადამიანები მრავლად მინახავს როგორც სამსახურის წლებში, ისე გადადგომის შემდეგ. სანდრო კარიძე, თითქმის, ყველა მათ თვისებას აერთიანებდა — ერთობ სერიოზული განათლებიდან და სიბრძნედან მოყოლებული, გულუბრყვილობამდე და პატიოსნებამდე. ჩემს ჩანაწერებში მისი და, მაშასადამე, ამ სოციალური ტიპის გამოტოვება ცოდვის დადება იქნებოდა.

სანდრო კარიძის ჩემთან სტუმრობების დასაწყისშივე იყო — სხალტაში წეწყეტელი საუბარი მომაგონდა და ვკითხე:

— თქვენ მაშინ/დამთავრება არ ინებეთ, ბატონო სანდრო... გახსოვთ, „ხალხსა“ და „ერს“ შორის განსხვავებაზე რომ ჩამოვარდა ლაპარაკი?

— აა, მახსოვს, როგორ არა. ძალიან დიდი განსხვავება, სრულიად სხვადასხვა ცნებებია. თქვენ წარმოიდგინეთ, წი-

ნაღმდეგობრივიც კი. „ერი“ არის გარკვეული ეთნიკური ორგანიზმი მთელი მისი არსებობის მანძილზე. „ხალხი“ არის „ერი“ დღეს. ერი — ერთობ ხანგრძლივი, მდგრადი ფენომენია. ხალხი — დღესდღეობითი, მსწრაფლწარმავალი რამ. აქ შედარებისთვის ხისა და მისი ფწვანე საბურველის, კალამპოტისა და წყლის მიმართება გამოდგებოდა.

— წინაღმდეგობა?

— „ერსა“ და „ხალხს“ შორის?

— დიახ.

— ხალხი ხელებია და სტომაქი. ერი — მაღალი ზნეობა და შორსმკვრეტელობა. ხალხი სულიერსა და ნივთიერ, ღირებულებებს ქმნის და ვინაიდან მოღრეტილებება ყოველთვის სჯარბობს შექმნილს, მას აქვს დაფიკებული მსწრაფება მთლიანად შთანთქოს არამარტო ის, რაც თვითონ შექმნა, არამედ ისიც, რაც მანამდეა შექმნილი და შთანთქმას გადარჩენილი. ერი ცალკეულ პიროვნებებში თუ მათ ერთობლიობაში განხორციელებული ის მარადისი სულია, რომელიც ნებაყოფლობით კისრულობს მთელი ეთნიკური ორგანიზმის ნარსულზე, აწმყოსა და მომავალზე პასუხისმგებლობას. ერი დამოკიდებელი, მომწესრიგებელი საწყისია, სულიერ და ნივთიერ საუნჯეთა დამგროვებელი, მცველი. გახსოვთ? „ცხოვრება სულიერი და ხორციელი სარჩოს მოპოვების პროცესია, ხოლო ზნეობა — ამ პროცესის მომწესრიგებელი ძალა“. ერის ცნებისა და ზნეობის ცნებას შორის ტოლობის ნიშანი ზას.

— გამოდის, რომ ხალხი ის არის, ვინც ქვის სამტეხლოებში გრაშის ფასად და იძულებით მუშაობს კეთილრალების ასაგებად საჭირო ლოდების ნოსაპოვებლად, ხოლო ერი — ვინც ხალხს ამას აიძულებს?

— მთლად ეგრე არა. ჩემი აზრით, როგორც იძულებულთა შორის, ისე მაიძულებლებში არიან ადამიანები, რომლებსაც ერისა არაფერი სცხიათ. ისინი ქვეყანას მხოლოდდა საძოვრად იყენებენ. არიან ისეთნიც, ვინც მეტნაკლებად ორთავე საწყისს აერთიანებს, მაგრამ ერს, ანუ უკვდავებას, მარადისობის განმახორციელებელ ძირითად ძალას ის ადამიანები წარმოადგენენ...

— ... ვინც ქვეყანას აძლევს ყველაფერს, თუკი რამ გააჩნია, — სიტყვა ჩამოვართვი, — და იღებს მისგან მხოლოდ იმდენს, რამდენიც არსებობისთვის, ანუ ყველაფრის მისაცემად სჭირია, არა?

— უზუსტესი ფორმულაა, — სიხარულით დაუდასტურა კარიძემ. — ეგ უმაღლესი ზნეობისა და სიკეთის განსაზღვრებაა, გრაფ, და მაგ ფორმით პირველად ოქვენგან მესმის. სწორედ მაგას ინახავს ხოლმე ბოთლში ფანტასტიური ნოე საკაცობრიო კატაკლიზმების წინ. მაგიტომ ვუწოდებთ ერს პიროვნებებში თუ მათ ერთობლიობაში განხორციელებულ მარადის სულს. ერსა და ხალხს შორის არსებული ძირითადი წინააღმდეგობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ერი ინტერნაციონალური, საკაცობრიო სათავეა, რადგან კეთედრალება და მანუსკრიპტები, ფრესკები და მონუმენტები, საბოლოო ჯამში, ინტერნაციონალურ, საკაცობრიო საუნჯეს წარმოადგენენ მაშინ, როდესაც ხალხი თავკერძული, პირადმომხვეჭელური სათავეა, მისი მოთხოვნილებების დიდი უმრავლესობა მხოლოდ მისი და საადგილოა და არა საზოგადოებისა თუ აწმყოსი, კაცობრიობისა თუ მომავლის.

ერთობ მოხერხებულად გამოიყენა სანდრო კარიძემ ყოველივე ეს, მაგრამ მის მსჯელობაში წინააღმდეგობებიც იყო, მაშინვე ვიგრძენი. შემდგომში ბევრი ვიფიქრე და, მგონი, მივაგენი კიდეც ხარვეზებს. ჩემი მოსაზრებები და შენიშვნები ნაშრომად ეაქცია, წაგაკითხე. არც ერთი დებულება არ მიიღო, კინაღამ წაგიჩხუბეთ. თვისება ჰქონდა: თუკი ერთხელ რაიმეს იწამებდა და ჭეშმარიტებად ჩათვლიდა — მორჩა, ზედ

ბაბუა ამირეჯიბი
ლათა თუთაშხია

დაკვდებოდა, არავითარი კომპრომისი ან დათმობა!..

ერთ დღეს — ეს მისი პირველი დაპატიმრების წინა ხანებში იყო —სიტყვამ მოიტანა და ვკითხე:

— სანდრო, ვიცი, ბევრს კითხულობ. სწერ და ღრმა ინტერესები გაქვს. როგორია შენი ამოსავალი კონეფცია, რომელი ზნეობრივი პლატფორმიდან ახდენ აბსტრაგირებას?

— ადგილს ეძებ? — დაუყოვნებლივ და, თუ არ ვცდები, ცინიკურად მითხრა.

— არ მესმის.

— პლატფორმას. ძველი ალარ გაკმაყოფილებს?

— ამ წუთში მაგას მნიშვნელობა არა აქვს. ჩემს კითხვას უპასუხე, თუ შეგიძლია!

გულის მოსვლასავით რაღაც შემატტყო, დადუმდა, იფიქრა და თქვა:

— ყველა შემთხვევაში, ყოველთვის გამოვდივარ იქიდან, რომ კაცობრიობამ ადამიანის ზნეობრივი გაუმჯობესების რაიმე საშუალება უნდა გამონახოს, თორმეტ კანონალიზამდე მივე, კაცსავე ხორცს საკვებად გაიხდის — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — და ეს გაგრძელდება იქამდე, სანამ ჩვენ ცოფმილის უკანასკნელ homo sapiens-ს, რომელიმე ნაღირი არ გამოიყენებს ხორცად. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ იმპერიების. მოსაბიის გზით. საჭიროა რევოლუცია!

ვიცოდი, რომ სანდრო კარიძეს რევოლუციის გარდუვალობა სწამდა. ისიც ცნობილი იყო, რომ თანაუგრძნობდა და მის მხარეზე იდგა. ახლა იმაში დავწმუნდი, რომ რევოლუცია კაცობრობის სახსნელად უნდოდა.

— მე შენი ნაშრომების მხოლოდ სათაურები ვიცი და მგონია, რომ ისინი რევოლუციას ემსახურებიან...

— რევოლუცია ხვალინდელი დღეა. მე ზეგინდელ დღეზე ვმუშაობ, — შემისწორა სანდრო კარიძემ.

— სანტერესოა!.. სახელდობრ, რა პრობლემებზე მუშაობ?

— ზნეობრივი პროგრესის პრობლემებზე. მარკვას დამორჩილებული ზნეობრივი რევოლუციის თეორიულ საფუძვლებზე.

— უფრო დაწვრილებით?

კარიძემ წვერებში შეიცურა თითები, სახე მიიფხან-მოიფხანა:

— შენ, დიმიტრიჩ, სამართლის მაგისტრი ხარ, არა?

— ვარ, — მივუგე და გამეცინა.

— რას იცინი?

— ადამიანის იღბლის უკულმართობაზე ვიცინი. მოსკოვის ან პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორობას ვაპირებდი — ჟანდარმერიის გადამდგარი ვერერალი და სიბარიტი ვარ. სასაცილო არ არის?

კარიძემ გაიღიმა, მგონი, დამშვიდება დამაპირა, მაგრამ გადაიფიქრა და დაწყებულ საუბარს მიჰყვა:

— შეგიძლია თუ არა, ყველა დროისა და ერის საიმპერიო კანონების ზოგადი განსაზღვრება მითხრა?

— შეშაძლია, — დავფიქრდი, ჩამოვაყალიბე და ვთქვი: — ეს პირველ რიგში, საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების საშუალებაა: შემდეგ — მმართველი უმცირესობის უფლება. მოვალეობათა სამართლებრივი სტატუსი და ბოლოს, ინერტული თუ უმაყოფილო უმრავლესობის მორჩილებაში ყოლის იარაღი. გაკმაყოფილებს?

— კეთილი და პატიოსანი. ახლა: შეიძლება თუ არა, იმპერიის დამოკიდებულება, როგორც საკუთარ მოქალაქესთან, ისე სხვა სახელმწიფოებთან, განისაზღვროს ფორმულით: „გკვამ, იმიტომ რომ შენ არ შემშვამ და იმიტომაც გკვამ, რომ ორგანიზმი გასუქებას მთხოვს!“

— ეგრე იყოს, — სიცილით დავთანხმდი.

— როგორ, თუ — ეგრე იყოს? თუ სხვანაირად არის. — თქვი!

— ეგრეა, ეგრე. განაგრძე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა რასაც ვიტყვი, ამაზე შენ ერთხელ უკვე დამეთანხმე, დიმიტრიჰ, და ამიტომ ცნობილი ჭეშმარიტების სახით ვიტყვი: ზემოხსენებული ჭამაღლაპვა კეთილსახიერი, კაცობრიულად სამართლიანი მიზნებით არის შენიღებული, ქრისტიანულ ჰუმანიზმზე აგებულ დემაგოგიას ეყრდნობა და კარგად აკინძული „რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის“ საშუალებით ხორციელდება.

— უფრო მართალი იქნებოდა. ჯავრით რომ არ იყოს ნათქვამი... მერე?

— ეს ჯავრი არ არის, მსჯელობის მანერაა, მართალია, არცთუ სუფეთესო, მაგრამ, მოგეხსენება, ამითაც იოლას გავდიეარ. ახლა, კიდევ შეკითხვა: როგორია, ერთის მხრივ რელიგიისა და კანონის და, მეორე მხრივ, პიროვნების და, მაშასადამე, საზოგადოების ურთიერთ ზემოქმედების შედეგები? რა თქმა უნდა, დღეს, არსებულ პირობებში, ჩვენს სინამდვილეში.

— მე, ჩემო სანდრო, მორწმუნე კაცი ვარ, მკრეხელობას ვერიდები. მოდი, შენ რელიგიისა და პიროვნების ურთიერთ ზემოქმედების შედეგებისა თქვი და მე — კანონსა და პიროვნებაზე ვიტყვი. ეს შენთვისაც ხელსაყრელია: ინტონაციას მომაწოდებ, უნებლიეთ ჩემს სათქმელს შენი ნათქვამის რიტმში ვიტყვი.

— კაცო, მე სულაც ბერი ვარ, სულაც ბერი ვარ... — ჩაჯაულბულა კარიმემ.

— შენ ერეტიკოსი ხარ! წესით, მსხვილ-მსხვილ მუგუზლებზე უნდა იწვე და შიშხინი გაგიდიოდეს. შენი ბოლო,, მაინც ჯოჯოხეთი და კუპრია. თქვი, რასა კარგავ?!

— მართლა რასა ვკარგავ, რა! რელიგია ცდილობს ადამიანი ქრისტიანული ზნეობის ჩარჩოში გამოამწყვდიოს, ამ გზით მის მორჩილებას მიაღწიოს და, ცხადია, წინააღმდეგობას წააწყდება, სხვათაშორის იმიტომაც, რომ თვით მქადაგებელნი და მერწმუნენი უფროთოესი პროფილის ადამიანნი არიან. რელიგია ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ დოგმატური. ადამიანი — გაცილებით უძლური, მაგრამ შეგუების დიდი უნარით აღჭურვილი და მოქნილი. ამასთან ერთად, ადამიანს აქვს მოთხოვნილება, რაიმე სწადდეს. მერჯულეთა ფარისევლობის ვითარებაში ერთადერთი სარწმუნებელი პირადი კეთილდღეობაა, რაც მხოლოდ თავგამოდებულ მორწმუნეთათვის არის სანქციონირებული. აქედან იწყება იმ მეთოდების შემუშავება და რაფინირება, რომელთა წყალობით ადამიანი ქრისტეს მოძღვრების უმტკიცესი მრწმენელის სახელს იმკვიდრებს და ამით მამონის სამსახურს იადვილებს. ამგვარად, იმპერიის პირობებში რელიგიისა და ადამიანის ურთიერთ ზემოქმედება იძლევა ერთი მხრივ, გამწარებულ, მოძულე მოქალაქეს, რომელიც მხოლოდ რევოლუციაში ხედავს ხსნას და ხდება კიდევ მისი მებრძოლი, და მეორე მხრივ, გამოფიტულ, დაუძლურებულ, ფორმალოგამდე დაყვანილ კულტს. იზიარებ თუ არა, ვრაფ, ზემოთქმულს, როგორც ჩვენი სინამდვილის ძირითად ნიშანს?

— ნაწილობრივ. მგონი, ფერებს მეტისმეტად ამუქებ.

— ძალიან კარგი, ჟანდარმერიის ერთი გადამდგარი გენერლისგან მაგდენი დასტური უფრო ღირებულია, ვიდრე ასი ფანატიკოსის აღტაცებული კივილი. ეხლა შენი თქვი.

— შენ სტილში ვილაპარაკო?

— სხვანაირად სიმართლე არ გამოგივა

— კაი ბატონო! კანონი ძალადობს ადამიანზე და წინააღმდეგობას აწყდება. კანონი ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ მოუქნელია; ადამიანი გაცილებით

ჭაბუა ამირეჯიბი
დათა თუთაშხია

უძლური, მაგრამ მოქნილი და მის ხელთ ყოველთვის არის კანონის გვერდის ავლის, მისი ნაწილობრივი აღსრულების თუ საერთოდ შეუსრულებლობის საშუალება და ხერხები.. კანონი იბრძვის, რომ ადამიანმა თავისი ინტერესები იმპერიის ინტერესებით შეშოფარგლოს. ადამიანი ცდილობს კანონები პირად ინტერესებში გამოიყენოს და, უპირველესად ყოველისა, მათი გვერდის ავლის გზით. ბრძოლა უთანასწორობა და სუსტი მხარე, ანუ ადამიანი, იძულებულია ზნეობრივ კომპრომისებზე წავიდეს, გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც კანონის მოგერიებაში, არსებობის შენარჩუნებაში დაეხმარება!-- შეეჩერდი, რომ დასკვნაც მიმემსგავსებინა: — ამგვარად, იმპერიის პირობებში კანონისა და ადამიანის ურთიერთ ზემოქმედება იძლევა, ერთი მხრივ, გამწარებულ, მოძულე მოქალაქეს, რომელიც მხოლოდ რევოლუციაში ხედავს ხსნას და ხდება კიდეც მისი მებრძოლი და მეორე მხრივ, დაუძლურებულ, ფორმალობამდე დაყვანილ სამართლებრივ პროცედურას.

— ბრავისიმო, გრაფ!—დაიძახა გახარებულმა კარიეტ. — მაგრამ მიაქციე ყურადღება, როგორი ხარისხის ზნეობრივი კრიტერიუმებით აღჭურვილ მემკვიდრეობას უტოვებს იმპერია იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც უნდა ჯერ შექმნას და შემდეგ კი მართოს ახალი სახელმწიფო! დღეს სოციალური რევოლუციის მომხრე ყველა პოლიტიკური მიმდინარეობას ესმის, რომ გამარჯვებისთანავე საქმე ექნება ერთობრ რთულ, ძნელად მოსაგალო ზნეობრივ მასალასთან და, სამწუხაროდ, ყოველ მათგანს იმის იმედი აქვს, რომ საკმარისია შეიცვალოს სოციალური პირობები, საზოგადოებრივი ყოფიერება და ადამიანის ზნეობა თავისით გაუმჯობესდება. მე ამას არ ვეთანხმები და ვცდილობ, ჩემი წილი შევიტანო. ეს არის და ეს.

ერთხელ, მტკვრის ძირას, ძეგვის ჩანჩქერებთან ვიჯექი. მსხვილი ანკესი მქონდა გადაგდებული. შიმოდგომის ბინდიდან ბორანი წამოვიდა. დურბინდით გავხედე, მგზავრებში ჩემი სანდრო ვიცანი. თუ არა ვცდები, ეს მისი მეორე პატიმრობის შემდგომ ხანებში იყო. ბორნიდან გადმოვიდა. გზას მცხეთისკენ გამოჰყავა. ადვილი შესაძლებელი იყო ჩემთან, არმაზში მოდიოდა. ანკესს თავი მივანებე, გზაზე გავედი. მართლაც ის აღმოჩნდა, — მარტოობა ყელში ამომივიდა, შენთან მოვდიოდიო, მითხრა.

— წავიდეთ, ვისამბროთ, ვიმუსაიფოთ,— მივთავაზე.

არ დამყვა, — აქ გვირჩევნიაო.

წყლის პირას ვისხედით, ღრუბლიანი ამინდი იყო, ცოტა ცივდა კიდეც. სანდრო კარიეტს თავის სიცოცხლეში, თურმე, ერთი პატარა ღორჯოც კი არ დაეჭირა, ამ საქმისა არაფერი ესმოდა, არც ჩემი თევზაობისადმი გაუმღიანებია, რაიმე ინტერესი, მოწყენილი, უგულებო მეჩვენა და გამოველაპარაკე:

— რასა სწერ, სანდრო, რაზე მუშაობ?

ხელი ჩაიქნია, არ მიპასუხა.

— მაინც? — ჩავაცივდი მე.

— ერთ საკითხში გავიხლართე... სამი დღეა, პწკარი ვერ დავწერე. ლამის გულზე გავსაკდე.

ახლოდა მოვხედე, ჩემსკენ რამ წამოაჩანჩალა. ასეთი ვახლართვები მანამდეც ჰქონია. კრიზისს იმით აღწევდა თავს, რომ იმ საკითხზე ვისთანმე წამოიწყებდა საუბარს და კამათში უცაბედად წაიწყდებოდა ხოლმე საჭირო გადაწყვეტას.

— აბა, მიამბე. იქნებ, მსჯელობამ მოჰფინოს ნათელი?

— სტუმარ-მასპინძლობის პრობლემაა.

— პურ-მარილზე გადახვედი?

— არა. აი, მისმინე: ეგვიპტელები, ასურელები, ხეთები, ურარტები, ელლინები, რომაელები, ბიზანტიელები და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ისტო-

რიულად მდგრადი, ხანგრძლივი ეთნიკური ორგანიზმი — ხომ მოეკლინენ კაცობრიობას, როგორც უზარმაზარი იმპერიებისა და კულტურების შემქმნელნი და მპყრობელი ერები?

— მოეკლინენ. მერე?

— მერე, სად არიან დღეს? ეგვიპტელთა ნაშიერი აღარად რამე ჩანს, ხეთები დაიკარგნენ; ასურელები — სადღაც წაიკითხე — მსოფლიოში სამასი ოჯახია, ელლინთა მოდგმის ბერძენს სანთლით ვეღარ იპოვნის კაცი; რომაელები — ერთი ბებერი აღმოუჩენიათ, თურმე, ქალაქ-ქალაქ უპირებენ ტარებას; ბიზანტიელები ქვიშაში წასული წყალივით გაიპარნენ. ხედავ, რა ხდება?

— ყველა ერის ისტორიული ბედია ეს.

— არა. ღღეს, ჩვენს სინამდვილეში, არიან ერები, რომლებიც იყვნენ ასურელების თუ ურარტების დროსაც, ელლინთა ეპოქაშიც, რომაელთა იმპერიასაც. ებრძოდნენ: ბიზანტიის ბატონობის დროსაც იყვნენ და, საფიქრებელია, კიდევ არაერთ სტუმარს გააცილებენ მარადისობაში.

— ვინა?

— ებრაელები, სომხები, იბერები, ეთიოპები, ბოლგარები, უნგრელები...

— ეგენიც წაელენ, სანღრო.

— არაფერში ეტყობა. ამ ერებმა კრიზისი გადაიტანეს და აღმავლობის გზაზე დგანან. სხვათაშორის, ციკლური კრიზისი და აღმავლობა მათი ისტორიული მახასიათებელია. ჩვენი ცოთმილი სასტუმროს ჰგავს, არიან დიასახლისები და მდგმურები, მასპინძლები და სტუმრები.

— სადავოა შენი დებულება.

— დებულება კი არა — ჰიპოთეზა, მაგრამ ინტუიცია მკარნახობს, რომ პერსპექტიული ჰიპოთეზაა!

სიჩუმე ჩამოვარდა. კარგა მოზრდილი ციმორი ამოვიყვანე. ანკესი ხელახლა გადავაგდე და ერთი მივნება მეწვია: სანღროს მიერ ჩამოთვლილი იმპერიების არსებობა, ძირითადად, ხუთასი წლის ფარგლებში იყო გამომჭერ წყდებული — ეგვიპტის ძველი და ახალი სამეფოები, ხეთების იმპერია, ასურეთი, რომაელთა იმპერია — სახელდობრ იმპერიას ვგულისხმობ. მხოლოდ ბიზანტია იყო გამონაკლისი — ათას წელზე მეტ ხანს იარსება. ეს აზრი კარიძეს გავუზიარე. დამიდასტურა და თარიღებიც ჩამომითვალა.

— ახლანა საპოვნელი, თორემ ეგ ჰიპოთეზადვე დარჩება.

— ორივე მოვლენისთვის საკუთარი ნიშანი არსებობს. გადაშენებული ერებისთვის: მეზობელი თუ შორეული ხალხების დაპყრობა, საკუთარ ორგანიზმზე მოკიდებული და გაფუწყვეტელი ბრძოლა მათი მორჩილებაში ყოლისთვის. გადარჩენილი ერებისთვის: საკუთარი მიწა-წყლის ეკონომიური შესაძლებლობებით დაკმაყოფილება, სულიერი კულტურის ავტონომია, გამუდმებული ბრძოლა განთავისუფლებისათვის და დაპყრობითი ომების უარყოფა! მაგრამ ეს მხოლოდ ნიშნებია. საჭიროა მიზეზები და სწორედ მანდ ვარ გასლართული. ჯერჯერობით მხოლოდ ერთს მივაგენი და ისიც არა მაქვს ბოლომდე დამუშავებული. სინათლის შეტანაა საჭირო, მკვიდრი დამაჯერებლობის მინიჭება.

— თქვი.

— დაუსრულებელი სახით?

— მერე რა.

— გადარჩენილი ერები მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად, თავისუფლებისთვის, სულიერი საუნჯის გადასარჩენად იბრძოდნენ და ეს ბრძოლა მათთვის წრთობის პროცესს წარმოადგენდა. ცხოველმოსილების სტიმულატორი იყო .მპყრობელი ერების

ბაბუა ამირეჯიბი
დათა თუთაშხია

შემთხვევაში სხვა მოკლენასთან გვაქვს საქმე: პყრობას, დათვებას, წინააღმდეგობის ჩახშობას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ასი ხალხის პყრობას — ასჯერ მეტი ძალისხმევა, უსაზღვრო და ამოუწურავი მზისა ქვეშ არაფერია. მპყრობელი ერის ენერგიასაც აქვს თავისი საზღვარი. იღლება, იფიტება, ცხოველმოსილება უდღნდება. ჯერ პყრობის უნარს კარგავს, შემდეგ თავდაცვისას, მერე სხვა ერებში ითქვიფება და ბოლოს არსებობასაც წყვეტს.

— მანდ შეუსაბამობა იმაშია, რომ ორივე იბრძვის, ორივეს სჭირდება ძალისხმევა და ეს კი ერთს აწრთობს და მეორეს ღუპავს, — შეენიშნე მე.

— აკი გითხარი, სინათლის შეტანა, დამაჯერებლობის მინიშებაა-მეთქი საჭირო. მაგრამ ეშველება, ეგ არაფერია. საჭიროა ისტორიულ მასალაზე გაანალიზდეს დაპყრობითი და თავდაცვითი ომების სულიერი შედეგები და ყველაფერი თავის ადგილზე დაჯდება, მაგრამ ერთი რაიმე მიზეზით არაფერი ხდება. სხვა მიზეზების აღმოჩენაა საჭირო, რომ ჰიპოთეზა დადასტურდეს. ვერ მიმიგნია, დასწყევლოს ღმერთმა! — სანდრო კარიძე ისევ მოიღუშა.

— იცი, რას გეტყვი?.. — ვთქვი მე. — თუ რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის თარიღად მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულს მივიღებთ, მეოცე საუკუნეში ჩვენი იმპერია, შენი ჰიპოთეზის თანახმად, უნდა დაინგრეს. თუმცა, ისიც არ არის გამორიცხული, რომ მიზანტიის იმპერიასავით ათას წელიწადზე მეტს იარსებებს.

— ბიზანტიის იმპერიამ სხვებზე ორჯერ მეტი იმიტომ იარსება, რომ გარკვეული რელიგიური სამყაროს ხელმძღვანელის ფუნქცია ჰქონდა. მისი დამხობის შემდეგ ეს ფუნქცია რუსეთმა იკისრა და ამით სათანადო სიცოცხლის გარანტიაც შეიქმნა, მაგრამ რუსეთის იმპერია მაინც მეოცე საუკუნის პირველსავე მეოთხედში დაემხობა. ამას თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს, სხვა დროს იყოს.

— დაემხობა და სამ-ოთხ საუკუნეში რუსი ერიც აღიგვება. პირისაგან მიწისა? — სიცილით ვკითხე.

— არა. ერმა, ანუ ცალკეულ პიროვნებებსა თუ მათ ერთობლიობაში გახარბიელებულმა მარადისმა სულმა რუსეთში ხელმეორედ იფეთქა, ამჯერად პოლიტიკური პარტიის სახით. მოგაგონდ, პირველად ეს მეთხუთმეტე საუკუნეში იყო. ახლა რუსეთის სოციალ-დემოკრატთა პარტია კაცობრობის ისტორიაში პირველ სოციალისტურ რევოლუციას მოახდენს, დროთა განმავლობაში სათანადო იდეოლოგიური სამყაროს ხელმძღვანელის როლს იკისრებს და როგორც სახელმწიფოს, ისე ერს ზემოთ აღნიშნული ხანგრძლივობის სიცოცხლე გარანტირებული აქვს. არის მეორე გარემოებაც. სოციალ-დემოკრატები რუსეთის იმპერიას დანგრევენ და თავისუფალ, თანასწორუფლებიან, სოციალისტურ ერთა ნებაყოფლობით კავშირს შექმნიან. ეს რუსი ერისთვის სხვა ხალხების საპყრობად ძალისხმევის, გამუდმებული შეტევითი ომების საჭიროებას გამორიცხავს და, მაშასადამე, ქანცის გაწყვეტა, გამოფიტვა და გადაშენებაც თავიდან არის აცილებული. დარწმუნებული არა ვარ, რომ ამ პარტიის ლიდერებს ასეთი რამ გაცნობიერებული ჰქონდეთ. გენიალური კაცის ინტუიციურ ნამუშევარს უფრო გავს. რუსეთის პოლიტიკურ აზროვნებას პირველადმოჩენობის დაფნა ეკუთვნის.

— პატენტი აიღონ. ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, ესპანელები, იაპონელები მაგ პანაცეას სიამოვნებით იყიდიან. შენ გადაშენება ხომ მათთვისაც გაქვს გათვალისწინებული — მპყრობელი ერები არიან.

— რუსო მამულიშვილებო! — გამოაცხადა სანდრო კარიძემ. — დროულად შეიძინეთ ბილეთები, თორემ ათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხუთმეტ წელიწადში მატარებელი გავა, აქვე დარჩებით და რაღას ეტყვით თქვენს სინდისს, სამშობლოს და ჩამომავლობას?!

— ეგ მატარებელი ბაბილონიდან ბაბილონში მიდის, სანდრო!

— ბაბილონში?.. ბაბილოვანი... ბაბილოვანის გოდოლი... — კარიძეს ენა დაება, გაფითრდა კიდეც, კარგა ხანს იყო გარინდებული და მერედა ალუღლუღდა: — გოდოლის ღმერთებამდე ატყორცნის ცდა, ენების აღრევა! საოცარი სიმბოლო, უბრწყინვალესი სახე!.. მეორე მიზეზიც ნაპოვნია... დიახ, დიახ, მეორე მიზეზი!... მეორე მიზეზი!..

სანდრო კარიძემ ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის თებერვლის რევოლუციის ამბავი გაიგო, ქეგვში მოვიდა, რატომღაც უზომოდ დათვრა, მედუქნისა და დამსწრეთა ნაამბობის თანახმად, თურმე, ხან ცრემლები სდიოდა და ხან ხარხარებდა. ბუნებით მოლაპარაკე კაცი იყო — იმ რამდენიმე საათის მანძილზე, თითქმის არაფერი უთქვამს. მერე დაცხრა, თვალები მილულა და ასე მჯდომარე დუქანშივე გარდაიცვალა.

დაკრძალულია შიომღვიმის მონასტრის ეზოში.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელი

მიიპარება მალულად ძველი,
დგება 75 წელი...
მოდის თამამად, მოდის ამაყად,
ერთი წამიც და... გაგვიღებს კარებს,
გამარჯვებათა წელი დავარქვათ,
ჩვენს დიდებას რომ აამქუხარებს.
მეც მაქვს უფლება ცამდე აეზიდო
შენი სახელი—შენსავით ვრცელი
და მოგილოცო, სამშობლოვ დიდო,
ბედნიერების ახალი წელი.

❁

რა გამძაფრებამ, რა გამეტებამ
განმაწყო ახლა სამხიარულოდ,
ლხენით ავავსე სახლი, მამულო,
პატარა არის, მაგრამ ეტევა.
ბრძენი ილიას შუქიან თვალებს
ბიჭების ყიჟინს — მომავალს შენსას
ვადღეგრძელებ და ბოლომდე შევსვამ,
გესლიც რომ იყოს, მოყვასი დალევს.
ჰაერს მასუნთქებს შენი ედემი.
კვლავ იფურჩქნები, გულით მართალო.
მე მეშინია, რომ არ გაგთვალო,
ისე უღმერთოდ მშვენიერდები.

ვეტერანები ეუზეუმში

ვალენტინა კირილენკოს

ჰკითხავ გარდასულ ამბებს,
ხვდები, ინიშნავ, იქერ,
მკერდზე სახსოვარს აბნევ
გუშინდელ ლეგა ბიჭებს.
მიტომ იბრძოდნენ ქერჩში,
მაგ თვალებს არ ეტირათ,
აგრემც დედაშენს შერჩი,
ლამაზო ვალენტინა.
მოგონებათა მძივი
ცრემლის ციმციმით წვეთავს,
ადგას ციხკარი ცივი
შენს სიზმრებს ნათლის სვეტად.
გმირთა ნაკვალევს ეძებ,
ისტორიასთან დაობ,
ქართველი ხალხის ბედზე,
ჩაფიქრებულო დაო.

❁

შენ ვერ ამაცდენ თოფის ლულას
მიშვერილს მკერდზე
და ვერც ჩემს სათქმელს
დასრულებ, ადამიანო.
რაც ლხენისა და დარდის გემო
გავიგე, გეძებ.
და არ გაბედო, ცხრა მთას იქით
გადაიმალო.
შენ ვერ ამაცდენ თოფის ლულას
მკერდზე მიშვერილს,
ვერ ამიშენებ სასახლეებს
დასავანებლად.
და მაინც... შენი არსებობა
ისე მიშველის...
ისე ამაცდენს
ნაადრევად დასამარებას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკაულები

ბრძოლა,
გმირობა,
მამულის მოვლა,
სამშობლოსათვის
დაღვრილი სისხლი;
სიკეთისადმი —
მარადი ლტოლვა,
ღალატისადმი —
მარადი ზიზღი;
გაშლა, მოქნევა
ვაჟკაცურ მკლავის,
სიმდიდრის არა!
სახელის ხვეპა,
სინათლის კვალი,
სიმართლის კვალი
კაცურ-კაცობის
ნიშნად და ბეჭდად;
პური, მარილი
და ღია კარი,
სინდის-ნამუსი —
კანონი მკაცრი, —
იყო და არის!
იყო და არის!
სამკაულები
ქართველი კაცის.

•

მე მაგონდება
სინანული
ძველი ბარათის;
ხშირად ვიგონებ
უმზეობას,
ქარებს და ყინვებს;
მე მაგონდება
სიყვარულიც,
ცრემლიც,
ღალატიც,
მაგრამ არავინ მაგონდება,
რომ მძულდეს ვინმე.

•

მე რომ სამოსი შევკერე
ოცნებით ნაგვირისტალი,
ვინ არის მისი შემფერი,
სად არის ის ალვისტანი?
თუ სადმე არის, გამოჩნდეს,
რაღაზე მიდგას განზედა?
ღმერთო, რა თარგზე გამოიჭრ —
ვერვინ მოირგო ტანზედ.

•

უნდა დაშორდე —
რომ გაიგო
სამშობლოს ფასი,
უნდა დაბრუნდე —
რომ იწამო
უკვდავი ვაზი;
უნდა შეგიყვდეს —
რომ იცოდე
რას ნიშნავს ჭერი,
უნდა მოგწყურდეს —
რომ სიცოცხლედ
მიიღო ჩქერი;
უნდა მოგშივდეს —
რომ ნამდვილად
იგემო პური,
უნდა გიყვარდეს —
თუ გინდა, რომ
იპოვნო გული,
უნდა გჯეროდეს —
თუ ვსურს მისწვდე
ვარსკვლავებს ხელით,
უნდა დააკვდე —
რომ ადიდო
სიცოცხლის დღენი.

ალექსანდრე ფაბაფაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკრა

სახლები სკებივით ჩამდგარან,
ატმებში ჩამტკბარა სკრა...
ეს ერთი ცალკე რად გამდგარა,
პატარა ზუზუნა სკა?

ზოგნი ავ სიტყვასაც იტყვიან,
მაგრამ სხვამ რაც უნდა თქვას, —
სკრის ერთი პატარა კვირტია
ეს განზე გამდგარი სკა.

ფერებით მოტანილ უსურვაზს
მოხუცი ეზოში რგავს...
მგზავრო, შენც მშვიდობა უსურვე,
მშვიდობა, პატარა სკავ!

ამომწურავი პასუხი

დამალობანას
თამაშობდნენ
სასაფლაოზე
ცელქი ბავშვები
ჩვენი სოფლისა
და ამომწურავ
პასუხს სცემდა
მათი კისკისი
ყოფნა-არყოფნის
მარადიულ
ფილოსოფიას.

•

თავაწყვეტილი „იკარუსი“ გზაზე მიჰქროდა,
დუმდნენ მგზავრები. ყველა თავის გზაზე ფიქრობდა.
და შენ გეძინა. ასე სძინავთ ჩვილის აკვანთან
და ლამაზ შუბლზე დაგფენოდა თმები ნაბალივ.
ტკბილად გეძინა, გრილი სიო ღია სარკმლიდან
გეფერებოდა და მკლავებზე ბუსუსს გაყრიდა...
თავაწყვეტილი „იკარუსი“ ისევ მიჰქროდა,
დუმდნენ მგზავრები, ყველა თავის გზაზე ფიქრობდა.
შენ კი გეძინა, ბედნიერი სახით გეძინა,
თითქოს შენს სულში არასოდეს ჯერ არ ეწვიმა.
თითქოს არ გქონდა მიწიერი რამ საზრუნავი,
დაჰქროდი მხოლოდ ოცწლების ცისფერ ბურანში.
გეძინა ტკბილად მთელი ღამის უძილოს, დაღლილს
და თვალწინ-გედგნენ ბავშვი, ქმარი, ეზო და სახლი.
გეძინა ასე, გამოსცემდი დროდადრო სიცილს
და დაღლილ ხელებს ასდიოდათ სურნელი ქნძის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდოუ ნანა

ძველკოლხური მოტივების მიხედვით

იჯდა კოლხი ქოხსა შინა,
იჯდა დიდხანს მარტოდმარტო,
ზუზუნებდა ზღვიდან ქარი,
ან უსტვენდა ისე მქისედ,
რომ შმორიან ლაქაშებში
მიყუჟული ავი სული
ეოსს კარგავდა, მაგრამ მაინც
არ სუჭავდა შეშლილ თვალებს
და როკავდა მთელი ღამე,
დიდოუ ნანა!..

ხან რჩებოდა თვითონ ქოხი
თავის თავთან მარტოდმარტო. —
რა სახმილი სწვავდა პატრონს? —
იდგა კოლხი ზღვის ყურესთან,
როგორც ძეგლი ღვთაებრივი,
ჩაებღუჯა ხელში ცული,
უსურვაზი ერტყა ქამრად
და ეფინა შიშველ ფეხებს
მზე კი არა, —
ნათლის სვეტი,
დიდოუ ნანა!..
დიდოუ ნანა,
ყურე ზღვისა,
როგორც სევდით სავსე თვალი,
ლიბრს საკუთარს გრძნობდა მხოლოდ:
ცას უმზერდა —
ცა არ ჩანდა,
მზეს უმზერდა —
მზე არ ჩანდა,
გზას უმზერდა —
გზა არ ჩანდა,
არაფერი ჩანდა ირგვლივ,
არც უსტვენდა თითქოს ქარი,
არც როკავდა სადმე ეშმა,
დიდოუ ნანა!..

მაგრამ ჰანგი წარმართული
ჩურჩულებდა:
დიდოუ ნანა!
მაგრამ სიმი დაძაგრული
წკრიალებდა:
დიდოუ ნანა!
მაგრამ გული გათანგული
ეუგუნებდა:
დიდოუ ნანა! —
სტვენდა ქარი,
ზღვა კვნესოდა,
ვზე როკავდა —
დიდოუ ნანა!..

დიდოუ ნანა,
ნანა,
ნანა,
მზის შუქზე და ფიჩხის ალზე
სახომალდე მორებს კოლხი
ხან ჩორკნიდა, ხანაც თლიდა,
ჯერ ჩორკნიდა, მერე თლიდა,
იჯდა —
თლიდა,
იდგა —
თლიდა,
და მანამდე თლიდა იგი,
სანამ ოქროს ვერძს თუ არა,
ერთ ლამაზ წუთს იპოვიდა,
დიდოუ ნანა!

●

ციხის ნანგრევზე გდია ძველი სურის ნატეხი,
სურას მთელი აქვს სახელური,
ძირი კი...
ძირი
ალუკუნეთა
სიღრმეში
მიდის
და არცკი ვიცი —
როდის ჩავაღწევ
იქამდე ჩემი ჰაწია სანთლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

მეთერთმეტე მცნება

თუ აიღებთ რაიმე სიტყვას და დაჟინებით ამეორებთ, შეამჩნევთ, რომ იგი თანდათან დაიცლება შინაარსისაგან და უაზრო ბგერებად იქცევა.

ვ. ასკაშვილი.

 კორდელია:

— ხომ არ ინებებთ, ხელმწიფეო, გასეირნებას?

ლირი:

(ბავშვური, ანგარიშმიუცემელი სიხარულით) — შენთან?.. დიდაც!.. (იმავ წამს, თითქოს ცივი წყალი გადაასხეს, სიხარული ისევ ჩამოერეცხება სახიდან; მოწყვეტით დაეცემა მუხლებზე. ჩავარდნილი, თითქმის ცრემლიანი ხმით) გთხოვ, შემინდო და მაპატიო...

კორდელია:

(სწრაფად დაიხრება, ფეხზე წამოაყენებს, მის ხელს თავის ხელებში მოიქცევს და ნაზად ეფერება).

ლირი:

(ცდილობს თვალი გაუსწოროს და გაუღიმოს, რათა ღიმილმა თქვას მეტი სათქმელი და ერთი დაკვრით დაიძლიოს ყველა დაბრკოლება. მაგრამ ძალდატანება თავისას შვრება და თბილი ღიმილის მაგივრად ღიმილის ცივი ნიღაბი აეკვრება სახეზე. მაშინ თავს ჩაქინდრავს. დაოცხვენთ) — ხომ ხედავ, რარიგ ბებერი ვარ, რარიგ სულელი (ხელისხელჩაკიდებული მორჩილად მისდევს ნელი, ბებერული ნაბიჯით).

(წინ მიმავალთ საპატიო მანილზე მიყვება იაკობ მეგუეკე და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა), რომელთაც ერთი სული აქვთ როდის მოთავდება ყოველივე ეს, რომ სასდმე სასაუზმეში შეცვივდნენ და გაჭურებული გულ-მუცელი ცივი ლუდით ჩაიგრილონ.

ცარის უკან რომ გავლენ და თვალს მიეფარებიან, ზაალ ნიკარაძე ხელს შეუშვებს თინა ბარნაბიშვილს და მარტო განაგრძობს გზას. ისევ ისე ნელი, ბებერული ნაბიჯით მიდის).

სულში ჯერ კიდევ არ დამცხრალა წეღანდელი მღელვარება, იქ რომ გადაიტანა, კარავში, როდესაც ცა გაიხსნა და დანისლულ ფონებაში გთენებასავით შეიპარა საღი აზრი, როდესაც შერისხულმა ქალიშვილმა მშვიდად და დამაჯერებლად დაუსაბუთა, რომ ერთადერთი იარაღი, რომლითაც ყველა იარაღის დამსხვრევა და დამარცხება შეიძლება, არის სათნოება და დიდსულოვნება.

კარვის უკან ქვეყნის ხალხი ირევა.

ზაალ ნიკარაძე მათ ვერ ამჩნევს, მაგრამ გრძნობს, რომ ისინი არსებობენ. რამდენჯერ დაუპირებია, მოდი ერთი, ვკითხავ, ვისაც ჯერ არს, და გავარკვევ, რამეს აკეთებენ აქ, თუ ისე იყრიან თავს, უსაქმოდო. დაპირებით დაუპირებია, მაგრამ გასცდენია თუ არა აქაურობას, მაშინვე დავიწყებია.

ახლაც დაავიწყდება.

დარბაზში ტაში არ ცხრება.

მუდამ ასეა: დაასრულებს თუ არა ამ ეპიზოდს და დაიძრება გასასვლელისკენ, ატყდება გაუთავებელი ტაშისცემა და კაცაშვილს არ ენაღვლება, რომ სცენაზე ჯერ კიდევ დარჩა რამდენიმე კაცი, რომელთაც თავიანთი რეპლიკები აქვთ წარმოსათქმელი. დგანან ეს კაცები იქ შესაბრალის და ოდნავ სასაღიო პოზაში და მათი მდგომარეობა ჭეშმარიტად ტრაგიკომიკურია. რა გინდა ქნა? გაიარძალეს ეპიზოდს, — რა აზრი აქვს: მაყურებელი შენ არ გისმენს და ილაპარაკე თუ გინდა, სანამ ენა არ დაგეღლება; შეიცდი და ტაშის მიწყნარებას დაელოდები, — გაფუჭებული უკვე ყმლაფერი: სცენა გაცარიელებულია, შენც გაციებული და გამოთიშული ხარ და აღარავის აინტერესებს, უკვე მოკლეს საწყალი კორნველის მთავარი, თუ ჯერ კიდევ დაათრევს თავის ცოდვილ ლეშს ამ ქვეყანაზე.

მაყურებელს არ ესმის მსახიობის ვასაჭირო. ზაალ ნიკარაძემ ერთხელ რეჟისორს ურჩია: ბოლო რეპლიკები სულ ამოვიღოთ, ან არა და სადმე წინ გადავიტანოთ და მოქმედება ჩემი ეპიზოდით დავამთავროთ, თორემ ცოდოა ეს ხალხი, როდემდე ელოდონ ტაშის დაცხრომასო. მაგრამ რეჟისორმა არ ქნა. ტექსტის შეკვეცა შეუძლებელიაო, უთხრა, იმიტომ რომ კენტესა და აზნაურის რეპლიკებში მაყურებლისათვის აუცილებელი ინფორმაციაა მოთავსებული, წინ გადატანაც არ მოხერხდება, რადგან ქრონოლოგიური დისონანსი გამოგვივა და ეპიზოდის კომპოზიციური სტრუქტურაც დაირღვევაო.

კარგია, ასეთი სიტყვები რომ ისესებობს.

„კომპოზიციური სტრუქტურა“... „ქრონოლოგიური დისონანსი“...

პირდაპირ ქოლგასავით სიტყვებია წვიმიან ამინდში...

ზაალ ნიკარაძე თავის ოთახში შევიდა.

აქ კარგია. ჰაიჰარად ვერავინ შემოგვარდება. შეგიძლია დაჯდე და წყნარად დაისვენო.

პატარა, უფანჯრო ოთახი.

ფანჯარა არცაა საჭირო: კაცს ყურადღებას გიფანტავს.

ორი სავარძელი, ერთი ტახტი, მომცრო მაგიდა და, რაც მთავარია, სარკე: ვეებერთელა სარკე მსახიობის განუყოფელი თანამგზავრია. სარკე იგივეა მსახიობისათვის, რაც კომპოზიტორისათვის ინსტრუმენტი და მხატვრისათვის საღებავი.

ზაალ ნიკარაძე სავარძელში ჩაეშვება, ხელებს სახელურებზე დაწყობს, საზურგეს მიაწვება, რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქავს. მაშინვე იგრძნობს ნაცნობ, სასიამოვნო მოთენთილობას.

ასე ისვენებს ყოველ ანტრაქტზე, დაღლილი სხეული პორებს ხსნის და ხელახლა ივსება ენერგიით.

ახლა მთელი ოცი წუთი აქვს დროსამაგიეროდ, დიდი შრომაც მოელის. წინ ბოლო აქტია; მღელვარე და დაძაბული, კულმინაციური აქტი.

რამდენი ენერგია მიაქვს მღელვარებას!

ზაალ ნიკარაძე ოდნავ წამოიწევა სავარძელში. სარკეში ჩაიხედავს. ერთხანს უყურებს საკუთარ გამოსახულებას; თეთრ წვერს თითებით ჩამოივარცხნის, ჩამოისწორებს. მერე ისევ

ჯემალ ქარჩხაძე
მეთეთრეთმტე მცნება

მიაწვება საზურგეს, ძველებურ პოზას დაუბრუნდება, თვალებს დახუჭავს.

რამდენიმე წამს ასე იქნება გაჩინდებული.

და უეცრად სავარძლიდან წამოვარდება. სწრაფად, ფიცხლად, ინსტინქტურად.

თითქოს უკნიდან ონიბაზი ამხანაგი წამოეპარა და ქინძისთავი უჩსვლეტაო.

ქინძისთავი არავის უჩხვლეტია. თეატრში მიწიფული ხალხია, სერიოზული.

სერიოზული?

ყოველ შემთხვევაში ზაალ ნიკარაძე ის კაცი არ არის, ვისაც ქინძისთავის ჩხვლეტას გაუბედავენ.

მაშ, ეს რა იყო?

სარკეში რაღაცამ იელვა და სხეულს ელექტროდენივით დაუარა.

მაგრამ ცნობიერებისათვის არ მიუღწევია. გვერდით ჩაუქროლა, ოდნავ წამოეღო და წავიდა, გაქრა.

გრძნობის ორგანოებმა მხოლოდ იმის შეგრძნება მოასწრეს, რომ ეს იყო რაღაც უცხო და შორეული ტკივილი. სიზმარში რომ ნახავ, ვითომ სცენაზე, მაყურებლით გაჭედილი დარბაზის წინ, როლი დაგავიწყდა, და გული შეგეკუმშება, თუმცა სიზმარშივე გრძნობ, რომ ეს სიზმარია.

ბუნდოვანი. გაუგებარი.

მაგრამ შემაშფოთებელი და ამაფორიაქებელი.

დასვენებასა და ენერგიის აღდგენაზე ფიქრიც აღარ შეიძლება.

ხელებს ზურგსუკან დაიწყობს, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდება სარკეს; სულ ახლო მივა, თავის ორეულს დააცქერდება. დიდხანს უყურებს ჩაცეებით. ხან თვალებში, ხან ცხვირზე, ხან თმაზე.

ვერავითარ ცვლილებას ვერ შეამჩნევს.

სადღაც, სხეულის ღრმა ფენებში რაღაც შფოთავს და გარეთ მოიწევს.

ის კი, წეღან რომ ელვასავით გაანათა, აღარსად ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ შეტრიალდება, ოთახიდან გავა, კარს გაიხურავს. იქ ცოტა ხანს შეიცდება, მცირე პაუზას გააკეთებს, როგორც სცენაზე გასვლის წინ იცის ხოლმე; უკანვე შემოვა. სავარძელში ჩაეშვება, ხელებს სახელურებზე დაიწყობს, საზურგეს მიაწვება და რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქავს.

მერე ოდნავ წამოიწევა; სარკეში ჩაიხედავს; ერთხანს უყურებს საკუთარ გამოსახულებას; თეთრ წვერს თითებით ჩამოვარცხნის, ჩამოისწორებს. ისევ საზურგეს მიაწვება, ძველებურ პოზას დაუბრუნდება, თვალებს დახუჭავს. რამდენიმე წამს ასე იქნება გარინდებული.

ვერავითარ ცვლილებას ვერ შეამჩნევს.

ის, რამაც წეღან ელვასავით გაანათა, უკვალოდ გამქრალა.

წამოდგება და ბოლთის ცემას ღაიწყებს. რამდენჯერმე გაიარ-გამოიარ. მერე სავარძელს ახლო მიიჩოჩავს სარკესთან და ჩაჯდება. გაშლილი ფეხებით თითქმის ეხება სარკეს.

ორი ზაალ ნიკარაძე ერთმანეთს უყურებს. ერთი ორიგინალია, მეორე — ასლი.

ერთი სარკეში იყურება, მეორე სარკიდან იყურება, ერთი სარკის წინაა, მეორე. — სარკის უკან.

„უკან“ არ არსებობს. „უკან“ იმის მოგონილი სიტყვაა, ვისაც თავი „წინ“ ჰგონია.

უბრალოდ, შუაში გამჭვირვალე სარკეა და ორი ზაალ ნიკარაძე ერთმანეთს უყურებს.

ერთი ნამდვილია, მეორე — ილუზიური.

ნამდვილი რომელია?

ნამდვილი მე ვარ. იმიტომ, რომ მე ჩემს თავზე ვამბობ „მე“, იმაზე ვამბობ „ის“.

მაგრამ „უკანისა“ არ იყოს, იქნებ

„ის“ იმან მოიგონა, ვისაც თავი „მე“ ჰგონია?

მართლა ნამდვილია ერთ-ერთი ჩვენგანი?

თუ ორივე ილუზიური ვართ?

ზაალ ნიკარაძეს არა აქვს თეორი წვერი. არც ასეთი გაბურძგნილი ომა, არც დამჭკნარი სახე და ბებრული თვალები.

ზაალ ნიკარაძე სამოცი წლისაა. ეს კი, სარკიდან რომ შემოსცქერის, ოცხმოცის მაინც იქნება.

არა, ეს ზაალ ნიკარაძე არ არის.

ეს საწყალი ლირია, ავი, ჭირვეული და სკლეროტიკი.

მაშ, ზაალ ნიკარაძე სადღაა?

გუშინ ამ ჩამოფლეთილი მეფის ადგილას ვინმე კრაუზე იყო, ხალ ილულიუს კეისარი იქნება.

ზაალ ნიკარაძე?

ირგვლივ დუმილია, სამარისებური დუმილი და სამარისებური უძრაობა, უფანჯარო ოთახში ჰაერი შეგრძებულია. არაფერი არ იძვრის, არაფერი არ ირხევა. აზრიც გახევებულია. ფიქრიც გახევებულია. სამყარო სუნთქვაშეკრულია.

უძრავი მოლოდინი.

და უცებ გაჩნდება სიტყვა. სადღაც ზემოთ, უკიდეგანო სივრცეში, პლაკატივით ჩამოეკიდება სიტყვა.

უძრავი, უხილავი, უხმაურო.

სიტყვა.

რომელიც იყო დასაბამიდან.

„პამპულა“

ერთბაშად ამოძრავდება ყველაფერი: ფიქრიც, აზრიც, ჰაერიც, სულიც.

აირევა ერთმანეთში ყველაფერი.

პირველყოფილი ქაოსი.

მარტო ზაალ ნიკარაძეები ცხენად გაუნძრევლად, როგორც ნიღბები, და თვალებში შესცქერიან ერთმანეთს.

ბოლოს ზაალ ნიკარაძე მიმართავს ზაალ ნიკარაძეს და უხმოდ ეტყვის: „ზაალ ნიკარაძე, შენ პამპულა ხარ. ნუ შეკრთები, ნუ გაცხარდები, ნურავითარ ნაადრევ შეფასებას ნუ გააკეთებ. აი, ასე. — მიყურე: წარბშეუხრელად, ძარღვშეურხევლად, ნირშეუცელელად იქნება არც არაფერია საშიში. ბოლოს დაბოლოს, პამპულა მხოლოდ იმით განსხვავდება დანარჩენ მოკვდავთაგან, რომ პამპულაა. სხვა მხრივ ისიც ჩვეულებრივი ადამიანია და ჩვეულებრივი ადამიანური კატეგორიები ესადაგება: მაღალი პამპულა, დაბალი, ინტელექტუალი, ვრაფომანი, ცხვირმოდრეცილი, ევროპელ ყაიდაზე აღზრდილი, ქაჩალი, ანალიტიკოსი, თავლაფდასხმული, შემთხვევით აღზევებული, უნდილი, მედროვე, კლასიკოსი, ბიუროკრატი, მუსესი, უშვილძიროდ გადაგებული, სახელმწიფო ქონების გამნიავებელი... შენ ნიჭიერი პამპულა ხარ, ალიარებული. სახელმოხვეჭილი. ხალხის საყვარელი პამპულა. თავზეხელაღებული უნდა იყოს კრიტიკოსი, შენზე რომ აუგი თქვას.

რა ვუყოთ! ერთხელ ხომ უნდა დადგეს დრო, როდესაც საკუთარ თავს თვალს გაუსწორებ და გულაბდილ სიტბარს გაბედავ.

ზოგი ოცდაათი წლისა უკვე საფლავშია.

შენ მშვიდობით გადაცდი სამოც წელს.

გვერდზე გახედეა არ იყოს!

ნუ გეშინია.

უნდა ირწმუნო, რომ შიში არც ისე საშიშია, როგორც გვაშინებენ. მაშინ ნაკლებად შეგეშინდება.

შენი ცხოვრება შენი ხელობაა. შენი ხელობა კი ნიღბების ცვლაა. ერთ ნიღაბს მოიხსნი, მეორეს აიფარებ. ამიტომ სახე დაკარგე.

ის იყო შენი სახე, წელან რომ ელვასავით გაანათა სარკეში

ვილაპარაკოთ გულახდილად.

მოიხსენი ეგ ცრუ წვერი. ეგ პარიკიც მოიხადე.

აი, ასე.

ახლა ნახავ, როგორ დაიმსხვრევა შე-

ზ ე მ ო ა ლ ‘ ქ ა რ ჩ ხ ა ძ ე
„მ ე თ ე რ თ მ ბ ტ ე ბ ი ს ც ნ ე ბ ა

ნი დიდების ხუხულა, რომელსაც ორმოცი წელიწადი აკოწიწებდი.

აკოწიწებდი!

შენ სახელმოხვეჭილი მსახიობი ხარ; ამას ვერავინ უარყოფს. თუნდაც იმის გამო, რომ საამისო საბუთები გაქვს. დოკუმენტები. ხელმოწერილი თუ ხელმოუწერელი, ბეჭედდასმული თუ ბეჭედდაუსმელი, სტამბაში დაბეჭდილი თუ ხელნაწერი, ღერბიან ქაღალდზე თუ ულერბო ქაღალდზე. ტიტულები, წოდებები, ჯილდოები, სიგელები, ადრესები, რეცენზიები, წერილები. სამი უჯრა გაქვს სავსე. თეატრალური კარიერის თთელ მანძილზე ბეჯითად. აგროვებდი ამ ქაღალდებს. არ დაგიკარგავს არც ერთი ნაგლეჯი ფურცელი, სადაც კი შენი სახელი და გვარი (სახელის და გვარის მეტი შენგან აღარაფერი დარჩენილა) იყო მოხსენებული. სანიმუშო გულმოდგინებით აგროვებდი, სათუთად უვლიდი, გადაკეცილ კუთხეებს ფაქიზად უსწორებდი და ახლა სამი უჯრა საბუთები გაქვს. მოვლილი, მოწესრიგებული, დალაგებული, დახარისხებული, ყდაში ჩასმული და აკინძული. ჰმ!.. ყდაში ჩასმული და აკინძული! გზა რომ აგბნეოდა და თეატრის მაგიერად კანცელარიაში მოხვედრილიყავი, იქაც დიდ კარიერას გიაკეთებდი. სახელგანთქმული კანცელარისტი ზაალ ნიკარაძე! კაცმა რომ თქვას, რითი სჯობს სახელგანთქმული მსახიობი სახელგანთქმულ კანცელარისტს? ღმერთმა იცის; ალბათ, მასშტაბით. მაგრამ მასშტაბი ხომ რაღაც არარეალური ცნებაა და შედარებისთვის სრულიად გამოუსადეგარი!.. საბუთები საფუძვლიანდაა დახარისხებული. ზედა უჯრაში ზემოდან ჩამოცვენილი ქაღალდებია: ჯილდოები, მადლობები, წოდებები, სიგელები... შუა უჯრაში რეცენზიებია. კრიტიკოსთა ნაოფლარი და ნამოღვაწარი. ქვედაში — თაყვანისმცემელთა წერილობითი ემოციები: აღფრთოვანება. ქება-დიდება, ცრემლები, სიყვარული... ეს წერილები გულუბრყვილო და სასაცილოა. მათ არა აქვთ კრიტიკული რეცეპტიის მკაფიო პოზიცია და ოფიციალური სიგელის მშრალი ჩინოვნიკური ბა. ალბათ, სწორედ ამიტომაა ნუსრდენ ძვირფასი. განსაკუთრებით სულიერი სისუსტის ჟამს, როცა პატარა უსიამოვნების გამო წუთისოფელი ცივი და ამაო მოგეჩვენება... სამი „უარყოფითი რეცენზიაც“ გაქვს. ძველი რეცენზიები, იმდროინდელი, როცა კრიტიკოსებს ჯერ კიდევ არ მიაჩნდათ მკრეხელობად შენზე ძვირის თქმა. თავის დროზე ამ რეცენზიებმა მწვავე ტკივილი მოგაყენეს; ახლა ისინი ქება-დიდების ზღვაში არიან ჩაკარგული და აღარ ჩანან, როგორც დფნის გვირგვინში გამორეული ლობიოს ფოთოლი. ამიტომ იმათაც სათუთად უვლი. ცალკე კუთხეც მიუჩინე უყოფნაში: ეს სამი რეცენზია ახლა მცირე საოხუნჯო ეპიზოდია შენი დიდების სპექტაკლში. ხაზდახან, ცოლშვილი რომ შინ არ გეგულება, მაგიდას მიუჯდები, ძვირფას საუნჯეს ამოალაგებ და გულისფანცქალით...

გულისფანცქალით!

...თვალიერებ და შეჰხარი, როგორც ფილატელისტი შეჰხარის წლობით ნაგროვებ მარკებს.

შენი საუნჯე უჯრებშია ჩაკეტილი და უცხო თვალთაგან ყოველთვის საგულდაგულოდაა დაფარული.

განსაკუთრებით ცოლს უმალავ.

ცოლებს არ ესმით ქმრების დიდების ფასი.

თეკლა...

ეშმაკურად მომღიმარე თვალები, კუთხეები მაღლა აზიდული.

„მონოგამიის ორდენის კავალერს“ გეძახდნენ კოლეგები და ამ ხუმრობაში სითბო მეტი იყო, ვიდრე დაცინვა.

თეკლა ისეთი ქალი იყო, შენ კი არა თურქეთის ხონარქის გადაალეკვედა „მონოგამიის ორდენის კავალერად“. ბოლოს შენმა დიდებამ იმსხვერპლა. (ვინ იმსხვერპლა? ის თუ შენ?)

რაც უფრო მრავლდებოდა შენი აღზევების მაუწყებელი დოკუმენტები,

მით უფრო იზრდებოდა თეკლას ირონია.

ან იზრდებოდა, ან გეჩვენებოდა, ვითომ იზრდებოდა, რადგან შენ თანდათან კარგავდი იუმორის გრძნობას.

როდესაც კაცის არსებაში სახელი და დიდება შემოდის, იქედან რამე უნდა განდევნოს, რომ ადგილი იპოვოს. პირველ რიგში იუმორის გრძნობა იდევნება.

შენ ამჩნევდი თეკლას ირონიას: ლაპარაკით ამ თემაზე იშვიათად ლაპარაკობდით.

ერთხელ გითხრა, დიოგენი თავის დიდებას კასრში ემალებოდაო. შენ უთხარი, მე რას მირჩევ, იქნებ ჯობდეს სუფლიორის ჯიხურში ჩავიდე და იქ დავიმალოო.

თეკლამ გაიღიმა.

სიტყვებზე მეტად ღიმილი გაღიზიანებდა. ღიმილში ის სიტყვაც შეიძლება იგულისხმო, სინამდვილეში რომ გულშიაც არ გაუვლია. ამითაა ღიმილი საშიში.

კასრში იმალებოდა!

ან ლეგენდაა, ან პათოლოგია.

(ასე ფიქრობდი შენ)

საკუთარ დიდებას ვერვინ დაძლევს. ვერავინ დათმობს დღევანდელ სიამოვნებას იმის იმედით, სიკვდილის შემდეგ უფრო დიდი სახელი დამივარდებაო.

დიოგენს ახირებული კაცის სახელი დაუვარდა.

ჯერ ერთი, სიკვდილის შემდეგ რომ სახელი დამივარდება,

(ასე ფიქრობდი შენ)

ის მე აღარ მეხება. მეორეც, ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ, რასაც დღეს დავთმობ, ოდესმე მართლა დამიფასდება და ყველაფერი წყალში არ ჩაიყრება.

თეკლას გულგრილობა უფრო და უფრო გაღიზიანებდა...

საგულდაგულოდ გადაჭიმული თმა, გადატკეცილი, ოდნავ ამობურცული შუბლი, თვალის კუთხეები...

ბრძად ნუ ირწმუნებ ყველაფერს, რასაც შენზე ამბობენო.

მონოგამიას ბზარი გაუჩნდა.

ბოლოს, როდესაც თაყვანისმცემელთა მრავალრიცხოვანი არმიის ერთერთ მებაირახტრესთან მარხვა გატეხე, თეკლა ღიმილით წავიდა შენგან.

კაცმა არ იცის, რა იყო ღიმილის უკან. თეკლა ადვილად მალავდა იმას, რისი დამალვაც სურდა.

ღიმილით წავიდა. მიდიოდა და აშოლტილ ტანს მიარხევდა.

რა მოიგე ამით?

მოგებით არაფერი, გაგებით კი ერთი რამ დაბეჯითებით გაიგე: ცოლი და თაყვანისმცემელი ორი სხვადასხვა ფიზიკური სხეულია, რომელთაც ერთსა და იმავე დროს ერთი და იმავე ადგილს დაკავება არ შეუძლიათ. როდესაც შენს ხარჭაზე ოფიციალურად დაქორწინდი, მან მაშინვე შეწყვიტა არსებობა როგორც თაყვანისმცემელმა, იქცა ცოლად და...

არც კი ვეცინება!..

ირონიულად დაუწყო ყურება შენს დიდებას.

არა. ცოლი არასოდეს აღიარებს ქმარს. ცოლი მედლის მეორე მხარეზე წერს შენს ბიოგრაფიას.

თეკლას ღიმილი დროდადრო ტკივილივით გაგიხსენებს...

ეს ერთადერთი ტკივილია, რომელსაც შენი დიდება მალამად ვერ ედება.

მაინც რა არის ეს „შენი დიდება“?

ნიჭს სთესავ და სახელს იმკი.

არა. ჯერ თანდაყოლილ ნიჭს შეძენილ ცოდნასთან აჯვარებ.

ავიღოთ ორი სუფრის კოვზი ნიჭი, შევურიოთ ნახევარი კილო ერუდიცია, კარგად ავთქვიფოთ და ოცი წუთი ვადუღოთ ნელ ცეცხლზე. მარილი და წიწაკა გემოვნების მიხედვით.

მერე ეს არის შენი კაპიტალი, რომელსაც ხალხში აბანდებ და მოგებას ნახულობ.

თუ ღმერთმა ცოტაოდენი მარილი და წიწაკაც მოგმადლა, შეგიძლია ჩა-

ჯემალ ქარჩხაძე
ამთერთმეტე მცნება

თვალო, ვითომ რჩეულთა მცირერიცხოვან გუნდში ჩაირიცხე და უფლება გაქვს ეგრეთწოდებულ „უბრალო მოკვდავებს“ ზემოდან უყურო.

გენიშნა?

ტყუილია!

არ არსებობს არავითარი „ზემოდან ცქერა“. მხოლოდ „ქვემოდან ცქერა“ არსებობს. „ზემოდან ცქერა“ „ქვემოდან ცქერის“ ინსტინქტური პასუხია. მე არასოდეს დავყურებდი ვინმეს ზემოდან! არასოდეს მიფიქრია, რომ განსაკუთრებული ნიჭის პატრონი ვარ.

მე და ზემოდან ცქერა?!

ხე ხომ მორცხვი ვიყავი, მორიდებული, მშიშარა. ვკანკალებდი, პირველად რომ გამოვედი სცენაზე, ღამეებს თეთრად ვთენებდი. მაშინდელი სახელმოხვეჭილი მსახიობები განსაკუთრებული ყაიდის ადამიანები მეგონა, ზეგარდმო ნიჭით ცხებული ხალხი. ოცნებასაც ვერ გავბედავდი იმაზე, რომ ოდესმე მათს სიმაღლეს მივაღწევდი.

მაგრამ ჩვენი ბედი ჩვენს ხელთ არ არის. ახლა ნათელია, რომ უნიჭო არ ვყოფილვარ. ორი-სამი რიგიანი როლი, ერთი-ორი კეთილმოსურნე კრიტიკოსი; მერე: ვინც სცენაზე გნახა, ამბავი გაიტანა, ვისაც არ უნახიხარ, ეს ამბავი უფრო გააზვიადა... ხალხს სიამოვნებს გაზვიადება, გაზვიადება საკუთარი თავის რწმენას უნერგავს. ადამიანი ინსტინქტურად ცდილობს კერპის შექმნას. შენი სიდიდე მისი სიდიდის იმედია, რადგან იგი გამოდის იმ მარტივი ფორმულიდან, რომ ორივე თქვენთაგანი ადამიანი ხართ. რა თქმა უნდა, ეს წმინდა წყლის ილუზიაა, მაგრამ ამ ილუზიაში ადამიანის ოპტიმიზმია ჩატანებული. ღმერთი ვერ აკმაყოფილებს კაცს, რადგან ღმერთი მიუწვდომელია. ადამიანს ადამიანი სჭირდება კერპად. არც გაემტყუნება: ყოველ დილით იგივე მზე ამოდის, წინა საღამოს რომ ჩავიდა, ყოველ დილით იმავე ლოგიწში იღვიძებ, რომელშიც დაიძინე. ყოველთვის ერთი და იგივე ცხვირი გაბია და ცაზე ერთი და იგივე ვარსკვლავები კიაფობენ, ყოველდღე პირს იბან და ყოველდღე საშესანუმში დადიხარ, ყოველდღე ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობ და ყოველ დილით იგივე დღე დგება, რომელიც გუშინ უკვე იდგა. დრო ისე მოძრაობს, როგორც ესკალატორის საფეხურები; რაც მიდიხ, ის მოდის. ამაზე რომ დიდხანს იფიქრო, შეიძლება ჭკუიდან შეცდე. ერთფეროვნება ნებისყოფას თენთავს და კაცს სიცოცხლის ხალის უკარგავს. ამიტომაა საჭირო კერპი, რომელმაც ყოველდღიურობას თავი დააღწია და თავისი მაგალითით გადარჩენის იმედს იძლევა. (თეატრიც ყოველდღიურობიდან გაქცევის ილუზიაა).

ხალხმა ვიღაცა უნდა გასწიროს და გამიტოს. ამჯერად მე გამიმტეს. ჩემი მცირე წარმატება ხელოვნურად გაზვიადეს და ჩემი პატარა ნიჭი ხელოვნურად გაბერეს.

აქ უკვე ბრძოლას აზრი არა აქვს. შენ მთს ხელში ხარ და დამარცხებას უნდა შეურიგდე. ტიკინა, რომელსაც თავის ნებაზე ათამაშებენ. კერპი. კერპს უფლება არა აქვს ნაკლი ჰქონდეს. ყველა შენი ნაკლი შელამაზებულია და ღირსებაშია ამოვლებული. სისულელეს ორიგინალობად გინთლავენ, შეცდომას — ძიებად, შაბლონს — ტრადიციად, უვიცობას — არისტოკრატობად. კერპის ხელყოფა არ შეიძლება, შენი ბედი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილია.

იქნებ ესაა თავგანწირვა?

იქნებ ჩვენ იმტოგმ ვეწამებით, რომ სხვებს შვება მოვგვაროთ?

იქნებ ადამიანის მაღალი დანიშნულება სწორედ ისაა, რომ მსხვერპლი იყოს?

მსხვერპლი...

... გადაჭიმული თმა, გადატკეცილი შუბლი, თვალის კუთხეები აზიდული...

სულ ტყუილად მოვიხსენით ცრუ წვერი. პარიკიც სულ ტყუილად მოვიხადეთ. ნიღაბის ქვეშ ნიღაბია, შენ მაინც როლს თამაშობ, როგორც ყოველთვის და როგორც ყველგან.

ᲘᲗ... ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲜᲔᲑᲐ!

აკი შევთანხმდით, გულახდილები ვყოფილიყავით

საკუთარ თავს ისე ვერ მოატყუებ, როგორც მაყურებელს! რამდენიც არ უნდა ისმარტალო, დღეს სიმართლეს ვერ გაექცევი, სიმართლე დამბაჩასავით გაქვს შუბლზე მიბჯენილი. იმიტომ რომ წელან ნამდვილმა სახეც გაიელვა, რომელიც სადღაც გარეთ დარჩა.

შეურიგდი ბედს!

ჩვენ ახლა წყაშლილთ ზღვარს ტრაგედიასა და კომედიას შორის. ეს ზღვარი ხომ მაინც ხელოვნურია! მოვლენებს სხვადასხვა კუთხიდან შევხედავთ. გადავაბრუნებთ შენი დიდების მედალს და წავიკითხავთ, რა წერია უკანა მხარეს.

... ნიჭი თუ მქონდა, მართლა არ ვიცოდი. იმიტომ რომ მორცხვი ვიყავი და ბრმად მჯეროდა ავტორიტეტების.

მაგრამ თეატრი მიყვარდა.

ზოგს ღმერთი სწამს, ზოგს — ტექნიკური პროგრესი. მე თეატრი მწამდა. თეატრი იყო ჩემი ტაძარი. როდესაც შინიდან მიმავალი თეატრს მივუახლოვდებოდი და მისი მიზიდულობის არეში მოვექცეოდი, გული ბაგა-ბუგს უმატებდა, მაჯისცემა ხშირდებოდა. თეატრში ისე მივდიოდი, როგორც სამიჯნურო პაემანზე. და თუ მართლა არსებობს ჩემი შემოქმედებითი თავგანწირვა...

ნუთუ მართლა პამპულა ვარ?

სადმე აქ უნდა იყოს.

... ორი-სამი რიგიანი როლი, ერთი-ორი კეთილმოსურნე კრიტიკოსი, მერე: ვინც სცენაზე მნახა, ამბავი გაიტანა, ვისაც არ უნახივარ, ეს ამბავი უფრო გააზვიადა...

წარმატებას საოცარი სუნი აქვს. ნარკომანისეთი დავდიოდი გაბრუებული და საკუთარი თავის მეტს ვეღარაფერს ვგრძნობდი; ღამე ერთი სული მქონდა, ჩემიანები როდის დაიძინებდნენ. როცა ირგვლივ ყველაფერი მიწყნარდებოდა, ჩუმად ამოვიღებდი უკვე მრავალგზის გადაკითხულ რეცენზიებს, სადაც ჩემი ქება ეწერა, და კვლავ კითხულობდი და კვლავ კითხულობდი და ... ურსულებლივ. კვლავ კითხულობდი, ვხარობდი და ვიღიმებოდი. ხოლო ფანტაზია, ნებაზე მიშვებული და გზასაცდენილი, ჩემი მომავალი დიდების ყოველად წარმოუდგენელ სურათებს მიხატავდა.

ეს იყო დაცემის პირველი მკაფიო ნიშნები.

მერე დაიწყო კოშკის შენება.

დიდების კოშკი, დაფნის გვირგვინით გადახურული.

ერთადერთი ადამიანი, ვინც ყველაფერს სადად უყურებდა...

გადაკვიმული თმა... მოქნილი ტანი...

ამიტომ თეკლა თანდათან კარგავდა მომხიბლაობას ჩემს თვალში.

თვალის კუთხეები მაღლა აზიდული...

ალბათ, არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ გულგრილად შეხედონ თავიანთ დიდებას და მშვიდად ჩაუყარონ გვერდით.

მე, ასეთი ადამიანი არ ვიყავი და დიდების გალიაში ჩავჯექი.

ირგვლივ დიდების გალავანი მერტყა; ცხოვრება გალავნის პირმა დარჩა.

... ეშმაკურად მომღიმარე თვალები.

აღარ მაინტერესებდა, რა ფერი აქვს ატმის ხეს აპრილის თვეში; არც იასამნის სუნი მაინტერესებდა. აღარასოდეს მომგონებია შემოდგომის ვაზი ნაწვიმარზე, სველი ფოთოლი რომ ლოყაზე წამოგედება და მტევნებზე წვიმის წვეთებია შემორჩენილი... აღარასოდეს გავსულვარ იანვრის შუაღამეს გადათეთრებულ ეზოში და შავ ცაზე თეთრი ფანტელების თვლა არ დამიწყია.

ეს ყველაფერი გარეთ დარჩა.

გარეთ დარჩა თვალის კუთხეები...

მაშინ დაიწყო ჩემი გაქრობა.

მსახიობმა ზაალ ნიკარაძემ ნაწილ-ნაწილ შეჭამა ადამიანი — ზაალ ნიკარაძე.

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲥᲐᲠᲩᲮᲘᲐᲫᲔ
ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔᲠᲘ ᲛᲪᲜᲔᲑᲐ

მიზეზი...

სიმორცხვე პირველად სცენაზე დავძლიე. პირველად თეატრში ვიწმაე საკუთარი თავი და დავინახე, რომ ეგრეთწოდებული სახელმოხვეჭილი მსახიობები სინამდვილეში არც ისე დიდები ყოფილან, თავიდან რომ მეგონა.

სცენაზე უკვე მყარ ნიადაგს ვგრძნობდი ფეხქვეშ, საკუთარი თავის მჯეროდა და არავითარი მოულოდნელობა არ მაშინებდა. ვიცოდი, ყველაფერს დავძლევდი.

მაგრამ თეატრის გარეთ ჯერ კიდევ მორცხვი და მოშიშარი ვიყავი. მაშინ ცხოვრებაც თეატრად ვიქცე, რათა ჩემი თავდაჯერება არსებობის ყველა სფეროზე გავრცელებულყო.

ზოგს ცხოვრების დაკვირვება მიაქვს თეატრში.

პირველად მეც ასე ვიქეცოდი. მაგრამ მერე გეზი შევცვალე და ახლა უკვე თეატრის დაკვირვება მიმქონდა ცხოვრებაში.

თავიდან ყველა როლი ჯერ კიდევ არ იყო ნათამაშევი. ამიტომ თეატრის გარეთ ზოგჯერ უცნობ ეპიზოდს წავაწყდებოდი და ვბორძიკობდი. მერე და მერე, როდესაც რეპერტუარი საკმაოდ გავიფართოვე, ყველაფერი იეწყო. ყოველგვარი გარემოება, ყოველგვარი შემთხვევა, ყოველნაირი ურთიერთობა, სიყვარული, მეგობრობა, ჩხუბი, თვალთმაქცობა, დიდსულოვნება, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც ცხოვრებაში შეიძლება გადაეყარო, დაგროვებული მქონდა სცენაზე.

. ზაალ ნიკარაძე უკვე ზღარ იყო საბერო.

ყველაფერს მისი გმირები აკეთებდნენ.

აყვავებული ატმის ხე, ნაწვიმარი ზვარი და მოცეკვავე ფანტელები დამოუკიდებელ მოვლენებად იქცნენ და ეგრეთწოდებულ „გარე სამყაროში“ დაბინავდნენ; და ამ მოვლენებს ჩემში არსებული რომელიმე შესაბამისი პერსონაჟი შესაბამისი მხატვრული ხერხებით „აფასებდა“.

მეტყველების მაღალი კულტურა, კარგად დაყენებული დიკციონერული ინტონაციური ნიუანსების სიუხვე, მკაფიო და გამომსახველი ენესტიკულაცია, მოქნილი მიმოხრა, მეტყველი მიმიკა...

ხოლო სულში იყდა მსახიობი, რომელიც უხილავი ბერკეტების მეშვეობით მართავდა ამ ტექნიკურად სრულყოფილ მანქანას.

...ირონიული და ამავე დროს კეთილმოსურნე ღიმილი...

...გადაჯიმული თმა... თმის სურნელი...

ნაწარმოები დარჩა სათაურის ამარა. ნაწარმოებიდან სათაურიღა დარჩა:

ზაალ ნიკარაძე.

ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინეს უცნობმა რედაქტორებმა. ნაწილი წაშალეს, ნაწილი შეცვალეს, ნაწილი გადაადგილეს, და თეატრალ ღიმილით წავიდა.

ვის რად უნდა ცარიელი სათაური!

თეკლასთან ურთიერთობას თავიდან ვე დაჰყვა რაღაც ბზარი; როგორც მანქანას დაჰყვება ზოგჯერ ეგრეთწოდებული „ქარხნის წუნი“, რომელიც მუშაობაში ხელს არ უშლის და ამიტომ გგონია, თითქოს შეეჩვივ. თუმცა სინამდვილეში იმას შეეჩვივ, რომ ყოველდღე თვალში გეჩხირებოდეს.

უთქმელი დარჩა რაღაც.

ჩაიში რომ შაქარი ბოლომდე არ გადნება, ისე.

შესაძლებელია შაქარი გადნა კიდეც და ეს, უბრალოდ, გაღიზიანებულ ფანტაზიას ჰგონია, თითქოს ჭიქაში რაღაც წკარტნობს. მაგრამ, თუკი გტკივა, იმაზრა მნიშვნელობა აქვს, მართლა დაჭრილი ხარ თუ გეჩვენება.

თეკონა...

მასაც რომ ზაალი ერქვა, ეს არც აღრამავებდა ბზარს და არც რამე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა; მაგრამ როგორღაც უფრო თვალშისაცემს ხდიდა.

ოქროსფერი თმა...

რომც არ გადაეჯიმა ასე გულდაგულ, თვალის კუთხეები მაინც ოდნავ მაღლა ჰქონდა აზიდული.

შენ რომ თეკლა პირველად ნახე, ზაალ თეთრაძე უკვე „თეკონას“ ეძახდა. ყოველთვის „თეკონას“ ეძახდა.

და ეს ფაქტი, გინდა ათასი უარმყოფელი სახატთი მოგეტანა, ერთგვარ უპირატესობას ანიჭებდა, რაღაც სხვისთვის მიუწვდომელ სიახლოვეს უსვამდა ხაზს.

განსაკუთრებით მერე იყო გამაღიზიანებელი.

ქუჩაში ნაცნობი გადაგეყრება და შენს ცოლს ისეთი მეტსახელით მიმართავს...

ახლა ძნელი დასადგენია, თავიდანვე ვერ იტანდი ზაალ თეთრაძეს, თუ იმ სამარცხვინო ამბის შემდეგ შეგძულდა ასე...

განცვიფრებული, გაფართოებული თვალები..

თეკლას ღრმა თვალები ჰქონდა და ბევრ რამეს იტყვდა. ყველაფერს ვერ წაიკითხავდი, რაც იქ ეწერა.

შეუცნობელ მოხდა; მექანიკურად. თორემ, რაღა თქმა უნდა, არ ჩაიდენდი.

თეკლას შენ უყვარდი.

ნამდვილი და შეურყეველი უპირატესობა მთელი კაცობრიობის წინაშე.

გაფართოებული თვალები...

შეუცნობლად, მექანიკურად, მაგრამ რა შეიძლებოდა?!

„წამო, ცოტა ფეხით გავიაროთ, თეკონა!“

საკუთარი ხმა რომ გაიგონე, მაშინღა მიხვდი.

და სანამ გაოცებისაგან გაფართოებული თვალები შენს თვალებს შეეფეთებოდა, ტკივილი რამდენჯერმე დაგიარა სხეულში, შუბლზე ცივმა იოფლმა გამოქონა და ცხადად იგრძენი, როგორ გაწყდა გული რაღაცა.

საქციელწამხდარი დადიოდი, თეკლასთან შეხვედრას გაურბოდი, საკუთარი თავი გეზიზღებოდა.

მერე ზიზღი იმ მეორე ზაალზე გადაიტანე.

ბზარი დარჩა.

ცდილობდი, თვალი აგერიდებინა ზაალ თეთრაძისათვის, არავითარი ყურადღება არ მიგეკცია, სულ არ შეგემჩნია მისი არსებობა:

სისულელეა კაცი გძულდეს იმის გამო, რომ რაღაც სიტყვა აქვს აკვიატებული. ან თუნდაც იმის გამო, რომ ეთხელ ეს სიტყვა შენც გაიმეორე და ამით, ღმერთმა იცის, როგორ და რატომ, თითქოს აქამდე საგულდაგულოდ დამალული არარაობა გაამქღავნე...

ზაალ თეთრაძე რა შუაშია!

(არწმუნებდი საკუთარ თავს).

ვინ არის ზაალ თეთრაძე, რომ იმაზე ფიქრში ღამეები ვტეხო!

თეკლა ღიმილით წავიდა ზაალ თეთრაძესთან.

შუბლი. გადატეკეცილი და ოდნავ ამობურცული.

შენ თაყვანისმცემლების ამარა დარჩი.

ეს არის დიდება?

დიდება ქუჩაა. ქუჩა გარედან გეხება და რამდენიც არ უნდა იწვალო, შენი სხეულის ნაწილად ვერ აქცევ.

პამპულა. ნიჭიერი და უნიჭო პამპულა ერთი და იმავე პამპულას ორი ნარისახეობაა.

ბრმად ნუ ირწმუნებ ყველაფერს, რასაც შენზე ამბობენ.

თორემ სახეს დაკარგავ და ნიღბების გროვა დარჩები.

რა იქნა ზაალ ნიკარაძე?

სინამდვილეში ყველანი პატარა, სასაცილო კაცუნები ვართ. სასაცილო კაცუნა ქუჩაშია შემალული და ცოლის მეტი ვერავინ ხედავს.

ამიტომ ცოლებს ვეყრებით.

სპექტაკლი რომ დამთავრდებოდა, მზეკალა საშინელი ხმით წოიდა:

„ბრავო!“.

მერე ადარ წოიდა. თაყვანისმცემლის ყველა ემოცია თიფლობის თვეს გაატანა.

და იქცა ცოლად.

გადაკეთილი თმა, თვალის კუთხეები მაღლა აზიდული.

ჯემალ ქარჩხაძე
მეთეორთმეტე მწერალი

უკან არაფერი ბრუნდება...

ვინ მოიგონა კაცის კაცისაგან გამორჩევა? აკი ღმერთმა ყველა ერთნაირი შექმნაო?

ყველა ერთნაირი როგორ შეიძლება! ეს ხომ სიკვდილია. ადამიანს მიზანი სჭირდება, მოძრაობა, ორიენტირი. გზის პირას რომ ბოძს დაარჭობენ და ზედ მიმართულების მაჩვენებელ ფირფიტას გააკრავენ. „აქეთ, ამა და ამ მანძილზე, ესა და ეს ქალაქია. იქით...“

ასე ხარ შენც. გზის პირას დარჭობილი ბოძი, მიმართულების მაჩვენებელი.

გარედან რომ შეხედავ, ისე ჩანს (ხშირად იტყუებ ამით თავს) თითქოს შენ შემოგაქერიან, შემოგაცინებენ, შენს სიტყვას ღვთის სიტყვასავით ელიან, შენ განსაზღვრავ და განაპირობებ მათ. კარგად თუ დააკვირდები, აღმოჩნდება, რომ თურმე შენ შესაქერი მათ, შენ შესაციცინებ, შენ ელოდები მათს სიტყვას ღვთის სიტყვასავით, ისინი განგსაზღვრავენ და განგაპირობებენ. შენ მათი ქმნილება ხარ.

კრიტიკოსები ახალ-ახალი სიყალბისაკენ გიბიძგებენ. უცვნ ისეთ ღირსებას (ღირსებას?) მოგაწერენ, რომელიც არ გაგაჩნია. და შენც დაუყოვნებლივ შეუდგები ამ არარსებული ღირსების (ღირსების?) შექმნას. უცნაურად იცვლება ოლიმპი: იმის მაგივრად, რომ კრიტიკოსი იყოს შენი შემოქმედების კომენტატორი, შენ იქცევი მისი მონაჭორის ილუსტრატორად.

ის რომელი იყო?... სულ ერთია. რომელიღაც ხომ იყო! მთავარია, რომ შემთხვევით თუ განგებ თქვა: ზაალ ნიკურაძე, სცენიდან რომ გადის, ერთხანს კიდევ მიყვება როლის განწყობილება და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევსო.

პამპულას პამპულობის საშუალება მიეცი და მეტი რა უნდა!

იმ ღღიდან ვეღარაფერს ამჩნევდი. იქამდეც კი მივიდა შენი ტაკიმასხარობა, რომ ერთხელ კულისებში ტაბურეტს წამოეღე და ააყირავე, აქაო და როლის განწყობილება გამომეყვა და ვერ შევამჩნიეო.

ისე მშვენივრად ამჩნევ ყველაფერს, როგორც ჭირისუფალი პანაშვიდზე. არაფერი გამოგეპარება.

არც ის გამოგპარვია, რა მოწიწებით დაგითმო წელან გზა ახლადმიღებულმა მსახიობმა.

მერე ტექნიკურ რეჟისორს მიუბრუნდა და აღფრთოვანებით გადაიქნია თავი.

რა არის შენთვის ახალგაზდა მსახიობის აღტაცება? წვეთი წარმატებათა ზღვაში.

მაგრამ ზღვას რომ წვეთი მიემატება, უფრო დიდი ზღვა იქნება.

ჰმ...

ქუჩაში ხალხს აკვირდება და ცხოვრებიდან აღებული დეტალებით ავსებს როლებსო.

შენც დაიწყობდი ზურგსუკან ხელებს და ხან ვის აედევნებოდი უკან და ხან ვის.

შენ ერთხელ დაგაგორეს, როგორც ქვას დაგაგორებენ ფერდობზე, და ველარ შეჩერდები, სანამ ხევში არ მოადენ ზღართანს.

შენ ახლა ინერციით მიგორავ.

შენ...

მაგრამ ვინ არის ეს „შენ“?

.ზაალ ნიკარაძისგან ხომ სატტულო ფურცელიღაა დარჩენილი!

მაშ, ეს ვინაა, ფერდობზე რომ მიგორავს?

საშინელი ქაოსი... ტვინი კი არა ბაზარია. ესაა მატერიის უმაღლესი ორგანიზაცია? ყველა უჯრედი ერთად ლაპარაკობს, ყველა თავისას გაიძახის. ყაყანი, ალიაქოთი, დომხალი. ყურებში თითი უნდა დაიცო და ისე იარო... (იგორო).

სად ჩანს ადამიანი ყველაზე მკაფიოდ?

სად და როდის.

ცოლთან. ჩხუბის დროს.

ყოველი ნორმალური კაცი ეჩხუბება ცოლს.

ყოველი ნორმალური კაცი ნორმა-

ლურად ეჩხუბება ცოლს: არც ჩხუბის ფორმაზე ფიქრობს, არც ემოციურ ძალაზე, არც შესრულების ხარისხზე. ამიტომ საკუთარ თავს შიშველი და წმინდა სახით აშიდაენებს. გარეთ მხოლოდ ის გამოდის, რაც შიგნითაა. კაცის გარეგნობაც კი ასეთ დროსაა ყველაზე უფრო ბუნებრივი: პოზები, მიხრა-მოხრა, გამომეტყველება, თვალებსაც ამ დროსა აქვს თავისი ნამდვილი ფერი და პირის ჭრილსაც ამ დროსა აქვს თავისი ნამდვილი ფორმა.

მაგრამ ყოველივე ეს ნორმალურ ხალხს ეხება.

როდესაც შენ ცოლს ეჩხუბები, იმის შიშში ხარ, შენმა არტისტულმა პროფესიონალიზმმა არსად გამოყოფოს. და ცდილობ, ბუნებრივი იყო. ასეთ დროს კი სრულყოფილ ბუნებრიობასაც რომ მიაღწიო, ეს მაინც თეატრალური ბუნებრიობაა. შენ ეჩხუბები არა ცოლს, არამედ პერსონაჟს, რომელიც ცოლის როლს ასრულებს. თეატრალობა მხოლოდ თეატრშია შეუმჩნეველი. ამიტომ, რაოდენ გულწრფელადაც არ უნდა იყო გაბრაზებული, შენი სიბრაზე კომედიად და ფარსად იქცევა. ცოლს ეღიმება. შენ გაცოფებს მისი ღიმილი. მაგრამ შენ თეატრალურად ცოფდები და უფრო საცინელი ხდები. ზაალ ნიკარაძე არსად არაა. გაშმაგებული ბოლთის ცემა კარგად მიგნებული მიზანსცენაა, გაბოროტებული სახე — მახვილგონივრული შეფასება, დამუშტული ხელები — სახიერი ექსტრავაგანტა. ყვირილი — მეტყველების მაღალი კულტურა.

ცოლს ეღიმება.

თეკლას ეღიმებოდა ადრე...

თეკონას ბავშვობაში თუ ეძახდნენ.

ისინი ხომ ერთ ეზოში გაიზარდნენ.

კი. თავიდანვე გძულდა ზაალ თეთრაძე. სწორედ ის იყო შენი გაუცნობიერებელი სიძულვილის მიზეზი, რომ ერთ ეზოში იზრდებოდნენ.

შენ არასოდეს გენახა პატარა თეკლა...

ფეხშიშველა. ტანტარა. ნიჩბით და ვედროთი. თმაგაბურძგნილი, ცხვირაბეჭუა.

ის კი ყოველდღე ხედავდა.

ახლა მზეკალსს ეღიმება.

ყველა ცოლი ერთნაირია. გამოცვლას აზრი არა აქვს.

კარგი იყო თავის დროზე მიმხვდარიყავ... თეკ...

ქურქსა შეგეკერა და ახლა ზაალ ნიკარაძე აღარსადაა.

ცოლია ერთადერთი გამონაკლისი. სხვებს სავსებით აკმაყოფილებს ქურქი.

ნათამაშევი როლების ჯამი.

ხოლო მე ვეტყვი: იყავ ის, რაცა ხარ.

დაიკლო მოსე წინასწარმეტყველმა ერთი მცნება.

სიყალბე ცოდვაა, როგორც თვითმკვლელობა. ღმერთმა სიცოცხლესთან ერთად ამ სიცოცხლის ფორმაც გიბოძა. და როგორც შინაარსის ხელყოფის უფლება არა გაქვს, ასევე არა გაქვს ფორმის ხელყოფის უფლება.

იყავ ის, რაცა ხარ.

ნუ გაიკეთებ ნიღაბს. ნუ დაჰკარგავ ღვთით მონიჭებულ სახეს.

შენი ნამდვილი სახე ძალიან პატარა იყო და ნემსივით დაგეკარგა დიდების ზვინში.

გიფრთხილდებიან, თავს გევლებიან, თვალებში კითხულობენ ყველა შენს სურვილს.

შენი ჭირვეულობა კანონია.

და შენც ჭირვეულობ. ჭირვეულობ და გრძნობ, რა კარგია ჭირვეულობის სიამოვნება, რა ტკბილია, რა ყალბი, რა სულელური.

ნამდვილი სახე სინდისის ქენჯნაა.

თეატრის ყველა თანამშრომელს კარგად იცნობ. დირექტორიდან მოყოლებული სცენის მუშებითა და დამლაგებლებით დამთავრებული. ყველას სახელი და გვარი იცი. მაგრამ თავი ისე გიჭირავს, ვითომ ვერ იცნობ (მე, დიდ მსახიობს, ზაალ ნიკარაძეს, სად მცალია

ჯემალ ქარჩხაძე
მეთვრთმეტე მცნება

იმისათვის, რომ ამდენ წვრილფეხობას სახეზე ვცნობდე!). ისე დაბნეულად შეხედავ, თითქოს აქამდე არასოდეს გენახოს. და როცა მოწიწებით შეგახსენებს, მე ესა და ეს ბანდაგარო, უკო, წამოიძახებ და დიმილით მოუბოდიშებ, უცებ ვერ გიცანიო. სცენის მეშას არა სწყინს, რომ ვერა სცნობ, სამაგეროდ უხარია, რომ ზაალ ნიკარაძემ მოუბოდიშა. ორივენი კმაყოფილები ხართ.

ყალბი თავმდაბლობა დიდების ერთ-ერთი საყრდენია.

ტყუილია, თითქოს ის კაცები, შენი ეპიზოდის დასრულების შემდეგ რომ სცენაზე დარჩნენ ტრაგიკომიკურ პოზაში და ტაშის დაცხრომას ელიან, გეცოდებოდეს. იოტის ოდენადაც არ გეცოდება. შენ ამაყობ იმით, რომ შენი თამაში მაყურებელს აიძულებს სცენა გააცოს. იმ კაცებს სასაცილო მდგომარეობა შენს დიდებას უსვამს ხაზს. რეჟისორს კი მხოლოდ იმიტომ უთხარი, ჩემი ეპიზოდით დავამთავროთ მოქმედებაო, რომ, წინასწარ იცოდი, უარს გეტყოდა.

ნუთუ ეს არის კაცის ხვედრი?..

ზოგი ფულს იხვეჭს, ზოგი ქალებს, ზოგი სახელს...

ჰმ...

დიოგენი...

ნუთუ მართლა ემალებოდა დიდებას?

მერე? ესეც ხომ პოზაა! იქნება არ არის პოზა და, უბრალოდ, შენ ის ქურდი ხარ, რომელსაც ყველა ქურდი ჰგონია.

რა იყო ასეთი ეს დიოგენი?!

თეთრი შუბლი... მოქნილი ტანი...

მე ერთი უბრალო, ქურქში საწყალობლად მოკუნტული კაცი ვარ, თეკლა!

თეატრი არაფერ შუაშია. სიყალბე თანდაყოლილი თვისება უნდა იყოს. ჯერ კიდევ ეჭი როდის იყო ის ამბავი, შენ რომ თეკლას თეკონა დაუძახე. თეატრმა გაამძაფრა, ჩამოაყალიბა და ასპარეზი გაუფართოვა. და ახლა ზაალ ნიკარაძე აღარსადაა.

წადი და ეძიე.

სად გინდა მოძებნო! თვალებში ეფერ, თუ სოფელში?

სოფელში...

ეი, მეგობარო! ერთი წუთით მომიცადე, სიტყვა მაქვს სათქმელი... კაი გამარჯობა შენი!

ხი, მოო! იცოცხლე, ჩემო ბატონო. რომელი ხარ, ვერ გიცანი.

(რას მიცნობ!)

აქაური იქნები.

აქაური გახლავარ.

ერთი ეს მითხარი, თუ კაცი ხარ, ზაალ ნიკარაძე ხომ არსად გინახავს?

ზაალ ნიკარაძე? ზალიკა? რავა არ მინახავს, ჩემო ბატონო, აგერ იყო ამ ორმოცდაათი წლის წინ.

მართლა? მართლა იყო?

იმე! აბა ამ ხნის კაცი ტყვილს ვიკადრებ?! რაც მე და მაგას რიტაფელა გვითამაშია! რაც მე და მაგას.. სათქმელად არ გეუბნები და რაც მე და მაგას ეგერ იმ ბოსტანს ხო ხედავ... ნამეტანი ავი ქალი იყო მაგ ბოსტნის პატრონი, ღმერთმა შეიწყალოს მისი სული, ამინ, იმისთანა წყეული იცოდა, იმისთანა, იტყოდი, დამაჯინა და მასმენიო. დილაზე რო დეიწყებდა და საღამოს, ასე ქათმების დაბუდების დროს რო მოათავებდა. ერთი სიტყვაც ორჯერ არ გეიმეორებდა. ღმერთმა შეიწყალოს მისი სული, ამინ, რაც მე და ზალიკას მაგ ბოსტნიდან კიტრი მოგვიპარავს. ღმერთმა შენც დიდხანს გაცოცხლოს, ჩემო ბატონო, და მეც. ამისთანა ავი ქალი რო იყო, მიტო უფრო მიგვიწევდა გულ-მისი ბოსტნისკენ. ისე, სათქმელად არ გეუბნები და, არც სხვების ბოსტნისთვის დაგვიკლია ხელი. ნამეტანი ანცები ვიყავით.

ახლა საღაა, თუ იცი?

ვინ?

ზაა... ზალიკა.

ჰოო... ახლა დიდი კაცია. რიტაფელას თამაშს, შენ ხარ ჩემი ბატონი. აღარც კი იკადრებს. აბაა! ისე, კოჭებში ეტყობოდა, არტისტი რო გამეკიდო-

და. ივლიტე ქვიოდა იმ ქალს, მაგ ბოსტნის პატრონს; ივლიტე ბებია! დაუძახებდა. გეტყუებდა ეზოს კუთხეში და იმისთანა-იმისთანას ეტყოდა, იმისთანა-იმისთანას მოუყვებოდა, საწყალი ქალი, ღმერთმა შეიწყალოს მისი სული, ამინ, პირდაბჩენილი უყურებდა. მეგონებდა რაცხას უცნაურს და საშინელს. მე და კაკოიე ამასობაში უბეებს ვიტენიდით ციტრით. კი ბიჭი იყო, კი... საქმეზე იქნები, ალბათ, აქით.. ბოდიშს კი მევითხოვ, ჩემი ბატონო, მარა მეჩქარება და უნდა წვეიდე... კარქთ ბრძანდებოდე. იში, ხარო!

სინამდვილეში ურმის ჭრიალს ოფლის სუნი ასდის და არა რომანტიკას. როცა ბალახი მოგვნატრება, არასოდეს იმას არ ფიქრობ, რომ ბალახებში ჭიანჭველები დაფფაფუსებენ, ხვლიკები დაძვრებიან და შეიძლება უხსენებელიც გამოცურდეს საიდანმე.

კატა ვერ შესწვდა...

დღეს მართლა პარასკევია. დილით — რეპეტიცია, საღამოს — სპექტაკლი. ხვალ: დილით—რეპეტიცია, საღამოს — სპექტაკლი. ზეგ: დილით — რეპეტიცია, საღამოს — სპექტაკლი...

ხი მოო!

ივლიტე ბებია მართლა ავი ქალი იყო, მაგრამ კუდიანი არ ყოფილა, ტყუილად აბრალებდნენ. ეს ამბავი მარტო ბენიელას და კაკოიას გაუმხელე. სხვას ვერ გაუმხელდი; რომ გაგემხილა, ხომ გკითხავდნენ, რა იცოო... დიდხანს უტრიალებდი ივლიტე ბებიას. კუდიანზე უფრო საინტერესო რა შეიძლება იყოს ამ ქვეყანაზე! დიდხანს უდარაჯებდი და, ბოლოს, ჭუთს თავზე რომ ორი ხაპი ღვინო დალია და პირქვედამხობილმა იქვე ამოუშვა ხვრინვა, შენ დროც დადგა. ჩუმად მიეპარე, ჯიხის ბოლოთი განიერი, ფაშფაშა კაბა გადაუწიე და... კუდის ნასახიც ვერ იპოვე. ამ ამბის შემდეგ თქვენ სამმა იცოდით, შენ, ბენიელამ და კაკოიამ, რომ სოფელი საშინელ ცოდვას იდებდა, ივლიტე ბებიას რომ კუდიანობას სწამებდა.

ორმოცდაათი წლის წინ.

ორმოცდაათი წლის შემდეგ არაფერი აღარ იქნება. არც სიბნელე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადატეცილი შუბები... თვალის კუთხეები. მაღლა აზიდული.

იში, ხარო!...

მოშუადღეედა. მზე გაფიცხდა, მცხუნვარება მოემატა.

სვრელი ბოლომდე გაიტანა. მერე ფერდობის თავში შეჩერდა, ხალათის კალთით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ქვემოთ დაეშვა, კაკლის ჩრდილს მიაშურა.

კაკალი. დიდი, ტოტებგანიერი.

თვალით გაზომა გამარგლილი ნაწილი. გაუთარგლავს შეადარა. თავი დაიქნია. თოხი პირით ჩადო ღელეში, ბოხჩა გახსნა, ქოთნით ლობიო ამოიღო, წაბლის ნეშომი გამომცხვარი მჭადი, პრასი და მარილი. ღელეში, ღარის წყალზე ხელი დაიბანა, აიღო ღარის ქვეშ შედგმული დოქი, წამოიღო და ქოთნის გვერდით დადგა. დაჯდა და ჭამა დაიწყო. მოიტეხავდა ჭადს, ამოუსვამდა ლობიოში, ჩაიდებდა პირში და თითებს გაილოკავდა. მერე პრასს დაახვევდა, იმასაც ლობიოში ამოუსვამდა, ჩაიდებდა პირში და ისევ გაილოკავდა თითებს. საჭმელი რომ გულზე დაადგა, დოქით ღვინო მოიყუდა. მერე ხელის ზურგით ნიკაპი მოიწმინდა და ისევ ჭამა განაგრძო. კიდევ რომ დაადგა გულზე, კიდევ მოიყუდა დოქით ღვინო. ირგვლივ მხოლოდ წკლაპუნი ისმოდა და ჭრიჭინობელას გაბმული ზუზუნი. ჭამა მოათავა, დოქით ღვინო კიდევ ერთხელ მოიყუდა, საჭმლის ნარჩენები ისევ ბოხჩაში გამოკრა, ცარიელი დოქი ბოხჩის გვერდით მიაწვინა და თვითონაც გულალმა დაწვა. ხელები თავქვეშ ამოიწყო.

კაკლის ხის ხშირ ფოთლებში აქა-იქ ცის ნაგლეჯები მოჩანდა. ცის ნაგლეჯი ივიგე ცაა, როგორც მჭადის ნატეხია მეც.

ჯემალ ქარჩხაძე
მეთერთმეტე მცნება

შუადღის ძილი. მშვიდი, უდრტვინველი, უსიზმრო.

ყანის ნახევარი გამარგლილია. მეორე ნახევარი მოიცდის, სანამ ცოტა აგრილდებოდეს.

კაკლის სუნია, სიმინდის და ბალახის...

საღამოს ბავშვები „ცაცხვებში" წავლენ. ქალაქიდან არტისტები ამოვიდნენ, თეატრი უნდა გამართონ.

ბავშვები წავლენ და ახალგაზრდები. ზოგი დიდიც წავა, ხასიათს გაიჩინა.

ებრძვი მიწას გათენებიდან დაღამებამდე, ფულს წყლლტავ მიწას.

ბავშვები არტისტებს მიურბენინებენ ფულს.

ალბათ, არტისტებიც ებრძვიან რაღაცას. თუ არ იბრძოლე, არაფერი გამოვა. ბავშვები ფეხებს დაიბენენ საღამოს, სუფთად ჩაიცვამენ და თეატრში წავლენ. ხორხოცით და ყრიამეულით.

ორმოცდაათი წლის წინ...

რას ებრძვიან არტისტები?

რას ებრძვი შენ, არტისტო ზაალ ნიკარაძე? რა გინდა თქვა მაგ შენი „თეატრით"?

რის მაქნისია თეატრი?

იქნებ ცარიელია ის სკივრი, რომელშიაც ორმოცი წელია აფათურებ ხელს უგუნური იმედით, რომ რაშეს იპოვი!

იქნებ მკრეხელობაა შენი ხელობა! მერე რა, რომ მოსე წინასწარმეტყველს არ უთქვამს, იყოვ ის, რაცა ხარო!

ვინ მოგაცა შენ იმის უფლება, ცრუ თმა-წვერით შეიმოსო, სხვისი ტანსაცმელი ჩაიცვა, სცენაზე წუწუნი და თავშიცემა დაიწყო და ხალხი, რომელსაც ფული გადაუხდია, ტყუილებით გაბერო: მე უბედურმა ჩემი უგუნურობით მთელი სამეფო ვერაგ ქალიშვილებს გავუნაწილე და ახლა ასე წყლმა-უკუღმა დავბორიალობ მიუსაფარი და ჭკუიდან გადამცდარი!

შენ ხომ ზაალ ნიკარაძე ხარ! ყოველ შემთხვევაში, ზაალ ნიკარაძე იყავი და ზაალ ნიკარაძედ უნდა მომკვდარიყავი.

მსახიობისთვის ყველაზე ამაღლებული სიკვდილი სცენაზე სიკვდილია.

ჰმ... გარდაუვალი ჯოჯოხეთი. მონანიების საშუალებაც არ გექნება. ყალბი მიცვალებული, ვერ გიგიგებ ვინ არის, ზაალ ნიკარაძე თუ მეფე ლირი.

ხელოვნება....

მართლა უსასრულო გზაა, თუ უცებ ჩიხს წავაწყდებით და იძულებული შეიქნენით უკან მოვბრუნდეთ?

თეატრში ვინ დადის?

სოციოლოგებს ჯერ არ მოუცლიათ ამ საკითხისთვის.

სოციოლოგები ფაქტებს შეისწავლიან და ზუსტ პასუხს იტყვიან.

იტყვიან: თეატრში ლაჩრები დადიან გმირების სანახავადო.

ქუჩაში რომ ჩხუბი ატყდება, ლაჩრები სეირის საყურებლად შეიკრიბებიან. ვინც ლაჩარი არაა, ის პირდაპირ მოჩხუბრების შუაში ჩავარდება და გაშველებს.

ლაჩრებს უყვართ ხოცვა-ჟლეტის, აყალმაყალის, ოჯახების ნგრევის, თვითმკვლელობის, ჩირქის მოცხების, აბუჩად აგდების, ერთი სიტყვით, ყოველგვარი ტრაგიკული, კომიკური და ტრაგიკომიკური ამბების ცქერა; ოღონდ ერთი პირობით: საკუთარი უხიფათობა განაღდებული უნდა ჰქონდეთ. თეატრი ამითაა კარგი. გაშმაგებული მავრი დარბაზში არ გადმოხტება და მაყურებლებს არ დაერევა. ამ აბსოლუტური უხიფათობის გრძნობას მოყავს ისინი თეატრში. მწვავე განცდები კარგია, თუ სხვისია. მერე თავისად აქცევენ. შინ მობრუნებულები, სანამ ტკბილ ძილს მიეცემოდნენ, ოცნებაში გაითამაშებენ ნანახ ტრაგედიას. მთავარი გმირი თვითვე არიან. ოღონდ ნამდვილი ტრაგედიისაგან განსხვავებით, ოცნებით წარმოსახულ ტრაგედიაში ეს მთავარი გმირი არ კვდება. მთავარი გმირი იმარჯვებს, ბედნიერია და ახალ-ახალ საგმირო საქმეებს ჩაჩდის, სულ მაღლა და მაღლა მიიწევს... სანამ ეს საზეიმო სვლა ძი-

ლის ბნელსა და წყნარ ჩიხში არ დასრულდება.

სპექტაკლი სიზმარია. თეატრში იმის სანახავად მიდიხარ, რაც ცხოვრებაში გაკლია.

მეფე ლირი არ წავა თეატრში.

თავის მოტყუებაც ალბათ, ისევე ძნელი დასათმობია, როგორ პაპიროსი.

მაყურებელი ტირის. მაყურებელი იცინის, ოხრავს, განიცდის, უხარია, თანაუგრძნობს. გინახავთ სადმე ამაზე უკეთესი კომედია? რა გატირებს? რა გაგვიჭირვებია? რატომ გიცემს გული ბაგაბუგით? შენ ხომ მშვენივრად იცი, რომ ყველაფერი ეს ტყუილია! რომ სინამდვილეში არავითარი შეკვანიანი მხედართმთავარი არ არსებობს და ეს არარსებული მხედართმთავარი არავის ახჩრობს.

ტყუილის სიყვარული... და ცნობისმოყვარეობა. კურიოზის ისედი. ამით სჯობს თეატრი კინოს. (და არა იმით, რაც შენ გაზეთის კორესპოდენტს უთხარი ამას წინათ). კინო დაკონსერვებული წარსულია, სადაც არაფერი არ შეიცვლება, რადგან ყველაფერი უკვე მოხდა. თეატრი კი აწმყოა. მარადიული აწმყო. ყოველ წუთსაა მოსალოდნელი რამე უცაბედი და გაუთვალისწინებელი. ერთი რომ ულალგო ალაგას დასალოკინოს მსახიობს, ესეც რამეა. ანდა დამხრჩვალმა დეზდემონამ ცხვირი დაიცემინოს.

... მზე გადაიხარა. მთიდან ნიავმა წამოუბერა (გადაჭიმული თმა, საგულდაგულოდ დამაგრებული).

დასვენებულმა გაიღვიძა. კაკლის ხის ფოთლები შრიალებენ. წამოდგა, ღელეში ჩავიდა, სახეზე წყალი შეისხა, თოხი აიღო, ცერა თითით პირი მოუსინჯა და ახალი სვრელი დაიწყო. დინჯად, აუჩქარებლად იქნევს თოხს და მიიწევს ზევით. კაკლის ჩრდილში ბოხჩაა და დოქი.

სერელი ნელ-ნელა მიდის აღმა და უკან რჩება მიწის მუქი ზოლი.

კაკლის ხე... მწვანე ფოთოლი, მწვანე სისხლით გაჟღენთილი; ისეთი სუნი აქვს, არ შეიძლება არ მოგენატროს.

თეატრი ბორბოტად იყენებს ადამიანის ანგარიშშეუცემელ სწრაფვას თავის მოტყუებისაკენ და ილუზიებს...

ხანდაზმი საათის წინ ყველაფერი რიგზე იყო. მაშინ სხვა ცნებები ტრიალებდა ჰაერში: „ესთეტიკა“, „მხატვრული აზროვნება“, „სულიერი საზრდო“...

ძნელია ისე ჩაათავო ცხოვრება, რომ ერთხელ მაინც არ შეურაცხყო ის, რაც ყველაზე წმინდა და ყველაზე ძვირფასია.

თვალის კუთხეები აზიდული... გამომეტყველება ეშმაკური...

არა!. არა!

თეატრი!

აკრძალულ ნაყოფში ეტკი იყო და არა ნათელი შეცნობა. ეტკით დაამსხვრია ეშმაკმა გულუბრყვილო იდილია. ეტკი, ისევე როგორც ყველა დიდი აღმოჩენა, ორლესული მახვილია: ნგრევაც შეუძლია და შენებაც.

ბუნებრივი შერჩევის კანონი სულის საუფლოში.

სიტყვები, სიტყვები, სიტყვები! უსახელო სიტყვები!

პამპულა!

ამჯერად რომელი პერსონაჟი ლაპარაკობს შენი სახელით?

შენ უფლებაყრილი ხარ. ძაფებზე ხარ გამობმული და თავის ჭკუაზე გამოძრავებს ვიღაცა.

ამ ოთხი თვის წინ იუბილარის როლი შეასრულე. სანამ ამ როლზე დაინიშნებოდი, „სიცილად არ გყოფნიდა იუბილეების პრომოთნეობა, აგდებული ღიმილით უყურებდი იუბილარს, რომელიც მაღალ სავრძელში ზის სულელურად სერიოზული და ხარბად ისუნთქავს ყალბ ქათინაურებს, ტყუილ ქება-დიდებას. მერე შენ იჯექი მაღალ სავრძელში სულელურად სერიოზული და, ხოტბას რომ გასხამდნენ, თვალზე ნეტარების ცრემლი გადგებოდა. რამდენი იცრუეს, რამდენი დაუჯერე-

ჯაბალ ქარჩხაძე
მთავრთმეტი მცნება

ბელი ღირსება მოგაწერეს, რა საქებარი სიტყვა არ მოიგონეს. იცოდი, რომ ტყუილად ლაპარაკობდნენ, ვალმოსახდელად. მაინც ყველაფერი გჯეროდა და გული სიამით გევსებოდა.

ლტოლვა სიყალბისაკენ. სილაჩრე.

ყველა თვალთმაქცსა და ლაქუცას შეუძლია მიზანს მიაღწიოს, კარიერა გაიკეთოს, უფროსი დაიყოლიოს, მოატყუოს, გაიცროს, ამაღლდეს. მთავარია, გაბედულად ითვალთმაქციოს და ილაქუცოს. ზოგს ჰკონია, ლაქუცში ზომიერების გრძნობა უნდა დავიცვა, თორემ, ნამეტანი თუ გადავამლაშე, საქმეს გავაფუჭებო. ტყუილია! ილაქუცეთ, რაც შეგიძლიათ! რაც უფრო გადაამლაშებთ, მით უფრო მოგებული დარჩებით! ლაქუცი მონუსხავს თქვენს უფროსს და ობიექტურობის გრძნობას დაუკარგავს. ცაში აიყვანეთ ქებით. თუ მახინჯია, უთხარით ოქროსქორჩიანი ჭაბუკი ხარ-თქო. თუ უნიჭოა, უთხარით სიბრძნის ყულაბა ხარ-თქო. თუ ლაჩარია, უთხარით თავზეხელაღებული მამაცი ხარ-თქო. ყოველად დაუჯერებელი ქათინაურებით შეამკეთ. ნუ გეშინიათ; ეს უმოკლესი გზაა თქვენი მიზნის მისაღწევად.

დასრულდა ბოლო სვრელი. გაიმარგლა ყანა. შეჩერდა ფერდობის თავში, ხალათის კალთით ოფლი მოიწმინდა. ღიმილით გადმოხედა გამუქებულ მიწას. ფერდობზე დადგა, კაკლის ხეს მიაკითხა, თოხი ხეზე მიაყუდა, თვითონ ხის ძირას ჩაიმუხლა, ჩამოისვენა; მკერდი საღამოს ნიავს შეუშვირა. მერე ბოღჩა აიღო, თოხი მხარზე გაიღო, ნელი ნაბიჯით დაადგა შინისაკენ მიმავალ გზას. მიდის. უკან თოხიანი კაცის ჩრდილი მიყვება. ჭრიჭინობელები ალარ ზუზუნებენ. ახლა ბაყაყების ყიყინი ისმის და ძაღლების შორეული ყეფა.

ქალაქში კაცსა და მიწას შორის ქვაფენილია დაგებული. იქნება ამით მიწის მიზიდულობის ძალა მცირდება?

ივლტე ბებია თოხმოცდათორმეტი წელი დაფრატუნობდა ამ ქვეყანაზე და მხოლოდ მაშინ მოკვდა, როცა სიცოცხლით ძალიან დაიღალა.

საწყალი! ავი ქალის კვალობაზე კარგი ქალი იყო.

მზე ჩავიდა და მთვარე ამოვიდა. თვალი გაქვს შეჩვეული კაცს, თორემ ყველაფერი სასწაულია.

სოფელი ხეშია. სინათლეები ჩანს. აუჩქარებლად მიაბიჯებს. უკან თოხიანი კაცის ჩრდილი მოსდევს. ვაზშამდაც შეჭამს ლობიოს. პრასსაც ლობიოში ამოაწებს. ღვინოს ჭიქით დალევს.

ყოფა აუმდგრეველი და შეუბღალავი. ყველაფერი თავის ადგილასაა. მთვარეც თავის ადგილასაა, მიწაც, ვარსკვლავებიც. ქვაფენილი არსადაა.

მსოფლმხედველობა საკუთარ თავშია ჩამალული და ვერ გრძნობს თავის არსებობას. ამითაა ძლერი. ჯიუტია, შეურყეველი, რადგან სამსჯავროზე არ გამოსულა, საკირკიტო არ გამხდარა, ეშვი არ უნახავს.

ბინდი, ხეები, მიწა. თოხიანი კაცი და თოხიანი კაცის ჩრდილი...

ადამიანის აღზრდა და დაცემა მაშინ იწყება, როცა ჩრდილებს შეიძენს. ჩრდილები. რომელსაც შენი საკუთარი ნათება ქმნის.

მეგობარს ნიშიერების მიხედვით არ ირჩევენ. ნიშიერების მიხედვით ირჩევენ კერს. მერე ჩრდილებს მიუჩენენ, რომ უფრო თვალსაჩინო იყოს.

შენი კრიტიკოსები, რომლებიც კრიტიკის გარდა ყველაფერს წერენ შენზე, შენი ბიოგრაფი; რიჩარდ კეკლოშვილი, თეატრმცოდნე; კაცი, რომელიც ერთ ნაბიჯზეც არ გშორდება და შენი ცხოვრების ყველა ეპიზოდი იცის. რამდენიმე ეპიზოდი ისეთიც კი იცის, არასოდეს რომ არ მოგხდარა.

ვალიკო ასკურავე; დრამატურგი, რომელიც შენთვის პიესებს წერს.

პატარა, ქაჩალი. ტუჩები უცნაურად აქვს მოპრუწული. ძაბრივით. გეგონება, სულ რაღაცას იწუნებსო, ყურები — ჩაის თეფშები. ხელობა: პიესების წერა. გატაცება: კოცნა. დღეში სამჯერ რომ შეგხვდეს, სამჯერ გაკოცებს. ხან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახან გული უჩუყდება და თვალზე ცრემლი ადგება. კომიკურობამდე სენტიმენტალური. საკვირველია, რომ პიესებში არ ჩანს ეს სენტიმენტალობა. იქნება იმასაც ნიღბი უკეთია? ოთხი პიესა დაწერა შენთვის. აქედან ორი დაიდგა კიდეც. სულ თეატრში ტრიალებს, ყველას ფეხებში ებლანდება და რატომღაც ყველას უყვარს.

თეკლა რომ ღიმილით წავიდა, ტირილით გასკდა. ბავშვივით ტიროდა. როცა გლოვა მოათავა, მოვიდა, ლოყაზე გაკოცა და საზეიმო-სამგლოვიარო კოლოთი გამოაცხადა, ამ თემაზე საშინელ ტრაგედიას დავწერო.

არ დაუწერია.

ეშმაკურად მომდიმარე თვალები. შუბლი. მარცხენა საფეთქელზე ცისფერი ძარღვი. მოძრავი.

გახსოვს, სოფელში რომ წაგიყვანე? ღამით, მთვარის შუქზე. სასეირნოდ წავედით, მდინარეს მივადექით, ქვებზე ხტუნვა-ხტუნვით გადმა გავედით. ფერდობზე შეფენილ ტყეში შევეკვერით და ხეებში ჩაკარგულ სოფელს ვუყურებდით.

მაშ, ის ზაალ ნიკარაძე არ იყო?

ვალიკო ასკურავა, რაში სჭირდება ცხოვრებას შენი „დრამატურგიული ხერხები“ და „სიუჟეტის თანდათანობით დამუხტვა?““

ვისაც ოთხი არა გვაქვს, ასფალტზე ფაფდოვართ. ასფალტი იგივე კუპრია და მზე რომ დაგეჭიროს, კუპრში ვიხრაკებით.

როდესაც კარტის თამაშს გიხსნიან, ერთ ჩამორიგებას ისე ჩამორიგებენ, ტყუილად: წესები რომ ისწავლო და ნიუანსებში გაერკვე. წაგება და მოგება არ ითვლება.

ცხოვრებაც ასე უნდა იყოს. ორ ყრად. ჯერ ვარჯიში, რომელიც „არ ითვლება“, მერე — ნამდვილი. სადაც ყველაფერი მკაცრად მოგეკითხება. მაგრამ ღმერთმა არ ქნა. წადი ახლა და იმტკიცე თავი, სწორად ჩამოდიოდი ამ სამიცი წლის მანძილზე კარტებს, თუ შეცდომას შეცდომაზე უშვებდი.

შუბლი გადატეკილი... თვალის კუთხეები აზიდული...

თეატრი მრუდე სარკეა.

გუშინ ამბობდი, თეატრი კეთილშობილების სკოლაა.

როდის იყავი ყალბი? გუშინ თუ დღეს? თუ გუშინაც და დღესაც? შენი სახელით ხომ შენ არ ლაპარაკობ, შენი სახელით შენი პერსონაჟები და შენი ჩრდილები ლაპარაკობენ. შენ ჭური ხარ.

ნუთუ დღესაც ჭური ხარ?

მაშ, ის შენი სახე არ იყო, წელან რომ სარკეში გაიელვა?

სახე არ უნდა დაგეკარგა. სხვა გზა უნდა აგერჩია.

სხვა გზა?

... სრულიად საქართველოს კათალიკოსი, უნეტარესი და უწმინდესი ზაალ ნიკარაძე...

უნეტარესი და უწმინდესი...

რა არის უნეტარესი? ან უწმინდესი რა არის?

საკუთარ თმას მოიზრდიდი, საკუთარ წვერს მოუშვებდი...

ანაფორა.

დააკლო ღმერთმა ერთი მცნება. ალბათ, არ მოაგონდა.

უნეტარესობა ღვთისკენ მარადიული ლტოლვა თუ იქნება. უწმინდესობა — ყოველისმომცველი რწმენა. რწმენა შეუვალი როგორც...

შენი რწმენაც შეუვალი იყო, მაგრამ სარკეში რაღაცამ იელვა და შეირყა ის, რაც აქამდე ურყევი ჩანდა.

ნუთუ სრულიად საქართველოს კათალიკოსი, უწმინდესი და უნეტარესი, ისე გაიელის ამ წუთისოფელს, არსად შეფერხდება და არსად დაეჭვდება?.. კაცმა რომ თქვას, რა განსხვავებაა თქვენს ხელობას შორის?

ის ახლოა ღმერთთან, შენ შორსა ხარ.

მაგრამ „შორი“ და „ახლო“ ხომ ბინძური ჭორია, უბრალოდ კათალიკო-

ჯემალ ქარჩხაძე
მეთერთმეტე მცნება

სი მოვალეა „ახლო“ იყოს ღმერთთან. ასეთია მისი თანამდებობა.

მთავარი ისაა, რომ ზოგს ღმერთი სწამს და ზოგს თეატრი, თორემ ნიღბად საკუთარი წვერიც გამოდგება.

უწმინდესო და უნეტარესო, მე და შენ ნათესავები ვართ.

შენც გზის პირას დარჩობილი ბოძი ხარ, ფირფიტა გაქვს გულზე გაკრული და ზედ წარწერაა: ამა და ამ მხარეს, ამა და ამ მანძილზე ღვთის საუფლოა.

მე რომ შენს ადგილას ვიყო, ერთ მშვენიერ დღეს დავეჭვდებოდი.

შენ არ დაეჭვებულხარ ჯერ?

სამოცი წელი დევს სასწორზე...

შენი დაეჭვება უფრო საშიში იქნება. და რაც უფრო მოგვძალება ეჭვი, მით უფრო გამწარებული იძახებ: მწამს! მწამს! მწამს!

ეს არის ნიღაბი. თმა და წვერი ვისია, რა მნიშვნელობა აქვს!

შენი ჯვარი უფრო მძიმეა, უნეტარესო და უწმინდესო. ეს მე მამშვიდებს, რადგან კაცი ავია და ღვარძლიანი.

გზა უსასრულო. გზის პირას ბოძები. რაზეზეაც თვალი მიწვდება. ბოძები, ბოძები, ბოძები. ზოგი მანძილს აღნიშნავს, ზოგი — მმართველებას, ზოგი — ადგილმდებარეობას.

ხოლო სადღაც უჩინრად რიალებს ნამდვილი სახე...

იქნებ ყველა სიკოცხლე როლია და ზოგს, ტრაგიკულად, ბუნებრიობის ნიღაბი ერგო?..

... (შემოსასვლელი კარი წყნარად გაიჭრიალებს. ჭრილი უცხო კაცივით შედის ფიქრებში და წმიერი დისონანსი შეაქვს. მაგრამ მალევე ქრება და დისონანსი რჩება აღუქმელი და შეუცნობელი)

ვილაცა:

(კარის ზღურბლიდან. ხმადაბლა, მორიდებით) ბატონო ზაალ! ბატონო ზაალ!

(ხმა წამით შეაფერხებს ფიქრების დინებას. ფიქრები შეჩერდებიან, აირევიან და ერთ ადგილზე დატრიალდებიან. მერე მიიწ-მოიწევიან და გზას ეძებენ ხმას. ხმა ამ გზას გაყვება და სადღაც ნიდან გადის)

ვილაცა:

(ხმადაბლა, მორიდებით) — ბატონო ზაალ! ბატონო ზაალ!

(მაგრამ ხმას უკვე თავისი გზა აქვს მიჩენილი. ის ამ გზით მიდის და ფიქრებს ველარ ურევევს მყუდროებას)

ვილაცა:

(ხმადაბლა, მორიდებით) — ბატონო ზაალ! ბატონო ზაალ!

(პაუზა. ხმა ალარ ქოროლება. ისევ პაუზა)

ზ. ნიუარაძე:

(უძრავად ზის და მმართავს ზაალ ნიკარაძეს, რომელიც თვალმოუშორებლივ უყურებს სარკიდან) — ზაალ ნიკარაძე! შენ ბამპული და ტაკიმასხარა ხარ! (პაუზა) შენი ხნის კაცს მეტი სერიოზულობა მოეკითხება!

(კარი ისევ გაიჭრიალებს. ფრენებში გაურკვეველი ჩურჩული ისმის)

ზ. ნიუარაძე:

(უძრავად) — ღმერთმა ერთი სახე გიბოძა, შენ ათასი სახე შეიძინე. დგახარ ახლა აქ, საუფალი და ქვეყნის მსახარა და არ იცი, რა იქნა სამოცი წელი. შენი ცხოვრება წყალშია გადაყრილი. მანამ იარე ნიღბით, სანამ საკუთარი სახე არ დაკარგე. ახლა რას აპირებ? სად გინდა ეძიო შენი თავი? დიდი მსახიობი!.. რა თქმა უნდა, დიდი მსახიობი ხარ. ყველა შენს ქებაშია... „ღრმად წვდომა“, „ფსიქოლოგიური ნიუანსები“, „დახვეწილი ტექნიკა“, „სოციალი დამაჯერებლობა“. მერე? რა გინდა ამით თქვა? რას ნიშნავს ეს ყველაფერი? „ხელოვნება ბუნების სარკეა!“ რა დიდებული რამ ყოფილა! მერედა, ვინა თქვა, ბუნების სარკე სჭირდებათ? ვითომ სარკეში დანახული ბუნება სჯობს ნამდვილ ბუნებას? როგორ აგიყოლია ილუზიამ! როგორ გაგიტაცა სიყალბემ! თავსაც ატყუებდი, სხვასაც ატყუებდი. და დაიკარგე. გაქრი... ახლა სადა ხარ? „შემოქმედებითი თავგანწირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა“, „ხელოვნების წმინდა სამსხვერპლო“. სიყალბე! ნინბები! თუკი მართლა თავი გაწირე და საკუთარე სახე დაკარგე სხვისი გულისთვის, ეს შენი საკუთარი სახეც ხომ უკვე სხვა არის, რაკი დაკარგე. მაშ ახლა გისარჯე და ცოტა იმისთვისაც გაწირე თავი. წადი და ეძიე! ღმერთმა იცის, სად არის. ეძიებდე და ჰპოვებდე! უფრო იქ იქნება, სადაც თოხიან კაცს უკან თოხიანი კაცის ჩრდილი მოსდევს. სადაც გაზაფხულზე ყველა ყვავილ ლვთით მინიშებული ფერი აქვს. სადაც კაკლის ხის, ოფლისა და მზის სუნია. სადაც გორაკიდან ხევში ჩაკარგული სოფელი მოჩანს. (გადაუმული თმა. შუბლი. თვალის კუთხეები. აზიდული. ღიმილი.) სადაც მსოფლმხედველობა გაუხსნელი და შეუცნობელია. ბუნებაში! ბუნებაში! აგარაკი სოფლად, ეს ბუნებაში განზავების იმიტაციაა, ბუნების თეატრი, ცივილიზაციის თიფლობის თვე. ბუნებაში! ბუნებაში!. მოიხსენი და გადაყარე ყველა ნიღაბი. გაშიშვლდი და წადი! იჩქარე! შენი საკუთარი სახე ეძიე! წადი, წადი, შე მასხარა! იჩქარე! ვინ იცის, რამდენი წელიწა დაგრჩა კიდევ. წადი!

(დერეფანში გაისმის ტაში. ზაალ ნიკარაძე მოეულოდნელობისაგან შეკრთება. ახრებს მკვეთრად შეყრის და დაუშვებს. თვალები ოდნავ გაუფართოვდება და გაკვირვებასა და შეუცნობელ შიშს გამოხატავს. იმავ წამს თვალებს დახუჭავს და გაირინდება.

კარი კიდევ ერთხელ გაიჯრიალებს და ყურთამდე გაიღება. შემოდიან: დრამატურგი ვ. ასკურავა, რომელიც პატარა ტანის წყალობით უკანასკნელ მომენტში მარჯვედ გაუძვრება იღლიის ქვეშ მთავარ ადმინისტრატორს და პირველი გადმოაბიჯებს ზღურბლზე; თეატრმცოდნე რ. კევლიშვილი ყვითელი პორთფელით ხელში; ზემოხსენებული მთავარი ადმინისტრატორი, სპექტაკლ „მეფე ლირის“ წამყვანი ენვერ ოტიაშვილი, მეტსახელად ენოტი. ამათ გარდა კიდევ რამდენიმე პერსონაჟი, მათ შორის ერთი თეატრალური კრიტიკოსი)

ვ. ასკურავა:

(დაეტაკება ზაალ ნიკარაძეს, რომელიც ჯერ კიდევ თვალდახუჭული ზის, და ჯერ ერთ ლოყაზე აკოცებს, მერე მეორეზე) — ბრავო! ბრავო! მრავალგზის ბრავო!

ენვ. ოტიაშვილი:

(ხმადაბლა, მორიდებით) —ბატონო ზაალ!

(მისი რეპლიკა შეუმჩნეველი რჩება. ვ. ასკურავას აღფრთოვანება ყველაფერს ფარავს)

ვ. ასკურავა:

— გენიალური იდეა! განუმეორებელი, მწვავე და ორიგინალური!

(ზაალ ნიკარაძე თვალს გაახელს და სარკეში შეხედავს ვ. ასკურავას გამოსახულებას)

ენვ. ოტიაშვილი:

(ხმადაბლა, მორიდებით) — ბატონო ზაალ!

(ვ. ასკურავა კიდევ ერთხელ დაეტაკება ზაალ ნიკარაძეს და ჰკოცნის).

ზ. ნიშარაძე:

— რა იყო, ენვერ?

(ენვ. ოტიაშვილი გაბარებული და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული ეუფრებს. აქამდე დარწმუნებული იყო, რომ ზაალ ნიკარაძემ მისი სახელი არ იცოდა).

ზ. ნიშარაძე:

(ღიმილით) — რა იყო, ენოტო?..

ენვ. ოტიაშვილი:

(დაუფარავი აღფრთოვანებით) — ბატონო ზაალ! თქვენ... თქვენ რა იცით, ენოტს რომ მეძახიან?

ზ. ნიშარაძე:

— შე კაცო! თუკი სხვამ იცის, ვითომ მე რატომ არ უნდა ვიცოდე!

ყურები მაქვს (ვ. ასკურავას ყურებს შეხედავს) და თვალები მაქვს. (თვალები. კუთხეში აზიდული. ღიმილი თვალებში. ირონიული და კეთილმოსურნე.)

ენვ. ოტიაშვილი:

თქვენი გამოსვლის დროა, ბატონო...

ვ. ასკურავა:

(აწყვეტინებს) — მოიცა ერთი წუთით! არა უშავს, გააგრძელეთ ცოტა ანტრაქტი. ეს იდეა უფრო მეტი ღირს. (ზაალ ნიკარაძეს) შენ გენიოსი ხარ! არა, საიდან მოგაფიქრდა... იცი, რა იქნება?

ზ. ნიუარაძე:

(გულგრილად, უხალისოდ) — რა რა იქნება?

ვ. ასკურავა:

— პიესა. (პათეტიკურად. ყველას მიმართავს) ვალიკო ასკურავა ცხრა დადგმული და შვიდი დაუდგმელი პიესის ავტორია. მაგრამ ეს... ცხრა და შვიდი თექვსმეტი... ეს თექვსმეტი პიესა ერთად აღებული ვერ იქნება ისეთი, როგორიც მეჩვიდმეტე. (ზაალ ნიკარაძეს) ამ მონოლოგს, თუ გინდა, ზუსტად დაგიტოვებ.

ზ. ნიუარაძე:

(გულგრილად, უხალისოდ) — რომელ მონოლოგს? (რატომ არა აქვს ამ ოთახს ფანჯარა?..)

ვ. ასკურავა:

— ამ მონოლოგს. ნამდვილი ფაუსტური თემაა. სხვა კუთხით დანახული... რა ბიჭი ხარ, რომ იცოდე! (აკოცებს) დამიგდეთ ყური! სახელგანთქმულ მსახიობს, რომელიც თავისი დიდების ზენიტში იმყოფება, უეცრად ეჭვები შეიპყრობს. ამაო ხომ არ იყო მთელი მისი ცხოვრება? იქნებ შეცდა და ნამდვილ გზას ვერ მიაგნო? მუდამ სხვის როლს ასრულებდა და საკუთარი თავისთვის ვერ მოიცალა. სადაა საკუთარი თავი? სადაა ნამდვილი ცხოვრება? (მიდის თოხიანი კაცი და უკან თოხიანი კაცის ჩრდილი მიყვება...! რა აზრი აქვს შემოქმედებას? ვის სჭირდება შენი ხელოვნება? (ერთბაშად ყოფით — ნასაუბრო კილოზე გადადის) არ ეკეცი, დავმართნიათ თუ არა ასეთი რამ, მაგრამ, დამიჯერეთ, ხშირად ხდება: თუ აიღებთ რაიმე სიტყვას და დაჟინებით იმეორებთ, შეამჩნევთ, რომ იგი თანდათან დაიცლება შინაარსისაგან და უაზრო ბგერებად იქცევა. (ვინ გათამაშებს რიტაფელას. რაღა დროს შენი რიტაფელაა...) აი, დაახლოებით ასეთი რამ მოსდის. (ისევ ამაღლებული ტონით) მოიხსნის პარიკს! მოიცლის გრიმს! ჩამოირეცხავს ყველა საღებავს!... ალარ შეიძლება ასე ცხოვრება! უნდა გაიქცეს! უნდა წავიდეს!

ენვ. ოტიაშვილი:

(ხმადაბლა, მორიდებით) — ბატონო ზაალ!

ზ. ნიუარაძე:

—ახლავე, ენოტო. (ვ ასკურავას) მერე? წავა?

ვ. ასკურავა:

— წავა. ფსიქოლოგიური დრამა! ეს იქნება ჩემი შემოქმედებისა და შენი შემოქმედების მწვერვალი!

ზ. ნიუარაძე:

(მძიმედ წამოდგება. დაღლილი სახე აქვს. ერთხანს ყოყმანობს. მერე ცალი თვალით სარკეში გახედავს თავის გამოსახულებას. პარიკს აიღებს და დაიხურავს. წვერს აიღებს და გაიკეთებს. ენვ. ოტიაშვილი ეხმარება. ხმა ოდნავ მოგუდული აქვს, ოდნავ ნაღვლიანი) — წავიდეთ, ენოტო. ავიკიდოთ ჩვენ — ჩვენი ჯვარი. (ენვ. ოტიაშვილს მარცხენა ხელს გადახვევს და ნელი, მძიმე ნაბიჯებით დაიძრება კარისაკენ. ზედ ზღურბლზე შედგება. ვ. ასკურავას) მაშ, წავა?

ვ. ასკურავა:

— წავა. ფსიქოლოგიური დრამა!

ზ. ნიუარაძე:

— წავიდეთ, ენოტო. ნამდვილი ბუნებრიობა მხოლოდ სცენაზეა. (ყველანი გადიან. კარი ჭრიალით იხურება)

ხანგრძლივი პაუზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ლექსი ფორე მოსულიშვილს

1.

ომის დიდი გზით გაუყვა შორეთს —
ჭაბუკი ფორე.

კაცი ღვინის და პურის მომყვანი —
ყველა კეთილს ძმა და მოყვარე.

როგორ! კაცისგან კაცის მკვლელობა!..
ერჩივნა: მიწა ეხნა, ეთესა.
... მტრის ძღვევა, თვისი უძლეველობა
აჩვენა მტერსაც და მოკეთესაც.

დილით გომბორს რომ მზე მიადგება —
იმ მზეში მისი ხატება ჩნდება.

გმირობამ იგი მზეს აზიარა,
და ომის გზებზეც მზესთან იარა.
. . .
მისი ლამაზი სულის ჭირიმე.

2.

ახლო ვერ მივა, ვერ დაფარავს შენს სახელს ბინდი,
მოკვდა სხეული, უკვდავება მის ნაცვლად იშვა.
თუ გავიწირე, — ვინატრებდი შენსავით სიკვდილს,
შენებრ სიკვდილი მარადიულ სიცოცხლეს ნიშნავს.
... სად არ გადასწვდა დედაშენის ძუძუს ნათელი!

??

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეცასთან ახლოს

ვახტანგ ჩხუმიანს

არ იბზარება თოვლი შხარაზე,
არ იბინდება მთათა ნათელი.
აქ სიმაღლეა ისე ლამაზი,
როგორც ტაძარში ფიქრი ქართველის.

ყველა მაჩუბთან ჯადო მოგელის,
ყველა მწვერვალთან—ბუდე ქარების.
აქ სვანებივით დგანან კოშკები
და კოშკებივით დგანან სვანები.

შუაფხო

ანა კალანდაძეს

აქ სიჩუმე ზღაპარია
და სურნელი დანანარობს,
ფშავში ისევ მრავალია
ყვავილები საანო.
ალბათ კიდევ ინახულებს
ტინების ლეგა თორიანსა,
ღრუბლებს ცაზე მიქარგულებს,
„სატყრობელას ჭორიანსა".
მერე ნატვრად შემორჩება
ფშაველს ლამაზ ცოლიანსა.

პაპისეული სახლი

კედელზე ძველი ფანდური
გახუნებული, მტვრიანი.
ჩამონგრეული ბუხარი,
ჭერხოში ქარის წრიალი.
ჟანგის და ნესტის სურნელი,
ზღურბლზე ბალახი ცვრიანი...
მაინც ვიღაცის ლ[illegible]ნი,
მაინც იმედის ციალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მამულო,
ფხიზლობს ციერი,
მარადდღე ასე გიხილოს.
მამულო,
შენსა კალთაზე
და მკერდზე მუხლთა ვიხრიო.
ჭრელი სერებს გულზედა
მივდივართ მე და ნისლიო.
ტყე-ღრეთა სიზმრებს აღვიძებს
ეს სახვალიო ფიქრიო.
შენი ცისათვის ვლოცულობ,
შენი მიწისთვის ვიწვიო.

●

მთებს მითვლემილებს
მიმწუხრზე, როცა
ნისლმა ნამქერი ჩამოაშალა,
მითვალთვალებდი ჩაფერფლილ ბორცვთან
და მახსენებდი იმ გზის დასავალს—
სად სინათლეა
და სიშორეა,
და მსხმოიარე ზეცის ტოტები...
ახლა მივკვალავ სერებს თოვლიანს
და სინანულით გემშვიდობები.

ᲒᲝᲜᲐᲓᲘᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲦᲐᲛᲔᲨᲘ

(ხალხურ მოტივზე)

აქ მიმატოვა ფრიალოს
ხვედრმა ღამეთა ჯალაბად
და მითვალთვალებს ტიალი
ეს საცალფეხო ჯანაბა.
გადმომიყეფა ფრთაშავმა
მეც და ქარაფსაც ასევე.
განწირული და მაშვრალი
ვკიდივარ კლდეთა თასმებზე,
არც მთვარე ნათობს ოხერი
ჩემთვის ღრუბლებში მიმქრალი,
„განა ლაი ვარ, რომ ვმღერი,
გულისა დარდსა ვიქარვი“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამობრიალდა დღესდღეთა
ფერი ციმციმა,
იმედის კედლებს
კიდევ ერთი მოაკლდა ბზარი.
მწყალობელ ნათლის
ფრთებზე კიდევ ერთხელ იწვიმა.
მწყალობელ ნათლის
ფრთებზე ისევ ღიღინებს მგზავრი.

კვლავ სიხარული
ალმომხდარა ეკალბარდიდან
და ქარაფებზე განფენილა
ნუგეშის ხმსი.
აღტაცებული გელოდები მწვანე ნაპირთან
და ჩემი მთების ბალახები მინთია ხელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არდავიწყება

ზოგჯერ სოფელს კრძალვით ესტუმრება
დარდი,
დაიქცევა ღვინო, დაიმცვრევა მწვადი.

გახსენების მადლი ძლიერი და სუფთა
ევლინება თვალებს, ეფინება სუფრას.

შაოსანი ქალი, თმაჭაღარა დედა
ქარში მოფარფატე რუხ მაზარას ხედავს.

ძველი ვაჟკაცები ესიზმრებათ თოფებს,
ისევ ფეხზე დგება ჩამოშლილი ღობე...

სოფელს ფიქრი ისევ გადაუვლის წამით,
წაუქცევენ ჭიქას შემოდგომის ღამით...

მაგა

პატარა ლექსით გატეხილ ღამეს
თმოგვივით ძველი ფიქრები ახლავს,
ნისლის მაქმანი ეხვევა შრამელს
და კითხვა ერთი...
სადა ხარ ახლა?

სოფლის ბოლოში გამხმარა მუხა,
სოფლის თავში კი ახალი მხრებს შლის,
დიდი ხნის მერე მოიხრის მუხლებს
და გაორდება ალაგი მთებში.

ბადრი ჭოხონელიძე

ძაღლი

გუგამ ჩაის ფინჯანი დადგა და ესმას გახედა. ნამცხვრის ფირჩხა ტუჩის კუთხეში მიკოდა გოგოს. ესმა რაღაცას ყვებოდა, შიგადაშიგ იღიმოდა კიდეც. მაგრამ გუგა მხოლოდ ტუჩის მოსვრილ კუთხეს ხედავდა და ერთი სული ჰქონდა, როდის ჩამოვარდებოდა ნამცეცი.

მაგიდის შუაგულში ესმას ბებიის ნახელავი უზარმაზარი ტორტი იდო. გუგამ იცოდა, რომ ყოველ ლუკმაზე უნდა ალტაცებულიყო.

— ეს კიდევ არაფერი, — ამაყად ამბობდა მოხუცი, — თქვენ იმ კვირას ნახეთ, რა გავაკეთო.

— ხვალ ჩვენები უკვე მოსკოვში იქნებიან, — თქვა ესმამ, — შენთვის რა ქქვთ ნაყიდი, რომ იცოდე. — გოგომ საქმროს გახედა და ქვედა ტუჩი კბილებშუა მოიქცია.

ფინჩხა ჩამოვარდა და გუგამ ამოისუნთქა.

— ჯერ მაინც არ ვეტყვი, — თავი გაიქნია ესმამ, მერე ხელსახოცი აიღო და გუგას ტუჩებზე დიდი მონდომებით მოუსვა, ვაქმა იგრძნო პატარა, ულონო ხელის ვნებიანი თრთოლვა.

— თხუბნია ხარ, — გაიღიმა ესმამ,— მაგრამ არა უშავს, აწი მე მოგივლი.

მოხუცმა ქალმა რამდენჯერმე მოავლო ოთახს თვალი, მერე უცებ წამოდგა და გავიდა.

— სიგარეტი მომეცი, — ესმამ ხელი გაუწოდა გუგას.

ვაქმა ირიბად გახედა.

— დღესაც და, ხვალიდან თავს ვანებებ, — სერიოზულად თქვა ესმამ.

— მალე გუგას ნაცნობი ჩხაკუნი მოესმა და ტანში უსიამოდ გაეჟრჟოლა. ესმას ბებია მოაბიჯებდა მეორე ოთახიდან და ლოტოს კოჭებიან ტოფსიკას მოაჩხაკუნებდა.

— წავედი მე, — წამოიწია გუგა.

ესმას გაეღიმა და ბებიას გასძახა,— ლოტო და-ტო-ვე!

— დღეს იმან დაგირეკა, — შემოსვლისთანავე უთხრა ბებიამ ესმას.

— მერე? — ესმა სიცილს ვერ იკავებდა.

— ვუთხარი, ხუთისთვის იქნებიმეთქი.

— ვვეთამაშა ლოტო, — ჩუმად თქვა გუგამ.

მოხუცი გახარებული წამოხტა. — მერე ისიც ვუთხარი, ესმა თხოვდებაო და თავს ნუ იგდებ-მეთქი.

— გაგიჟებს, — გაუღიმა ესმამ, რაგორც კი ბებია გავიდა.

ვიღაცამ ზარი დარეკა. კარი მოხუცმა გააღო. დაახლოებით გუგას ხნის. ახალგაზრდა ქალი შემოვიდა.

— ესაა გუგა, — გააცნო ბებიამ ახალმოსულს სასიძო.

— ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, — გაიღიმა ქალმა.

გუგამაც გაუღიმა და თავი დაუქნია. წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო ეს ქალი.

— ინა ჩვენი მეზობელია, — თქვა ესმამ.

გუგამ ისევ დაიქნია თავი.

— რა კლასი ვყვნდა? — ინა გუგას მიუტრიალდა.

ახლა კი მართლა დაიბნა გუგა.

— რას ვუშვრებოდით მასწავლებლებს, — ეტყობა, ინას ბევრი რამ მოაგონდა სასაცილო და სახეზე ხელი აიფარა.

„ანგელინა ლანჩაკა!“ გაახსენდა გუგას და ისე გაეხარდა, კინაღამ წამოიყვირა. ყოველთვის ასე იცოდა ანგელინამ სიცილისას გრძელ ცხვირზე ხელის აფარება, გამოცვლილაო, გაიფიქრა გუგამ და ყოფილი თანაკლასელის ნაპერაციებ ცხვირს გახედა.

— ისე, შენც მაგარი ვიღაცა იყავი,— არ აწყენინნ გუგამ.

— გახსოვს, წერწაკა რომ დავწვი?— მერე სახე მოეღრუბლა ინას, — ბაკურიანში რომ გცემეს?

იცოდა გუგამ, იცოდა, კიდევ რომ ფიქრობ იმ ბიჭის წინ, ჩხუბი გარდუვალი იყო. მაშინ ბაკურიანში ერთ გოგონას მოსწონდა გუგა. იმ ბიჭს კი, ვისაც გუგა ეჩხუბა, ის გოგონა უყვარდა. თითქოს თბილისელი უფროსკლასელები ბაკურიანში მხოლოდ იმიტომ მიდიოდნენ, რომ ვინმე შეიყვარებოდათ. უმთავრესად ცალმხრივი იყო ეს სიყვარული.

ზღვაზე კი არც არავინ მოწონდა ხოლმე გუგას და არც უყვარდებოდა. იშვიათად, ძალზე იშვიათად წვიმიან დღეებში სადმე შეყუჟულებში თუ გამოარჩევდა ადამიანურ სითბოს რომელიმე გოგონას გამოხედვაში.

მერე კი ნახა გუგამ, რომ არც ბაკურიანია მთლად დედათა მონასტერი. და ალბათ, რამდენიმე ფენა ტანსაცმელს მიღმა მეტი ვნება ბობოქრობს, ვიდრე მზისგან მოთენთილსა და თითქმის დედიშობილა ზღვაზე.

იცოდა მაშინ გუგამ, იცოდა, რომ ჩხუბი გარდუვალი იყო. მაგრამ მაინც ჰქონდა იმედი შემორჩენილი, იქნებ ვცდებიო. იმედს კი იმ ბიჭის გარეგნობაში ხედავდა. დახვეწილ ნაკვთებსა და სათნო, ცისფერ თვალებში ხედავდა იმედს.

გუგამ ჩაიარა. ბიჭმა შეაჩერა და რაღაც ჰკითხა. გუგამაც უპასუხა. ბიჭმა გაიღიმა. „არ დამარტყამს, თუმცა რატომ უნდა დამარტყას“, გაიფიქრა გუგამ და მასაც გაეღიმა. ამ დროს მოხვდა. გუგამ იგრძნო, დარტყმა არ იყო ძლიერი. გუგა იმასაც გრძნობდა, რომ მოეროდა ბიჭს, მაგრამ თითქოს სხვისთვის გაერტყათო, ისე იდგა. გუგამ ხელი ჯიბეში ჩაიყო.

— არაფერი არ ამოიღო, — იყვირა ბიჭმა და მათ შორის მანძილი გაიზარდა.

გუგამ ორივე ხელი გაშალა და ბიჭს დაანახა, რომ ცარიელი ჰქონდა. მერე მისკენ გაიბიჯა. — რატომ დამარტყი? მაინც რატომ დამარტყი?

ეკვნების ხმა გაისმა. მარხილი მოდიოდა. შექეფინებული მილიციელებით იყო მარხილი სავსე. ბიჭები სხვადასხვა მხარეს წავიდნენ.

— არ უნდა დაგერტყა, რა საჭირო იყო, — გასძახა გუგამ.

ცისფერთვალებამ ხელი ჩაიქნია...

ესმას ბებია ჯიუტად მიჩერებოდა გუგას და ტომსიკას რიტმულად აქნევდა.

— რაღაც ვერა ვარ კარგად, — წამოდგა გუგა.

— ბებია, იცოდე დავწვავ მაგ ლოტოს, — დამუქრა ესმა.

— ბიჭოს, — ტუჩი აიბზუა მოხუცმა ქალმა. — არ დაგვიწყო უკვე ზოგიერთებმა უფროსობა.

— მაპატიეთ, — გუგამ მოხუცს მოუბოდიშა, — მართლა ვერა ვარ კარგად.

ესმა სადარბაზოში გაყვა გუგას, თან უხსნიდა, ბებია მოხუცია, ჭირვეული, და არაფერი არ უნდა გეწყინოს მისგანო.

— რა სისულელეა, — ლოყაზე აკოცა ესმას გუგამ, — რა უნდა მეწყინოს.

●

„ბოლოს ხომ ხელები აიქნია, შეიძლება ინანა კიდეც“, მიაბიჯებდა ქუჩა-

ბადრი ჭოხონელიძე
ეროსტრატები

ში გუგა, თხუთმეტიოდე წლის ამბავს იგონებდა და ნელ-ნელა მშვიდდებოდა. „ალბათ ინანა, ისე აიქნია“.

— გუგა, — მოესმა და მიიხედა.

გაზეთების გამყიდველი ეძახდა ჯიხურიდან.

— რას შვრება, ბიჭო, ბაბუაშენი?

— ვეღარ გამოდის, დასუსტდა ძალიან.

გამყიდველმა საღამოს გაზეთები მიაწოდა, — წაუღე, მუდამდღე ყიდულობდა.

გუგამ მადლობა გადაუხადა და გზა განაგრძო.

ხის ჭრიალა კიბე აიარა და სახლში შევიდა.

„რომ მეცემა ის ბიჭი, უკეთესი იქნებოდა“, ვეღარ ეშვებოდა გუგა ძველ ამბავს. „აუცილებლად აჯობებდა, რომ გამელახა“.

ცხვირში სიმწვავე იგრძნო გუგამ და მიხვდა, რომ სისხლი წასკდა. სუფთა ნაჯიჯით გაემართა საბაზანისაკენ. ცივი წყალი ესიამოვნა. მხარზე ხელი შეეხო. ბაბუამისი შემოსულიყო. დაბადებიდან მუნჯ მოხუცს თითქოს გახმაურების უნარიც არა ქონოდა, ისე ჩუმად შეფაჩუნდა. ბაბუამ მარჯვენა ენერგიულად მოუსვა გუგას სისხლიან პირ-სახეზე და ნელ-ნელა მობანა.

გუგას ყელში რაღაც მოეჯინა და მოხუცის ხელს მინდობილს წყლის ჩხრიალში აშკარად ჩაესმა, — „მოეც ძალი სიკეთესა ჩვენსა“.

— რა თქვი? — ახედა გუგამ ბაბუას.

მოხუცმა უხერხულად გაიღიმა. გუგაც მიხვდა, რომ სისულელე იკითხა. ბერიკაცს ჭაღარა მკერდზე სველი სახე მიადო და ჩუმად თქვა: — ცოლი მომყავს, ბაბუ.

ნაცტომი

სამსახურიდან მობრუნებულმა ზურიკომ ოთახის ფანჯრები გამოაღო. მერე პატარა მაგიდაზე ჭადრაკის გაწყობილ ფიგურებთან მივიდა. დილით დაიწყო თავის თავთან თამაში და ახლა ქვედა ტუჩზე თითმიდებული ზემოდან დააცქერდა დაფას.

ფანჯრიდან შემოსულმა ნიავმა თხელი ფარდები ისე ლამაზად შეარხია, ზურიკომ ერთხანს თვალი ვერ მოწყვიტა. მერე ისევ დაფას დახედა და წკიპურტებით რიგ-რიგობით ორივე მეფე წაყარავა.

ფარდა გადაწია, პერანგი ჩაიხსნა და რაფას იდაყვებით დაეყრდნო.

ცენტრალურ მოედნებსა და გამზირებზე ამ დროისათვის უამრავი ხალხი ირევა. თბილისის ძველი უბნების ქუჩებს მაინც აქვთ თავისი სიმშვიდე. აქაც მოძრაობაა, ლაპარაკი, გადაძახილ-გადმოძახილიც, მაგრამ განსაკუთრებით ადრიან გაზაფხულზე ქუჩის მტვრით შედარებით გაუნაცრისფერებელი ფოთლები ან ის, რომ ყველა კარგად იცნობს ერთმანეთს, ქმნის ამ სიმშვიდეს.

ხანდახან ფეხის ხმა გაისმოდა. ზურიკო ჩაიხედავდა. ზოგს თავს დაუქნევდა, ზოგს ხელს აუწევდა, ზოგსაც გამოელაპარაკებოდა.

სიგარეტს ენერგიულად მოქაჩა. სვენვა-სვენებით და ნებიერად გამოშვებულმა ბოლმა გაისრიალა და ცისკენ იწყო სვლა.

— ტაქსი, ტაქსი! — გაისმა ქალის ხმა.

მშვენიერი ქალი მიაბიჯებდა, ოღონდ უჩვეულო ის იყო, რომ ხელში ათი-თერთმეტი წლის გოგონა აეტატებინა. ქალი მძიმედ სუნთქავდა.

— მოგეხმარებით, ქალბატონო, — ჩასძახა ზურიკომ.

— ტელეფონი ხომ არა გაქვთ? — იკითხა ქალმა.

ზურიკომ არაფერი უპასუხა. კიბე ჩაირბინა. მერე ქალს გოგონა გამოართვა და სახლში შეუძღვა.

— დაბრძანდით, — ტელეფონის მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიდასფან მიუწია სკამი. გოგონა სავარძელში ჩასვა.

ქალი ნომერს კრეფდა და უაზრო თვალებით მისჩერებოდა ზურიკოს. მერე თითქოს გამოეფხიზა და ოდნავ გაღიმებულმა ჩურჩულით თქვა, — დიდი მადლობა.

ზურიკო მიხვდა, რომ მას ეკუთვნოდა ეს მადლობა და თუმცა ქალი აღარ უყურებდა, მაინც გაუღიმა, კედელზე ზურიკოს დედის სურათს შეავლო ქალმა თვალი და ისევ იჩურჩულა, — ვინ არის?

— დედაჩემია.

— ეს? — ქალმა ზურიკოს იმ სურათზე ანიშნა, სადაც ახალგაზრდა კაცი ტრუსების ამარა ხელაწევდილი იდგა და გახარებული სახით რაღაცას ყვიროდა.

— მამაჩემია.

სტუმარი ახლა მაცხოვრის ხატს მისჩერებოდა. მისჩერებოდა ისეთი თვალებით, რომ ზურიკომ იფიქრა, ნამდვილად მკითხავს ამის ვინობასაცო.

ქალმა ისევ სცადა ნომრის აკრეფა. დაკავებულიაო, თქვა და ფეხიფეხზე გადიღიდა.

— მარტო ცხოვრობთ? — ქალი ისე ჩუმად ლაპარაკობდა, რომ მისი ტუჩების მოძრაობაზე გაამახვილა თვალი,— თქვენისთანა ახალგაზრდა ვერ გაძლებს მარტო.

ზურიკო უყურებდა ქალს და მის ოდნავ პროვინციულ ჩაცმულობასა და წინადადებებში- უადგილოდ დასმულ მახვილებს სადღაც შორს, შორს მიჰყავდა იგი. თუმცა სულ სხვა ტანსაცმელი იყო. იქ და სხვანაირადაც უქცევდნენ, მაგრამ ერთნაირი რადაც ტრიალებდა, ერთნაირი აკავშირებდა ამ ქალსა და ნაზიკოს, ნაზიკოს, რომელიც ახლა არის თუ არა აღარავინ იცის. სა ეერთოდ, იყო თუ არა, ეს ზურიკოსთვისაა გამოცანა.

მდინარის პირას დაინახა დედიშობილა ნაზიკო. არც ახსოვს, როგორ მიადგა იქაურობას. დაინახა და გაშრა, ვერ გაინძრა. ქალი თმას ფუთავდა. უცქი გაიღიმა და თქვა, — რას მომჩერებიხარ, ზურიკუნა. მოდი აქ.

ზურიკოს არც ის ახსოვს, როგორ მიუახლოვდა ნაზიკოს. მერე ბევრი რამე არ ახსოვს. სადღაც მხოლოდ იმის ხსოვნა აქვს შემორჩენილი, რაც ახლაც სხვანაირად ათამაშებს მას.

ქვაზე ჩამომჯდარი ზურიკო ხალათს იკრავდა და მისჩერებოდა ნაზიკოს, რომელიც აღარ მოსწონდა, მაგრამ გრძნობდა, რომ სულ მალე ისევ ეამებოდა მასთან ყოფნა.

ნაზიკო ახლოს მიუჩოჩდა. მერე კიდევ თავიდან აირია ყველაფერი.

მდინარის ხმაური, მთვარე და ღამის ფრინველთა გამკინავი ხმა ზღაპარს ქმნიდნენ ზურიკოსთვის და ერთადერთი რეალური ახლა ქალი იყო. ქალი, რომელიც თავდავიწყებით კოცნიდა ზურიკოს.

— ნაზიკუნაა! — აყვირდა ნაზიკოს დედა.

— ზურიკუნა! — მერე ზურიკოს ბაბუაც აყვა...

— თქვენი სახელი? — ოთახში მჯდომი ქალი გალამაზებული ეჩვენა ზურიკოს.

— ზურაბი, ზურიკო.

— ალო, ალო, — ქალმა დარეკა, — გარაჟი? ჟორა ჭინდა, ჟორა... დიახ,— მერე კიდევ გახედა ზურიკოს დედის სურათს და იკითხა, — დიდი ხანია?

— შარშან.

პატარა გოგონა სავარძელში გასუსული იჯდა ... დიდ თვალებს ხან დედამისს მიაშტერებდა, ხანაც ზურიკოს.

— ჟორა ხარ? ჟორა, მაიამ ფეხი ამოიტრიალა, — ქალმა ქუჩა დაუსახელა, ზურიკოს სახლის ნომერი ჰკითხა და ისიც უთხრა. მერე ცოტა უკმაყოფილოდ თქვა, — მაქამდე თუ მოვიყვანე...

ყურმილში კაცის ხმა გაისმა.

— ჰო, კარგი, კარგი, — ქალმა დადო ყურმილი.

ბადრი ბოხოლიშვილი
მოთხრობები

ბავშვს მიუახლოვდა და ხელში აიყვანა, — კუთხეში ძია ჟორა ამოვა მანქანით და სახლში წაგვიყვანს.

— რომელი ძია ჟორა? — დაინტერესდა გოგონა.

ქალი წამოწოლილა. ზურიკომ მიხმარება დააპირა, მაგრამ სტუმარმა ცივად მოიშორა.

ქუჩიდან ფრინველთა ყივეკივი შედიოდა. რომელიღაც ჩიტუნას ხმა კი საოცრად ცალკე ისმოდა და ამ გამორჩევაში ყოველდა თავხედური ნდომა ამოღლებისა. თუმცა თავხედობასთან ერთად სასოწარკვეთაც შეიმჩნეოდა, ტანში დამზარავი სასოწარკვეთა. მაინც რა სურვილია ეს სხვათაგან გამორჩევა, სისუსტეა თუ ძალიერება?...

აივანზე იდგა ზურიკო და უყურებდა ბავშვატატებულ ქალს, რომელიც შვილის წონით დამძიმებული და ამ სიმძიმით ღვიძებრივი, ნელა მიაბიჯებდა. ქალს ზღაპრულად ჩამოქნილი ფეხები ჰქონდა. ზურიკოს ერთი ლამაზთვალება გოგონას გაღუნული ფეხები მოაგონდა. ქვეყანას ერჩია ერთ დროს ის გოგონა.

მერე მაღლა აიხედა ზურიკომ. მშვენიერი, სევდიანი მოგონება თითქოს ნელ-ნელა, ძალზე მსუბუქად დაიძრა ცისაკენ და ახლა ვერავინ დაარწმუნებდა, რომ ეს ცისფერი, უკიდეგანო სივრცე მხოლოდ მსგავსი მოგონებებით და ოცნებებით არ იყო სავსე.

ხრიგინი მოესმა. პატარა, ბუთხუნა ბიჭი მთელი მონდომებით მოაგორებდა კონსერვის ცარიელ ქილას. ოო, რა დაძაბული სახე ჰქონდა ბავშვს. იქაურობას, ქუჩის პატარა მონაკვეთს, ისედაც სავსეს გაზაფხულით, ახალი სურნელი შეემატა. სურნელი ცარცის, მელნის, სკოლის სასაუზმის. მოსწავლის ფორმიანი ბიჭუნა გასაღებივით ერგებოდა საკმაოდ აბრეული მოგონებების ყუთს. ზურიკომ თავი გააქნია, თითქოს ყველანაირი ხსოვნის მოშორება გადაწყვიტა.

რახ! გაკრავდა ფეხს ბავშვი და ერთ ხანს მიგორავდა ქილა, მერე ეხეოდა მიზნებული მზერა, ფეხის გაქნევა და ისევ — რახ!

ბიჭმა უცებ ზევით აიხედა. ხეზე უამრავი ჩიტი ყივეკივებდა. ბავშვმა ტაში შემოკრა. ჩიტებმა ეუნდად შეფრთხიალეს და ცას ჯორფლად მოეგვნენ.

ზურიკო მოაჯირს გადაეყრდნო. თბილი იყო რკინის მოაჯირი, ერუანტლის ქომგვრელად თბილი. იქვე, ხელის გადაწვდენაზე სათამაშოებივით ტოკავდნენ პატარა ხასბანა ფოთლები და ტოტებშუა უწვრილესი აბლაბუდები.

— გამარჯობა, ზურიკო, — მოპირდაპირე სახლის აივანზე პიჟამოიანი კაცი ყვავილებს რწყავდა, — ყველასა აქვს უკვე კოკორი, — კმაყოფილმა გადახედა. ამწვანებულ აივანს, — დაოჯახდი და რომელიც მოგეწონება, აღალი იყოს.

ზურიკომ გაუღიმა. ერთ ხანს უყურა მეზობელს, მერე სახლში შესვლა დაპირა. ნაკბენიანი შიდგა ზღურბლთან. მამამისის ახალგაზრდობის სურათი ეცა თვალში.

მზე ანათებდა კედელზე ჩამოკიდებულ ქაღალდს და მთელ ამხელა ბინაში ყველაზე ცოცხალი და ხმაურიანი ტრუსიანი და მხიარული ახალგაზრდა კაცის სურათი იყო.

ოთახის კარი ციცად გამოკეტა ზურიკომ. აივნის მოაჯირს ცალი ფეხით გადაბიჯა. ხელებით ქუჩის მხრიდან ჩაეჭიდა გისოსებს და მეორე ფეხიც გადაატარა. მერე ნელ-ნელა ჩაეშვა. ყოველთვის უფრო დაბალი ეგონა თავისი მეორე სართული.

— არ ქნა, ბიძია, მაგი! — შეჰყვირა პიჟამოიანმა კაცმა, — მოიტეხავ რამეს.

ზურიკომ რკინის გისოსებს ორივე ხელი გაუშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

50

ანა კალანდაძე

●

ხატში მოვარდა მოხევე —
მწყემსი მომინოს მოჰგავდა,
იმისი შავი ტაიჭიც
მომინოსავით ტოკავდა...
ხვთისო თუ ხირჩლა იკითხა,
სიტყვა დაუგდო მეგობარს...
სახელი ვჰკითხე, სხვა მითხრა,
მე — კი... ონისე მეგონა!
გაფრინდა გველის მთისაკენ,
აქ... თვალთა ცეცხლი დატოვა,
აძგერებული გულები
და ხევსურთ დიდი ხატობა...

1970.

●

კვლავ ეჭვიანობ, თამიავ?
ისევ ჭკუიდან იშლები?
ხევებში, საძოვარებზე
ვინ დააკავა ნისლები?
ცისაკენ ამოლებულან
(ცავ, სიხარულით ივსები!)...
— რამდენი წელი გავიდა,
კვლავ... მჭვალვენ ეჭვის ისრები!

1974.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა კალანდაძე!

ეს სახელი და ეს გვარი კმარა თითქოს, რომ აღარაფერი თქვა მეტი. და ბევრი რამ კი თქვა.

და მაინც:

ყოველი ჩვენგანი, ყოველი მისი თანამედროვე მოვალეა, მომავალს დაუტოვოს სიტყვა ანა კალანდაძეზე. დაუტოვოს მისი ხატების ანარეკლი მეტნაკლებად.

ახლახან ვ. ვერესაევის წიგნს: „Пушкин в жизни“-ს გავეცანი. სულსწრაფად, დახარბებულად. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს დიდტანიანი წიგნი მთლიანად თანამედროვეთა მოგონებებზე, კერძო მიწერ-მოწერასა და შიგადაშიგ თვით საიდუმლო პოლიციის მოხსენებით ბარათებზეა აგებული. ისეთის ხელოვნებით, ისე ოსტატურად, რომ ნაკადივით მიედინება. და ამ ნაკადიდან ჩვენკენ მოაბიჯებს ცოცხალი პუშკინი.

პუშკინი მცინარე,
პუშკინი მგზნებარე,
პუშკინი შეჭირვებული,
დაღვრემილი,
დაეჭვებული,
განათებული...

ღმერთმანი, დიდი ბედნიერებაა, დიდი მადლია ასეთი წიგნის შექმნა. საშუალება ასეთი წიგნის შექმნისა.

ავიღოთ, მშვენიერი ჭაბუკი — ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან რამდენიმე ბარათიღა შემოგვრჩა, ზოგი მისეული, ზოგი სხვისეული — აქა-იქ რომ გამოკრთის პოეტის სახება. ესეც ძვირფასია, ძალიან ძვირფასი, მაგრამ მცირეა მაინც. უფრო მეტის გაკეთება შეეძლო მის თანამედროვეობას. ვერ მოიცალეს, სახვალიოდ გადასდეს, ნაადრევად მიიჩნიეს, ეჭვით შეხედეს და... ჰა, მის თაყვანისმცემლებს მისი სარწმუნო პორტრეტიც კი არ გაგვაჩნია.

ანა კალანდაძე ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისია. — სიცოცხლეშივე აღიარებული. კეისრის წილს დაუზარებლივ, დაუყოვნებლივ და სიხარულით მიუთვლიან, ამ სიხარულში ზოგჯერ ერთგვარი ეგზალტაციაც გამოკრთის ხოლმე.

მაგრამ მისი ლიტერატურული პორტრეტი ჯერ არავის მოუხაზავს.

ფერწერიდან კი ქეთევან მაღალაშვილისეული ანა კალანდაძე მიყვარს— გაელვებული თვალებით, მკერდზე ხელმიდებული.

სწორედ ასეთი თვალების პატრონმა დაწერა ჩემი რამდენიმე საყვარელი, დიდი ლექსი, დემონური ლექსი.

წლები დამჭირდა, შეიძლება ითქვას „მტანჯველი წლები“ დამჭირდა, რომ პოეტური ცნება — ანა კალანდაძე და თვით ანა კალანდაძე, ჩემში ერთმანეთს დამთხვეოდა. იყოს, — ვამბობდი ჩემთვის, ი-რა საჭიროა. მე მისი პოეზია მიყვარს. მორჩა და გათავდა. მყოფნის.

მაგრამ წლებს, ასაკს ეს „მყოფნის“ აღარ ყოფნიდა, არც ახლა მყოფნის და ასე იქნება სულ, დასასრულამდე. მასთან შედარებით მიახლოება კი წლებმა გამიიდვილა. დავუახლოვდი-მეთქი, რომ ვთქვა, აუტანელი ფამილიარობა იქნება. ასეთი რამ მთელის არსებით მძაგს. სხვებშიც. „მაგრამ შენამდე ვერ მოაღწევენ, და ჰაერშივე განიბნევიან“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მეგულება ქართველი, თავისი ანა კალანდაძე რომ არ ჰყავდეს.
მეც მიყვარს ჩემი ანა კალანდაძე.
ოდნავ პირქუში.

დამორცხვებული-მეთქი რომ ვთქვა, სწორი არ იქნება. ჩემი ანა კალანდაძე ღრმად დაჯერებული, რომ იგი ანა კალანდაძეა. ეს კია: უხერხულად გრძნობს თავს, როცა შეხვედრებზე, პოეზიის საღამოებსა თუ სხვა ღონისძიებების ჩატარებისას ეთაყვანებიან. უბრალოდ, ეუხერხულება. კერძო საუბრისას კი ღირსებით ისმენს თქვენს აზრს. ისმენს დაინტერესებით, ასეც შეიძლება ითქვას.

ჰყავს თუ არა მეგობრები?

ერთხელ გამომიტყდა: „ჩემთვის ყველაზე დიდი მეგობარი ჩემი თავიაო".

ნუ ეწყინებათ მათ, ვისთვისაც ანა კალანდაძე ახლობელია. ეს ფრაზა მისი სულიერი სამყაროს სიღრმისა და სიგრცის მიმანიშნებელია. სხვანაირად შეუძლებელიცაა. სხვანაირად იგი ანა კალანდაძე აღარ იქნებოდა...

ერთხელ მეც გამოვუტყდი: ასე მგონია, იმ დაფნის გვირგვინს, შენ რომ გეკუთვნის, — ყველა სათავისოდ ვაცლით-მეთქი ფოთოლს, თითო ფოთოლს მაინც-მეთქი. გაოცებით შემოგხედა.

იმ საღამოსვე ვნახე მისი ოთახის კედელზე ჩამოკიდებული დაფნის დიდი გვირგვინი. ის გაოცებაც ამით აეხსნენ, ბავშვებს მიეძღვნათ თურმე, იმ ბავშვებს, ანდერსენის ზღაპარში მეფეს რომ უკაჟინეს: „შენ შიშველი მეფე ხარო". მაგრამ შიშველ მეფეზე უარესი შიშველი პოეტია ამქვეყნად.

ანა კალანდაძე ბედნიერია—მას სიცოცხლეშივე მიუძღვნიან საკადრის სამკაულს.

ხშირად მსმენია — ანა კალანდაძე ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული პოეტიაო. მაგრამ ამ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულმა პოეტმა მითხრა — ჩემი ლექსების გახმაურებიდან ახლოდან ათი წლის შემდეგ ვეღირსე ლექსების პირველ წიგნსო. (1943-53) და შევძრწუნდი. ათი წელი! ათი წელი საკმარისია, რომ რწმენა დაინგრეს, გული დაიფერფლოს, დაშრეს წყაროსთვალი შემოქმედებისა. ათი წელი. ეხუმრებით? მაგრამ „სიყვარულს უშენებიაო", რომ იტყვიან, ისე მოხდა: იმ ლექსებს უწიგნობა არ დამჩნევიათ. ხელიდან ხელში, ხელნაწერიდან ხელნაწერამდე, გულიდან გულში. მართლაც, ბედნიერი ვარსკვლავზე დაბადებული. იმ წელს, როცა ის ლექსები გახმაურდა, ქართული პოეზიის ახალი აღმავლობის წელად მივიჩნევ. ეს იყო ელდა, ბედნიერი. ეს იყო ახალი სუნთქვა, ღრმა ამოსუნთქვა. ამ ახალი აღმოსუნთქვისთვის ქართული პოეზიის ადგილის დედა კარგა ხანს იკრებდა ძალას. (სულმნათი გალაკტიონ ტაბიძე ყოველგვარ თარიღსა და ყოველგვარ სივრცეზე მაღლა იდგა!). ანა კალანდაძის ადგილის დედას ღონიერი, მიწიერი ტერფი ედგა ჩვენში, ჩვენს სისხლში, ჩვენს გულისთქმაში. იმ ლექსებს ირისფერი სურნელი ახლდათ. შიგადაშიგ, ჟაყაჩო ეელვებდა ხოლმე ზომიერად, ჟღნწად, რათა ნატიფ პეიზაჟში ერთი ბაკვერჩხალი აბრიალებულიყო. გულით, თვალებით, სულთქმით შეიძლებოდა იმ ლექსების წაკითხვა. მაგრამ მრავალი თვალით, მრავალი გულით, მრავალი სულთქმით, — რადგან იმ ციკლის თვითეული ლექსი საკუთარი თავისთავადობით მაღლდებოდა და ცხადიერდებოდა. ჩვენს თვალწინ სასწაული ხდებოდა: უნაზესი, სმენისთვის ოდნავ მისაწვდომი რეგისტრიდან სატანისებურ ხარხარამდე ადიოდა ლექსი! „ხეთ სამკაული მოიხსნეს ძრწოლვით და ხელუკუღმა შემომაყარესო". ახლაც მაურჟოლებს! საკვირველებაა — კეთილშობილ ტრა-

დიციულობას ერთგულად დაქვემდებარებული სტრიქონები რა ბობოქარ სულ ქმნის ოტევს. აი, ესაა ლექსი აღნაგობით, არქიტექტონიკით, ბორკილდადებული და მაინც თავისუფალი. თავისუფალი ღმერთისმაგვარად. მისი სატანა. მისი ვარდები. მისი ბოშა ქალი. რარიგ აღმავსო თეთრი, ნათელი კეთილშობილური შურით. (არ მეშინია ამ სიტყვისა!) და სიამაყითაც, რომ ქალმა შეძლო: ომოდრონიდელ ცეცხლოვან პოეზიასა და სულისმიერ ლირიკულ ცხოვრებას შუა ფერადი მანდილის ჩაგდება!

ერთხელ, ერთმა პოეტმა ქალმა გულისტკივილით მიამბო: ბავშვობისას ანა კალნდაძეს ბარათი გავუგზავნე, შეხვედრას ვთხოვდიო. მიიწვია თურმე. მირთმეული იის კონა განზე გადადო და მდუმარედ შეაჩერდა აცახცახებულ გოგონას. გულჩამწყდარი, გაოგნებული, გაცრუებული წამოვედიო. ჩემეული ანა კალნდაძე ასეც უნდა მოქცეულიყო. უკეთ, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა; სამაგიეროდ, მან პოეზიას მისცა სული თვისი, სასიკეთოდ, მრავალთა და მრავალთა გასახარად, ასამაღლებლად, ახლა ჩვენთვის სულ ერთია, — გულჩათხრობილია იგი თუ გულღია, ამოდ მოუბარია თუ მდუმარე. ისიც სულ ერთია, — როგორ კითხულობს თავის ლექსებს. ამ მხრივაც ჰყვანან — „მომდურავნი" — უკეთესად უნდა ვითხულობდესო. ესეც სულ ერთია. საშინელებაა, როცა ლექსის წარმოთქმისას პოეტში დეკლამაცია, მანერულობა ჭარბობს პოეტურს. ყველაზე კარგად ლექსი მაშინ იკითხება, როცა მარტო რჩები ლექსთან. უფრო კარგად, როცა გულში ტრიალებს...

... არასოდეს მიკითხავს მისთვის, როდის დაიბადა, რომელ წელს, რომელ თვეში. ისედაც ვიცი: ის დაიბადა გაზაფხულის სინდღლისას. ამიტომ წკრიალებენ მისეულ ლექსებში მომხიბვლელი სტვირები. ის დაიბადა ზაფხულში. ამიტომ მესმის იმ ლექსებში ოროველას დუდუნი, ანიავებული ხორბლის ფერიც, ამიტომ ბრწყინავს მზის ჩამოშვებულ სვეტში. ის დაიბადა შემოდგომისას: ამიტომ დახტიან შემთვრალი ჭინკები ქვევრის თავზე. ამიტომ სწევენ გაძარცული ხეები ცისკენ აწვდილ ხელებს. ის დაიბადა ზამთარში: ამიტომ მოქრის ანთებული ჩიჩილაკებით დიდი კალნდა. ამიტომ იხსნება თოვლის ყრიამაულში ქართული პოეზიის ერთი ოქროკუთვილი კალენდარიც.

ბოლოთქმა:

კარგახანს ვეყოყმანობდი — წამეღო თუ არა ეს წერილი რედაქციაში. ვშიშობდი: მავანთა და მავანთ ვაითუ ისე არ გაეგოთ, როგორც მე მინდა, როგორც მე ჩავიფიქრე. ხბოს აღტაცებისაც მეშინოდა. არაა ასეთი რამ საჭირო. პირიქით, გვაკნინებს კიდეც. ამიტომ წინასწარ წავუკითხე მეგობრებს.

ერთი დიდი ღმერთი გვყავს: პოეზიის ღმერთი. ზოგი თავიდანვე იფერხებს მის გვერდთ. ზოგი სიკვდილის შემდეგ მიიწევს ალმა ნელი-ნელ. ზოგი მთლად ნაცრდება მისი ელვარე პირის პირისპირ. მაგრამ ერთი მაინც უტყუარია: ვიცროოთ მის წინაშე, დიდი საიქიო ცოდვაა. იმ ღმერთმა იცის: ჩემი ანა კალნდაძე ასეთია, ამგვარია... და ყველამ რომ თავისი ანა კალანდაძე გაგვანდოს, — ღმერთმანი, დიდ საგანძურს დავუტოვებთ მომავალს.

ნაზი კილასონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავაც

ცათამდე ვიქნები მართალი, უკეთუ ვიტყვი:
ვერც ერთი საუკუნის საქართველო, გარდა მეოცისა, ვერ დაიქადებს ისეთ პოეტ ქალს, როგორიცაა ანა კალანდაძე.

> დრუნჭები როკვით დაიძრნენ ქარში
> და მიაშურეს ლილისფერ მთათა...
> ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
> ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?

დიდებულ ქართულ პოეზიას ანამდე უთუოდ აკლდა სულშიჩამწვდომი მზერა მდედრისა, — მოსილი მდედრისავე უნატიფესი ხმით.

> რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!
> რა ჩურჩული! დამდაგველი, მწველი...
> ლამის სახლში შემოვიდეს თუთა,
> ლამის წელზე შემომხვიოს ხელი.

ღირსო დაფნისა, ანა!
ხელზე მთხვევთ გიხდი მადლობას დღემდე მონიჭებულ სიამეთათვის!
კვლავაც მრავალგზის გვეხილოს გამოსხივება შენი ფერადი სულისა!

მუხრან მაჭავარიანი

პატარა სადღეგრძელო

ერთ ფილოსოფოსს უთქვამს, თუმცა ჩვენ მკას ვერ შევესწრებით, მაგრამ რწმენით თესვა უდიდესი ბედნიერებაოო.
ანა კალანდაძე დიახაც შეესწრო მკას.
მზით მოხატულ ყანებში, ყაყაჩოდამშვენებულ ყანებში, ანა კალანდაძე იმკის რწმენითა და იმედით დათესილ, ცრემლივით წმინდა სტრიქონებს.
თუ აზრი ჩვენი ყოფისა მამულისადმი სიყვარულშია, „ასეთი დარი არ იყო მაშინ, ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა“.
დღეს შენი დიდი საქართველო, დღეს შენი დიდებით მოსილი მხარე, შენი თბილისი სულს გიხარებს სათნოებითა და სიყვარულით, შენს გაბრწყინებულ სიცოცხლეს ელაციცება.
სიკეთე უკვდავია, მაღლა, მყინვარზე მაღლა, პოეზიის იდუმალებამ აიგო სახლი, იქედან უმღერ ჩვენს დიდ ქვეყანას, იქედან რეკენ შენი ზარები.

> იშრიალე, დიდო ვერხვო,
> იგუგუნე, დედამიწავ!
> ყაიშალა ფოთლის ეხო
> ყვავილები გაალვიძა...

> ტყვე, დუმილი გვეყო, გვეყო,
> ჩკვდარი არი, დღეს დუმს ვინცა...
> იშრიალე, დიდო ვერხვო,
> იგუგუნე დედამიწავ!..

. . . .

ამ პატარა სადღეგრძელოს, ჩვენო ძვირფასო ანა, ასე დავამთავრებ:

> ჩვენია, აბა ვისია
> ეს ბუმბერაზი მთები?

ჯანსუღ ჩარკვიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმთავრესი, რასაც ანა კალანდაძის ლექსები გაგრძნობინებთ, იდუმალების ხელშესახები განცდაა. ეს მომენტი, უპირველეს ყოვლისა, ტრაგიკულის მძაფრ შეგრძნებაში ვლინდება. ცნობიერებაში სამუდამოდ ჩაქედილა გამქვირვალე, უცნაური სურათი — დასალიერთან, ახალ მომწუხარზე, ცივ ნათელში ირეკიან სამზეოს ღაკლებულთა, „დღემოკლედ ცხოვრებულთა“ ლანდები:

ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგეკარ,
გულო, რისად მეხურები?
სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი მკედართა მზე ვარ,
ჩემს სხივებში თამაშობენ ბედურები.

ეს არაა შემთხვევითი ან ჩვეულებრივი სტრიქონები. ლექსი, ანა კალანდაძის ნიჭის ყველაზე მძლავრი აღზევების ქამს — 1946 წელს არის დაწერილი. დღე-ღამის მიჯნა, სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარი, პოეტზე ღრმად არავის შეუძლია იგრძნოს.

მიღმა სამყაროს წვდომა ქვეყნის გაჩენიდან აფორიაქებდა პოეტთა წარმოსახვას...

ნათელ ჭვრეტასა და არაამქვეყნიურ ზმანებებს მოითხოვს ეს გზა. ამ ღვთაებრივმა ექსტაზმა ათქმევინა გალაკტიონ ტაბიძეს: „მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს“...

ბოკაჩიოს მოყვანილი აქვს დანტეზე შემონახული ასეთი გადმოცემა. ვერონაში დანტეს ერთ ქუჩაზე ჩამოუვლია. ამ დროისთვის „ღვთაებრივი კომედია“, განსაკუთრებით მისი პირველი ნაწილი, უკვე დიდად პოპულარული ყოფილა. ალაყაფის კართან ქალები მსხდარან. ერთ მათგანს ხმადაბლა, მაგრამ ისე რომ დანტესა და მის თანმხლებთ გაეგონათ, უთქვამს: „შეხედეთ ამ კაცს! იგი ჯოჯოხეთში ჩადის და როცა უნდა, უკან ბრუნდება, იქ მყოფთა ამბები მოაქვს“. მეორეს უპასუხნია: „უეჭველია, ასეა. დააკვირდი, როგორ დახვევია წვერი, სახეზედაც რა შავგრემანია. ჯოჯოხეთის სიმხურვალე და კვამლი უზამდა ამას“. დანტეს გაღიმებია, სასიამოვნოდ დარჩენია ქუჩისპირას მოლაპარაკე ქალების გულუბრყვილო რწმენა.

ანა კალანდაძეს აქვს გასაოცარი უნარი გარდასულთა სახის გაცოცხლებისა, გვრჩება შთაბეჭდილება, თითქოს იგი არ გათიშვია მათ არსებობას, შავეთში ჩასანთქმულად არ ემეტება ნაადრევად დაღუპულ ახლობელთა სულები. ასე ნაირფერად მოქარგული ესახება მათი სამუდამო სამყოფელი:

ალბათ, მრავალი ფშაა სამოთხეს,
ალბათ, მრავალნი წყარონი დიან...
ათასნაირი ბიბინებს მდელო,
ათასნაირნი ყვავილნი თრთიან.

საყურადღებოა, რომ ამ ლექსში ფშავის პეიზაჟია დახატული და პირველ სტრიქონში ნახსენები ფშა-მდინარის ტოტი-უბრალო ალიტერაციაზე არ შეგვნიშნებს. საერთოდ, ფშავ-ხევსურეთის უკაცრიელი მსივები ანა კალანდაძეს არაამქვეყნიურ ადგილებად ესახება. ხევსურეთზე დაწერილ ახლახან გამოქვეყნებულ ლექსში იგი ამბობს: „სამოთხეა და... სიკვდილიც აქვე!“.

ძნელია დაუვიწყარი ადამიანის ხსოვნისადმი მეტი სიყვარულის გამოხატვა, ვიდრე ეს ანა კალანდაძის ერთ ლექსში იგრძნობა. წამიერი გამოცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადიული მშვენიერების სიცხოველეს იძენს. პოეტი დღის სინათლეზე, ხალხში გარეულს სედავს თეთრკაბიან კეთილ ფერიას.

> აწვდის ვიღაცას სისხლისფერ ყვავილს...
> ირგვლივ ყოველი თეთრია მისებრ...
> მისკენ მივდივარ...
> — ბავშვი არ იყო,
> არ მომეკარო, მივდივარ ასევე!

ასეც უნდა მოქცეულიყო გუგულების საუფლოში მოხვედრილი სათნო არსება; იგი სხვა კანონებს მორჩილებს, სხვანაირი მზე უნათებს... და ყველაფრის ჩამკეტი ორი სტრიქონი, ორი ქვეყნის საზღვარზე გამკრთალი:

> მიფრინავს ჩემი მეგობრის სული,
> მიაქვს წითელი კალისთვმონი.

ანა კალანდაძის, როგორც პოეტის, ფესვებს, ძირითადად, ბიბლია, „ქართლის ცხოვრება“ და ჩვენი ძველი საგალობლები კვებავს, თუმცა მისთვის არც მთის ხალხური პოეზიის პირველქმნილი უბრალოებაა უცხო. ძველქართული კონსტრუქციები მისი ლექსის ორგანული სტილური ნიშანია და არა ეგზოტიკურობის მისაღწევად მოზიდული რეკვიზიტი. მისი ფრაზა თითქოს ნაკლებად საგნობრივია, მაგრამ ჩვენამდე მუდამ აღწევს ფარული მუსიკა, შინაგანი წვდომით განათებული.

ანა კალანდაძე იმ ბედნიერ გამონაკლისთაგანია, ვისაც სიცოცხლეშივე უხვად ერგო თანამედროვეთა სიყვარული და დაფასება. პოეტის თავისებურებებზე, მისი ლექსის განუმეორებელ ინტონაციასა და მომხიბლაობაზე მრავლად დაწერილა, კვლავაც ბევრი დაიწერება, მაგრამ ქართულ პოეზიაში მისი როლისა და ადგილის განსაზღვრა საბოლოოდ მაინც მომავლის საქმეა.

ემზარ კვიტაიშვილი

ანა კალანდაძის ეფექტი

„მას, ვინც ყველაზე ნიჭიერია!“ — საქართველოში რომ გაეგორებინათ ვაშლი ამგვარი საჩოთირო წარწერით, ჩვენში ალბათ არ ატყდებოდა ახალი ტროას ომი, რადგან ქართველი პოეტი ქალები — მშვენიერნი და გონიერნი— მის ერთადერთ კანონიერ მფლობელად ანა კალანდაძეს მიიჩნევდნენ.

„მაშ, დუმილიც მომითვალენ შენდამი ლოცვად!“ — წერდა საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ნიკოლოზ ბარათაშვილი.

დიდხანს დუმდა ანა კალანდაძის მუზა, მაგრამ ეს დუმილიც მკითხველს პოეზიად ჰქონდა მითვლილი, რადგან დუმილის ჟამსაც ქართული მწერლობა სავსე იყო მისი ლექსის ფერით და მუხიკით.

ასეა თუ ისე, გაჭიანურებული დუმილი ახლახან სასიამონოდ დაირღვა, ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა პოეტის 43 ლექსი.

უკვე საკმარისზე მეტი თქვა და დაიწერა ამ ლექსებზე, მაგრამ რეცენზენტთა უმრავლესობა რატომღაც ამ სასიამოვნო ფაქტის კონსტატაციით კმაყოფილდება ძხოლოდ.

იქნებ ის იყოს ამის მიზეზი, რომ ზოგიერთების აზრით, ეს ლექსები ახალს ვერას მატებს ანას მაღალ პოეტურ რეპუტაციას.

ან ის, რომ მათს ავ-კარგში გარკვევა, უბრალოდ, ჭირს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ჩემთვისაა იოლი ამ ლექსებზე ლაპარაკი: მათი პწკარედი ანალიზის უცხო მკითხველს, არადა, მათს მხატვრულ თარგმანს რაც შეეხება, აქ კიდევ უფრო რთულადაა საქმე — თუ მართლაც არის რაიმე უთარგმნელი პოეზიაში, ამის მაგალითად ნამდვილად გამოდგება ხსენებული ლექსები.

პოეზია იმ პიპუნას ჰგავს, ხიფათიან ქუჩაზე ბრმა მშობლის გადაყვანა რომ აკისრია ვალად. ასე გადაჰყავს მას საუკუნეების მანძილზე ბრმა მსოფლიო ხიფათიანი გზის საამედო მხარეს!

ანა კალანდაძის ლექსი ეხმარება „ბრმა მშობელს“, თავი დაღწიოს ბიწიერებისა და შურის, სიხარბისა და სულმოკლეობის ავბედით მანქანას, და გადავიდეს „იქითა მხარეს“, სადაც მშვენიერებისა და სათნოების მარადი ზეიმია.

ამიტომ არ შეიძლება უფრო დიდი წუხილი ჰქონდეს პოეტს, ვიდრე შეგრძნება იმისა, რომ ამ მშვენიერებას რაღაც დააკლდა ან საფრთხე რამ დაეშეკრა:

უსახო ქმნილნარ, მშვენიერებავ,
დიდება შენი ქართველნ შილა...

პოეტი ადამიანის ტრაგედიას მშვენიერების ხელყოფის დამამცირებელ უნარში ხედავს მხოლოდ:

ჩემი ზურმუტი, ჩემი ძოწი, ჩემი ბივრილი
ხელყოფისაკენ წაეტეზებს ზოგიერთ გვამებს...
ამიტომ მე მათ მოვიხილავ მთვარიან ღამით,
რომ მათის ბრწყინვით დავიამო გულისტკივილი.

„არ შევალ ტაძრად, უწმინდური სადაც შევიდა“, — ამ ფრაზის გარეშეც ნათელია, რომ სათნოებისათვის მსახურება პოეტს არსებობის ერთადერთ აზრად მიაჩნია. „ვარდის რტოთაგან შეთხზული ვგირგვინი“ დაირქვა მან თავს, „გადავიწყა ქვეყნად სიკვდილი“, და მის ნაცვლად დაუშრეტელი დააგზნო ცეცხლი, „სიკვდილის სწორი, მისებრ ძლიერი...“ ეს ცეცხლი სიყვარულის ცეცხლია, მაგრამ საგანი ამ სიყვარულისა „სამარადისო სატრფოა“. ორმოცდასამივე ლექსი პოეტისა, ესაა ფიქრი „არ მიწიერის კავშირისთვის, არ მიწიერის გვირგვინისთვის, არამედ ცისა“...

მათ, ვისი ყური და თვალიც ყოფით ლექსსაა მიჩვეული, ალბათ ეუცხოება ანა კალანდაძის პოეტური სამყაროს ეს ახალგანზომილებიანი წახნაგი. ძველქართული საგალობლების ინტონაცია, რომელიც ასე მკვეთრად ისმის ამ ლექსებიდან, ქმნის ეფექტს, რომელსაც მე, პირობითად, „ანა კალანდაძის პოეტურ ეფექტს“ დავარქმევდი.

საქართველოში, ისე, როგორც უძველესი კულტურის მქონე სხვა ქვეყნებში, ხშირად წარმოუბს აზარა თუ ფარული დისკუსია ძველი და ახალი სალიტერატურო ენების თაობაზე. თითქმის არ მეგულება არქაული ფორმების მომხრე არც ერთი მწერალი, ვის ენობრივ პოზიციასაც ნეგატური რეაქცია არ გამოეწვიოს. ამ თვალსაზრისით ერთადერთი გამონაკლისი ანა კალანდაძეა. მე მუდამ მაინტერესებდა ის ფაქტი, რომ ანა კალანდაძის ენობრივი პოზიცია არ იწვევს არავითარ ოპოზიციას მკითხველის მხრივ. მაინც, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? ალბათ უძველესი ქართული მანუსკრიპტების კითხვაში გათენებული ღამეები და ასიათასობით ბარათი, რომელიც შეუდგენია ლინგვისტ ანა კალანდაძეს. ან შრომის ქამს პოეტი ანა კალანდაძე თვითონ შეხებია ხელით ყოველ ქართულ სიტყვას — ძველსა და ახალს! ძველ ჰიმნოგრაფთა მტვერშეყარილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა მისთვის უბრალო რეკვიზიტი როდია! მისთვის უცხოა ყოველგვარი ენობრივი ეგზოტიკა! უძველესი ენობრივი მასალისადმი ანასეული დამოკიდებულება ანუ „ანა კალანდაძის პოეტური ეფექტი“ მიზნად ისახავს ერთიანი დროის მხატვრულ წარმოსახვას: აქ გვერდიგვერდ თანაარსებობენ წარსული, აწყოო და მომავალი. ანა კალანდაძეს მშვენიერი სტრიქონები აქვს მიძღვნილი ჭია-მარიასადმი. ყველას გვინახავს პატარა, ლამაზი მწერი ჭია-მარია. იგი დაცოცავს, ფრენით კი მაშინ გაფრინდება, თუ კარგი დარია მოსალოდნელი!— ასე სწამთ ხალხში. დაისვამენ ჭია-მარიას გოგო-ბიჭები ხელისგულზე და ეკითხებიან ირსტრიქონიანი ლექსით:

ჭია-ჭია მარია,
ხვალ თუ კარგი დარია!

როცა 1945 წლის 9 მაისის მზიანი დარი დადგა, პატარა, თეორბანტიანმა ანა კალანდაძემაც დაისვა ხელისგულზე ეს ლამაზი მწერი—ორაკული, და ასე შეიქმნა მისი შედეგრი: „კარში გამო, ჭია-ჭია მარია!“

მაგრამ ანა კალანდაძეს მარტო დღეის ამინდი როდი აფიქრებს. მისთვის ხალხი და დრო—განუყოფელი ცნებებია, ამიტომაც მას ის მზეც აინტერესებს, საუკუნეების წინათ რომ აცხუნებდა ურარტუს ქვეს, და ის ღრუბელიც, რომლებმაც „გადაიარეს ცა პირამიდების“. შემთხვევითი არაა შეკითხვა, რომელიც თბილისური მზიანი პეიზაჟის ხილვისას უჩნდება მას:

ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა...

ეს „ერთი დრო“ აიძულებს მას, თავის ლექსში უხვად შეიტანოს ძველი ენობრივი ფორმები, რომლებიც, მსგავსად ძველი დროის კოლორიტისა, ახლის გვერდით თანაარსებობენ.

ქართულ პოეზიაში დღეს ბევრი მიმართავს „ანა კალანდაძის. პოეტურ ეფექტს“, მაგრამ მოულოდნელი არ უნდა იყოს ის ამბავი, რომ „ეფექტის“ ავტორი თავად ინარჩუნებს ნორმისა და ნიმუშის მნიშვნელობას.

ერთ მეგობარ პოეტს სარეცენზიო ლექსებზე აზრი ეკითხე. საგულისხმო რამ მითხრა იმ ადგილის გამო, რაც ამ ლექსებმა ანას მთელ შემოქმედებაში უნდა დაიჭიროს: „ეს ლექსები იგივეა ანას პოეტური შენობისთვის, რაც ჩუქურთმა — სვეტიცხოველისთვის. დიდებულ სვეტიცხოველს რომ უმზერ შორიდან, ჩუქურთმები არა ჩანს, სვეტიცხოველი მათ გარეშეც ლამაზია! მაგრამ არა მგონია საკამათო იყოს ამ ჩუქურთმების მნიშვნელობა და ღირსება!“

ტარიელ ჭანტურია

შარავანდი

„ფშავში, თხილიანში, ერთი მოხუცი ვნახე, გეკურა, მზეს ეფიცხებოდა, თბებოდა. ჯამი ედგა, ერთ ლუკმას თვითონ შეეამდა, მეორეს კატას შეაშვევდა, ერთს თვითონ, მეორეს—კატას... ის ლექსი, გეკურამ რომ მითხრა, „აყვავებულხარ, ბოსტანთ იაო. ჩემ ეზო-კარი მოგირთიაო, ჩემს პატარა დას გაგადობილებ, ისიც შენსავით ლამაზიაო“, ამეკვიატა და ისევ ისე მიყვარს...“

კიდევ:

„ფშავში ყოფნა მომწყურება. პირველად შუა ივლისში ჩავედი, მთელი თვე დავრჩი. მერე ადრე გაზაფხულზე ვიყავი, არაგვის პირას საოცარ ადგილზე — ქვებზეც კი იები იყო, სულ დაეფართა იქაურობა. იები იქ, არაგვის პირას, სხვა იყო. ლოდები ეყარა იებში, ხატისხევაც იებით იყო სავსე. ზვავზეც ვიარეთ, თოვლზეც იები იყო, ტყეშიც. წითელი, ძოწისფერი სოკო იცის. სახელი არ მახსოვს... გუგულის ბუდე, ცის თვალები...“

კიდევ:

„გადმოვწერეთ ოშკის ბიბლია (XV საუკ). ეს იყო ჩემი უბედნიერესი დღეები, ღმერთო, არ გათავდებოდეს ეს ტექსტები-მეთქი...“

ცხრაას სამოცდაექვსში ჩამიწერია ანა კალანდაძის ეს ნაუბარი.

გაოცებული თვალებით უყურებს იგი სამყაროს. და თავადვე ქმნის მთელ სამყაროს — თავის სამყაროს, ნაზი, იდუმალი გრიგალებით შემსკვალულს.

„მან გვიჩვენა თუ ძალის გვერდით რა უფლებით სარგებლობს სინაზე“ (ნოდარ ჩხეიძე).

ანასავე სიტყვებია:

„მთელი კახეთი მოვიარე. დილაც უნდა ნახო, შუადღეც, საღამოც. ადრე გაზაფხულზე, მურყნიანში ისეთია, ჯეგორნებათ, მწვანე ნისლი დგასო. საქართველოში ყველაფრის ნახვა მწყურია, თუნდაც მეათედ. უცხოეთში ყოფნის შემდეგ განსაკუთრებით დამივლის ქართული სოფლებისა და ქალაქების ნახვის სურვილი. უცხოეთი ხომ უცხოეთია, იქ ყოფნასაც ძალიან განვიცდი ხოლმე. სადაც ვარ, იმ ადგილს ვეკუთვნი, მავსებს...“

„მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა“... — თითქოს ანა კალანდაძემაც თქვა.

მისი ხატსალოცავი ხომ საქართველოა, მაგრამ მას „სხვა საქართველოც“ ტკივა და ახარებს. აბა, მისი ლექსების მარტოოდენ სახელებს მოუსმინეთ: „ქალაქ ამაყი იყავ, პოლონეთო ჩემო“, „ო, იქ ცეკვავდა ნაპოლეონი“, „დარეკე ზარები, ლორეტა“, „ჩვენება აია-სოფიის ტაძარში“, „პენსილვანიელი ინდიელის ნიღაბი მილენის პარკში“...

მას ყველგან და ყველაფერში მშვენიერი და ამაღლებული აინტერესებს. ასეთია მისი დამოკიდებულება სამივე დროის — წარსულის, აწმყოსა და მომავლის მიმართ.

დასასრულ, გვირგვინად —

გალაკტიონი:

„გამოვიღეს რომელმე
ვაჭარი
და ამ წვიმის პოეზია
უარყოს!“

ჯუმბერ თითმერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბივი ბუთხუზი

იყავნ ქალაქნი

ველები, ქართლის ველები

ჩვენი ქვეყნის ამ ულამაზეს და უნაყოფიერეს ნაწილს წარსული საუკუნეების ძნელბედობის ყამს ცეცხლითა და მახვილით მრავალჯერ შემოსევიან დამპყრობელთა მრისხანე ურდოები, მრავალჯერ გაპარტახებულა ეს მხარე, გადამწვარა სოფლები, აჩეხილა ბაღები და ვენახები, დანგრეულა ციხეები, ალგალა პირისაგან მიწისა დაბა-ქალაქები, მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაცემულან ხალხის საუკეთესო შვილები... მაგრამ გადაივლიდა ყოველისმომსრეველი ქარბორბალა და კვლავ დაუბრუნდებოდნენ დაფერფლილ კერას ქალები და ბავშვები, კვლავ დაიდებოდა ქვაზე ქვა, ალეზით სახელდახელოდ შეილესებოდა ყორე და სანამ ჩვენი შრომისმოყვარე წინაპრები აგურ-კრამიტის მოსაწერლად მოიცალდნენ, ჩალით გადაიხურებოდა ბერი, ღვედებოდა კერა და შვილობიანი ცხოვრების მაუწყებლად კვლავ ავარდებოდა საკვამურებიდან კერის ბოლი, კვლავ ამყნობოდა ხეხილი, ირგებოდა ვაზი, ითესებოდა თავთუხი, მრავლდებოდა ძროხა, ცხვარი...

გავიდოდა ცოტა დრო და ახლად აღორძინებულ მხარეს კვლავ შემოესეოდა უწყალო მტერი და ისინი, ვინც გუშინ და გუშინწინ უმეცარნი ყრმანი დედებს სახიზრებში ხელით მიპყვადათ, ახლა მათ უხდებოდათ ხმლის ქნევა და მტრის მოგერეკება, ახლა ისინი ეცემოდნენ უთანასწორო ბრძოლაში...

ისტორიკოსები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ გადაუტანია იმდენი შემოსევები, რამდენიც — ჩვენმა მრავალტანჯულმა ხალხმა, თანაც ისეთი აკეთმოძღვე დამპყრობლებისა, როგორებიც იყვნენ მერვან ყრუ, ბუღა თურქი, ჯალალ-დინი, მონღოლები, თემური, შაჰ აბასი და სხვა ათასი ჯური მათ ნაშიერი.

მრავალი შემოსევისა და მრისხანე დამპყრობლების თარეშის შედეგად ჩვენი შესანიშნავი კუთხე — ქვემო ქართლი თითქმის მთლიანად გავერანდა. შედეგში აქ მოვიდნენ და დასახლდნენ მოძმე აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები... მცირე როდენობით ჩამოსახლდნენ ქართველებიც და დიდი ხნით მოშლილი მეურნეობა კვლავ აღდგა, კვლავ იხარა ვაზმა და ხეხილმა, კვლავ აღმოაცენა ნაყოფი მიწამ და კვლავ გადაარწა აკენები.

ქვემო ქართლში წლის ყველაზე ულამაზესი დრო გაზაფხულია. გასცდებით თბილისს და მოიხიბლებით აყვავებული ველ-მინდვრების მზერით, ახლადდათოვთებული ყანები ნელ ნიავზე ღელავენ... მიდიხართ და გზაზე მიგაცილებთ ალბინებელ კვლებში შშვიდად მოგოგმანე მწყრების ამო კვიტკები, ლაქვარდში ალაფფატებული ტოროლების ლაღი წკრიალი, აყვავებული ვაშლისა და მსხლის გრცელი ბალები, ახლად ფეთქებული ვენახები, კარტოფილის, პამიდორისა და კომბოსტოს თვალუწვდენელი პლანტაციები, სიიდანაც ადენილი ოხშივარი ჯერ კიდევ თხელ, ოასამნისფერ ნისლად გაწოლილა ველებზე. უყურებთ მინდვრებს, სოფლებს და არ შეიძლება გალაკტიონისებურად არ აღმოგხდეთ: — რა მხარე გვქონია, რა მხე, რა მდიდარი...

გაიელით მარნეულს, ბოლნისს და ისე ახლოლთ კაზრეთში, შთაბეჭდილება ოდნავაც არ გაგიფილდებათ. ეს სოფელი შედარებით უფრო მაღლობზეა გაშენებული, ახლოს ლამაზი ტყე აკრავს, სახლები კი ხეხილებში არ ჩანან. შორიდან ხეხილიდ ცხრა და ათსართულიან ცათამბჯენებს დაინახავთ, რომლებშიც ჩვენი მრეწველობის პირმშოს — მადნეულის მუშამოსამსახურეები ცხოვრობენ.

სანამ კაზრეთის აწმყოსა და მომავალზე ითქმოდეს რამე, ცოტა ხნით მის წარსულში გადახედვაც არ იქნებოდა ურიგო. ისტორიკოსების გამოკვლევების მიხედვით, აქ კაზრეთისა და ბალეშის გარდა, სხვა სოფლებიც ყოფილა. წყაროებში დასახელებულია: სამტრედო, ჯალდამი, ისპანი, თავდიდიანი, ბიბილეშენი, სვეანი, ახალდამა, ქაგარიანი და კვირაცხოველი. დღეს კი ერთიც აღარ არსებობს. შემორჩენენ მხოლოდ კაზრეთი და ბალეშე. კაზრეთიც იქნებ აღარ იქნებოდა, თუ რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს აქ საცხოვრებლად სხვადასხვა სოფლებიდან აყრილი მოსახლეობა არ მოსულიყო. სამამილიდ მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა ხალხური გადმოცემები, რომლებიც ისტორიულნი არანაკლებ საინტერესოა და, იქნებ სარწმუნოც.

კაზრეთში დღეს ყველაზე უხუცესი კაცი 85 წლის კოლმეურნე **სანგრო დემურაშვილია.** იგი აქ დაბადა, აქ აღზრდილა, აქვე მოხუცდა. წლების განმავლობაში ებრძოდა მიწას. მერე ახალი დრო დადგა, სოფელში კოლმეურნეობა“ ჩამოყალიბდა, კაზრეთში ტრაქტორი და კომბაინი მოვიდა, შრომა გაადვილდა, ცხოვრება გაუმჯობესდა.

სანგროს მამა პაპათა გადმოცემებიც კარგად ახსოვს. როგორც იგი ლაპარაკობს, დაახლოებით 1880 წელს პირველად აქ ტბახმელოდან რამდენიმე კაცი მაშავერაზე სათევზაოდ მოსულა. ტბახმელელებს აკეთრობა მოსწონებიათ, დაბრუნებულან და თანამოყოლებისთვის უთქვამთ: საცხოვრებლად ერთი კაი ადგილი შევიგულეთ, ჩვენ დედაწულებიანად ახლა იქ უნდა გადავსახლდეთ, ვისაც გინდათ, წამოდითო.

ოცდაათამდე კომლი აყრილა, მაშავერასთან მოსულა და დაახლოებით იმ ადგილას დასახლებულა, სადაც, რამდენიმე საუკუნის წინათ, ჩვენი ისტორიკოსებიც ვარაუდით, სოფელი ჯალდამი ჰყვაოდა. მაგრამ ტბახმელელებს იქ ზაფხულის სიცხე კარ აუტანიათ და საცხოვრებლად მთაზე, ტყის პირში აშოსულან. აქ კი ხელი მიმართვიათ და თავიანთი სოფლისთვის ტბახმელა დიერქვამეთ. ტბახმელელები ზენა-ფიქვის გარეთ ნადირობასაა და თევზჭაობასაც მისდევდნენ. მერე, რაკი ახლოს კარგი ტყე ჰქონდათ, მენახშირეობაც დაიწყეს.

სანგროს ზუსტად აღარ ახსოვს, რამელი წელი იყო (ეკრ კიდე რეფორეფორმიდე), აქ ვიღაც ნასწავლი ხალხი მოსულა, მათ თურმე აჩქეოლოგიური გათხრები და გეოლოგიური დაზვერვები უნდა ეწარმოებინათ, მაგრამ რაღაცის გამო ხელი შეშლიათ და წასულიან. წასულიას ისინი მცხოვრებლებს შეკითხიენიან: რა ფენა ეწია. აქაურებს უპასუხიათ: ტბახმელეაო. მათ უთქვამთ: რას ამბობთ, ეს ტბახმელა კი არა, კაზრეთიაო. ძველად ეს სოფელი კაზრეთი იყოო. ამის შემდეგ ტბახმელელებს თავიანთი სოფლისათვის კაზრეთი დარქმევია.

ასე იხარა სოფელმა ნასოფლარზე. ასე ალდგა პირისაგან მიწისა ადგილი სოფლის სახელი.

სანგროს გადმოცემით, სადაც დღეს ტყეის, თუთიისა და სპილენძის მადანია, ხალხი იმ ტერიტორიას ბუნკერშენს ეძახდა.

კაზრეთში დღეს ორსამადე ადგილობრივი მკვიდრია. ჩვენს თანამემამულეებთან ერთად ეს გაკარგულებული სომხები, ბერძნებიანელები და ბერძნებიც ცხოვრობენ, რომლებიც ქართულ სკოლებში აღზრდილან და შვილებსაც ქართულადვე ასწავლიან.

მაღნეულის ისტორიისთვის

სანამ ბეჭერაშვილნი ლაღუმები დაიკუნტბენენ და ბულდოზერები აგრაილდებოდნენ, ხალხი ყამრიბზე ამბინებულან საძოვრებში პოულობდა ბრილიანთ გამჭვირვალე მინერალებს, ტყეიისფერსა და ვერცხლისფერ კენჭებს, ოქროსფერ ქვის ნატეხებს, მერე სუვენირებად შინ მიჰქონდათ და ზოგს გათხოვილ ქალშვილებს ტანსაფენენ მზითევეში, ზოგითაც ანლო ნათესავებს ასაჩუქრებდნენ.

ასეთ სუვენირებს განსაკუთრებით სანგრო ძია და მისი კბილი მწუფანი ბიუეი ეძებდნენ და აგროვებდნენ. მაშინ რა იცოდნენ მათ, რომ იმ „ქვებში“ ოქრო, ვერცხლი, ტყეია, თუთია, ალა და ბრილი იყო შერეული. მათ წაკითხული არ ჰქონდათ ვახუშტის გეოგრაფია, სადაც დიდი მეცნიერი აქაური მადანზე წერს და კეთილშობილი ლითონების არსებობასაც ვარაუდობს.

ვახუშტის ნაშრომმა ამ მხრივ, პირველ რიგში სპეციალისტების ყურადღება მიიქცია, მაგრამ რეფორეფორმიდე ქართველი გეოლოგებმა მეცრეფიცსოვან ჯგუფს არც მორალური და არც მატერიალური მხარდაჭერა არავინ აღმოუჩენია.

მხოლოდ რეფორეფორმის შემდეგ, ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში დაიწყო აქ გეოლოგიური კვლევა-ძიებანი, რაც ორმოციანი წლებისათვის კიდევ უფრო გაძლიერდა, მაგრამ იქუხა დიდმა სამამულო ომმა და მუშაობა შეწყდა, გეოლოგები სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ და ფრონტებზე გადმენენ...

დიდი სამამულო ომის დასრულების პირველივე წლებში პარტიისა და მთავრობის ყურადღება ძირითადად დანგრეული სოფლებისა და ფაბა-ქალაქების აღდგენისა და მშენებლობას მიექცა ყაზეთში ეს საკვლევ-საძიებო სამუშაოები ორმოცდათიანი წლებიდან კვლავ განახლდა. როგორც ცნობილია, ამ საბადოს მადნები და ქანები, ტყეიის, სპილენძისა და

თუთის გარდა, ოქროსა და ვერცხლსაც შეიტანენ, აქ ბარიტზე დაძებნილი მარაგის საფუძველზე 1954 წელს შეიქმნა ბოლნისის ბარიტის მაღაროთა სამმართველო. ამავე დროს დაიწყო პოლიმეტალური მადნების საწარმოს მშენებლობა. მაგრამ მალე მოხდა მისი კონსერვაცია, რადგან მარაგის რაოდენობა რენტაბელური არ იყო. ამის პარალელურად გეოლოგებს მაინც არ შეუწყვეტიათ შუშაობა. უფრო ღრმად გაბურღეს შემდეგ გადაკვეთეს სპილენძის მადნის სხეულები და დაძიებული მარაგების სახელმწიფო კომისიაში 1958 წელს დასამტკიცებლად წარადგინეს, რის საბაზეზე შედგა მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის პროექტი. მშენებლობა 1959 წელს დაიწყო, გეოლოგები კი სამიგრო მუშაობას კვლავ განაგრძობდნენ. მათს მიერ აღმოჩენილი მარაგის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, რომელიც 1965 წელს კვლავ დამტკიცდა. ამასთან ერთად შედგა მადნეულის გამამდიდრებელი კომბინატის გაფართოების პროექტიც.

პირველ პროექტთან შედარებით კომბინატის სიმძლავრე ოთხჯერ გაიზარდა. ამკვამად კომბინატი უკანასკნელი პროექტის საფუძველზე შენდება. მის შემადგენლობაში შედის სამთო საამქრო და გამამდიდრებელი ფაბრიკა, სადაც ხდება ბარიტისა და სპილენძის მადნების მოპოვება და გამდიდრება.

კომბინატის ექსპლოატაციაში მოლიანად გადაცემის შემდეგ ყოველწლიურად უნდა მოინგრას და გაიზიდოს რვაცხრა მილიონი კუბომეტრი ფუტი ქანი. ეს სამუშაოები შესრულდება სამამდელო წარმოების მძლავრი მანქანებით. პელაზის მარკის 27 და 40-ტონანი ავტოთვითმცლელებით, ოთხსაზვერიანი და რვა კუბომეტრიანი ექსკავატორებით, მძლავრი საბერი ფიზგზებთა და სხვ.

მოპოვებული მარაგი გამამდიდრებელ ფაბრიკამდე გადაიზიდება თვითსაცლელი ავტომანქანებით, ამკამად სამოო უბანზე მოქმედებს საკარიერო ტრანსპორტის ავტომატური მართვის სისტემა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველია.

გამამდიდრებელი ფაბრიკა შესდგება ექვსი ძირითადი და რამდენიმე დამხმარე კორპუსებისაგან, სადაც მოპოვებული მადანი იმსხვრევა, იფქვება და მდიდრდება. ეს ფაბრიკა გამოუშვებს სპილენძის, პირიტის (გოგრიტოფანი რკინა), თუთიის, ტყვიისა და ბარიტის კონცენტრატებს.

ამკამად კომბინატში მოკმედებს ექსპერიმენტული საამქრო, სადაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკავშირო ინსტიტუტები, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ავგიორგის ლენინგრადისა და სვერდლოვსკის ინსტიტუტები აწარმოებენ სამეცნიერო-საკვლევო და საცდელ სამუშაოებს ნახევრად სამრეწველო დანადგარებზე მადნეულის სპილენძის კონცენტრატებისა და პიკაფერის ღარიბი მადნებიდან. სახალო მეურნეობისათვის დიფიციტური და ძვირფასი ნაწარმის მისაღებად, როგორიცაა სპილენძის ფხვნილები და ზესუფთა მარგანეცის ოქსანი.

კომბინატის პირველი რიგი ექსპლოატაციაში უნდა შესულიყო მიმდინარე წლის ბოლოს. საქართველოს მშენებლობის სამინისტროს პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინა და იკისრეს, რომ კომბინატის პირველი რიგი მიმდინარე წლის 7 ნოემბრისათვის ჩაბარებინა, ამ თაოსნობას მხარი დაუჭიროს ჩვენი რესპუბლიკის ზეპდგომმა ორგანოებმა, ავგიორგის სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიისა და მშენებლობის სამინისტროებმა.

მუშაობის დასაჩქარებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ შექმნეს შტაბი, რომელიც სისტემატურად ამოწმებს მშენებლობის მიმდინარეობას და ქმედითად ეხმარება როგორც სამშენებლო და სარემონტო ორგანიზაციებს, ისე თვით კომბინატს.

მადნეულის კომბინატს მზრუნველობას არ აკლებს ავგიორგი პარტიის ბოლნისის რაიონული კომიტეტი. კომბინატი თავისი ძალებით საამქროები მშენებლობას, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია სარეწველო ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების სასმელი წყლით მომარაგების კომპლექსის მშენებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს კომპლექსი თავისი მოცულობით უნიკალურია. წყალთაგის სათავე მდებარეობს დმანისის რაიონში. წყალსადენის სიგრძე 33 კილომეტრია, ტრასა გადის ძალიან რთულ, მთაგორიან ადგილებში. კომბინატის კოლექტივმა იკისრა, რომ ყველა სამუშაო ვადაზე ადრე დაამთავროს და დაბა კაზრეთსა და სამრეწველო ობიექტებს საუკეთესო სასმელი წყალი მიაწოდოს.

ქალაქი პროსპექტივაში

კომბინატის მთავარი ინჟინერის ვახტანგ მახარაძის სამუშაო კაბინეტში კედელზე გაკრული ქალაქის გეგმა-ტალური განაშენიანების გეგმა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია ცხრა და თექვსმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლების, სკოლების, სპორტული ბაღების, სპორტული კომპლექსისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა, მომავალში მადნეულის სახით ჩვენს რესპუბლიკას შეეძატება ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი. ამკამად აქ 4000 კაცი ცხო-

ბიბი ბუთხუზი
იესანი ქალაქანი

ვრობს და მუშაობს. პრესსეტტიული გეგმით კი, როცა მადნეულის განაშენიანება დამთავრდება, ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა 30000-ს მიაღწევს.

ვინ იქნებიან ისინი, მადნეულის მომავალი მოქალაქენი?

ჩვენი შვილები, შვილიშვილები, რომლებიც ახლა ზოგადსაგამანათლებელო საშუალო სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ეზიზღებიან, რომლებიც უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში სწავლობენ. ერთი სიტყვით, ჩვენი ახალგაზრდობა, რომელზეც ხატოვნად ვამბობთ: ჩვენი ხვალინდელი დღეო.

ქალაქს დიდი რაოდენობით დასჭირდება პედაგოგები, ექიმები, დეკორატორი აგრონომი, ინჟინრები, ტექნიკოსები, კვალიფიციური მეშვები... კადრების ადგილობრივი მოზარდებით შევსება დიდად არის დამოკიდებული ჩვენს საშუალო სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებზე.

კომკავშირის რაიონული კომიტეტები პატრიოტულ თაოსნობას იჩენენ და ახალგაზრდებს აქ კომკავშირული საგზურებით ჰგზავნიან. წლიულს კაზრეთში უკვე ჩამოვიდა 100 ახალგაზრდა, ერთ ამდენსაც კიდევ ელოდებიან. ქალაქის პერსპექტიული გეგმა იმდენად დიდია, რომ მომავალში კიდევ ბევრის გამოზაგნაა იქნება საჭირო.

ჩამოსული ახალგაზრდები ბინებისა და სამრეწველო ობიექტების მშენებლობაზე მუშაობენ, ისინი უზრუნველყოფილნი არიან ყველაფრით, რაც კი ადამიანს ესაჭიროება ნორმალური ცხოვრებისათვის. შექმნილია კომკავშირული შტაბი, რომელიც საგზურებით ჩამოსულ ახალგაზრდებს ხელმძღვანელობს. შტაბის უფროსია **ირაკლი ბრეგაძე**. იგი ისე ახალგაზრდაა, რომ შეხედავ, იფიქრებთ: ეს ყმაწვილი საშუალოს წლიულს დამთავრებდაო. სინამდვილეში კი მან სკოლაც დიდი ხანია დაამთავრა, საჭირთველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამშენებლო ფაკულტეტიც, მერე საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში იმეშავა, იყო სტუდენტთა საღამშენებლო რაზმებში, შემდეგ კი დიდუბის ხიდის მშენებლობაში შეიტანა თავისი წვლილი. მისი მეუღლე თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის უცხოური ენის მასწავლებელია და თანაც ორ ვაჟს ზრდის. მალე იგი ოჯახით კაზრეთში მეუღლესთან გადავა და საცხოვრებლადაც აქვე დამკვიდრდება.

შტაბი სამუშაოზე ანაწილებს კომკავშირული საგზურით ჩამოსულ ახალგაზრდებს, უზრუნველყოფს მათ საბინაო თუ კულტურულ-საგანმანათლებო პირობებს, არასპეციალისტებს სპეციალობის ასათვისებლად აგზავნის.

ამას წრით შტაბმა სპეციალობის ასათვისებლად სტავროპოლში ორმოცი ახალგაზრდა მიავლინა. მალე ისინი კომბინატს კვალიფიციური მუშაკებით დაუბრუნდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის სანაგიო მოქალაქეები

გავა წლები და ქალაქი თავისი არსებობის ათი, ოცი, ოცდაათი, ორმოცი ან ორმოცდაათი წლისთავს იზეიმებს. მისი სანაგანო მოქალაქენი იქნებიან ისინი, ვინც პირველად დაკარა ბარი ანაურ მიწას, გასჭრა სპირალققელი და პირველი საცხოვრებელი სახლები ააგო; ვინც პირველად გაბერილ მადნეულის მთები, ჩასწვა მადანს და ამოიღო **იგი**.

ასეთებს ქალაქის შემადგენი თაობები მუდამ პატივისცემით მოეპყრობიან, მოწიწებით გიიხსენებენ. პატივისცემით გასახსენებელია პირველ რიგებში იქნებიან მამა-შვილი **უშანგი** და **გიორგი გოგოლაძეები**. გიორგიმ საჩხერის რაიონის კორპოფლის საშუალო სკოლა დაამთავრა, სამხედრო სალალეგებელო სამსახურიც მოიხადა და კაზრეთში სამუშაოდ ჩამოსულა გადაწყვეტა. უშანგმა რომ ეს გაიგო, შვილი მარტო არ გამოუშვა და თვითონ ჩამოაცილა. მათთან ერთად ჩამოვიდნენ საჩხერისაკენ რაიონის არაკეთილი ახალგაზრდები: **თამაზ** და **დემეტრე გოგალაძეები** და **ჯემალ კერესელიძე**. მათე შეუერთდა ორკონიკიძელი (ხარაგაული) **მერაბ მაღრაძე**.

ბიბეობა ერთგულად დაიწყეს მუშაობა. მათს მეთვალყურეს კაცს გული ამა როგორ მოეთმენდა, უქმად მჯდარიყო და უშანგმაც ითხოვა სამუშაო. იფიქრა, ცოტა ხანს წაიძინებენ და მერე წავალო. მაგრამ გავიდა ერთი თვე, ორი... საჩხერეშის ისე მოეწონათ სამუშაოცა და ცხოვრების პირობებიც, რომ საბუდამოდ აქ დარჩენა გადაწყვეტეს. უშანგი ოჯახის დანარჩენ წევრებსაც აქ ჩამოიყვანს და ოდესმე ვეტერანი კაზრეთელი ისიც იქნება. საინტერესოა მისი მოიგონება: უშანგი შრომის საქმიანობაში აღრე ჩაება. მუშობდა ჭიათურის მარგანეცის შაბტში. აქ საწარმოო ტრაკმა მიიღო და ჯერ მოდან ამაოგაზრდა კაცი პენსიაში გაუშვეს. უსაქმოდ როგორ გაეძლო, თქვა და ქუთაისის პედაგოგიური სასწავლებელი დაამთავრა, მერე კი პედაგოგიური ინსტიტუტიც. ოესულ ენას საშუალო სკოლაში ასწავლიდა, მაგრამ ინფარქტი დაეშართა და ექიმებმა აქ მუშაობაც აუკრძალეს.

კვლავ პენსია, კვლავ უსაქმედობა... პატიოსან შრომას მიჩვეული კაცის ბუნება კი ამას ვერ ეგუება და აი, კაზრეთში ჩამოსვლა ხსნა იყო უშანგისათვის.

— კი მაგრამ, ინფარქტგადატანილისათვის ფიზიკური შრომაც იქნება მავნე იყოს? — ეკითხებიან უშანგის.

— არა, ბატონო, პირიქით! — ცოცხლად გიპასუხებთ იგი, — რაც მეტს ვმუშაობ, უფრო უკეთ ვგრძნობ თავს!

უშანგი ბრიგადირად დაუწინაურეს. იგი ახ-

ლა ათ კაცს ხელმძღვანელობს. ყველანი ახალგაზრდები არიან, მისი შვილის — გიორგის თანატოლები და. ბრიგადირი მთხუც ისე ბრუნავს, როგორც საკუთარ შვილზე.

„ღმერთმაფალა, რომ ყველანი ერთ საერთო ცხოვრებელში ცხოვრობენ და ბრიგადირი მთ. აქაც არ აკლებს ყურადღებას. მისასალმებელი ისიც არის, რომ უშანგი ყოველდღიურად უშვებს კელლის გაზეთს, საღაც თთავსებენ წერილებს მთარლისა და ალბრიდის თემებზე, ავრეთვე იმაზე, თუ მუშობაში რა მეთოდებით შეიძლება წარმატების მიღწევა და სხვ.

„ბატიანეკმთ გასასხენებელთა პირველ რიგებში იქნებიან ავრეთვე კაზრეთის მაღნეულ კომბინატის დირექტორი ფილიპე ნაკუბია, მთავარი ინჟინერი ვახტანგ მახარაძე, სამოთ საამქროს ყოფილი უფროსი, ამჟამად პარტიული კომიტეტის მდივანი ირაკლი გოგიტიძე. მეექსკავატორე, სპარტო ნიშნის ორფენის კავალერი ბორის ნაუფენკო, გამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი, შრომის წოლეთ დროშის ორდენსანინ ზურაბ ნემსაძე, სპარპეველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ედვარდ გურჯიშვილი და მრავალი სხვა.

„ასაკგადაცილებულ ახალგაზრდებთან ერთად კაზრეთის მშენებლობაში ბევრია კომკავშრეული, რომლებიც შრომითი საქმიანობის მაგალითის თავანთი უფროსი ამხანაგებისაგან იღებენ. ერთ-ერთი ასეთთაგანია სპარპეველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ედვარდ გურჯიშვილი. მან საშუალო სკოლის რვა კლასი რომ დამთავრა, მუშობის დაწყება ისურვა. რამდენს ეხეიწნენ ოჯახის წევრები, შენთვის მუშობა ჯერ ადრეაო, მაგრამ ედვარდმა თავისი გადაწყვეტილება. ვიმეშვეიდ, ათ კლასს კი საღამოს სკოლაში დადამთავრებენ.

„უფროსმა ძმამ იგი კაზრეთში მოიყვანა.

„გამამდიდრებელი კომბინატის ხელმძღვანელმა ალიკო ჩაგელიშვილმა ტანსორინილ ბიჭს ახალ-ფახეიდ თუ არა, იფიქრა: ამან აქ რა უნდა გამიკეთოსო და ფუფრა:

— რა გინდა, ბიძია, აქაანა, ქვე ნაზუქებსა და ბაჭაპურებს კი არ ვარიგებთ. ფაფი, ათი კლასი დამთავრე და მერე უმაღლესში ისწავლე. ედვარდი გაჯიუტდა, გინდა თუ არა, აქ უნდა ვიმუშაოო.

„ეარეი მაშ, მე გიჩვენებ შენ სეირს, ისეთ ღღეში ჩაგაგდო, აქედან ქვე შენი ფეხით გარბოდეო", — ბაიფიქრა ალიკომ და ბიჭი განზრახ ძნელ საქმეზე დაიყენა — მაღნეთ სავსე სამოცკალიანი ტომრები აზიდინა. თუმცა ედვარდი რომ მოიგდებდა ტომარს, მუხლებში გამართვა უჭირდა, ზოგჯერ კიდეც წაიფორხიალებდა, მაგრამ ძალას იკრებდა... მას მორიდან ჩუმჩუმად თვალს აფეგებდა ალიკო და უყვირდა, რომ ედვარდი შინ არ გარბოდა. თან ეცოდებოდა, ჯერ რა დროს ამის მუშობა არისო.

„გავიდა დრო, ედვარდმა ათი კლასი დაამთავრა, შრომაში გამოიწრთო და ახლა იგი ათ კაციან ბრიგადას ხელმძღვანელობს და საწარმოო დავალებებს ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

კომკავშირის ორგანიზაცია თუმცა ჯერ პატარაა, მაგრამ მზარდია. აქ ქარაგველებთან ერთად ირიცხებიან აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ოსები... რა თქმა უნდა, რთულია ასეთ ორგანიზაციაში მუშაობა. რთულია, რადგან იგი მრავალეროვანია და ყველას ნაციონალურ თვისებებს კარგად უნდა იცნობდე, ყველასი კარგად უნდა გესმოდეს, ჩასწვდე თვითეულის სულსა და გულს და ყველაფერი კარგად გაუკეთო, რომ შენი მეგობრული ჩაჩეკ-დარიგება, შენი დამბარება მისთვის მსტატიულირებელი გახდეს.

ასეთ რთულ საქმეს კარგად უძღვება კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ლევან ჭინჭარაძე. კაზრეთში ეს ახალგაზრდა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა და ფეიზაკურ შრომითს საქმიანობაში მეგაითად ჩაება, თანაც სწავლა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაეუსწრებელ განყოფილებაზე გაგრძელა. მალე იგი ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს. ლევან კომბინატის თითქმის ყველა უბანზეა ნამეშვარი, ყველა თანატოლის ფეიზიურ შესაძლებლობასა და სულიერ თვისებებს კარგად იცნობს, ეს ეხმარება მას დაკისრებულ მოვალეობას თავი პირნათლად გაართვას.

ზოგი თავისი თანასნობიან მოდის კომბინატში, ზოგი კომკავშრის საგზურით და ორგანიზაციის რიგებიე ყოველდღიურად იზრდება.

სალდო საბჭოს მესვეური

კაზრეთის სალდო საბჭოს თავმჯდომარეს ბესიკ მიქელაძეს კომკავშირელი ასაკი დიდი ხანია გაუვიდა. მაგრამ, რომ შეხედოთ, ისეთი ახალგაზრდა გამოიყურება, ოცდაბუთი-ოცდაექვსი წლისა გეგონებოდა.

თავმჯდომარედ 1969 წლიდან მუშაობს. მანამდის კი ცხოვრების კარგი ვზა განვლო. იყო კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორი, განყოფილების გამგე, მეორე მდივანი, ბოლოს პირველ მდივნად აირჩიეს. აქედან ადგილმარივი გაზეთის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ გადაიყვანეს, რედაქციიდან კი სოფლის მეურნეობის სამმართველოში უფროს აგრონომად დაწინაურეს, ბოლოს კაზრეთის სალდაო საბჭოს თავმჯდომარედ გამოგზავნეს.

დიდია სალდაო საბჭოს უფლება-მოვალეობანი, მით უმეტეს ისეთი დაბისა, რომელიც სწრაფად იზრდება და უახლოეს მომავალში რესპუბლი-

ბივი ბუთიაშვილი
იუსენ ქალაქანი

კის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქად გარდაიქმნება.

ᲒᲝᲛᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲠᲔᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲓᲐᲜᲘ

იმ ადგილამდე, სადაც უმეცლოდ მადანს იღებენ, შშვნერი გზატკეცილი მიდის და კარიერზე მუშები ყოველდღიურად ავტობუსით მიდიან, უკანაც ავტობუსითვე ბრუნდებიან.

პირველად მეგზურდოზრეები შეუდგებიან ხოლმე საქმეს. მძღარი მაჩქანებით გადაზეტენ გრუნტს და, როცა დავლენ მაღნამდის, მერე იწყება გაბრაღვა. ნაბურღნში აწყობენ ლაღუმებს და აფეთქების შედეგად ათეულ ტონაბით ინგრევა მადანი. ნამსხვრევებს აიღებთ, დახედავთ; ზოგში ბროლი ელვარებს, ზოგში ვერცხლი და ოქრო ბრწყინავს, ზოგი ტაკიანავით ძმიმეა.

მერე ამ ნამსხვრევებს დიდ ატომაწქანებში ეტსაკვეტორებით ჩატვირთავენ და ჩაჰქეთ ეკობინატთან ახლოს, სადაც რკინიგზაა და ელმავლის მთელი შემადგენლობა იცდის. ეგონები იტვირთვა და იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, სადაც მადნის დამუშავება-გამდიდრება იწარმოება. კაზრეთის გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა ოთხგზა კი დამთავრდება, ადგილზეე დიაწყება მადნის დამუშავება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ჩვენს რესპუბლიკას მეტად საამაყო პერსპექტიული გეგმა დაუსახეს, რომელშიც, სხვათა შორის, მადნეულის კომბინატის მშენებლობაც არის გათვალისწინებული. გავა სულ ცოტა დრო და მალე გვექნება საამქელო წარმოების ოქრო, ვერცხლი, ტყვია, თუთია, სპილენძი და ბარიტი.

ᲣᲧᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ, ᲐᲮ ᲛᲐᲓᲜᲔᲣᲚᲘᲡᲐ!

რაც დრო გადის, მადნეული კავშირის მასშტაბითაც ყველასათვის ცნობილი ხდება. ამის წინათ აქ იყვნენ მოსკოველი კომპოზიტორები, რომელთაც მათი ქართველი კოლეგა **ნოდარ მამისაშვილი** ახლდათ.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მადნეულელ შრომრმელებს უჩვენა სპექტაკლი „ოღუსებელი საწყაულია", ქართველ მწერალთა ერთმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ **ჯანსუღ ჩარკვიანი, კარლო კალაძე, იოსებ ნონაშვილი** და **მორის ფოციხიშვილი,** დათვალიერა ახალგაზრდა ქალაქი და მადნეულის კარიერები. სალამის კი კულტურის სახლში გამოვიდნენ და მეშუბს თავიანთი ახალი ლექსები წაუკითხეს.

კაზრეთში კონცერტები გამართეს ადრეული ჩვენი ეტლრადისა და ფილარმონიის მსახიობებმა. აქ ხშირად ჩამოდიან მხატვრები, მოკლედ**ალკეები** და ხელოვნების სხვა დარგების გამოჩენილი მოღვაწენი. მადნეული მეკანეტ ... წლების ერთ-ერთი საამაყო პირშია და აქელას ინტერესებს, როგორ შლის ... ... როგორ იზრდება და ლამაზდება.

ᲛᲐᲗᲘ ᲮᲐᲚᲘᲐᲗᲘ

დიდ რეს მწერალს მაქსიმ გორკის აქვს ასეთი შინაარსის მოთხრობა: ერთ ვიღაც მწერალსთან სრულიად გამოუცდელი, ახალგაზრდა მეშა მივიდა. იგი სასტეგზე გაგზავნეს. ამ დროს მეშუბი მსხვილ მორს აპობენენ. ახალგაზრდას ჰკითხეს, აქ რას მოსულხარო. მან უპასუხა, რომ სამუშაოდ გაგზავნეს.

მეშუბს რატომღაც თვალში არ მოუვიდათ ეს ახალგაზრდა და დამცინავად მოეკერენენ, მერე უთხრეს: აბა, მოგვეგზმარეო. დაავალეთენ, ნაპობში ხელები ჩაყოს და ფეშხოეს განზე გასწოოს. ახალგაზრდა მართლაც ჩააწყობს ხელებს ნაპობში და ამ დროს ამოაგდებენ სოლს, რითაც მორს აპობენენ. ახალგაზრდას ფეშხოეს ხელებზე მოეტეხს და თითებს დაუქეცავეს. იგი გამწარებული აღრიალდება, შეელს ითხოვს, მეშუბი კი ხითხითებენ, ახალგაზრდა კაცის უბედურებით ხარობენ...

მართალია, შემდეგში ერთი მათგანი ადამიანურობას გამოიჩენს, ახალგაზრდა კაცს ეხმარნს ამ საქანჯელისაგან და მამობრივ რჩევა-დარიგებასაც მისცემს, თუ სად როგორ მოიქცეს, მაგრამ...

მოთხრობაში კარგადაა ასახული, თუ როგორ სძარცვავდა, როგორ ჩვიტკვავდა ადამიანს ყოველგვარი ადამიანურობისაკენ კაპიტალისტური ურთიერთობა, როგორ აკნინებდა და ადარბებდა მას სულიერად.

მას აქეთ დიდი დრო გავიდა, ის წყობილება ისტორიას ჩაბარდა და ჩვენი თაობის ხალხი მას ბროლად ლიტერატურითა იენობს. დიამეტრალურად შეიცვალა ადამიანის ფსიქიკაც. ახლა ჩვენი თანამედროვე მეშუბი ერთმანეთთან გულთბილ დამოკიდებულებაში არიან. რომელ საწარმოშიც უნდა შეხვიდეთ, უმალვე შეამჩნევთ, როგორი მეგობრული გრძნობით არიან მეშუბი ერთმანეთისადმი გამსჭვალულნი.

ასეა ყველგან!

ასეა აქაც, კაზრეთში!

დილით ადეგენ მეშუბი კარიერზე, მოსწყვეს ბაპიროსს და შეუდგებიან საქმეს. მაგრამ ამ დროს ადმოჩნდება, რომ ბორისს ხელთათმანები შინ დარჩენია. სწუხს ბორისი, რადგან უხელთათმანონ მუშაობა ძნელია.

— რაშია საქმე? — ეკითხება ვაჟა.

— ხელთათმანები დამრჩენია შინ.

— აჰა, ერთ ცალს გაუთხოვებ!

— მერე შენ?

— მე ერთით გავალ ოიოს.

— აჰ, არა, ჩემი გულისთვის შენ რატომ უნდა შეწუხდე!

— რის ჰქვია შეგუშუხდე, გამომართვი!

— არა, ვაჯა, მოიცა!.. — უუბნება ბორისი და ფიქრობს, როგორ მოიქცეს, რომ არც სხვა ვინმე შეაშუხოს, არც თვითონ გასცდეს.

მთის საუბარს ყური მოპკრა მამედმა და იკითხა:

— რაო, რაო?

— არაფერი, აი, ბორისს ხელთათმანები დარჩენია შინ და...

— მოიცათ, მგონი, მე საღღაც მაქვს დამალული ძველი ხელთათმანები, ერთმანერთი... ოღონდ კარგად ადარ მახსოვს, შინ წავიე თუ აქ სადმე დავმალე!

— ამა ჰე, ჩქარა, — ეძახიან მამედს.

იგი ჩირქვებისკენ გარბის.

ყველას უხარია, რომ გამოსავალი გამოიძებნა, თორემ ახლა ხელთათმანებისთვის შინ ჩასვლა...

— ოჰ, ეს ოხერი! მახსოვდა, ვითომ... — წუხს მამედი და ხელცარიელი ბრუნდება.

— ერთი ვაჯას გამოართვი, ერთსაც მე გათბოვებ, — ეუბნება ბორისს ხანატური.

— არა, რას ამბობთ, თქვენ?

— ჩვენ ცალითაც გაგალი იოლას.

ვგონებ, მკითხველისთვის იმის შეტყობინება ადარაა აუცილებელი, ბოლოსდაბოლოს რა ქნეს ბიჭებმა. მორიგდნენ თუ არა ხელთათმანების თხოვნებში. მთავარი ის არის, თუ როგორი თბილი, მეგობრული დამოკიდებულება მათ შორის. მათ ეს ადამიანური მაღალი ჯერ ახალმა ოჯახშია ყოფამ, შემდეგ ჩვენმა ზოგადსავანმანათლებლო სკოლამ, ბოლოს კი საზოგადოებრივმა ურთიერთობამ მისცა. მათ შემხვდარეს, რაც უნდა დიდი ხნის წინათ გქონდეს წყაითხული, უნებურად გაგახსენდება დიდი რუსი მწერლის ის მოთხრობის შინაარსი, აქ გაკვრით რომ შეეხეთ. გაგახსენდებათ და იფიქრებთ: რა შორს წავიდა ადამიანი, როგორი გარდატეხა მოხდა მის შეგნებაში!

კიდევ ერთი მაგალითი: ერთ ღილას ედუარდ გერჯიშელი ადარ მოეკი საწარმოში. მუშებს თუქცა გაუკვირდათ, ვინ ედუარდი და სამქროში დგებიანებათ. იგი ხომ ყოველ მხრივ სამაგალითოა და რა მოხდა ისეთი, რომ...

ბრიგადი უმისოდ შეუდგა მუშობას.

გადის წუთები, საათები, ედუარდი კი არა და არ ჩანს.

მეგობრები შეშფოთდნენ, რაღაცა ამბავიაო, თორემ ედუარდი...

დარეკეს შინ და უპასუხეს, რომ იგი დიდი ხანია, რაც წამოვიდა.

უმალვე დადეს ყურმილი. რა საჭიროა ოჯახსაც მიაყენონ მწუხარება, ჯერ გიგიენ კარგად, რაშია საქმე, რა მოხდა! დარეკეს სამმართველოში, საბჭოში, კომბინატში და დარწმუნდნენ, რომ არავითარი საგზაო ავარია, ყველანი მშვიდობით მიეიდნენ კაზრეთში.

მაშ ედუარდი? რა დაემართა ედუარდს? იგი აქამდის კი ამოსული, მაგრამ მერე?...

შიში თანდათან გაიზარდა და ინ, როგორ უნდა ... ...

საჭირო იყო შემდგომი ჩაძიება, მაგრამ ადამიანური ეთიკა, ტაქტი, დრო...

— მე ახლა ცვლაში სამუშაოდ მივდივარ, არ მცალია, თორემ ბოლნისში წაგიყვანდით. მაგრამ ნე გეშინიათ, მიგიყვანთ ისეთ ადამიანებთან, რომლებიც ყოველგვარ დახმარებას აღმოგიჩენენ.

ნამდვილი ადამიანი უნდა იყო, რომ სხვისი მწუხარებისადმი გულგრილი არ დარჩე. აკი ასეც მოიქცა ედვარდ გურჯიშვილი, კაზრეთის მადნეულის კომბინატის უბრალო მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი!

პარტიის ნებით, ხალხის დასტურით

ჩვენს სახელოვან წინაპრებს მუდამ დიდი სიამაყის გრძნობით ვიგონებთ. მშვენივრად ვიცით მათი საქმენი, ვცდილობთ რაღაცით მივბაძოთ მათ და, რაც კი ჩვენს შესაძლებლობებს არ აღემატება, ყოველივე კარგსა და კეთილს ვაკეთებთ.

ყველაზე მეტ სიამაყის გრძნობას ადამიანებს ის ადამიანებისა ხალხმა, რამდენი რამ გაკეთა მან ჩვენი ხალხისთვის!.. ამ ნარკვევის სათაურიც მისი სიტყვებიდან მოდის. „იყავენ ქალაქნი!“ იტყოდა დავითი და შენდებოდა ქალაქები, ივსებოდა დაბები, იფურჩქნებოდა სოფლები.

დრო შეიცვალა... ომის შემდგომი ხუთწლედების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი ახალი სოფელი გაჩნდა, ახალი ქალაქები აშენდა. მალე მათს რიცხვს კიდევ ერთი კოპწია ქალაქი, მადნეული შეემატება. ეს, რა თქმა უნდა, პარტიის შეუნელებელი ზრუნვის შედეგია.

ამბობს პარტია:

— იყავენ ქალაქნი!

დასტურს აძლევს ხალხი:

იქნება ქალაქი!

და შენდება ქალაქი მადნეული!.

ᲔᲠᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲣᲠᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲯᲐᲜᲘᲡᲣᲚ ᲦᲕᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐ

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘ ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲨᲘ

(წინამდებარე წერილში ამ საკითხს ძირითადად ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასთან დაკავშირებით განვიხილავთ, რაც შეეხება ალექსანდრია ყაზბეგის პროზას, ჩვენი მსჯელობისათვის ასევე არსებით საკვანძო, მასზე ცალკე წერილში ვილაპარაკებთ)

ქართული ფილოლოგია კარგა ხანია სწავლობს ვაჟა-ფშაველას გმირების თემთან (იგივე საზოგადოებასთან) მიმართების საკითხს. მაგრამ არის კიდევ ერთი — მთავარი და ზემოქმედი მიზეზი, რომელიც ჯერ განაპირობებს ვაჟა-ფშაველას გმირების ხასიათს, ხოლო შემდეგ მისგან ჩამოყალიბებულ ხასიათებს სხვაგვარად მოქმედება არ შეუძლიათ.

ვაჟა-ფშაველას გმირების სულიერი მდგომარეობა და, საერთოდ, ყოველგვარი მოქმედება გათვალისწინებულია ბუნების შინაგან წყობასთან. ეს ისეთი კონტაქტია, რომლის გაწყვეტა არაფერით არ შეიძლება. აუცილებელია ამ პირობას მივიქცეს სათანადო ყურადღება, რადგან მის გარეშე ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროში ერთი ფოთოლიც არ ვარდება ძირს. იგი დაკავებული ბუნების არსებაში და ყოველ ნიუანსს მათ ხასიათში თავის დადს ასვამს.

სანამ გმირთა ხასიათების განმსაზღვრელ ამ ძირითად პირობას გავაანალიზებდეთ, არ შეიძლება არ ითქვას იმ განსაკუთრებულ შეგრძნებაზე, რომელსაც ამყარებენს ვაჟა-ფშაველა ბუნების ყოველი ნაწილისადმი. კარგახნის შემჩნეული ფაქტია, რომ ვაჟა-ფშაველა უმეტესწილად გაბრონვენის ხერხს კი არ მიმართავს ბუნების გასაცოცხლებლად. არამედ მას ესაუბრება, განიცდის და მისკენ მიემართება, როგორც ცოცხალი საგნისადმი. ვაჟა-ფშაველასათვის ბუნება დიდი სულდგმულია, რომელიც სიცოცხლეს სხვადასხვა ფორმით ამყარებენს. ის ფაქტი, რომ ქეზს ან, მით უმეტეს, ლოდს, არ შეუძლიათ აქტიური, აშკარა სახე გვიჩვენონ თავისი არსებობისა, არ ნიშნავს მათ უსიცოცხლობას. ვაჟა-ფშაველასათვის სანამ ლოდ დგას და ნაკრად არ ქცეულა, იგი ცოცხალი ნაწილია ბუნებისა. კლდე ამ ფორმით ცოცხლობს პოეტისათვის. არ შეიძლება მის „პასიურობას“ სიკვდილი დაერქვას. და რაკი ვაჟას შეგრძნება ესოდენ ფაქიზდება, რაკი საგნის მიღმა გახედვა მისი პოეტური თვალთახედვის ძირითად პირობად ქცეულა, იგი „ბუნების მესაიდუმლეულ“ წარმოგვიდგება. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ვაჟა-ფშაველა კი არ ცდილობს ასე დაინახოს ბუნება (მაშინ მასში ერთობ ცოტა იქნებოდა მომაჯადოებელი სახლეკ), არამედ ასე გრძნობს ბუნებას. მისთვის ადამიანთა სამყარო სიცოცხლის ერთი გამოვლინებაა, ხოლო ბუნების დანარჩენი ნაწილები სხვა ფორმით გამოვლინდებიან.

ამ მხრივ ვაჟა-ფშაველას სულიერი წყობა განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას ამყოვნებს და განაცდების ათასგვარი ტალღით ივსება.

პოეტმა „ბახტრიონი“ ბუნების სრულიად ჩვეულებრივი აღწერით იწყება. იხატება პლასტიკური სურათი, რომელიც მდიდარია ფერებით, მაგრამ ერთხანს ყველაფერი ბუნების სურათის მხოლოდღა შიშველ, მაგრამ ისტატურ აღწერად მოჩანს, რაც ბუნების შეგრძნების პირველი საფეხურია. ამ შეგრძნებით ვაჟა-ფშაველა ნაკლებად განსხვავდება სხვა შემოქმედთაგან, რომლებიც ბერეთვე დიდოსტატურად აღწერდნენ ბუნების სურათებს.

ᲓᲔᲦᲐ ᲓᲐᲘᲑᲘᲠᲐ ᲞᲘᲠ-ᲑᲐᲦᲘ,
ᲛᲝᲗᲔᲑᲐ ᲓᲐᲮᲣᲤᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲚᲔᲑᲘ.

ალარ შეფოთობენ საფლავში
გმირი ოფლისმღვრელი ძველები.
ქარი ქვითინებს... ღრუბლითა
ზარი თქვეს შესაზარები.
გული ვერ მოუფხანიათ,
ცრემლი სდით ალაზნისნი;
ჩარეცხეს, ჩაალამაზეს
მთების გულ-მკერდი ალდიანი.
გაცოცხლდა, ცას ემეკრება
ღრმა ღელე, წყარო-ფშაანი.
გადაიკიფნენ ღრუბელნი,
ქუჩი გაწირეს ცვრიანი.
გაიგსო რძითა მთათ ძუძუ,
დაუშრომელად რძიანი.

მაგრამ აქ თითქოს უკანასკნელი მიჯნაა ამ „ზედაპირულობის". თანდათან ბრძნობთ, რომ ბუნების შინაგანი ენერგია იძაბება და იწყება სწორედ ის, რასაც ვეფა-ფშაველი ჰქვია—მიმართება ბუნების წიაღთან, მისი შეგრძნება უკანასკნელ ნერვამდე, უსათუოესი სიმების შეხება.

ასეთი შინაგანი კავშირია გადმოცემული სწორედ „ბახტრიონის" შესავლის მეორე ნაწილში. ვეფა-ფშაველამ ქართული პოეტური ანრონვება სწორედ ამ ასპეკტით ახალ სიმალლეზე აიყვანა, ახალი სივრცე გაუხსნა ერის სულს და, საერთოდ, ადამიანს დანიშნულებას სამყაროში. ვინ არ ბრძნობდა ბუნებას, რომელი შემოქმედი არ მოუხიბლავს მის ჯადოს და რომელ შემოქმედს არ უცდია ბუნების სიღრმეების ხილვა რომანტიკოსებთან ბუნებისაკენ ლტოლვა ხომ იმ უცილო ერთიანობის ატეცილმლობით იყო გამოწვეული. რომლის გაწყვეტასაც ისინი გლეგობდნენ. მაგრამ მათთან სვეფა იყო ამ დაშრეტის, სვეფა იყო დიადი და ამაღლებული იდეალების მსხვრეევით გამოწვეული. და ბუნების შეგრძნება სულის თავშესაფრის ძიებას მოჰყვა. ისინი ხელოვნებაში ყველაზე მეტად მიეახლოვდნენ ბუნებას და ბერძენ ფილოსოფოსებზე ნაკლებად რიდი ეზიარებოდნენ მას. მაგრამ მათ შემოქმედებას და აზროვნებით თავისთავადობას ბუნების წიაღი კი არ განსაზღვრავდა, არამედ საკუთარი სულიერი წყობა. ბუნება შემდეგ ხდებოდა ატეცილები... ამიტომ ბუნებასთან მათი მისავლა და „შემვიდრობა" ბინწყობილების ენერგიის აღსადგენი ოაზისი იყო. ეს სიახლოვე არ გასცილებია „გულდაბერულთა მეგობრობის" შეგნებულ საზღვარს, ბუნება მათ შემოქმედებაში რჩებოდა როგორც ღიდი ფონი, ანკორიზ. გასაწევი წიაღი, სადაც ისევ უნდა გაეშალა ფრთები ადამიანის მაღალი ფიქრების მდინარებას.

ამისათვის, რომ როგორმე „მოვანება“ გაიგივეგოს „დავანებასთან“, სადგომში შესვლასთან ჩაკლვარი მიმართავს ასტროლოგიას, მოკავს ე. წ. სავანეთა თეორია და განსაზღვრავს ცაზე მთვარის სადგომის, სავანის ადგილს. წერილში ვკითხულობთ: „მთვარის სადგომი შეიძლება იყოს კირჩხიბი“...[20] და შემდეგ: „...მოვანებული მთვარე ერთ უალრესად მნიშვნელოვან თვისებას იძენს. იგი ძალიან გახარებულია. ეს სიხარული კი მას ანიჭებს განსაკუთრებულ ბრწყინვალებას, განსაკუთრებულ ძალას“.[21] ხოლო სტატიის დასასრულს ვკითხულობთ: „ყოველივე ზემოთ თქმულის შედეგად უნდა დავასკვნათ: მთვარის **მოვანება** ასტროლოგიური ტერმინია და „ღინიშნავს მთვარის საკუთარ სადგომში, სავანეში შესვლას“.[22]

ცნობილია, რომ მთვარის მოძრაობა დღემდე არ შეცვლილა: იგი როგორც რუსთველის ეპოქაში, ისევე მოძრაობს დღესაც. ამის გამო შეიძლება მივმართოთ ასტრონომიულ კალენდარს, რომელშიაც ზუსტი ვაანგარიშებით ნაჩვენებია მთვარის მოვლენები და მისი მდებარეობა წლის ყოველი მომენტისათვის. მაგალითად, 1974 წლის კალენდარში მოკავმეფილ, რომ ამ წელს კირჩხიბში მთვარე თორმეტჯერ მოხდება. მაგრამ ამ თორმეტი შემთხვევიდან მხოლოდ ერთხელ, 6 თებერვალს, იქნება სრული, ათჯერ-მკრთალი და ერთხელ, 17 აგვისტოს, ადგილი ექნება ახალ მთვარეობას. როგორც დავინახეთ, ელ. ხინთიბიძის თვალსაზრისით, კირჩხიბში მდგომ, დაავანებულ მთვარეს ის განსაკუთრებული თვისება აქვს, რომ იგი მაქსიმალური ბრწყინვალებისაა. მაშინ, როგორ უნდა გავიგოთ სტროფი:

„მაგრამ ირეცხვის შეფისაგან, შუქი ბნელად მოვევსა“ (1515).

გარდა ამისა, თუ სრულ მთვარეს მივიჩნევთ მაქსიმალურ ბრწყინვალედად, მაშინ კირჩხიბში, როგორც ეს კალენდრიდან ჩანს, მთვარე მხოლოდ ერთხელაა სრული. მაგრამ აქვს თუ არა მას განსაკუთრებული ბრწყინვალება?

ამავე კალენდრით ვრწმუნდებით, რომ სავსე მთვარე როგორც კირჩხიბში, ასევე ლომში, ქალწულში, თუ ცის სხვა მიდამოში ყოფნის დროსაც ყველგან ერთნაირი სიკაშკაშისაა. ასე რომ, მთვარის კირჩხიბში შესვლა სინამდვილეში არავითარი განსხვავებული თვისებით არ აღინიშნება და ამგვარად, მტკიცება იმისა, რომ თითქოს მთვარე სავანეში, კირჩხიბში შესვლისას განიცდის სიხარულს და ამის გამო თითქოს იგი იძენს ახალ თვისებას — მაქსიმალურ, განსაკუთრებულ ბრწყინვალებას, სინამდვილეს არ შეესაბამება. მით უფრო არ შეესატყვისება დანარჩენი ათი შემთხვევა, როდესაც მთვარე მკრთალია და იმ ერთ შესვლასაც კირჩხიბში, როდესაც „ახალი მთვარეა, რის გამოც მთვარე ცაზე სრულიადაც არ ჩანს.

რადგან საბოლოო დასკვნაში ელ. ხინთიბიძე წერს, რომ „მოვანება“ არის ასტროლოგიური ცნება, შესაძლებელია იგი ფიქრობდეს, რომ ეს მოვლენა რეალურად არც კი არსებობდეს ბუნებაში და რომ იგი შეთხზულია ასტროლოგთა მიერ.

მართალია, ასტროლოგია უძველესი დროის ასტრონომიის განვითარების საფეხურია და ოცდაცამეტ ყალბ მეცნიერებაა, მაგრამ ეს საყალბე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ თითქოს ასტროლოგები არარაკმეტ ციურ მოვლენებს თხზავდნენ და ამის მიხედვით წინასწარმეტყველებდნენ. ისინი შესანიშნავად იცნობდნენ ცას, მნათობთა მოძრაობას და მათ თავისებურებებს. ასტროლოგებმა საკმაოდ კარგადაც განავითარეს დაკვირვებითი, ექვსმარტი ასტრონომია და მათ მრავალი იცოან ციური სხეულთა მოძრაობისაგან გამოწვეული მოვლენები, რომლებსაც ისინი ადამიანის

გიორგი თევზაძე
რუსთველის კოლეგლეგია

ზედის, ჭაბი მომავლის ამოსაცნობად იყენებენ. ასტროლოგები ირწმუნებიან, რომ ციურ სხეულებს ნამდვილად აქვთ გავლენა ადამიანთა საქმიანობაზე. მათი სიყალბე სწორედ ადამიანთა ცხოვრების ციურ სხეულებთან ამდაგვარ დაკავშირებაში მდგომარეობს. იმისათვის, რომ ასტროლოგთა ეს სიყალბე სარწმუნონ გამხდარიყო, ის ციური მოვლენა, რომლითაც ისინი წინასწარმეტყველებდნენ, უთუოდ რეალურად უნდა არსებულიყო, რათა საჭირო შემთხვევაში ეჩვენებინათ და ადამიანებს თავისი თვალით დაენახათ ეს მოვლენა, რაც მათ საბოლოოდ დააჯერებდათ წინასწარმეტყველების ჭეშმარიტებაში. ეს რეალური ფაქტები რომ არა, მაშინ ასტროლოგია ჩასახვისთანვე გაკრეფოდა.

მაშასადამე, დაშვება იმისა, რომ „ზოვანება“ ასტროლოგიური ტერმინია, უსაფუძვლოა.

რომ „ზოვანება“ ბუნებაში ნამდვილად არსებული მოვლენაა, ამაზე ნათლად მეტყველებს ელ. ხინთიბიძის წერილში მოყვანილი ბასილ დიდის „ექვსთა დღეთა“-ის შემდეგი ადგილიც: „... როცა ზოვარე მოიკანკრეს და ანდა, როცა მზეს, ეგრეთ წოდებული ალლო შემოტყმის, მოასწავებენ ან დიდ წყიმას, ანდა ძლიერ ქარის ქროლას“.23

მაშასადამე, მთვარის მოვანება, რომელიც უბრალო თვალითაც დაინახებოდა, იმდენად ცნობილი მოვლენა ყოფილა, რომ მას მიიჩნევდნენ ამინდის მოსალოდნელი ცვლილებადობის ვამოსაცნობ ნიშნად.

ამგვარად, მთვარის მოვანება ბუნებაში რეალურად არსებული მოვლენაა, რომელიც შეუიარაღებელი თვალით ყოველმა ადამიანმა შეიძლება დაინახოს. ელ. ხინთიბიძის წერილში ეს მოვლენა არ არის მიგნებული და ამიტომაც, ცხადია, არც ამ მოვლენის გამომხატველი სიტყვაა ახსნილი.

* * *

„ბაკმა“ უნდა ნიშნავდეს მხოლოდ ზარავანდს.

პოემაში ტერმინი „ბაკმა“ გვხვდება სულ სამჯერ:

1. „ეგონა, თუ: დაბრუნდაო, პირი ვარდი ბროლ-ბაკმული“ (227).

ამ სტროფს შემდეგნირად განვმარტავთ:

ასმათს ეგონა, დაბრუნდა ტარიელი, პირით ვარდის მსგავსი ზარავანდით მოსილ ბროლისაო, სიიდანაც ჩანს, რომ „ბაკმა“ აქვს ბროლს. როგორც სულხან-საბა ორბელიანი ამბობს, „ბაკმი“ - არის მომგ(ვ)რგვალებული, ვინა ბაკი (ცხადია, მომრგვალებული უნდა იყოს) განსაკუთრებით კარავ �eo, მაღალსარისხოვანი ბროლის ირგვლივ წარმოქმნილი ხსნილი ზარავანდი.

2. ავთანდილი ასმათს ტარიელს შესახებ ეკითხება:

„მისი რა მითხარ, ვინ არის ტან-სარო, ვინ ბაკმიანი?“ (230).

ანუ: მითხარი, ვინ არის ის ტან-სარო, რომელის პირს სხეითა ზარავანდი ჰმოსავსო.

3. ნესტანი ზღვათა მეფეს სურხაეთა ნახა —

„ქალი რა ნახეს ს ტრფიალობს შუკსა მას ბროლ-ბაკმათასა“ (1420).

ანუ: სურხაეთა იწყო ამ ქალის (ნესტანის) ტრფიალი ისე, თითქოს ის ეალერსებოდა სხეით ზარავანდით მოსილ ბროლსაო.

როგორც ეხედავთ, სამივე ამ სტროფში არსად არ არის ნახსენები ან ნაგულისხმეები მთვარე და არც მისი გვირგვინი. რუსთველს თავისი გმირის სახე ამ სტრიქონებში შედარებული აქვს იმდროისათვის ოქვიათ და ძვირად ღირებულ მოელვარე ბროლთან, რომლის გარშემოც შეიმჩნეოდა სინათლის სხივთა გვირგვინი. მსგავს განმარტებას ბაკმისას იძლევა მხოლოდ თეიმურაზ ბაგრატიონი: „ბროლ-ბაკმა... ბროლისა მზე რომ შემოადგება, რომელიმე ბროლი არის, აგრეთვე მოიხვევს სხივსა ირისეს მსგავსადაა და ბაკმა მას ეწოდება“.

ამგვარად, ბაკმა უნდა ნიშნავდეს სხივთა ზარავანდს.

* * *

ბაკმეულები — სრული

სტროფებში:

„ანუ მზე იყო ამ ქვეყნად, ან მთვარე პირ-გავსებული“ (531).

„მზე გამავსებს, მზეევ გამლევს, ზოგჯერ ვსხდებები, ზოგჯერ ვწყლდები, (952).

„ეამ მიმავალი მიუბნობს, მსგავსი მთვარისა სრულისაა“, (1013)

„დარჩა მთვარე ბეველისაგან გავსებული, ჩაუფთქმელი“ (1186).

„რა საბრალოა გავსილი მთვარე, ჩანთქმული ბეველისა.“ (1218).

„გამოეშვრთა იგი მზე პირითა სავსე მთვარისა“, (1312).

სიტყვა „გავსებულ-სრული“ ყველგან ნიშნავს მზის მიმართ მთვარის ისეთნირ მდებარეობას, როდესაც ცაზე ის განათებულ სრულ წრიულ დისკოდ ჩანს და ამგვარად, მთვარე თავის სიკაშკაშის მაქსიმუმს აღწევს. მთვარის ამ ფაზას დღესაც ბადრს, სავსეს ანუ სრულ მთვარეს უწოდებენ.

პოემაში გვხვდება სტროფები, რომელებშიაც ნათლადაა მოცემული მთვარის ამ ფაზების წარმოშობის მიზეზი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს სტროფებია:

„მზე გამავსებს, მზეკე გამლეგს, ზოგჯერ ცხსდები, ზოგჯერ ცუნდები (1959). და „მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორეგვა, განათლებს
რა ეახლოს, შუქი დასწყვეს, გაეერების, ვერ იახლებს“ (821).

„ვეფხისტყაოსანში“ მთვარის ფაზების სურათები და მათი წარმოქმნის მიზეზები ისე თვალსაჩინე არის მოცემული, რომ მაშინაც კი, როდესაც ტექსტში სიტყვა „მთვარე“ სრულიადაც არ იხსენიება, ჩვენ მაინც ერთბაშად ვხვდებით, რომ აქ მთვარეზეა ლაპარაკი, მაგალითად:

„ანუ აგრე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ გაგავსო?“ (591).

ან კიდევ სტროფში:

„აწ ეგრე ვარ გავსებული, წინას ვიყავ, ვითა მეცხრალი,“ (1422).

ანუ: ფატმანი მიმართავს ნესტანს: „შენმა ნახვამ ისე გამაბრწყინა, როგორადაც სავსე მთვარე ბრწყინავს, წინათ კი ისე ვიყავი ჩამქრალი, როგორც მიღეული მთვარის ნათებაო.

როგორც ვხედავთ, პოეტის ტექსტში ყველგან ტერმინები „სრული ანუ სავსე“ აღნიშნავს ახლად ერთ ერთკეთილ მოვლენას, როდესაც ცაზე მთვარე განთავსებულ სრულ წრიულ დისკოს ქმნის და ამდენად, მისი აღრეული ან გაიგივება „ბაკმა“ და „მთვარემა“ ტერმინებთან სრულიად დაუშვებელია.

* * *

მოვანება

ასმათი ავთანდილს დაჰპირდა, რომ იგი უთუოდ რაიმეს გაახერხებდა, რათა მისი ნახვა ტარიელს სიამოვნებოდა. ამანამდე ავთანდილი ასმათსა გამოქვაბულში დამყოფ.

„ავთანდ

ილ ქვაბსა დამალა ქალმან მალვითა ბალითა“ (262).

ტარიელის ფიცის შემდეგ, რომ ავთანდილის იგი ცოდს არას უზამდა, ასმათ მის მოსაყვანად წავიდა.

„ხელი მოჰკიდა, მოჰყავდა, ვით მთვარე მოსაკანებლად.“ (277).

ანუ: ავთანდილი (მთვარე) სამალავიდან გამოიყვანა ასმათმა. ხელი მოჰკიდა მას, მოჰყავდა იგი, რათა ტარიელი (მზით) განათებისას მომხდარიყო ავთანდილის მოვანება, მსგავსად იმისა, როგორც მთვარის მოვანება ხდება.

ამ შესანიშნავ შედარებით პოეტი ამბობს:

„რა წამს მზის უკანასკნელი სხივი მთვარეს მოსწყდება, ახალი მთვარე იწყება და ცაზე მას სრულიად ვერ ვხედავთ, ჩვენთვის იგი ამ მდებარეობაში თითქოსდა იმალება. როდესაც „სამალავიდან“ გამოსული მთვარე ხელახლად მზით განათდება და ცაზე ნამალი მთვარე გამოჩნდება, სწორედ მაშინ მოხდებაო მთვარის მოვანება.

ტარიელის ამბავი ავთანდილს თინათინმა დიდის ინტერესითა და ხალისით მოუსმინა და ამ დროს:

„განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა“ (692).

ანუ: მთვარის (თინათინის) პირი განათდა — მოიმატა სინათლემ, ვით მთვარეს ემატება სინათლე, მისი ნათელი—თეთრის მოვანებისა, ე. ი. მთვარის თეთრის გაზრდის, მისი მომატების დროსო.

მეორე მხრივ, „ნათლად ნავანების“ მოვლენით გამოწეულია სურათის შებრუნებით გამოსახვაზე. მეტყველებს სტროფი (ტარიელი როდესაც რისტევან მეფეს მოახსენებს, რომ ავთანდილი გაპარვის გამო დარცხვენილია):

„მაგრამ ირცხვის მეფისაგან, შუქი ბნელად მოევანა“ (1515).

ამით პოეტი ამბობს: ირცხვილის გამო ავთანდილი ფერწასულია ისე, როგორც მთვარეს აკლდება სინათლე, მისი ბნელის მოვანებისასო, ე. ი. მთვარის ბნელის მომატების, გაზრდის დროსო.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი სტროფი (ახლად წასული ტარიელი შემთხვევით დაბრუნდა ქალს):

„მთვარე წყალსა გამოსული ნახეს, შუქთა მოვანება“ (260).

ამ სტროფში პირდაპირ მითითებულია, რომ პოეტის პერსონაჟებმა — ასმათმა და ავთანდილმა თავისი თვალით ნახეს სანახაობა, — მოვანების მოვლენა.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსანს“ ზემოთ მოყვანილ სტროფებში დახასიათებულია „მთვარის მოვანების“ მოვლენა, მოცემულია მისი ძირითადი ნიშნები და მიმდინარეობა.

გამოდის, რომ „მთვარის მოვანებისას“ ხდება მთვარის: სიგრძით სინათლის მომატება, ან შემცირება. მომატებას ადგილი აქვს მოცემულ მომენტში, ნამკლის რეალურ სიდიდესთან შედარებით, ეისი ფართობის გაზრდის შედეგად, ხოლო შესუსტებას — მთვარის დისკოს ბნელში მყოფ ხელულ მიდამოს ნამდვილ ზომასთან შედარებით მისი სიდიდის გაზრდით. ამასთან მთვარის ამ სინათლის მომატება ან შესუსტება ხდება ისე, რომ მოვლენა წარმოად-

გიორგი თევზაძე
რუსთველის კოლეგიელი

გენს ხაუურადღებო სინახლობას. ეს მოვლენა, მხოლოდ მაშინ წარმოიქმნება, როცა მთვარე მზითაა განათებული.

სრული მთვარის მოვლენა ყველა ამ ნიშნს **არ** მოიცავს. სავსე მთვარის სილეა არ წარმოადგენს რაღაც განსაკუთრებულ სანახაობას, რადგან ხშირად მოსახლეობა ვერც კი არჩევს, როდის არის მთვარე კაშკაშა, სრული წრიული ბადრო, ანუ როდის არის ნამდვილად სავსე. ხალხისთვის მთვარის სავსეობა ყოველ თვეში ორი-სამი დღე და მეტიც გრძელდება. გარდა ამისა, „მთვარის მოვანება“ აგრეთვე ისეთი მოვლენაც ყოფილა, **როდესაც მთვარის სიბნელის ზრდა ხდება.** რაც არ შეიძლება მოხდეს მთვარის ავსების, მისი სისრულის დროს.

მაშასადამე, მტკიცება იმისა, რომ „მოვანება“ ნიშნავს სავსეს და ისიც ისეთ სავსე მთვარეს, **როდესაც** მის გარშემო ნათელი შარავანდი — ბაკმა არის, როგორც ეს მიანიშნეს: ი. აბულაძეს, კ. ჯიბუნიძეს, ა. შანიძეს და სხვებს, ან კიდევ მთვარის სავანეში, კიჩხიბში შესვლას, როგორადაც ამას ფიქრობს ელ. ხინთიბიძე, არ შეეფერება სინამდვილეს.

ბუნების რა მოვლენას უნდა გულისხმობდეს ტერმინი „მოვანება“?

„მოვანება“ იმ მოვლენას უნდა გულისხმობდეს, რომელსაც დღეისთვისაც კი არა აქვს თეორიულად სრულყოფილი ახსნა.

ახალთვარის დადგომის შემდეგ, როდესაც სალამის მოწმენდილ ცაზე გამოჩნდება მთვარის ნამგალი და დისკოს დანარჩენი შავი ნაწილი სუსტი, ეგრეთწოდებული „ფერფლისფერი“—დედამიწიდან არეკლილი სინათლით განათებული, ანუ, როდესაც ჩვენ ერთდროულად ვხედავთ კაშკაშა ნამგალს და დისკოს დანარჩენ, სუსტად განათებულ, თითქმის ბნელ ნაწილსაც, მაშინ ხშირად გვაოცებს ის, რომ ნამგალის სარტყლის რკალი რადიუსი გვეჩვენება უფრო დიდი, ვიდრე დისკოს „ფერფლისფერი“ მიდამოს რკალის რადიუსი, ე. ი. ხშირად ჩვენ ცაზე ვხედავთ ნახ—2-ზე წარმოდგენილ მთვარის სურათს.



ნახ. 2.

ამ სურათზე პუნქტირით აღნიშნულია მთვარის r რადიუსიანი დისკოს რეალური სიდიდის წრე. ნამგლის ზომა კი მის რეალურ სიდიდესთან შედარებით გაზრდილია და მისი სიმრუდის R რადიუსი მეტია r-ზე

ტახო დე ბრაჰეს[24] შეფასებით ამ რადიუსის ფარდობა წარმოადგენს:

$$R:r=6:5.$$

ამ მოვლენის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ თვალში საგნის გამოსახულება მახინჯდება დიფრაქციული[25] მოვლენის და არა სრულყოფილი აღქმის შედეგად

სხეულზე დაკვირვების დროს ჩვენდა უნე-

ბურად გონებაში ვატარებთ საზღვრებს იმ უბნებს შორის, სადაც სიკაშკაშე ყველაზე სწრაფად იზრდება და სადაც გამოსახულება, დიფრაქციის შედეგად მკრთალია. ბუნდოვანი.

ეს საზღვრები იდეალურ გეომეტრიულ ხაზებს ალარ ემთხვევა. იმ შემთხვევაში, როდესაც შავ ფონზე თეთრი ლაქა გვაქვს, საზღვარი სისტემატურად გადაინაცვლებს, გადაიწევს გარეთ და სწორეთ ეს გადაადგილება ცნობილია „ირადიაციის“ სახელწოდებით (ლათ. irradio — შუქს გამოვცემ, გამოვასხივებ) და იგი გამოიწევევს თეთრი ლაქის ფართობის მოჩვენებით გადიდებას ამავე ზომის თეთრ ფონზე მდებარე შავი ლაქის სიდიდესთან შედარებით.



ნახ. 3.
თეთრი კვადრატი შავ ფონზე გვიჩვენება უფრო დიდი, ვიდრე ამავე ზომის შავი კვადრატი თეთრ ფონზე.

მაშასადამე, ჯვუფი ფიზიკური პირობებისა წარმოქმნის ჩვენ თვალში ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს კაშკაშა ნამგლის ფართობი მოცეშელ მომენტში, მის ჩვეულებრივ სიდიდესთან შედარებით, მეტია, გაზრდილი და ამნაირად, მთვარის საერთო ნათება მომატებულია, გაზრდილია. რაც მოცემულია, როგორც „ნათლა“ თითქოს ზემოთ მოყვანილ სტროფებში.

ამგვარად, „ნათლად მოვანება“ ნიშნავს დადებითი „ირადიაციის“ შედეგად წარმოქმნილ მთვარის საერთო სინათლის მატებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფონის სიკაშკაშე მცირეა, დაიშირება შებრუნებითი სურათი ამ დროს იტყვიან, რომ გვაქვს უარყოფითი „ირადიაციაა“-ო.

მართლაც, თუ ეხლა პირიქით მოხდება და ფონის მცირე სიკაშკაშის დროს, ნამგლის ფართობის ნაცვლად, მთვარის ბნელი ნაწილის ფართობის სიდიდე, მის ჩვეულებრივ სიდიდესთან შედარებით, გაიზრდება, ე. ი. ისეთი ფიზიკური პირობები შეიქმნება, **რომ** მოხდება მთვარის ბნელი ნაწილის ფართობის ზრდა, მაშინ ცხადია საერთო სიკაშკაშე, მთვარის თეთრად მოფენებასთან შედარებით, შემცირდება, რაც სავსებით შეესატყვისება 1529-ე სტროფში ხმარებულ გამოთქმას „შუქი ბნელად მოვანა“.

ამდენად, „ბნელად მოვანება“ ნიშნავს უარყოფითი „ირადიაციის“ შედეგად წარმოქმნილ მთვარის საერთო სინათლის კლებას.

მაშასადამე, სახოგადოდ „მთვარის მოვანება“ გულისხმობს „ირადიაციის“ მოვლენას, რაც იწვევს **მთვარის საერთო სიკაშკაშის ცვლებადობას.**

იმისათვის, რომ გავერკვევთ, თუ რუსთველის ეპოქაში როდეს ცნობილი იყო ამ საინტერესო მოვლენის — „მოვანების“ ფიზიკური არსი, მისი გამოშუქვეა. მიზეზები, მოგეყვანა ჩვენ მიერ უკვე განხილული სტროფების გარდა ყველა ის სტროფი, რომელშიაც ხმარებულია ტერმინი „მოვანება“.

„უკავს პირსა სინათლე მთვარისა
მოვანებასა“ (105)

ანუ: თინათინის პირის სინათლე ჰკავს მთვარის სინათლეს მისი მოვანების დროსო.

„გამოჩნდა მთვარე ნათლითა გარე
შუქ-მონავანითა“ (401),

ანუ: გამოჩნდა მთვარე (ნესტანი) გარშემო მოჭარბებული სინათლის მფრქვეველი ისევე, როგორც მთვარეა მოვანებისასო.

გიორგი თევზაძე
რუსთველის კიბოლოგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე შეენიშნავთ, ეს სტროფი მოცემულია ტარიელისა და ნესტანის პირველად პირისპირ შეყრისას, მანამდე, ვიდრე ისინი სიყვარულის ფიცს მისცემდნენ ერთმანეთს.

როსტევანს ავთანდილი ეუბნება: რად არ ჩქარობ ნესტანის ნახვასო,

„შემოიმის შუქთა მისთა, ნათლად გარე
მოივანეს“ (1529)

ანუ: ნესტანი თავის გარშემო შუქთა ფრქვევით უთუოდ ისევე მოვმატებთ ბრწყინვალებას, როგორც მთვარეს მოემატება მისი მოვანებისასო.

ამგვარად, ყველა ამ სტროფში ხმარებული სიტყვა „მოვანება“ და ამნაირად მოცემულია პარალელი მთვარის სიკაშკაშის ცვალებადობასთან ამ შემთხვევაში, როდესაც პოემის გმირები თავიანთ მიჯნურთან „შუებთან“ არ განიცდიან შეყრა-დაცილებას. პროცესს, რაც იმას ნიშნავს, რომ „მოვანება“ არ არის იმ მიზეზის შედეგი, რა მიზეზითაც მთვარის ფაზები წარმოიქმნება მაშ, რა უნდა იყოს მოვანების მიზეზი?

260-ე სტროფში ეკითხულობთ, რომ მთვარე (ტარიელი) მოერიდა უცხო მეფეთასან შეყრას, რომელიც ნადირობდა და ამის გამო [illegible] ქვაში.

ტარიელს ასეთი შემთხვევითი დაბრუნების გამო უსიამოვნო გრძნობა უნდა ჰქონოდა და არ შეიძლება მიჯნურთან შეყრის, ან მასთან რაიმე სიახლოვის განცდა წარმოქმნოდა მოეხდენად ამისა, როგორც უცნობი მიზეზით მაინც მოხდა მისი ბრწყინვალების მომატება — მოვანება, რაც პოემის გმირებმა — ისმათმა და ავთანდილმა ნამდვილად დაინახეს. ამით პოეტი მიგვანიშნებს, რომ მისთვის გაუგებარი მიზეზით ხდება მთვარის მოვანება. პოემის მთელ ტექსტში არსად „მოვანების“ წარმოშობის მიზეზის ახსნაზე არ არის ლაპარაკი. ამდენად, ჩვენ დავასკვნით, რომ პოეტისათვის ამ მოვლენის წარმოშობის მიზეზი გაუგებარია და თვით მოვლენაც უცნაური. ეს მუნებრივიცაა, რადგან „მოვანება“ ძირითადად ატმოსფერული მოვლენაა და როგორც ცნობილია, იმ ეპოქაში ჯერ კიდევ არ არსებობდა რამდენადმე სერიოზული მოძღვრება ატმოსფეროში სინათლის სხივის გავრცელების შესახებ.

შენიშვნა:

[1] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, გამოცემის ტექსტი მოწონებულია რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის მიერ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გიორგი წერეთელმა, სარგის ყაბაშვილმა, გურამ კარტოზიამ, რედაქტორები: გ. წერეთელი, ი. აბაშიძე, თბ. 1966 წ.

[2] Проф. Юлиус Франц, луна, перевод с немецкого, г. и. Москва—1923—Петроград.

[3] ს. ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1965, 96, 95.

[4] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა ვაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, 1960, გვ. 36.

[5] „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის გამოცემის ლექსიკონი, გვ. 365.

[6] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით, ფედერაცია, გვ 660.

[7] „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემის ლექსიკონი, გვ. 370.

[8] ტ. 1, 19, გვ. 955.

[9] დასახ. წიგნი, გვ. 500.

[10] დასახ წიგნი, გვ. 27, 40, 53, 84, 274.

[11] დასახ. წიგნ. გვ 365.

[12] დასახ. გვ. 325.

[13] დასახ. წიგნი, გვ. 370.

[14] ტ. V, 1958, გვ. 668.

[15] ი. აბულაძე, უძველესი ქართული თარგმანები ბასილი კესარიელის. ნაწარმოებისა „ექუსთა დღეთაჲ“ და გრიგოლ ნოსელის თხზულებისა „ადამიანი“, 1964, გვ. 241.

[16] ელ. ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსნის „შთვარის მოვანებაჲ“, „შოთა რუსთაველის საიუბილეო კრებული“, თბ., 1966 წ., გვ. 196—220.

[17] იქვე, გვ. 203.

[18] დასახ. წიგნი, გვ. 203.

[19] იქვე, გვ. 208.

[20] კიკნაძის ცის გარკვეულ ადგილზე განლაგებულ ვარსკვლავთ ჯუნდის ანუ ეტლების სახელია, ისევე როგორც ლომი ლაქნული და სხვა.

[21] დასახ. წიგნი, გვ. 210.

[22] დასახ. წიგნი, გვ. 220.

[23] დასახ. წიგნი, გვ. 211.

[24] ტიხო დე ბრაჰე — ცნობილი დანიელი ასტრონომი (1546-1601).

[25] დიფრაქცია — სინათლის სხივების გადახრა იმ მიმართულებიდან, რომელი მიმართულებითაც ისინი უნდა გავრცელებულიაყვნენ გეომეტრიული სხივური ოპტიკის კანონით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ხმალაძე

დედაქალაქის სილამაზისათვის

საქართველოს ფერფთვალაცა და თვალწარმტაცე ბუნებას იმდენად უხვად აქვს თავისი წყალობის ალდგა დაბერტყილი, რომ ჩვენი სამშობლო უმდიდრეს და ულამაზეს წალკოტს წარმოადგენს.

ცად აზიდული ზეიადი მთები. გოლიათური ძალით კლდიდან გაფშმსკდარი ჩანჩქერები, აყუდებული კლდეები — ჩახავსებულ-ჩაშვებული, მთის ფერდობზე შეფენილი ტანკენარი ფიქნარი, სოსნარი, ძარღვმგარი მუხები და ფოთლებშრიალა ვერხვები, ბალახმოძალებული მდელოები, გორაკი, წყარო, ლელ, ჯალ, ხარისთვალიეთ ბრიალა და ტაბაწყურიეთ წკრიალა ტბები, ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეულობა და ვეფხისტყაოად მოხატული მთა-ბარი, საქართველოს ლანდშაფტის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

ან როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს:

„ — მთანი და ტყენი, აურაცხელთა ყვავილთა, მწვანითა და სურნელითა აღსავსე.

...„ტყენი სხვადასხვა ხითა მშვენიერითა ჯალთა და მთათა შინა“.

...„ესაა „ქვეყანა დიდი და ნაყოფიერი ყოველთა ღვთისა მიერ“.

„სავარდეთა შინა ყვავილნი მრავალნი ვიდრე ეს ფერამდე და ეს გვართამდე“.

„ნადირნი და ცალად ფრინველნი მრავალგვარნი მთათა და ველთა შინა“.

ისტორიული, გეოგრაფიული და კლიმატური პირობების იმეთაი შეხამების წყალობით, წიაღისეული სიმდიდრით, ფლორისა და ფაუნის სიუხვით, საქართველო უნიკალური მხარეა არა მარტო საბჭოთა კავშირში — მსოფლიო რუკაზედაც. იგი უდიდეს ბუნებრივი კონტრასტების ქვეყანაა.

საქართველოს ბუნების სამკაულია ტყეები, ბაღ-ვენახები, ნაი, ციტრუსები, ზუთმეტტონიანი მთა-ბარი ჩუქურთმად რომ ადგას დედამიწას.

მტერსა თუ მოყვარეს სწორედ რომ ჩვენი ბუნების სიმდიდრე, სიდიადე, სილამაზე, გონიერებრივ ლობა და თავისთავადობა ხვდება თვალში.

ჭირსა თუ ლხინში ქართველი კაცის განუყრელი მეგობარი და ერთგული მოკავშირე იყო ტყე, დიდი-მწვანე მასივები. იგი იყო მეორე სახლი, დარბაზი, საცხოვრისი, აბჯარიც კი.

ტყეები, დიდი მწვანე მასივები მტკიცედ შეკრული ცოცხალი ორგანიზმი, უკეთილშობილესი ბიოლოგიური სამყაროა — სადაც ხეები, ბუჩქები, ბალახი, ნადირი, ფრინველი, მწერები და ბაქტერიებიც კი ჰარმონიულ ერთიანობაში არიან. ისინი განიცდიან ურთიერთ ზემოქმედებას, ცვლებადობასა და განვითარებას. ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერად ურთიერთ გაპირობებულია.

ტტყეო ქვეყანა უდაბნოა, უდაბნოში სიცოცხლე ჩამკვდარია, მისი ბინადარი გველი და მორიელია.

ტტყეობა ქართველი კაცისათვის ყოფნა არ ყოფნის საკითხია.

ბუნებრივი ლანდშაფტების მოშლა, განსაკუთრებით ტყეების დეგრადაცია იწვევს იქ მობინადრე ნადირ-ფრინველის გადაშენებას. ევბედითობის ქარტეხილში ხშირად ირღვევა ბუნებისა და ადამიანის მეგობრული კავშირი.

საქართველოში XIX საუკუნეში კაპიტალიზმის შემოჭრას თან შემოჰყვა ტყეებისა და ნადირ-ფრინველთა განადგურება და იგი გრძელდებოდა XX საუკუნის დამდეგსაც.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი, დღეებიდანვე დაიწყეს საქართველოს ტყეების დაცვა და გამრავლება.

ისტორიულად და საკვეყნოდ ცნობილია, რომ ადამიანი, რომელიც ბუნების წიაღში სოფლისა და მთა-ველის მცხოვრებია, გაცილებით ჯანმრთელია და ღღეგრძელი, ვიდრე მტვერიან-ჩამაურიანი ქალაქის მცხოვრები.

ამიტომაა, რომ დღეს თანამედროვე ქალაქ-

შენებლების, ხეოროთმოძღვრების პროექტები უნდა იზიდავდეს ადამიანის ინტელექტს. დაიმაყოფილოს მისი მოთხოვნა, მისცეს მას სიამოვნება, შეუქმნას ჯანსაღი და ლამაზი გარემო, კარგი განწყობა. ყველაფერი ეს კი შესაძლებელია მაშინ, თუ ქალაქის ტერიტორიის ნახევარ ფართობზე მეტი მწვანე ნარგავებით, ტყეპარკებით, ბაღებით, სკვერებით, ბულვარებით, მოლითა და ყვავილებით იქნება შემოსილი. ცხადია, ასეთ ქალაქში ცხოვრება სამაგური და სასიამოვნო იქნება.

ბარემოს სილამაზე ადამიანს უმდიდრებს სულიერ სამყაროს. შრომის ნაყოფიერება დიდადაა დამოკიდებული ადამიანის გუნება-განწყობილებასა და თვითშეგრძნებაზე.

სახელოვანი ქართველი პოეტი, საქართველოს ბუნების დიდი ქომაგი გიორგი ლეონიძე ამ ათიოდე წლის წინათ წერდა; ბენეფიციდან მქონდა გაგონილი თბილისის მთვმზე ქეელა ტყის არსებობამთ და მოპყავს გაზეთ „დროების“ (1884 წ. № 110) ცნობა. „თბილისის გარშემო მთის ქედები ამ 60 წლის წინათ ტეერეთ მოცული, დღეს სრულიად მოცლებულია ყოველგვარ მშვენიერებას და წარმოადგენს სამწუხარო სანახავს, მზისაგან გადამწვარ ქვიშა-კლდეს ფრიანელებისას“.

„ქართლის ცხოვრებაა“ და მრავალი თქმულებანი მოწმობს, რომ თბილისი ტყით იყო დაფარული, სადაც მრავლად ყოფილა გარეული ნადირი და ფრინველი.

მარკო პოლო თბილისს „უმშვენიერეს ქალაქად“ ისხენებს, ხოლო შეეიგარ-ერხეფეფელი — „ამიერკავკასიის პარიზს“ უწოდებს.

რა ხდობს მაისში თბილისსა
ვარდი ვარსკვლავებ ესხასა

ვახტანგ VI.

ქართული ბაღ-პარკების ხელოვნების მრავალსუკუნოვანი და მხატვრულად მდიდარი ისტორია აქვს.

ჩვენი წინაპრების შესანიშნავ დარგს წარმოადგენდა ვარდ-ყვავილნარებისა და ბაღ-წალკოტების მშენებლობის ხელოვნებაც.

100-150 წლის წინათ თბილისში, მტკვრის გასწვრივ, ორთავე მხარეს გასდევდა ჭალის ტყისათვის დამახასიათებელი ხეები: ოფი, ხვალო, ტირიფი, გრძელყუნწა მეხა, კორპიანი თელა, ნეკერჩხალი, იფანი, კუნელი, ჩიტაფშლა და სხვ.

ახლაც შემორჩენილია ძველი ტყეების ნაშთი პლეხანოვის პროსპექტის გასწვრივ ბიგებსა და ეზოებში, რესტორან „არაგვთან“, ორთაჭალაში, კრწანისში, ვერეს ხევში, კუს ტბასთან და სხვაგან. ხოლო სოფელ ბაგებთან,—„ნათელი ტყის“ ნაშთი (ბრიწეული, ლეღვი, თუთუბი, აკაკი, ძეძვი და სხვ.).

იმ ადგილებში, სადაც დღეს კავშირებულობის სახლი დგას, ერთ დროს ცეკვებელ ბაღები იყო, ხოლო საქართველოს ხელოვნების ფუ მუზეუმის და ნაწილი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბაღისა, არაგვის ერისთავის სასახლე და ბაღები იყო. დღეკანდელი ქალაქის საბჭოს ადგილებზე 4 დესეტინა დავით ბატონიშვილს ეკუთვნოდა.

ამ ძველი ბაღებიდან ჩვენამდე მოაღწია მეფე გიორგი XII-ის ბაღმა (სადაც ამჟამად ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პარკია). ხოლო მის მეზობლად, აღმოსავლეთით (სადაც კრიბოდეფოვის სახ. თეატრი იყო). — ორბელიანის ბაღს ეკავა.

იმ ადგილებში, სადაც დღეს რესპუბლიკის მილიციის სამმართველია, მარმარილოს შადრევნებით მორთული ეროკეე II ბაღი იყო.

ბოტანიკური ბაღის მიდამოებში მარიან დედოფლის ბაღები, ხოლო კომეხარების სახლის ბაღის წინ ისევ მეფის სასახლე და ბაღი იყო.

დღეკანდელი ზოოპარკის ტერიტორია ანასტასია და იულონ ბატონიშვილის ბაღ-ენახებს ეკავა.

ყველა ეს ბაღი და სასახლე აღა-მაჰმად-ხანმა ნაცარტუტად აქცია.

ხოლო შემდეგში, გადაგვარებული ჰაეკეე ციეიანიანი თბილისის მშვენიერებას, მიმადავითის ტყეს კაფავდა, რათა, ვითომდა მტერი შიგ არ შეეხიზნულიყო.

1824 წელს ქართველ მეფეთა ბაღები სეიდაბადსა და სოლოლაკში გაჩეხეს და კერძო სახლების მშენებლობას დაუთმეს.

ასე ანადგურებდა თბილისის ლანდშაფტს, ბუნების სილამაზეს—ტყეებსა და ბაღ-ენახებს შინაური თუ გარეული მტერი.

ჩვენი სამშობლოს ისტორია ია-ვარდით არ იყო მოფენილი. ურიცხვ მტერთა შემოსეეებთან სდგებდა საშინელი ტრაგედია, ხოცვა-ელტა, ძარცვა-გლეჯა. ჩვენი ბუნების გასადვერება. დღესაც ჟამია უბედობის სიავის, მტრის მსაჯრველი ხელის მოწმენი ყრიან გაშიშვლებული მთები, ველ-მინდვრები. თბილისისა და რუსთავის ჩამოფხეკილი ფერდობები, გაჩეხილი ტყეები, ბაღ-ენახები, დამშრალი წყაროები, გადაშენებული ნადირ-ფრინველი.

ყოფილი მადათოვის კუნძული, რომელიც ხელოვნურად მოიწყო XIX საუკუნის 20-იან წლებში, ქართველ სარდალ დავით ორბელიანს ეკუთვნოდა, აქ იყო ხეხილი, ვენახი, დეკორაციული ბალები.

1848 წელს რუსთაველის პროსპექტზე პირველად დაიწყეს ქუჩების ერთ მხარეს ჭადრის ხეების დარგვა.

ქართველ პროგრესიულ მოღვაწეთა ინიციატივით 1859 წელს დაიწყეს პირველი საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღო ბაღის, ყოფილი ალექსანდრეს ბაღის მშენებლობა.

აი, რა პატრიოტული მნიშვნელობით იყო აღსავსე „ეფერიაში“ დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის მოწოდება წერილი, მიძღვნილი მაშინდელი თბილისის საარსებო საჭიროებისადმი:

„დღეს ამოდენა ქალაქს მარტო ორი ბაღი აქვს: ერთი მეფნატაღი, მეორე —ალექსანდროვის ბაღი. ერთი ისე შორს არის, რომ შეძლებული კაცი თუ წავა, თორემ სხვა არავინ. მეორეკე თითქმის შუაგულ ქალაქშია, მაგრამ მარტოობით იმოდენა ზემოქმედება არა აქვს არც ქალაქის მცხოვრებებზე, არც ქალაქის ჰაერზედ, რამდენაც სასურველი და სანატორია. ამოდენა ქალაქს ერთი იმისთანა ადგილი არა აქვს, რომ ბავშვების სთამაშო ადგილი იყოს. არიან სწყალი ბავშვები დახეშულნი ოთახში და თუ გამოდიან იშვიათად ისიც ბულვარზედ, საცა მორთოლობა არ აძლევს ნებას არც ცეკვობისას. არც თამაშობისას“...

მეცხრამეტე საუკუნეში თბილისი უმეტესად სწორედ ბაღების ხარჯზე იზრდება. განაშენიანება ზონ მიიწევს, მწვანე მასიები უკან იხევს.

1885 წელს იმ ადგილას, სადაც მანამდე შეშიანი ერმების სადგომი იყო, მოეწყო პუშკინის სკვერი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე დაიწყო თბილისისა და მისი შემოგარენის, მთებისა და ფერდობების ინტენსიური გაჩეწანება, — მწვანე მასიების, ტყეპარკების, კულტურისა და დასვენების პარკების, ბაღების, სკვერების შშენებლობა, რის გამოც თანდათანობით მოისპო თბილისის ბუნებისა და ჰაერის ნაკლოვანებებები და დედაქალაქი უფრო ჯანსალი, ლამაზი და მომხიბლავი გახდა.

აი რას წერდა თბილისს 1500 წლისთავის ღღესასწაულზე ჩამოსული კეიპროსელი ანფიას თეკკროსი: „ბეთაოვენს უყვარდა თურმე თქმა: რაც უფრო მეტი ხეა ქალაქში, მით უფრო მეტად ქალაქიაო. თბილისში ჩამოსვლისთანავე ვიგრძენი თუ რაოდენ მართალი იყო ეს დიდი მუსიკოსი“.

აქ, მთაწმინდიდან ვლ. მაიაკოვსკიმ თბილისს რომ ბედობდა, ხელები გაშალა და წარმოთქვა: საქართველო ედემად გამოჰყვესო. და მართლაც ამ ჩვენს — „ედემის ბაღს“, „ტერფსა სამაღნარისა“, ეეფხისტყაოსან მოხატულ მთა-ბარს თვალის ჩინჩიეთ მოვლა და დაცვა სჭირდება, რაც ყველა თბილისელის ზმიდათაწმიდა მოვალეობაა. ბუნების დაცვა და გამრავლება უდიდესი ეროვნული, საშვილიშვილო, პატრიოტული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

ვიდრე თბილისის მწვანე ნარგავთა სისტემას, კლასიფიკაციისა და ნორმების შეეხებოდეთ, განსაკუთრებით კი — სიერთო სარგებლისას ნარგავთა მდგომარეობას, საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ ბუნების „ოქროსა ძეგლებს — ისტორიულ ხეებს.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოიპოვება სუფუნოვანი ხეები, ზოგიერთის ხნოვანება 1000 წელიწადს აღემატება. სად არ შეხვდებით ათასწლოვან ქოჩორა ბერმუხებს (საგარეჯო, ბოქორაში, ზემო დერჩი, ქეციი ხოდაში, ზემო ბოგანული). ვის არ უნახავს ჭადრების პატრიარქი თელავის ჭადარი, რომლის გარშემოწერილობა 11.5 მეტრია, სიმაღლე — 40 მეტრი. რომელიც მომსწრეა დავით ილმაშვილისა, თამარ დეღოიანი, და რომელიც გადაურჩა შაჰ-აბასის შემოსევებს. ამ გიგანტი ხის ქვეშ გამართულ ნადიმზე შესანიშნავი ისტორიული სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა (1911 წლის 20 იანვარს).

მეორე ათასწლოვანი ჭადარი იფსაზეთშია, ხოლო მესამე (დიამეტრით 2 მეტრამდე) ამ ოთხი წლის წინათ, ქარიშხალმა მოგლიჯა დიდი ჯიხაშის მახლობლად და ისე დაანაფოტეს, რომ სპეციალურად მისი კოტრების აღებაც კი ვერ მოეხერხდა. მსგავსი ექსპონატი საბჭოთა კავშირის არც ერთ ფენდროლოგიურ მუზეუმს არ ექნებოდა. ასეთივე ბედი ეწვია იქვე სოფ. ეწერში საქართველოში უდიდეს (დიამეტრი 1,8 მ.) და ულნერეს ძელებას.

მეტად საინტერესოა ქუთაისში „ოქროს ჩარდახთან“ უხეცესი ჭადარი, ხოლო დიდ ჯიხაში დ. ლეკოკას ეზოში—უდიდესი იფანი.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოიპოვება უძველესი ლრონის მომსწრე-ხეები, რომელებიც საუკუნოების განმავლობაში ცოცხლობენ ჩვენს ქალაქებში, სოფლებში, ტყეებში, ჭალებსა და მინდორ-ველზე.

300-900 წლიანი ცაცხვი იზრდება: ჩხარში, ტყიბულში, ამბროლაურში, ვიზიეში, სარკვეში, ეწერში, ჯახუნდარაში (ქეციო სეანეთი, გარშემოწერილობით 15 მეტრი), დიდ ჯიხაშში, ცხაკაიანი, ვახანაში და სხვ.

ცნობილია ტაშისკარის წაბლი, რომლის ქვეშ გიორგი საკაძემ თათრებზე („თათარ ხანი“) გამარჯვების დღესასწაული გადახადა.

250-1200 წლეზე მეტს ითვლიან ჩვენში ბევრ ადგილას გაფანტული თითო ოროლა ხეები: უთხოვარი, ძელკვა, კაკალი, ფიქვი, ფიფილი, ზეთის ხილის ხე, დაფნა ეკიოლშობილი, თელა, ვერხვი, იფანი, ვაზი და სხვა მრავალი, როგორც ადგილობრივი, ისე უცხო ჯიშები.

მათ კამთა მსვლელობის კვალი ნაკლებად ამჩნევიათ.

სამწუხაროდ, ბევრ ადგილს მათ მოვლასა და დაცვას ნაკლები ყურადღება ექცევა.

ირაკლი ციბალაძე
დედაქალაქის სილამაზისათვის

ვინ არ გაიზიარა ჩვენი ბუნების შესანიშნავი მეოდნის, მოამბეგის და ბუნების დაცვის პატრიარქის, აკადემიკოს ნიკო კეტოფელის ფულისტკიცელი იფოფთნი ათასწლოვანი მუხის დაწვისა და წაქცევის გამო.

ან იქნება ვინმე ფიქრობს, დავიწყებას მიეცა, ან „ჩაალურის წყალი ფალია“ სოფ. ბულაჩაურსა და ნორიოანი ორასამდე სამასწლიანი კაკლის ხის ძარცვად მოგლეჯის ამბავი. ასეთ ბარბაროსობას არ ივიწყებენ.

საქართველოში ცოცხალი ბუნების ცალკეული ძეგლებისა და ობიექტების სახელმწიფოს მიერ დაცვის ამოქმედის შეადგენს ფლორისა და ფაუნის იშვიათ სახეობათა ძეგლების შენარჩუნება, რომელთაც მეცნიერულ-შემეცნებითი, კულტურულ-ისტორიული და ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს.

ზოგჯერ ნაკლები ყურადღება ექცევა ისეთი ბალ-პარკების მოგლა-დაცვას, რომელთაც მხატვრული, ისტორიულ—მემორიალური, სამეცნიერო ან გამჯანსაღებელი მნიშვნელობა აქვს. მსგავსი ბაღები ბლომად არის საქართველოში, ბევრმა მათგანმა დღემდე შეინარჩუნა სტილის თავისებურება, სპარკო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ელეგანტი.

ასეთ პარკებში ხშირად ეხვდებით აკლიმატიზირებულ ძვირფას დეკორაციულ ჯიშებს, ხეებისა და ბუჩქებისა (წინანდალი, ზუგდიდი, კოკორი, ბორა-ბერეოფოლი, დიდი ციხათი და სხვ), რომელთა უმრავლესობა სანერგეებისათვის საუკეთესო სადედე მასალას წარმოადგენს. ამ ძეგლების დაცვის საკითხი „ბუნების დაცვის“ ძირეული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს.

დღეს აკრძალულია დიდხნოვანი, იშვიათი ძვირფასი ხეების და ბუჩქების მოჭრა, დაზიანება, მათ ძირში ავტომანქანების დაყენება, ყარაგის მოწყობა და სხვა.

მართალია, „ბუნების მეგობარის“ საზოგადოებამ 1965 წლამდე აღწერა ისტორიული ხეები, მის შემდეგ კარგა დრო გაწელო. კარგი იქნება, ყოველ რაიონში გაიგზავნოს ექსპედიციები, მეცნიერი მუშაკები, რომლებიც შეამოწმებენ ძველს და გამოავლენენ სიძველის ამ საინტერესო, ახალ ძეგლებს. ამ საქმეში დიდი დახმარება შეიძლება გაგვიწიონ მოსწავლეებისგან, ადგილობრივებისგან. ეს — პიონერებმა, რომლებიც აღრიცხავენ, აღწერენ რაიონში ყველაზე მაღალ და დიდხნოვან უნიკალურ ხეებსა და ბუჩქებს.

საბერია, ასეთი ეგზემპლარები მოვლილი და დაცული იქნეს სათანადო პასუხისმგებლობით და მიმაგრებულ იქნეს წარმოება-დაწესებულებაზე.

უბედური ხეები, ოფლოლე არსებული დიდი ტყის უკანასკნელი მოპარკენები, ჩვენს დედაქალაქსაც შემორჩა. თბილისის ტერიტორიაზე ღღემდე აქა-იქ გადარჩა 300-500 წლიანი, 20-25 მეტრის სიმაღლის ისტორიული ენციენტი. ბუნების ამ გალიათებიდან ერთ-ერთ-ერთ იზრდება პლეხანოვის პროსპექტის № 71-73-ის ეზოში. ხის ღერის 5 მეტრის სიმაღლეზე მიაწევს კინოკამერის კედელი, ხოლო მობანდრეგმაზი ერთი მხრიდან შეაჭრეს მსგავი ტოტები, რადგან ფოთლები სახურავს ანაგვიანებსო. მეორე ეს იზრდება ობსერვატორიისა და მეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა კარხნის ტერიტორიაზე. ამ ეკრეხეცა ერთი მეტრის მაშორრებით ორსაკე მხარეს ამოუშენეს მაღალი კედლები, ორსართულიანი სახლი, ხოლო ზედ ძირზე მოადგეს ავტოგენური სახელოსნო; შედეგადაც ნარჩენები, კარბიდი, სიმკვეცები და და სხვა მავნე მასალა ხის ძირზე იყო მიყრილი, ეს კი ხეს გაზნობის უქადის.

ამ ტერიტორიაზე ერთ დროს შესანიშნავი ბაღი იყო ეგზოტიკური მცენარეებით. ახლა ბევრი მათგანი მოუვლელია, ზოგი გაშმაონა, გაქერქილი და ფარფლებია ჩაშენებული.

შედარებით კარგ მდგომარეობაშია ტელანის ბალის ორი, დიდხნოვანი ოთხასწლოვანი ვეფხვი. ყველაზე მოზრდილი მეოთხე ვეფხვი, ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკის ტერიტორიაზეა, რომელსაც შარშან ორივე მხრიდან ამოუშენეს აგურის მაღალი კედელი და ალბათ, მის მთავარ ღერის და ფესვის ყელსაც ისევე მოექცევინ, როგორც ახლა, 300-400 წლიანი სრულიად ჯანსაღი მუხა რკინაგზის ქუჩაზე რესტორან „ეარიასთან“. მისი ღერო სახურავზეა მოქცეული. რამდენჯერ არ დაიწერა ამის შესახებ, მაინც არავითარ ზომებს იღებენ. მათ სიცოცხლე კი განწირულია.

აქვე, ოქტომბრის ქუჩაზე № 2-ში საყოფაცხოვრებო მოსახერხების ინსტიტუტის მოსკოვის ფილიალის ეზოში იდგა უზარმაზარი ალაფი, რომელიც „ოტრმე“ ხელს უშლიდა მანქანის შესვლას, იმ დროს, როდესაც შეეძლოთ გვერდით ფარფლებში აეღოთ და არ მოეჭრათ ალაფი.

პლეხანოვის პროსპექტზე, № 115 ეზოში ზრდება ობლიანსში ყველაზე უდიდესი 500 წლიანი ჯიბარი. მას ზედ მიაშენეს ალეკი, სახლმმართველობას კი რკინის კაუჭით სახანძრო ბალონები ჰქონდა მიბეჭდილი.

რუსთაველის პროსპექტთან, ალე „მეტრის“ წინ მოუვლელია უხნიერესი და უზარმაზარი თუთა. ის ხომ ერთ დროს (1830 წლეზე) ამშენებენდა საქართველოში პირველი ფოსტის ეზოს. ელბაქეძის დიმბრალის რეკონსტრუქციის დროს ამ ხის ღერის ორ მეტრამდე მიწა მიაყარეს. ხის გადარჩენის მიზნით ფესვის ყელთან, ნიადაგის ჰაერაციისთვის მას მოზრდილი ღარა ეა დატეროვეს. ახლა იგი ამოვსებულია მიწით, რაც, ცხადია, საფრთხეს უქმნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერის სიცოცხლეს. ამ ხის ფუღურუნებიც მოითხოვს კომპეტენციას—ჩაკირვას.

თბილისში ერთადერთი უნიკალური ჭრელფოთოლა თელა იზრდებოდა კამოს ქუჩაზე, № 71 ეზოში. იგი სიმაღლით 19 მეტრს და სისქით 1 მეტრს აღწევდა (მეორე ეგზემპლარი კი ოთხმოცდაათწლიანი, მხლოდ წინანდლის პარკშია). ამ ოქროთი ბაღის პიბრიდს იმდენი ფარფლები და სახურავი მიაჭედეს, რომ ბოლოს სულაც გაახმეს.

ისანში, დარეჯან დედოფლის სასახლის ეზოში („სარინო"), გაფარა თბილისსა და საქართველოში უხვიერესი საკმლის ხის (სალსალიკი) ერთადერთი ეგზემპლარი. (დიამეტრით 35 სანტიმეტრი). ადრევე ზოჯეველების მახლობლად მოეჩეს უფრო დიდი საკმლის ხე. ეს უნიკალური მცენარეც არ არის დაცული.

არანაკლებ უნიკალური და ერთადერთი თბილისის ბაღ-პარკებსა და საქართველოში ყველაზე მაღალი ბუჩქოვანი — პირამიდული ფორმა მუხისა თბილისში — ტელნანის პარკში, ახლა იგი მოქცეულია ტრტოკრეზე მეორე ეგზემპლარი შესანიშნავად იზრდება და უკლიან დიდი ჯიხანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ეზოში.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გაზონებში (კამოს ქუჩიდან) ას წელზე მეტი ხნის ალბალუჩი ეკალის ლეიზზე შემოხვეული-ზამეიდილი ჩქონდა ბაგირი — რაც გამამაბუნებდა. გასული წლის მარტში აღენთებს დროზე უშვილეთო. არ მიიღეს ზომები, წელს კი უკვე გაჰმა. საუკუნოვანი ხეები სანერგეში არ გამოპყეთ და არც ადვილია მათი გადარგვა.

ფეიმებში წიწვოვნი, უდღეური ხბო ან „მეცამეტე" გოვი თუ მოკვდა, უმაო აქტი დგება და დამნაშავეს ჩჩრეკენ. ხოლო ბაღ-პარკებსა თუ ეზოებში ასწლიან ხეს ისე სჭრიან, მიზეზს არც კი კითხულობენ.

ჭონქაძის ქუჩაზე, № 11 ეზოში იზრდება 150 წელწადზე მეტი ხნის მარადმწვანე მუხა, სხვადან თბილისის ბაღებში ასეთი ზომის ეკეზოტი ანა ვგვეჭს. მშენებლებს მიერ ამ ხეს დერო მეკანიკურად აქეს დაზიანებული.

საქართველოში ერთ-ერთი უხვიერესი და უდიდესი ჩინური ვილტანია იზრდებოდა ჭონქაძის ქუჩის № 10-ში (1890 წელს. მოქალაქე ჯამბარის მიერ დარგული). იგი დიამეტრით 45 სანტიმეტრი იყო. შენობის მეზეთი სრულიადაც ფარავდა და შესანიშნავად ყვავილობდა. ეს ხეიარა მეცნიერე ამ ოთხი წლის წინათ ხანძრისაგან დაიღუპა „ეს, რომ" სასლი გადარჩა.

მარჯანიშვილის ქუჩაზე, № 14 სახლის ეზოში ასი წლის წინათ არქიტექტორმა ბილფელდმა დარგა ვისტარია, რომლის დერის გარეშემოწერილობა ახლა მეტრს აღწევს. ხეიარა შესანიშნავად ხარობს და ყვავილობს, მაგრამ სახლმმართველობას არ მოსწონს—სახურავზე გადადისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისის მაღლივი შენობების ფასადები ვირტუალური გასამწვანებლად იგი ერთ-ერთი საუკეთესო ჯიშია.

დიდმა მასივმა, მტკვრის პირას, ადრე ანსებული ტყეების უკანასკნელი ნაშთი—„უხარმაზარი თელა ზარმაწინან გაბმა, როგორც კი მის გვერდით დაიწყეს საშენებლო მასალის დაწყობა (მეგობრობის პროსპექტზე 14 სართულიანი სახლის გვერდზე, III კკარტალში). ეს ხე აყვანილი იყო სახელმწიფო დაცვაში. საშეუხანოდ, არც იმეითნის ხის კორის ალება მოხერხდა. რომელიც დაამშვენებდა „ბუნების მეგობრის" მუზეუმს.

ბუნების სიმდიდრის დაცვა ყველა ადამიანის, მთელი საზოგადოების საპატიო მოვალეობა, ბევრი მათგანი კი ეუღგარეულად ეპყრობა ბუნების ძეგლებს—გალოდიოს.

კ. მარქსი აღნიშნავს, საბერძნეთის შესანიშნავი და ლამაზი ტყეები თხებმა განადგურეს—და რაა შორს მოგდიეართ. ჩემი თვალით მინახავს ქართული ხელოვნების იმეითნი ძეგლის ყინწვისის მისადგომებთან ტყეს თხების ოთხი ფარა კორტნიდა. მართალია, თხის რძე წამალია, მაგრამ თხა ტყის მტერია. ასევე სვანეთში, მეგვე წყაროსთან, მესტიაში, ხოლო ცოტა მოშორებით მაღლა მთაზე თხის დიდი ფარა „ულეს" ტყეს—ჩვენს საუნჯესა და სიცოცხლის დაუშრეტელ წყაროს. არანაკლებ ცუდი დღე ადგას ყვავილს „ზღვის" მისადგომებთანაც ფერფლებს, ერთ დროს ტყით დაფარულს, დღეს კი ბუჩქნარი თხებისა და ღორებისგანაა „მოვლილი".

ბუდაპეშტის ლაბაზმა ბუნებამ, მისმა განუმეორებელმა მშვენიერებამ დაიწერინა სახელოვან მწერალს ალექსანდრე ჯაზეგს ბუნების სიდიდეზელი და რა გულდასაწყვეტია, რომ ამ ოციოდე წლის წინათ ულრანი ტყით დაფარული ქედები ახლა მოლანად გაჩეხილი და გადეარნებულია.

გაძლიერებული საბინაო თუ საზოგადოებრივ შენობათა ალების გამო თავისუფლდება დიდი ტერიტორია, სადაც იჭრება ათასობით ხე და ბუჩქი. ხშირად ამას დაფინანსი მოითხოვენ სამშენებლო ორგანიზაციები. 1947-59 წლებში მოსკოვში გაიჩეხა 6 მილიონი ხე და 4 მილიონი ბუჩქი, ამავე წელში კი დაირგა 250 ათასი ხე და 2 მილიონი ბუჩქი.

ჩვენს მიერ შედგენილი აქტებით 1957 წელს თბილისში ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით მოიჭრა 38 ათასი ხე და ბუჩქი.

ირაკლი ხმალაძე
დედაკალაქის სილამაზისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ზიანს აყენებს განსაკუთრებით ქუჩის ნარგაობას ავტოტრანსპორტის უწესრიგო მოძრაობა. სატელფონო, ელექტრო ხაზებისა და შუქფარებისათვის ხშირად თვითნებურად და უწესოდ ჩეხავენ ტოტებს. ამახინჯებენ ხის ეარეს. ამის გამო თბილისის ქუჩების ნარგაებებს უდიდესი ნაწილი მექანიკური დაზიანების, მოჭრისთვე მძღოლების ან ბრიყვი მშენებლის გამო მოიხიზოს შეცვლის, რაც დიდ სინდულებთან არის დაკავშირებული. 40-50 წლის წინათ ქალაქის ვიწრო ქუჩებში ნაკლები მოძრაობის გამო ადგილი იყო ხის გაბარება, ახლა კი მიღიონიან ქალაქში ხშირად ერთსა და იმავე ადგილზე თითქმის ყოველ წელიწადს რგვიენ ხეს.

ხშირად წარმოება-დაწესებულებათა და საცხოვრებელ ბინებთან, როგორც ახალ საცხოვრებელ მასივებში, ისე ქალაქის ძველ ნაწილში მშენაენ ნარგაებს ხარაზ ხდება ბოქსებს, ოთახებს, აივნებს, ფარდულებს, სამზარეულოებს, ახალი კორპუსების მიშენება-დაშენება (მაგ. კინიაკის ქარხანა, ჩაის გადამწერი ფაბრიკა, სამშობიარო სახლი ოქტომბრის, ქუჩაზე. უალკოპოლო სასმელების ქარხანა კლ. ცეტკინის ქუჩაზე, ბაგლოვის ქუჩის სკვერის გვერდით, ქალაქის პირველ საავადმყოფოში, დიღმის მასივში, თემქას ტერიტორიაზე და სხვა) ამცირებენ არა მარტო ფართობს ქალაქის მშენაენ ნარგაებისას, სამშენებლო მასალით ეზიანებენ მეზობელ ნარგაობასაც.

ბარნოვის ქუჩაზე პროფესორ ს. ქორდიანის შრომით ავგიტელ შესანიშნავ დენდროპარკში ჩადგეს სახლები.

რამდენიმე წლის წინათ ფალიაშვილის ქუჩაზე ერთსართულიანი სახლებისა და ბაღების ადგილზე აიგო მსხვილბლოკიანი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

ზოგიერთ უბანში თვითნებურად გაჩაღებულა გადაკეთებებმა მიშენება-დაშენებით ისე შეიეიწროვეს ეზოები, არა მარტო დაამახინჯეს შენობის ხედი, არამედ ისე შემცირდა მწვანე ნარგაებები და შეეიწროვდა ეზოები, რომ ზოგიერთ ეზოში მზის საკმარ სინათლეც კი ვერ აღწევს, ბავშვების სათამაშო ადგილიც არ რჩება. ქ. ჯიოკურის მსგავსი საცურაო აუზები „ოქროსფერი ქვიშრობის“ პლაჟები მაინც ქმნიდეთ თბილისელ ბავშვებს.

1956-58 წლებში სტალინის სახელობის სანაპირო ბაღში, ძველი ვერის პარკის პირდაპირ, სპორტდარბაზის ასაგებად ყინვის ამინდში ამოიღეს და გადარეს სამას ძირზე მეტი ხე და ბუჩქი, რომელთა უმმაღლესობა ვაჩმა.

და ასეთი მდგომარეობა იყო არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს ბევრ დაბასა და ქალაქში. ბათუმში, პოიენთოა პარკის გვერდით მდებარე მეტად დიდიან დეკორაციულ სანერგეში, რომელიც სარგავი მასალით ამარაგებდა არა მარტო ბათუმს, არამედ აკეშრის სხვა ქალაქებსაც, რამდენენიმე ეეიეიეეე

მართზე ატოსადგურის ველიდით მდებარე სკვერი, სრულიად მოჭრეს ბუჩქები პუშკინის სკვერში და ქალაქის ბევრ ადგილას. ბაღის ბილიკები ასფალტით და თალი ლოდებითაა დფარული, ეზოებშიც კი ალარ ჩანს მტკაველი მიწა. ნუთუ თბილისის შემოგარენს ქვა და ღრიანცელი აკლია. პუშკინის სკვერში ასწლოვანი ბაღრები ლოდების საფარს ქვეშაა მოქცეული — ეს ხეები განწირულია გასანმობად.

რამდენიმე წლის წინათ ორკონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს 16 ჰექტარი ფართობი ეკავა. დღეს იგი 5 ჰექტრამდე დაიყვანეს.

ახალი ფილარმონიის აივანზე ლენინის ქუჩიდან ბაღრები ისევ მიბჯენილი აივანს, რომ ფახლოვეს ხანში ან ერთი იქნება, ან მეორე.

რაკი ფილარმონიის აივანიც ვახსენეთ, მინდა მოვიგონოთ პაპაზვიის ბანიანი სახლი ახალციხეში, — რაბათში, რომელიც თიხა-მიწით და ბალახით იყო გადაღესილი. შიგ კარ ფეიმა ჩამოდიოდა და არც ფეკეთი. ფილარმონიის აივანის ქეეშ კი მორწყული თუ ფეიმის ფულის ჩამონაყრის ყველა ერიდება.

ეარაზის ხეები დედაქალაქის 1500 ფლის თავისათვის დაირგა 45 ფლიანი 14-15 მეტრის სიმაღლის ირმმაუს მეტი კეფარი. ეს პირველი შემთხვევა იყო საბჭოთა კავშირში, რომ ასეთი დიდი ზომის ხეები გადაირგა, რაც ცენტრალური პრესამაც აღნიშნა. და სწორედ ამ ხეებს შორის მოაწყეს ინდივიდუალური ბოქსი.

ლენინის რაიონში № 7 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის სკვერში ჩადგეს ორი ბოქსი. ხუდადოვის ტაეში გაათავისუფლეს ერთი ჰექტარი ტაე და აიგეს სავადმყოფო. ტაის შემკიერება კიდევ გრძელდება.

კომკავშირის ბაღში (ლენინის რ-ნი) შენობის აგების გამო გაათავისუფფლეს ათასი კვ. მეტრი ფართობი და გადარგეს უამრავი გახარებული ხე და ბუჩქი.

ყველასათვის ცნობილია, რომ მოზრდილი მწვანე ნარგავები მიუხედავად იმისა, ხეხილია იგი, ტეკნიკური თუ დეკორაციული, საერთოა, გისსაზღვრული სარგებლობისა თუ იზრდება ინდივიდუალურ ნაკვეთზე, წარმოადგენს ქალაქის მწვანე ფონდს და არაგის არა აქვს უფლება თვითნებურად მოჭრას იგი.

მიუხედავად ამისა, ქალაქის თითქმის ყველა რაიონში არის უამრავი შემთხვევა ნარგავებისადმი უსულგულო დამოკიდებულებისა, მაგალითად, დიდხნიერ ხეებზე აკედებენ ლურსმანს, რკინის კიბესა და სამაგრებს სარეკლისა თუ ლამპიონებისათვის, უნებათვოდ აკრიან ტატებს, ამაგრებენ ელეკტრონოსის ბოძებს, ბევრ ადგილას ხე მომწყდეულია ავეაში, მიდგმულია ფარდულები და სხვა.

ასეთი შემთხვევები გიციერით ნაკლები იქნებოდა, რომ რაიონის სანინო სამმართველოს ბოლოს მუშაკები, სახლმმართველობები, „ბეჭედ-ბის მეგობრის“ რაინის აკრონომები, რაიგამმწვანების ინტერორის თანამშრომლები სისტემატურ ახსნა-განმარტებით და პროფილაქტიკურ მუშაობას ეწევიდნენ მოსახლეობაში, ქმედით კონტროლს ახორციელებდნენ, გადამჭრელ ზომებს იღებდნენ თვითნებობისა და სხვა დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

1958 წლის მწვანე ნარგავების ინვენტარიზაციით, რომელიც ქალაქის საბჭოს ტექნიკური აღრიცხვის ბიურომ ჩაატარა, ერთ სულზე მოდიოდა 5,5 კვ. მეტრი მწვანე ფართობი, ისიც გაპირეკეთით. რადგან შეტანილი იყო მთაწმინდის პარკი 200 ჰექტარი (ახლა 116 ჰა) და ეკიპ პარკის ფართობი 195 ჰექტარი. ეს პარკები კი დღესაც არ არიან ამ ფართობისა, რადგან კულტურისა და დასვენების პარკი ეწოდება ისეთ მწვანე მასივს, სადაც დამთავრებულია კეთილმოწყობის სამუშაოები და ტარდება კულტურულ საგანმანათლებლო ან სპორტული ღონისძიებები. გამარჯვების კულტურისა და დასვენების (ყოფ. ვაკის) პარკში კი მხოლოდ წინა — ვაკე ნაწილია კეთილმოწყობილი; რაც შეეხება—ბლატის, იქ არც გზები, ბილიკები, მოედანი, სკამი ან სასმელი წყალიც კი არ არის. ასევეა სტალინის სახ. კულტურისა და დასვენების (მთაწმინდაზე) პარკის განაპირა უბნები. ასეთი ფართობი კი კლასიფიკაციით არ იანგარიშება ერთ სულ მოსახლეზე. ამას გარდა, ცნობილია, რომ 2500 კვ. მეტრზე ნაკლები ფართობის სკვერი საერთო სარგებლობის ნარგავებში არ იანგარიშება (არ შედის). დღეს კი ზოგიერთი გამწვანების ინტერორ ან წარმოება-დაწესებულება მეორე ზომის გზაზეებსაც კი თვლის სკვერებად, რაც, ცხადია, ხელოვნურად გაზრდის ქალაქის საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავებს.

ქ. თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გეგმით (1968-2000 წ. წიგნი II) ერთ სულზე 1969 წლისათვის მოდის 6,14 კვ. მეტრი (რატომღაც გამწვანების პერსპექტიული გეგმებსა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული).

ახლა თვითეულ მოქალაქეს შეუძლია იკითხოს, საიდან ვაიზარდა ეს ციფრები (5-6 კვ. მეტრიდან 13 კვადრ. მეტრამდე), როდესაც ქალაქის მოსახლეობის საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო უკანასკნელი 4-10 წლის განმავლობაში არც ერთი პარკი (5 ჰას ზევით), ბაღი (2-5 ჰა), ან ბულვარი შემატებია. რით შეგვიძლია ვიამაყოთ? თუ არ ვიანგარიშებთ თბილისის ზღვის (ჯერ კიდევ გარეუბანს) კულტურისა

ირაკლი ჩამლაძე
დედაქალაქის სილამაზისათვის

და დასვენების პარკს. რომელიც არც დასრულებულია და არც კეთილმწყობილი.

როგორ შეიძლება ქალაქ თბილისს შუა ნაწილში საერთო სარგებლობის ნარგაგების გაფართოება? უნდა აიკრძალოს 1-2 სართულიანი სახლების ადგილს „ცოცხმბჯენების" აგება და დაეთმის გამწვანების. ასეთი ადგილები ქალაქში უამრავია.

10-20 წლის წინათ თბილისის ზღვის მიდამოებში ერთ ძრ ხესაც ვერ ნახავდით. ახლა კი „ტურფა სანადნარია" შმრომელთა მარჯვენით რომ დაიჩგა ათასობით ხე და ბუჩქი, ნაკონლისგან არის გაკორტნილი.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი და ქ. რუსთაველის პარკში ახლაც ხშირი შემთხვევაა მეზობებთა მიერ სანონლის შერეკვისა.

ჩვენი ქალაქების გასამშვენებლად ყოველწლიურად მნიშვნელოვანი თანხები გამოიყოფა, მაგრამ მწვანე მშენებლობა მაინც საგრძნობლად ჩამორჩება ქალაქის მშენებლობისა და მეურნეობის სხვა დარგების განვითარების ტემპებს.

ჩვენი მწვანე ნარგავები რომ გადაიქცეს საბალო ხელოვნების ნაწარმოებად, საჭიროა საეკალილანდები. დღეს ზოგიერთი საპროექტო ორგანიზაცია უშვებს გრაფიკულად და მხატვრულად ლამაზად გაფორმებულ გამწვანების პროექტებს, ხოლო მისი ფიტოცენოლოგიური ნაწილი ხშირად სუსტია. ისევე როგორც დღეს—ტექნიკურად მაღალ დონეზე აგებულ რესტორან „არაგვს", სამწუხაროდ, არ შეედრება უნიკალისტტების ახალი კორპუსი, ან საკავშირო ტექნიკური ესთეტიკის კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა, ასევე ზოგიერთი ჩვენი ახალი ბაღი და პარკი არ შეედრება წინანდლის პარკს. სამართლიანად აღინიშნება შარშან დედაქალაქის მთავარი მხატვარი ოთარ ლეონიძეშვილი, რომ „ჩვენ ბაღ-პარკებს შემოქმედის ხელი აკლია, არ იკრძნობა დიდი მხატვრის მინაბაზრა".

ლანდშაფტური ხუროთმოძღვრება (დეკორატიული მეგბალეობა) მხატვრული შემოქმედების ფრიად მნიშვნელოვანი დარგია და ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით მოელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. იგი ე. წ. გამოყენებითი ხელოვნების სფეროს მიეკუთვნება და ამაევ დროს ბიოლოგიურ და ბევრ სხვა მეცნიერებაზეა დაფუძნებული.

თბილისის კომპეტენტური გენაშენიანება — და მწვანე მშენებლობის სამეშოები იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ შრომელთა ყოველ საცხოვრებელს ჭკნნლის ზმის, სივრცის, სუფთა ჰაერისა და მწვანე ნარგავთა მაქსიმუმი.

სასოვრველია, ქალაქის მოსაფლტებელ არა საპარადო მოედნებზე წყლის სარეს, მუდამ მჩქეფარე შადრევნებისა და ხატოვანი ბარტერების მოწყობა. რაც მეტი ეფექტურ ელფერს მისცემს ჩვენს ქალაქს. ამავე დროს ხელს შეუწყობს ჰაეროვ ბალნეოლოგიას მეხუნვარე მზიან დღეებში.

სამწუხაროდ, თბილისის ბევრი ახლად აგებული და ძველი შადრევნებიც ზაფხულში უმოქმედოთაა.

თითქოს ფერხული ჩაუბამთო, ისე არიან შემოხვეულნი ბნაბეველები პუშკინის სკვერის შადრევანს, ათასში ერთხელ ჰეიზრივით რომ სჩქეფს.

თანამედროვე გამწვანების დამახასიათებელი ნიშანია ლაკონურობა და სისადავე. ამასთან, პეიზაჟური სტილის ბაღ-პარკების მშენებლობა უფრო იაფი ჯდება. რეგულარული კი ეწვევა მიწის ბევრ სამუშაოებს, მეტ ხარჯებს. ჩვენ მოგვრიან რელიეფსაც უფრო მეტიც უნდა ამშვენებდეს პეიზაჟური ბაღ-პარკები.

უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო ინსტანციებში რატომღაც არ ხდება გამწვანების პროექტების წინასწარი ექსპერტიზა-განხილვა (სასურველია საკრიდაც) და დამტკიცება. უფრო ამით აიხსნება ის მოგმიმარეობა, რომ ზოგიერთი საპროექტო ორგანიზაცია ხშირად უშვებს გამწვანების არასრულფასოვან პროექტს. გეხადება კომპეტენციურად არა სანიტარიული, ტექნიკური პირობების, ნორმებისა და ფიტოცენოლოგიურ მოკეემულობასთა გათვალისწინების გარეშე ფორმალურად გაფორმებული პროექტები.

ხშირად ახალ საცხოვრებელ მასივებთან გამწვანება დაბალხარისხოვანია, ხოლო მათი ნაბარები ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მწვანე მშენებლობა, დამპროექტებლებმა ზუსტად უნდა იცოდნენ ხელოვნურ ცენობაში სხვადასხვა ჯიშთა კეთილსასურველი და არასასიამოვნო შეხამება, მათ შორის ოპტიმალური მანძილები და სხვა.

სპპარკო კომპოზიცია უნდა აიგოს თანამედროვე ცოდნის ფონეზე, ჩვენი ეპოქის ადამიანების გემოვნების შესაბამისად, ეკონომიკისა და ტექნიკის ფართო გამოყენების შესაძლებლობით.

ფიტოპროექტი (რომლის ნაწილი დენდროლოგიური პროექტი) დაფუძნებული უნდა იყოს სპპარკო კომპოზიციის პროფესიებზე: აქ მთავარია სარგავი მასალის კომპოზიცია — მეცნიერეთა შერჩეგა და მათი მხატვრული განლაგება; ბეჩსპეტრიის კანონების დაცვა, რიტმი, მასშტაბი, კონტრასტი, ფერი, წონასწორობა, შეერთდილები და სხვა.

დიდ ბალებსა და პარკებს უნდა ჰაეოდეს ლანდშაფტის არქიტექტორები, მხატვარ-მეგბალეები, რომელთაც კეცნოველეეთია; და მამულმფლეველთ უნდა გული შესტკიოდეს თვითეულ ყვავილზე, ბალახზე, ხეზე. პარკებში ყველა სამუშაო უნდა მიმდინარეობდეს ხელოვ-

ნების მაღალ დონეზე. ამის კი საჭიროება მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც კარგად ერკვევიან საპარო პრობლემების ყოველ კომპლექსში.

სამი წლის წინათ „ოზეფსტაიში“ იყო აღნიშნული, რომ მეხუთეშენი გახსნილიყო გამწვანების ტაქნიკუმი. ორანდერეების უბალლო ოსტატი მიბეიდ მამეულიანი ამბობდა, მებოდეკორატორები უნდა მომზადდეს უმაღლეს სასწავლებლის არა პირველ ეტაპისიდან, არამედ საბავშვო ბაღშივე უნდა ჩაუნერგო ყმაწვილს ბუნებისა და ყვავილების სიყვარულიო. იგი დიდი მომხრე იყო საბალოსნო სკოლის გახსნისა.

ძველი სპეციალისტები თანდათან მიდიან, ღირსეულ შემცვლელად კი ჯერ პირი არ ეუნახს. მით უმეტეს, „მწვანე მშენებლების ოლორკე ცალკე ფაკულტეტი ლენინგრადში, მოსკოვში, კიევსა და სოხუმში რამდენიმე წლის წინათ გაუქმდა.

მწვანე მშენებლობის დარგში სამეცნიერო დაწესებულებების და საწარმოო ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციისათვის საჭიროდ იქნებოდა რესპუბლიკის მასშტაბით შექმნილიყო მწვანე მშენებლობის ერთიანი ორგანიზაციული და მეთოდური ცენტრი, რომელიც უხელმძღვანელებდა დეკორაციულ ნარგავთა დაბრეკტებას, პროექტების დამტკიცებას, დაფინანსებას, მშენებლობას, ზედამხედველობას მათ განთავსებაზე. აგრეთვე მათ მოვლასა და დაცვას, რაც ამჟამად სხვადასხვა ორგანიზაციების ხელშია.

საქართველოში გამწვანების საკითხებზე სამეცნიერო მუშაობას ეწევა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი, საქართველოს პოლტექნიკური ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია, თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ბაკურიანის ბოტანიკური ბაღები, ბოტანიკის ინსტიტუტი, დიდი ჯიხაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და სხვ.

სამეცნიერო დაწესებულებების ვალია, თემატური გეგმის დამუშავებისას გაეცნონ იმას, თუ რა მეცნიერული საკითხების გადაჭრა აინტერესებთ პირველ რიგში გამწვანების დაწესებულებების მუშაკებს.

სამწუხაროდ, ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა უმრავლესობას არ შეუძლია განიხილოს მათ მიერ დამუშავებული რომელი კონკრეტული აგრონუსი ან მეთოდი დადო სოფლისა ამა თუ იმ სამრეწველო სნერგეს, საყვავილე მეურნეობას.

ეს ფაქტები მეტყველებენ პრაქტიკისგან მეცნიერების მოწყვეტაზე.

ქალაქების, სოფლებისა და დასახლებული ადგილების მერქნიან, საყვავილე დეკორაციულ ფლორის გამდიდრებაში უაღრესად დიდი როლი ბოტანიკურ ბაღებს მიეკუთვნება. გამწვანების მეურნეობის, სპეციალური ორგანიზაციების, მუშაკების, ბოტანიკურ ბაღის და გამწვანებით დაინტერესებული ინსტიტუტების მუშაკთა მეცდონო კავშირი კიდევ უფრო მეტად გაალამაზებს ჩვენს ქალაქებს და დასახლებულ ადგილებს, ყვავილნარებით დამშვენებს ბაღ-პარკებს, ქუჩისა და ეიენების, შექმნის მეცნიერთა ახალი ასორტიმენტით მდიდარ ლანდშაფტებს. ხშირად გაზადაფლა და შემოდგომაზე ტყის ფლეებში ერთი ძირი ხის დაგრეკა ზარ-ზეიმით და განგაშით ეხედებინო, ზოგიერთი მოქალაქის ეუფლაურული მოქმედებანი კი ბევრი მეცნარე იღუპება. ამის ხშირად უყურადღებოდ ვტოვებთ.

* როგორც ცნობილია, ნიბაყოფლობითი საზოგადოება „ბუნების მეგობარი“ მიზნად ისახავს ბუნებრეგოს საბჭოთა მოქალაქეებს მისი უანგარო მეგობრის მწვანე ნარავეებისადმი სიყვარული, ფრთხილი და სათუთი მოპყრობა და მათი მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

ვისაც მეცნარე არ უყვარს, ამას არც სამშობლო უყვარს, არ ბუნებას თავისი შვილების ჯანსაღსა და ლამაზ მომავალზე.

თბილისელებს უყვართ თავიანთი ქალაქი და ხშირად კი ჩვენი სიყვარული დედაქალაქის მიმართ ეროვნი მაღალფარდოვანნი სიტყვებით გამოიხატება, ალბადებდა კი ეს სიყვარული საქმით გვეჩვენებინა. მაქულიშვილთა ის არის, ვისაც ეგ დაურგავს, ყვავილი უხარია, ეი ეს უფრო ლამაზსა და კეთილმოწყობილს ბანდის ჩვენს დედაქალაქს.

თბილისში მილოონობით ხე და ბუჩქი დარგული, საცხოვრებელ მასივებსა და ეზოებში ხეები ზოგჯერ უყურადღებოდ არის მიტოვებული. არის შემთხვევები, როდესაც გამწვანების მეურნეობის ტრაქტორ და გამწვანების კანტორებს, რომელთაც ისედაც მცირე აფრობენსონალი ჰყავთ, მუშა-ხელს სთხოვენ, რომ ეზოში ხეს ან ბუჩქს ძირი შემოუბარონ, ერთი ვედრო წყალი დაუსხან. თბილისის მწვანე ნარგავების მოსავლელად ერთნაირად უნდა დაირაზმოს ყველა მოქალაქე. ქუჩის ნარგავთა მოვლა-პატრონობაზე შეეფინა უნდა აიღონ მაღაზიებმა, საწარმოო-დაწესებულებებმა, ფეხით მობინადრეებმა.

ახალ გამენებულ სახლებში აიკაზნე გამაროული სპეციალური საყვავილე გეგეები წლობით ცალიერი და მათ გამწვანებაზე არ ფიქრობენ არც მობინადრეები და არც სახლმპრავლები.

სამწუხაროდ, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთი უღირსი ქცევით ჩირქსა ხეებზე

ირაკლი ხმალაძე
დედაქალაქის სილამაზისათვის

ბენ ჩვენი ქალაქის კარგ სახელს, თავს ნებას აძლევენ დაარღვიონ საზოგადოებრივი წესრიგი. წაიხდინონ ხალხის ქონება და ამით, რაც მთავარია, მოაქვთ აუტანელი მორალური ზიანი, რაც შეურაცხყოფს ადამიანთა საუკეთესო კრძნობებს.

თუ შენ ნამდვილი თბილისელი, ჭეშმარიტი მამულიშვილი ხარ, ამ ფიქრებით, ამ დევიზით უნდა ცხოვრობდე.

უპროელტლოდ ან შაბათობებზე დარგული ხე რამდენიმე წლის შემდეგ ჩრდილებს, ამბელებს შენობათა ფანჯრებს, ანაგვიანებენ სახურავებს, ხერგავს შუქნიშნებს, გზის მაჩვენებლებს, ბანიანს ელექტრო და სატელეფონო საპარო ბაზებს, რაც იწვევს საჩიენებს, ხეების გადაბელვას, დამახინჯებას, ზოგჯერ ძირიანად მათ ამოძირკვას და ა. შ.

ქართველი კაცის გემოვნებას, ხასიათსა და ბუნებას ისე მკვეთრად არაფერი არ გამოხატავს, როგორც მისი კარმიდამო. თბილისში ზოგი მობინადრე ქათმებს, ცხვარს, გუნებსაც თავისუფლად აძოვებს საცხოვრებელი მასივების გამწვანებულ ნარგავებში, ან საკორწილო და საქელეხოდ შომზადებულ ძროხასა და ღორკეულს თვეობითაც ინახავს.

მეტეხის შიშველი კლდეების გამწვანების იაფი და ადვილი საშუალებაა კლდის თავზე წვრილი, დაჩეტრილი სარწყავი მაღლის გაკვანა, საიდანაც წყლის წვეთები დაეშვება კლდეზე. სველ ვერტიკალურ 1-2 თვეში ბუნებრივად დასახლდება მოცარები და ხავსები. შემდეგში კი შიგ ჩასახლდება მრავალნაირი ბალახოვანი და მერქნიანი მცენარე. როგორც ეს ბარათაშვილს და სხვა კლდეებზეა. ამის შესახებ ჩვენი წინაადგილა ათი წლის წინათ გადავეცით ქალაქის საბჭოს კეთილმოწყობის განყოფილებას — მოიწონეს კიდეც, მაგრამ მის განხორციელებას არ დადგა საშეელი.

როგორც მეხილობაში, ისე დეკორაციულ მებალეობაში მიღებულია, რომ ფოთოლქცევნი ხეების დარგვისას ვარკის ტატები უნდა შეცირდეს, რათა წონასწორობა დამყარდეს შეცირებულ ფესვთა სისტემასა და ვარკს შორის, ამით უმჯობესდება კვების პროცესები და მეორედან სავეგეტაციო პერიოდში აორთქლება. თბილისში ხშირად რგავენ ვაკრებს, მეჩხს ან სხვა მეზრდილ ნერგს და ტატებს კი არ უკვეცავენ (უთუოდ იმ „ეროვნებითი“ მიზნით, რომ პირველ წელს ახალ დარგულ ხეს ბევრი ტატი და ფოთლები ჰქონდეს), რის გამოც შემდეგ წლებში ისინი ხუსტ ნაზარდს, წვრილ ფოთოლს იძლევიან, ენინდებიან და ზოგი ზმბრა კიდეც. ტატების შეკვეცა არ არის საჭირო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაერგავთ გაცილებით დიდი ფესვთა სისტემით ან მეზრდილი ბუნება მიწით და თუ გავაუმჯობესებენ ფესვთა სისტემის კვებას.

ნაკლები ყურადღება ექცევა მწვანე ნარგავების ყოველდღიურ მოვლა-პატრონობას. ბაღლეთათვდ, თუ ბაღ-პარკების და ეკონომიკურ-თვალსაჩინო ადგილებში გაზონები და ბაღ-ბაღები, რაც ეფერ ნარგავები ერგვადა მოვლილი, განსაპირა ადგილებში მათი მოვლის საკითხი ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე.

ცუდი მოვლის ან მექანიკური დაზიანების გამო ბუჩქი, რომლის სიცოცხლის ხანგრძლივობა 30-50 წლიან განისაზღვრება, ახლა 5-10 წელსაც ვერ ძლებს.

ბქმიერად ნარგავი მცენარეების გამოშირვით შეიძლება დამატებითი სარგავი მასალის მიღებაც. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში 30 წლის წინათ ხშირ ნარგავებში მოკეთელი იყო ოშვიათი ეგზოტიკური კანადური ცრუეფეკას 3 ძირი, ცუდი განათვნის გამო დღეს გადარჩა ერთი ძირი. ასევე ბევრი სარგავი მასალა გამოვიდოდა ვაკის, კიკვიძის და სხვა ბაღებიდან, იდრეკე რომ გამოვვეგზშირა.

ბუნებისადმი ბარბაროსული დამოკიდებულების გამოვლინებაა — როდესაც მოსწავლე ბიღნი ან ქუჩის გაზონებში ყვავილებს, ყვავილს, წარწერებით ასახჩირებს ხეს, ყვავილასავით გადატეხს. ახალგაზრდა ნერგს, როდესაც ძმღილი მაღვანით ამიანებს ხეს ან როდესაც ბშენებლობის ადგილ და ფიცარს აყრიან მეენარეებს და დაუფიქრებლად სპობენ მას. სამწუხაროა, მაგრამ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და სატყეო კომიტეტს წინ გაზონები ფეხოთა დატკეპნილი და ქალაქში სხვეანაც ბევრ ადგილს დაბილიკებული მწვანე მოლი.

ბუნებრივი სომდიდრისადმი ასეთი დაუდეგარი, უმსგავსო მოქმედების მხოლოდ ადმინისტრატიული წესით აღკვეთა შეუძლებელია. ნარგავებს სპობს და ანიანებს ის კაცი, რომელსაც ბაგშვობიდანვე არ ჰქონდა ჩანერგილი სასარგებლო მცენარეებისადმი სიყვარული, ადამიანის შრომისადმი პატივისცემა.

ჩვენი ბაღ-პარკების ტერიტორიაზე უნდა აიკრძალოს ყოველგვარი ბაზრობა და სავაჭრო წერტილის მოწყობა. მწვანე ნარგავთა მოვლისა და დაცვის მიზნით, პარკებში სისტემატურად უნდა ტარდებოდეს ნარგავთა ინვენტარიზაცია. როგორც ცნობილია, დამტკიცებული ნორმატივებით I ჯგუფის დეკორაციულ ნარგავთა მოვლაზე უნდა მუშაობდეს 0,7-2,0 მუშა. სამწუხაროდ, ჩვენს გამწვანების მეურნეობებს არა ქყავთ მუშა-ხელის ეს რაოდენობა, რაც საგრძნობლად მოქმედებს ნარგავთა მოვლა-დაცვაზე.

დღეს ადამიანს ყოველდღიურ შემოქმედებითს შრომაში, სულიერი ცხოვრების სილამაზე ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ესთეტიკურ აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ქალქის სილამაზე, მისი კეთილმწყობის და მშრომელთა ცხოვრების შედარებით ჯანსაღი პირობების შექმნის მაღალი დონე მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მოხერხებულად და მოხდენილადაა იგი გამწვანებული.

ჩვენი ქალაქებისა თუ სოფლების კეთილმწყობის ლოხისიდებათა კომპლექსში განსაკუთრებულ როლს ასრულებს დეკორაციული მუქაღე ნარგავები და ყვავილები, რაც ამავე დროს, ჩვენი ქალაქის არქიტექტურული ანსამბლის განეკოფილ ნაწილს წარმოადგენს.

ესთეტიკურ მხიშვნელობასთან ერთად დეკორაციული ნარგავები ადამიანის გამაჯანსაღებელი საშუალებაა; იგი სისუფთავისა და სიგრილის უმრტი წყაროა.

ყოველწლიურად იზრდება პარკების, ბაღების და სკვერების ქსელი, უმჯობესდება როგორც მათი მატერულ-არქიტექტურული გაფორმება, ისე გაზონების ხატოვან-ხალიჩოვანი ვარდ-ყვავილხარეთა მორთვა, რაც ადამიანების სიყვარულსა და მოწონებას იმსახურებს.

იშვიათია საგანი, რომელსაც ძალუძს იმდენი ემოცია და კეთილშობილი გრძნობა გამოიწვიოს, რასაც იწვევს ცოცხალი ბუნება, თუნდაც ყვავილის პატარა თაიგულიც-კი, რაც დიდსა თუ პატარას ერთნაირად უყვარს.

ყველა საწარმოო-დაწესებულების შენობა, საცხოვრებელი სახლის აივნები და ფანჯრები ოთახის ყვავილებია და ხვიარა მცენარეებით რომ მოვრთოთ, ისინი საოცარ მიმზიდველობას შემატებენ თბილისის ქუჩებსა და პროსპექტებს.

გამწვანების ყველაზე ლამაზი, მაგრამ ყველაზე ძვირი ელემენტია საყვავილე გაფორმება. ამასთან დაკავშირებით, ყვავილნარები უნდა მოეწყოს ისეთ ადგილებში, სადაც მთელი წლის განმავლობაში იგრძნობა მაქსიმალური დეკორაციული ეფექტი.

ჩვენში მოიპოვება ელეურ მცენარეთა სინტერესო სახეობები, რომელთა გამოყენება სამრეწველო და დეკორაციულ მეყვავილეობაში შეიძლება შერჩევისა და პიბრიდიზაციის გზით.

1914 წელს გერმანელებმა კინაღამ მოსპეს და გაზიდეს ქართული ზამბახი, რომლის ბადალი სილამაზით აუოტერაში არ მოიპოვება. 1958 წელს მოსკოვში ყვავილების პიროელ საკავშირო გამოფენაზე, თბილისის სტენდზე ქართული ზამბახი საერთო აღფრთოვანებას იწვევდა მოსკოველთა, დემოკრატიული ქვეყანებისა და პრიალრიცოფან უცხოელ მნახველთა შორის. საათობით თვალს ვერ აშორებდნენ ჩვენი ბუნების ამ უცნაურ და უოლამზეს ქმნილებას.

უცხოელებმა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში და შემდგომაც გაზიდეს სხვადასხვა დეკორაციულ მცენარეთა უამრავი თესლი, ბოლქვი და ნერგი, რაც უცხოეთის ბოტანიკურ ბაღებსა და საყვავილე ფერმების (ინგლისში, საფრანგეთის, ბელგიის და სხვ). კატალოგებში დღესაც „პირველ ხარისხოვან სიახლეს" წარმოადგენს.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები კერძო მეყვავილეები რომ უმოწყალოდ **გლეჯენ ტყისა** და ველის შესანშნავ **ფლორას; ხმალას, უცენას,** შროშანას, ქართველ **ზამბახს,** ყინჩიანდებს, **რომელსაც** მამასისხლად ყიდიან ხოლმე **ბაზრებსა** და ქუჩებში.

ბუნება ისწორი არ არის, საიდანაც **მარტო გამოზიდავენ,** მას დაცვა და **შემატებაც სჭირდება.**

მართალია, ბოლო ხანებში ჩვენთან საგრძნობლად გაფართოდა ორანჟერეების ფართობი, მაგრამ პროდუქციის მოსავლიანობა წლის ყველ დროს ვერ კვაფრატულ მეტრ სტელაჟიდან ჯერ კიდევ მეტად დაბალია, რაც გამოწვეულია იმითაც, რომ ორანჟერეებში ყვავილგან არ არის მოწყობილი კონფიციოსური, ატომატური ვენტილაცია, არაფესეური ქვება, **არა აქვთ** მაცივრები, დამატებითი განათება, **რწყვის** ატომატური რეგულირება, ჰაერის ტენიანობის, სითბოსი და სხვ.

თბილისის განაპირა უბნებში ძლიერ მომრავლდა ინდივიდუალური ორანჟერეები, სადაც დიდი რაოდენობით გამოპყავთ ადრეული და საგვიანო ჯიშები: მიხაკი, ვარდი, ქრიზანთემა, ბოსტნეული ჩითილებიც და ჩვენი ბაზრები სავსეა ყვავილებით. სასურველია მათი მომრავლება, ამასთან, კარგი იქნებოდა მათი პროდუქცია საყვავილე მაღაზიებში იყიდებოდეს.

თუ გაფართოდება ორანჟერეების ფართობი, სამაგიეროდ ძლიერ შემცირდა დიდნის საბაზისო დეკორაციული სანერგე, საიდანაც მუდამ საუკეთესო ნიადაგბრივ პირობების გამო მუდამ გამოდიოდა იაფი და მაღალხარისხოვანი სარგავი მასალა. ახლა თბილისელები ნერგებს ეძებენ რისტოვის, ნალნიკის და ზაკი ზღვის სანაპიროს ყველი ქალაქში.

დიდმა სანერგის ფართობის შემცირებ: კატეგორიულად უნდა შეწყდეს.

საქართველოში არ გამოპყავთ საგაზონე ბალახის თესლი, იგი რუსეთიდან ან პოლონეთიდან შემოდის, არც საკორიდ მასალის მისაღები და მაღალტანიანი ხეების ნერგების ნაკვეთები გაარნა ქალაქის გამწვანების მეთოდნობებს.

საჭიროა შეიქმნას ერთიანი ცენტრი, რომელიც მთელს რესპუბლიკაში უხელმძღვანელებდა კულტურისა და დასვენების პარკებს მუშაობას, რადგან კულტურის სამინისტროს არა

ირაკლი ხგალაძე
დედაქალაქის სილამაზისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს მერქნიანთა სარგავი მასალის, სანერგეები, სასუქები. მექანიზმები და, რაც მთავარია, ყველგან არა ჰყავთ კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც პარკის ადგილობრივნალს გაუწევდნენ კონსულტაციებს და კვალიფიციურ ტექნიკურ ხელმძღვანელობას. ამასთან, პარკებში არ არის საჭირო კულტურულ-საგანმანათლებლო ნაგებობებით გადატვირთვა, ვინაიდან ხშირად ბაღისა თუ სკვერის მცირე ფართობი ვერ იტევს მოზღვავებულ მაყურებელს, და ამის გამო ზიანდება გაზონები, და მერქნიანები. პირიქით, დღეს ჩვენს პარკებში ყველაზე კარგი ღონისძიება იქნებოდა „ბრძოლა სიწყნარისათვის“ — უხილავი მტრის — ხმაურის წინააღმდეგ.

გასული საუკუნის ბოლოს დიდმა მეცნიერმა რობერტ კოხმა თქვა: „ოდესმე კაცობრიობა იძულებული გახდება ისეთივე გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადოს ხმაურს, როგორც უსწორდებოდა იგი ქოლერასა და შავ ჭირს“. და უკვე დიდი ხანია დადგა ეს დრო, ხმაურს, იმელიც მილიონობით ხალხს ტანჯვის მიზეზად იქცა, მტკიცე, მეგზარი ბრძოლა. [illegible] გამოუცხადოთ.

ხმაური—ზარმოება-დაწესებულებებში, ქუჩაში, ბგერაგამტარ ბინებში იწვევს სმენის დაქვეითებას, წყლულს, ტრამვას, ნაადრევ სიბერეს, ნერვიული სისტემის მოშლას, ფსიქიურ დაავადებას და სხვა.

ჩვენი კულტურისა და დასვენების პარკები გადატვირთულია ხმაურიანი გასართობებითა და სხვა ღონისძიებებით. ახლა, ეფექტობთ, არ არის საჭირო მთელ პარკში განუწყვეტლივ ისმოდეს ძლიერი გამაყრუებელი რადიო-რეპროდუქტორების გადაცემები.

ბაღ-პარკებში, როგორც ბუნების წიაღში, უნდა ვიგრძნოთ მხოლოდ სრული სიჩუმე, სიწყნარე. კინოს, სპექტაკლებს, ლექციებს სამსახურში, ოჯახებშიც ვისმენთ და ვეუცქერით. აქ მაინც დავისვენოთ, ხმაური ჯანმრთელობის უჩინარი მტერია.

ჩვენს ქალაქს შესანიშნავი ბუნებრივი პირობები აქვს, ნამდვილ ბაღნარად თვალწარმტაც წალკოტად რომ იქცეს იგი, საჭიროა გვიყვარდეს მცენარე და ვიცოდეთ მისი ფასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოგუაძე

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ აღზრდის მეთოდის შესახებ

„სიბრძნე სიცრუის“ აღზრდის მეთოდს, ხშირად სპარტანელს უწოდებენ. ჩვენ კი მიგვაჩნია რომ, აღზრდის ეს მეთოდი ყველაზე ნაკლებად ჰგავს სპარტანულს და უახლოესდება აღზრდის იმ წესს, რომელიც ფრიად შექებულია ქსენოფონტს, პეროდოტს, პლატონს, მონტენს, ჰეგელსა და სხვების მიერ. ვიდრე ამ მეთოდს განვიხილავდეთ, მანამდე ვნახოთ, თუ რამ გამოიწვია სპარტანული აღზრდის ასოციაცია.

უფლისწულ ჯუმბერის პერსონალური მასწავლებელი ლეონი ჯუმბერს მრავალ სიძნელეს განაცდევინებს. ლეონმა უფლისწულს ჯერ მერიქოფობა დაანახა, „არც დასვა და არც აუბამ. ფეხზე დგომისაგან – ჯუმბერი ისე დაიქანცა, რომ „ქვე დაეცა და შეწუხდა“. სანადიროდ მიმავალმა, ცხენზე ამხედრებულმა ლეონმა უფლისწული წინ წარიმძღვარა, „მთათა და გოროთა არბენინა“. ლეონმა ჯუმბერი უმიზეზოდაც გარეზგა. ერთი სიტყვით, მისი მიზანი უფლისწულმა იცოდეს ცხოვრების, შრომის ფასი, ე. ი. პრაქტიკული გამოცდილებებით შეიცნოს სიკეთე.*

როგორც ვხედავთ, სულხან-საბა ორბელიანის მიზანია ჯუმბერისთვის სიკეთის ეძებნების აღზრდა, მიზანია სიკეთე. რაც შეეხება წრთობის სიმკაცრეებს, იგი, მართალია, ფიზიკურსაც მოიპართავს, მაგრამ აქ ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობაზე არა ვგიქვს ყურადღება გამახვილებული. აქ უფრო ფიზიკურ-შრომითი წრთობა გვაქვს, განსაკუთებით ათენური ან სპარტანულისაგან. ცნობილია, თუ რა ზიზღით იყვნენ ათენელები და სპარტანელები შრომისადმი გამსჭვალულნი, რადგან შრომა ძველ საბერძნეთში მონების საქმედ იყო მიჩნეული. ათენელი და სპარტანელი, თავისუფალ ადამიანებად წოდებულნი, იწვრთნებოდნენ გიმნასტურად, რომლის მიზანი იყო ათლეტიზმი. თუმცა არისტოტელეს მიაჩნია, რომ ხშირად ეს ათლეტიზმი ამახინჯებდა სხეულს. ლაკედემონელებს, ე. ი. ოფიეე სპარტანელებს, არ მოსწონიათ ასეთი შეცდომა, მაგრამ მათ უარესი მოუვიდათ. ეს მკაცრი სამხედრო ფიზიკური წრთობა, არისტოტელეს თქმით, პირუტყვულ უშიშროებას ანვითარებდა მათში.

სპარტანულ აღზრდას ჰქონდა თავისი ბრწყინვალე ღირსებები. ეს იყო სიმტკიცე, სამშობლოსთვის, სახელმწიფოსთვის ერთგულება, მაგრამ, როგორც ცნობილია, სპარტანულ აღზრდაში უმნიშვნელო ადგილი ეკავა ზნეობრივ აღზრდას.

მართალია, „სიბრძნე სიცრუისაში“ ჯუმბერის სხეულებრივ წრთობაზეცაა ლაპარაკი, მაგრამ ესთეტიკური წრთობა აქ მიზნი არაა. ფიზიკური წრთობა შეიძლება იყოს შრომითი — ფიზიკური პროცესი, რომლის მიზანია არა თვით ფიზიკური შრომა, როგორც ასეთი, არამედ ფიზიკურ-შრომითი ეზიდ სიკეთის პრაქტიკული გაგება. ე. ი. ასეთი წერთნი ეთიკური პრინციპების კუთვნილებაა, რადგან მისი მიზანია ზნეობა, სიკეთე. ფიზიკური წერთნი შეიძლება იყოს სპორტული, გიმნასტური წერთნა, სხვანაირად მას ათლეტიზმსაც უწოდებენ. აქ უკვე ესთეტიკა მატონობს, რადგან ათლეტიზმის მიზანია სხეულის ფიზიკური ძალის სილამაზე. ათლეტიზმი თუ თვითმიზნურია და არ ხელმძ-

ღვანლობს ესთეტიკური პრინციპებით, მაშინ ეს ნიშნავს უხეში ფიზიკური ძალის გამოიშვებას. მხატვრული, გამხსნელური წრთობა, ესთეტიკურად წარმართული ესოტერიზმი დამახასიათებელი იყო ძველი ათენელებისთვის. როგორც ქეკმოთაც ვნახავთ, სპარტანული აღზრდა არც ზნეობრივს განეკუთვნება და არც სპორტულ-ესოტერიკურს ეს არც შრომითი გზით სიკეთის აღზრდა იყო და არც სოლამაზის პრინციპით სხეულის ესოტერიზმის გამოშუშვებას ნიშნავდა. თუმცა ამ უკანასკნელისაგან არც ისე შორს იყო.

მიუხედავად იმისა, რომ სპარტის კანონები დიდი კაცის მიერ, ლიკურგის მიერ იყო შედგენილი, იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ათენის სახელმწიფოს კანონებს. თუკიდიდესთან ათენელები ეუბნებიან სპარტანელებს: „ჩვენს კანონებსა და ზნე-ჩვეულებებს არაფერი აქვს საერთო სხვების კანონებთან და ზნე-ჩვეულებებთან. ამასთან, როდესაც გამოინდებით სახელგარეთ, თქვენ არ იქცევით არც თქვენი კანონებისა და ზნე-ჩვეულებების, და არც ძველ საბერძნეთში მიღებული კანონებისა და ზნე-ჩვეულებების მიხედვით“.[1]

ათენის სახელმწიფო, როგორც ცნობილია, მშვენიერებისთვის არსებობდა, მაშინ როცა სპარტაში აბსტრაქტულ, მკაცრ სათნოებასთან გვაქვს საქმე. პლუტარქედან მოდის ცნობილი ამბავი სპარტანელი ბიჭის ნებისყოფის საარაკო სიმტკიცეზე, რომელსაც მოსასხამის ქვეშ დამალული ჰყავდა მოპარული მელია. მელიამ ბალელებია და ბრუკალებით გამოფატრა მას მუცელი, მაგრამ ბიჭი მანამდე მტკიცედ იყო, ვიდრე არ მოკვდა.

მართლაც, ხშირ შემთხვევაში მომხიბვლელია სპარტანული სიმტკიცე. ჟან-ჟაკ რუსოს, „ემილიში“ სპარტანელი ქალის სიმტკიცის ასეთი მაგალითი მოაქვს. ლაკედემონელმა დედაკაცმა ბრძოლის ველზე ხუთი შვილი გაგზავნა. როდესაც დაბრუნებიდან შეკრიბა მან ამბავი ჯალთხა, შეკრიბა ეუბნება — ხუთნიეე დაიხოცენენო. ვმირი დედა განრისხდა: — უგნურო მონავ, მე ამას როდი ვეკითხები, ვეკითხები, როგორაა ბრძოლის საქმეო, როდესაც ამ ქალმა გიკივ. რომ მისი საშობლო იმარჯვების, სამაღლობელი შესწირა ღმერთს. რა საოცარი დამთხვევაა სანათის სიტყვებთან:

> ეგებ ინებოს ბატონმა,
> გიგმარჯვებიოსთო ტერზედ;
> თუ ამას გავიგონებდი,
> არ ვიტირებდი მკვდრებზედ:
>
> ისევ ნინბ

ამ სახით ინტელექტუალიზმზე არა გვაქვს ჩვენ სპასუალთან ლაპარაკი. „... ვამორკვევენ არ აჯობ აგრეთვე ისიც. — წერს არისტოტელე „პოლიტიკის“ VIII წიგნში, — რაზე ენდა გავამახვილოთ ყურადღება — ინტელექტუალური უნარის თუ ზნეობრივი თავისებურების განვითარებაზე“.[1] „სიბრძნე სიცოცხლისაო“ კი გვაქვს პრაქტიკული სიბრძნის შეძენის უაღრესად საინტერესო სტრათეგიაც, უაღრესად ანგარიშგასაწევი პედაგოგიური თვალსაზრისი მსოფლიო პედაგოგიური აზროვნების მასწავლებელი.

რაც შეეხება პლატონის პედაგოგიურ მოძღვრებას, იგი წარმოადგენს იდეალური სახელმწიფოს და არა რეალური სახელმწიფოს სურათს. პლატონისთვის ადამიანის ღირებულება მის გონიერებაში, ფიქრებთან თანაზიარობის უნარში მდგომარეობს. ამიტომ მისი მიზნია ფილოსოფიური სიბრძნით აღზრდილი ხელმძღვანელი, გამგებელი სახელმწიფოსი. ქვეყანის ფილოსოფოსი უნდა განაგებდეს, რომელმაც იცის ყოველ მოვლენათა არსებითი მხარე, სათნოებათა ფასი. ფიზიკურ-გონებაზეური წრთობის თვალსაზრისით პლატონი სპარტანულისკენ იხრება, მაგრამ მისი აღზრდის პრინციპი ძირითადად ათენურ აღზრდას ეფუძნებოდა. თუმცა პლატონისეული იდეალური აღზრდის პრინციპები ორიგესგან განსხვავდებოდა.

სულხან-საბა ორბელიანის აღზრდის, წვრთნის მეთოდი, თუნდაც ანტიკურ სამყაროში, გაცილებით მეტად შეიძლება დაეუკავშიროთ სხვა მოძღვრებებს, ვიდრე სპარტანელს. ვნახოთ, თუ რომელ მეთოდს უახლოვდება, ჩვენის აზრით, სულხან-საბა ორბელიანის მეთოდი.

ქსენოფონტეს მიხედვით, სხვადასხვა სახელმწიფოში შვილებს შშობლები ზრდიან. როცა შვილები წამოიზრდებიან, ეწევიან დამოუკიდებელ ცხოვრებას. ამის შემდეგ თუ ისინი ჩაიდენენ ქურდობას, მძარცველობას, კანონის მიხედვით ისჯებიან. მაგრამ უფრო ჭკვიანურად მიიჩნია მას სპარსული აღზრდის პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით, ბავშვი ისე უნდა აღიზარდოს, რომ შემდგომში საერთოდ გამოიჩიკოს ნამდვილაზე ლაპარაკი.

„... სპარსული კანონების მიხედვით სიფრთხილე წინასწარაა საჭირო, რომ შემდეგ საზოგადოებაში აღარ იყენენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ექნებათ მიდრეკილება უწესო ღა სამარცხვინო საქმეებისადმი. ამ განწყობიერებას ისინი ბავშვობიდანვე ქმნიან განსაკუთრებული სახით“.[1]

ჰეროდოტე სპარსული აღზრდის შესახებ გვიამბობს: „ბავშვებს ხუთიდან ოც წლამდე ასწავლიან სამ რამეს: ცხენოსნობას, მშვილდოსნობას, სამართლიანობას. ხუთ წლამდე მამას ბავშვს არ უჩვენებენ. ბავშვი ქალებთანაა. ეს ხდება იმიტომ, რომ ბავშვის მეირეწლოვან ასაკში სიკვდილს შემთხვევაში მამას გული არ დასწყვიტოს“.[2]

მიშელ მონტენი წერს: „ქსენოფონტეს მონახსენებიდან „სპარსელების შიერ ბავშვების ბრწყინვალე აღზრდის შესახებ, ჩვენ ვგებულობთ, რომ ისინი ასწავლიდნენ მათ სიკეთეს, მაშინ როცა სხვა ხალხები ასწავლიდნენ ბავშვებს მეცნიერებას. პლატონი ამბობს, სპარსელი მეფეების უფროსი შვილები იზრდებოდნენ შემდეგნაირად: ახალდაბადებულს აძლევდნენ არა ქალებს მოსავლელად, არამედ იმ სამეურნეებს, რომლებიც თავიანთი სიკეთის გამო მეფის ოჯახის კეთილგანწყობილებით სარგებლობდნენ. ისინი თვალყურს ადევნებდნენ იმას, რომ ბავშვის სხეული ყოფილიყო ლამაზი და ჯანმრთელი. რვა წლისას ასწავლიდნენ ცხენოსნობას და ნადირობას. როდესაც მიჰს შეუსრულდებოდა თოთხმეტი წელი, მას გადასცემდნენ სამეთვალყურეოდ ოთხ აღმზრდელს: ყველაზე ბრძენს, ყველაზე სამართლიანს, ყველაზე ზომიერსა და ყველაზე წარჩინებულს მოელს ქვეყანაში“.[3]

კიდევ ერთი ავტორიტეტიც: „სპარსეთში,— წერს ჰეგელი, — ძალიან ზრუნავდნენ პრინციპის, განსაკუთრებით კი ტაბის მემკვიდრის აღზრდაზე. შვილ წლამდე მეფისწულები ქალებთან რჩებოდნენ და არ ეჩვენებოდნენ მეფეთ. შვიდი წლიდან ისინი იწყებოდნენ ნადირობაში, ცხენოსნობაში, მშვილდოსნობაში და სწავლობნენ ეთქვათ სიმართლე. აროს აგრეთვე მოითვლება, რომ პრინციპს ასწავლიდნენ ზოროასტრის მაგიას. ოთხი უკეთილშობილესი სპარსი ზრდიდა პრინცს“.[4]

პედაგოგიკის ისტორიაში არ არსებობს ისეთი პედაგოგიური ხერხი, მეთოდი, რომელსაც

[1] Ксенофонта философа и полководца словного история о старшем Кире, Санктпетербург, 1759 г. стр. 5.

[2] Геродот, История в девяти книгах, Ленинград, 1972 г., стр. 55.

[3] Мишель Монтень. Опыты, III, М.-Л., 1958 г., стр. 181.

[4] Гегель, Философия истории, М.-Л., 1935 г., стр. 178.

ვახტანგ გოგოლაძე

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცოცხლისა“ აღზრდის მეთოდის შესახებ

მსგავსი მონათესაევ მეთოდები არ გააჩნდეთ. სულხან-საბა ორბელიანის აღზრდის მეთოდიც არ არის რაღაც უცნაური, ვერავისთან მისამგვანებელი, მაგრამ იგი უაღრესად ორიგინალურად, მხატვრულად განსახიერებული, თვალსაზრისი, რომელსაც დიდი დარბაისლური ჭკუის ბეჭედი აზის.

სულხან-საბა ორბელიანმა აღზრდის უნივერსალურ ნიშნულებაზე იმდენად გაამახვილა ყურადღება, რომ მას არ დაუსვამს საკითხი აღსაზრდელის ბუნებრივი მონაცემების შესახებ. ამის თაობაზე შემდგომში გვეტყვის აკაკი წერეთელი:

> **მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს,**
> **თუ ბუნებამც არ უშველა.**

რა თქმა უნდა, სულხან-საბა ორბელიანს საკითხის ეს მხარე არ სჭირდებოდა, ეს მისთვის იგულისხმებოდა. თუ აღსაზრდელს ... გორც ირეკვიან, სანამყენე რტო არ გააჩნია, შინ ამაოა ყოველი გარჯა. გენიალური აღსაზრდელი და გენიალური აღმზრდელი — ასეთი თანამოხვევის იდეალურ ფაქტად ისტორია მიჩნევს ალექსანდრე მაკედონელისა და არისტოტელეს მოწაფეობა-მასწავლებლობას.

სულხან-საბა ორბელიანის აღზრდის თვალსაზრისი იმდენად ღრმა და ზოგადკაცობრიულია, რომ დღეს ყოველი პროგრესული ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური თუ წმინდა პედაგოგიური მოძღვრებანი თავიანთ აღმოჩენებად თვლიან იმას, რომ ადამიანი ბუნებრივი არსებაა და მას ბუნებრივი გზით წრთობა სჭირდება. ზრდოვანი წვრთნით ეიგრძნობთ ბუნების ჰულსს, ადამიანის სუფთა გულისცგერას — ასეთია დღეს აღზრდის უმთავრესი პრინციპი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲣᲙᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲬᲘᲚᲔᲑᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲩᲘᲜᲒᲘᲜᲘᲡ ᲐᲘᲝᲛᲐᲢᲕᲘᲡ ᲛᲝᲠᲢᲝᲛᲔᲣᲚᲘ

ბერლინის გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტი“ სისტემატურად აცნობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მკითხველებს საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებს. ამას წინათ ამ გამომცემლობამ დასტამბა ჩინგიზ აიტმატოვის ორტომეული. პირველი ტომში შედადა მწერლის ადრეული მოთხრობები: „ჯამილა“, „პირველი მასწავლებელი“, „აქლემის თვალი“ და სხვა, ავრეთვე ავტობიოგრაფიული ნარკვევი, რომელიც 1971 წელს დაიწერა. მეორე ტომში დაბეჭდილია „მშვიდობით, გულსარა!“, „თეთრი გემი“, ავრეთვე სტატიები ლიტერატურაზე — ეროვნულ ხალხურ ეპოსზე „მანასი“, შექსპირზე, დოსტოევსკიზე, გორკიზე, მუხტარ აუეზოვზე.

ბოლოსიტყვაობაში, რომელიც რედაქტორმა და ორტომეულის შემდგენელმა სლავური ენების ცნობილმა ნცოდნეგმ რალფ შრედერმა დაწერა, ვრცლადაა დახასიათებული ჩინგიზ აიტმატოვი, როგორც „მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსის“ შემოქმედება. კრიტიკოსი გვიჩვენებს, რომ ჩ. აიტმატოვის შემოქმედება, რომელსაც ფესვები ყირგიზეულ ფოლკლორში, ხალხური ეპოსის სიღრმეებში გაუდგამს, ამავე დროს მსოფლიო ლიტერატურის მდიდარ ტრადიციებს ეყრდნობა. აქედან გამომდინარეობს აიტმატოვის თავისებურება, — რეალისტური სინამდვილისა და ფილოსოფიური იგავის ურთიერთ შერწყმისა.

რალფ შრედერი, კერძოდ, „თეთრი გემის“ შესახებ წერს: „ულმობელი რეალიზმი ეხმარება მწერალს გამოამეჯაღნოს რთული კანონზომიერებანი“.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

„ᲢᲣᲒ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲕᲘᲛᲔ“

„ტუგ, სადაც წვიმს“ ინგლისელი მწერალი ქალის ოლივია მენნინგის ახალი რომანია. ეს არის წიგნი დაღლილ, მოუწყობელ ადამიანებზე, რომელთა უწინდელმა ვნებებმა და ღელვამ ადგილი დაუთმო წვრილმან საზრუნავს. ამ ადამიანთა — ჩინოვნიკებისა და მათი ცოლების წრეში მოხვდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი — „უცხოელნი“, როგორც ეძახიან მათ დაბის ძველი მკვიდრნი კეთილგებად დაეოფილი საზოგადოება თავიანი დადგენილი ფასეულობითა და შეხედულებათა იერარქიით. ამ წყვილს მიღებაზე უარს ეუბნება, ყოველმხრივ ავიწროვებს ახალდაქორწინებულთ და ბოლის და ბოლოს მათი ცხოვრება აუტანელი ხდება.

მუდმივ დასაყრდენს მოკლეებული, რწმენადაკარგული ადამიანები — აი ასეთნი არიან ამ რომანის გმირები. „ობსერვერის“ რეცენზენტი ლორნა სეიჯი ოლივია მენნინგს უწოდებს „ნერვიულ, ნატიფ, ფსიქოლოგიურად ინტიმურ მწერალს, რომელსაც უნარი შეუწევს ვირტუოზული სიზუსტითა და რეალისტური სიმართლით გადმოგვცეს სიცოცხლის თანდათანობითი ქრობა. შეიძლება, — წერს ლორნა სეიჯი, — ამიტომ გვიჩვენება ოლივია მენნინგის წიგნში ძალადობა ისეთ საშინელებად, რომ იგი, მწერლის მტკიცებით, ადამიანის ბუნებაშია ჩამალული. ადამიანები ეგუებიან ასეთ ცხოვრებას და მას ნორმალურად მიიჩნევენ“.

ᲯᲝᲜ ᲙᲘᲚᲒᲣᲓᲘ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲗ

ინგლისის სცენის ვეტერანმა ჯონ ჰილგუდმა, რომელსაც წელს 70 წელი უსრულდება, შექსპირის ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ კიდევ ორი როლი მოუმატა. თუმცა ამკამად ლაპარაკია დიდი დრამატურგის არა სცენურ ქმნილებებზე, არამედ თვით პოეტის იერსახეზე. სატელევიზიო სპექტაკლი „ადამიანური საუკუნე“ წარმოადგენს შექსპირის ამავე სახელწოდების კომპოზიციის ახალ რედაქციას, რო-

შელიც ჯერ კიდევ 50-იანი წლების მიწურულში გაახორციელა და დიდი წარმატებით წარმოადგინა არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც. ტელესპექტაკლში, რომელიც შექსპირის სონეტებსა და მისი ამირეების მონოლოგებზეა შედგენილი, ჰიელუფი მაყურებლის წინაშე შექსპირის გრიმით წარსდგება.

სპექტაკლის სატელევიზიო ჩვენება თითქმის დიემოსგა შექსპირის ცხოვრების უკანასკნელ წლებისადმი მიძღვნილი ედვარდ პოდლის პიესის „ბინგოს“ ლონდონური პრემიერან. მთავარ როლში ჯონ ჰილჯუდის გამოსვლამ შეეერად შეუწყო ხელი პიესის წარმატებას, რომელიც ლონდონის პრემიერამდე რამდენიმე თვით ადრე წარმატებით მიდგომდა ერთ-ერთი პროვინციის თეატრში. ბოდლის პიესა, — ალნშნავენ კრიტიკოსები, — არა მარტო მეოგრაფიული ქრონიკაა, არამედ თავისებური პარაბოლაა თემაზე „მხატვარი და საზოგადოება“.

იტალია

კონსტანტინე ფედერის გმირები ეთერში

კონსტანტინე ფედერის რომანში „ქალაქები და წლები“, რომელიც ნახევარ საუკუნის წინათ დაიწერა და ამას წინათ კინოფირზე გადაიღეს ჩვენში (რეჟისორი ა. ზარხი), ტურინის რადიოსტუდიის უურადღება მიიქცია, რეჟისორმა მარჩელო ასტემ შექმნა რადიოსპექტაკლი საბჭოთა მწერლის რომანის მიხედვით. თარგმანისა და კომპოზიციის ავტორებია რობერტო ანტონელი, მარცია უბალდი, მთავარ როლებს ასრულებენ ჯანკარლო ძანეტი და პაოლა გასმანი.

რომანის სიუჟეტური ქარგა შესაძლებლობას იძლევა, როგორც ასტემ გაზეთ „ეპოქ სერას“ კორესპონდენტს გასუუბნდა, მოვუთხროთ მსმენელებს პირველ მსოფლიო ომსა და ოქტომბრის რევოლუციის დროის ადამიანთა ურთიერთობაზე“.

კოლონეთი

კულტურის მოღვაწეებს — სახელმწიფო პრემიები

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 30 წლისთავთან დაკავშირებთან პოლონეთის კულტურის გამორჩენილ მოღვაწეებს მიენიჭათ სახელმწიფო პრემიები. პირველი ხარისხის პრემიები მიიღეს ცნობილმა დირიჟორმა და თანამედროვე პოლონური ლიტერატურის პროპაგანდისტმა ანჯეი მარკოფსკიმ, თეატრალურმა რეჟისორმა კონრად სვინარსკიმ, კინორეჟისორმა ანჯეი ვაიდამ.

მეორე ხარისხის პრემიები მიეკუთვნათ დაწინეულ ოლბრიხსკის — კინოსა და თეატრში მოღვაწეობისა და საშემსრულებლო ოსტატობისათვის, ანჯეი სტრუმილოს ფერწერასა და გრაფიკაში მიღწევებისათვის, გასხაკუთრებით წიგნის ილუსტრაციის საქმეში, სტანისლავ შიშნსკის — წარმატებისათვის სამალეტო ხელოვნებაში.

პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებთან ანჯეი ვაიდამ განაცხადა: „ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ოცწლიანი მოღვაწეობა ... ნოში დაგვირგვინდა ... ხელმწიფოო პრემიით. ოცი წლის წინ მომპარეს სახელმწიფოო პრემია ფილმ „თოთინასთვის“, რომელიც კინოში ჩემი დებიუტი გახლდან. ნიშანდობლივია, რომ ახლანდელი პრემია მომენიჭა პოლონეთის 30 წლის იუბილეთან დაკავშირებით, რადგან ჩემი ბედი სამშობლოს ბედს დავუკავშირე, მან შესაძლებლობა მომცა მეშუშაკა არა მარტო როგორც რეჟისორს. ამავე ეროს პოლონეთის კინემატოგრაფიის ერთ-ერთი სელმძღვანელი ვარ და ვცდილობ ყველაფერი გავაკეთო მშობლიური კინემატოგრაფიის განვითარებისათვის. ომის შემდგომი პოლონეთის კინომრეწველობის ნაციონალიზაცია დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო და ამან საშუალება მისცა პოლონურ კინოს მსოფლიო ბაზარზე გასულიყო. მიმაჩნია, რომ სწორედ ახლა, როცა შედეგებს ვაჯამებთ, ეს გასახსენებელი ამბავია“.

საბჭოთა მაყურებლისათვის კარგად ცნობილმა მსახიობმა დანიელ ოლბრიხსკიმ, რომელმაც თეატრსა და კინოში ნაციონიშნავი სახეები შექმნა რაფალი „ფერფლში“, მეტუევისა „ვილში“, „არეის ხე“, ბენეფსკისა ამავე სახელწოდების სპექტაკლში, ჰამლეტი ნაციონალურ თეატრში და სხვა მრავალი, გაზეთ „ეიჩე ვარშავას“ კორესპონდენტს უთხრა: „ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ასეთი მაღალი ჯილდო სოლიდერი ასაკისა და უდიდესი შემოქმედებისთვის გამოდგილების ადამიანებს ეკუთვნით მხოლოდ, მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალია დროდადრო ძალზე მლლის ზედმეტი სიმუშაო, მაგრამ მე ჯერ ახალგაზრდა ვარ. ჩემთვის სასიხარულოა, რომ სახელმწიფო პრემია მომანიჭეს ისეთ შესანიშნავ ოსტატებთან ერთად, როგორიცაა ვაიდა, სვინარსკი, შომანსკი; ეს პრემია დავიმსახურე კი?"

სახელმწიფო პრემიებით ხელოვნების გამოჩენილ პოლონელ მოღვაწეთა დაჯილდოება პოლონეთის კულტურის ნამდვილ ზეიმად იქცა.

უნგრეთი

„ეს სახე ჩემთვისაა შექმნილი"

კოშუტის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ტიბორ დერის ოქტომბერში 80 წელი შესრულდა. თანამედროვე უნგრეთში მისი წიგნები უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და წარმატებით გადაქცეულ ეკრანზე. ასე მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა მუშაობა სატელევიზიო მონოდრამაზე „ჩემი საყვარელი მამამთილი" ტიბორ დერის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით.

სიუჟეტი მარტივია: მამა ხედავს, როგორ ვეჯაჭვდება მისი ვაჟი, თვითონ კი როგორ ბერდება, მას სიბერის ეშინია და სკეპტიციზმის ნიღაბს იკეთებს, მაგრამ შრომა (დრამის გმირი მწერალია) ეხმარება გადალახოს სულიერი კრიზისი.

კოშუტის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ანტალ პაგერი ეურნალ „ფილმ, სინხაზ, მიუეკას" ფურცლებზე აღნიშნავდა: „ტიბორ დერი, რომელსაც პირადად არც კი ვიცნობ, ალბათ, ვერც იფიქრებდა, რომ საყვარელი მამამთილის სახე ზუსტად ჩემთვისაა შექმნილი, როგორც მისი კმირი, მეც 76 წლისა ვარ, მეც ვფიქრობ ცხოვრების აზრზე, შეიქმედების უდიდეს გამოსახლაგაზრდავებელ ძალაზე. სცენაზე თამაშიც ხომ მხოლოდ ამ ძალისადმი რწმენით თუ შეიძლება".

ბარნა კაბი — სცენარისა და მონოდრამის ავტორი დასძენს: „ტიბორ დერის მოთხრობა „ჩემი საყვარელი მამამთილი" მომაჩნია თანამედროვე უნგრული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნაწარმოებად, ხოლო ანტალ პაგერმა, რომელიც ალერ 50 წელზე მეტია გამოდის სცენაზე, შეძლო მთელი სიმართლით განესახიერებინა ამ ბრძნული, ფილოსოფიური მოთხრობის მთავარი გმირის სახე.

დერის წიგნებს სხვა რეჟისორებიც ჰკიდებენ ხელს: ტელევიზია იღებს რვასერიან ფილმს მისი რომანის „პასუხის" მიხედვით, ხოლო სტუდია „მაფილმი" დგამს რომანს „დაუმთავრებელ ფრაზას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ციხპრის“ 1974 წლის ნომრების შინაარსი

რომანი, მოთხრობა, ნოველა, თარგმანი

ავალიშვილი მანანა — მოთხრობები, № 10.
ალაიშვილი კიმი — გედის სიმღერა (მოთხრობა), № 10.
ამირეჯანი ჯაბუა — დათა თუთაშხია. წიგნი მეორე (რომანი), № 11, 12.
ბარათელი ლერი — გრძელი გზა (ლაშნიკი), № 7.
ბეჟანიშვილი როსტომ — მოთხრობები, № 6.
გალდადავიკ ავთანდილ — უნდოლობა (მოთხრობა), № 8.
გოგოლაძე თენგიზ — ნათლია (მოთხრობა), № 1.
გოეთე ვოლფგანგ — ფილოსოფიური ლირიკიდან. თარგმანი და კომენტარი **ოთარ ჯანარიასი**, № 9.
დავლიანიძე ჯემალ — მოთხრობები (ლაშნიკი), № 7.
დემურხანიშვილი სოლომონ — სვედის ბაღი (მოთხრობა), № 1.
დუმბაძე ნოდარ — უმადური (მოთხრობა), № 3.
დოლიძე მამუკა — მოლოდინი (ლაშნიკი), № 7.
ზარნაძე გიზო — მათსოფარი (მოთხრობა), № 5.
ინანიშვილი რევაზ — სამაგიერო. რეკონსტრუქციები, № 1.
იურენკო ალექსანდრე — სასწაული (მოთხრობა), № 2.
კვანტალიანი ლამარა — მე, ყორანი და „შაბარული“ (მოთხრობა), № 1.
კობიძე რამაზ — მზია ცხრამეტი წლისა, ქეთევანი — თვრამეტის (მოთხრობა), № 6.
ლაგოდელი ავხი — ეორეა (მოთხრობა), № 10.
მაღრაძე ელგუჯა — ეოდება (ბიოგრაფიული რომანი), № 4, 5, 6, 7, 8, 9.
მირიანაშვილი დიმიტრი — ორი ტოტი (მოთხრობა), № 9.
მიშველაძე რევაზ — მოთხრობები, № 9.
პუშკინი ალექსანდრე — როსლავლიოი (მოთხრობა), თარგმანი **აკაკი ბერეგოვის**, № 6.
რაცხოლაძე ზურაბ — უმისამართო წერილი (მოთხრობა), № 5.
ქარჩხავე ჯემალ — მეთერთმეტე მცენარე (მოთხრობა), № 12.
ნარანიძე რიდამ — მოთხრობები, № 9.
ჩხეიძე ოთარ — ბორიაკი (რომანი), № 1, 2, 3, 4.
ჩხეიკაშვილი გივი — დეკემბრის ზღვა (ნოველა), № 10.
ჩხეიკაშვილი ავთანდილ — ბგალეკა (მოთხრობა), № 2.
ჭეიშვილი რეზო — შალიკო ხვინგიანის თავგადასავალი (მოთხრობა), № 11.
ჭოხონელიძე ბადრი — მოთხრობები, № 12.
ხარგუაშვილი გიორგი — ჯინსი (მოთხრობა), № 10.
ხარანაული გიგი — ქორია (მოთხრობა), № 5

მწერლის არქივიდან

ეარამან კაკეიძე — კვირა დღე. იქნებ ამ გაზაფხულზე... (მოთხრობები); არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზი“, „დასკვნების“ ვარეშე (წერილები), № 1.

ლექსები, კოემეეი

ბაბაშიძე ირაკლი — როდის დუმს მუზა (ლექსი), № 5, ლექსები, № 11.
ბაზილევა ამირან — ლექსები, № 9.
ბარამიძეშვილი მარი — ლექსები, № 12.
ბრაბელი ალუდა — ლექსები, № 10.
ბრაბელი შაბური — ლექსები, № 8.
ბრაბელი ბაგდათერ — ლექსები, № 11
ბრისია ილია — სიეეთე (ლექსი), № 4.
ამირიძე კოტე — ლექსები, № 11.
ექუბარდია რეზო — ლექსები, № 8.
ეშ-შახალი რადვან — ლენინი (ლექსი), № 4.
ბართაია ნომადი — ლექსები, № 9.
გაბრიჩიძე ნელი — ლექსები, № 4.
ბეეეტაძე ვახილ — ლექსები, № 2.
ბეეიეკარი გივი — ლექსები, № 6.
ეოცაძე იზა — ლექსები, № 9.
ეუბაუეაძე ალი — ლექსები, № 9.
ბურგენინე ავთანდილ — ლექსები, № 9.
ეოეთე იოჰან ვოლფგანგ — ფაუსტი. თარგმანი გერმანულიდან **ითარ ქეეერტელიძისა**, № 10.
ეასაძე აკაკი — ლექსები, № 4.
ივარდაკა დალარ — ლექსები, № 1.
იმედიძე დავთი — ლექსები, № 12.
იმედიძე ანუკა — ლექსები, № 9.
ინჯია ჯემალ — ლექსები, № 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისაევ-ავარსკი ალი — სამძიმრის სიტყვა კარლო კალაძეს (ლექსი), ავარიელოდან თარგმნა **ოთარ შალამბერიძემ**, № 11.
კალანდიე ანა — ლექსები, № 1
კანდელაკი თამარ — ლექსი, № 6.
კაკუშაძე თენგიზ — ლექსები, № 3.
კერძიევაე ელდარ — სინათლის ფრთები (ლექსი), № 4.
ლებანიძე მურმანი — ახალი წიგნიდან (ლექსები), № 1.
მაიაკოვსკი ვლადიმერ — ხერხემლის ფლეიტა. თარგმნა **ვახტანგ ჯავახაძემ**, № 8.
მამფორია ოთარ — ლექსები, № 7.
მინდაძე ბიძინა — ლექსები, № 4.
მირნელი მირიან — ლექსები, № 12.
მეფოლიშვილი ტაფუ — ლექსები, № 4.
მურჯიკელელი დავთი — ლექსები, № 6
მოლაშხია ზაურ — ლექსები, № 7.
მშვილდური დავთი — ლექსები, № 11.
ნარსია ნოდარ — ლექსები, № 4.
ნიეარაძე ნაირა — ლექსი, № 8
ოსეფაშვილი რეგაზ — მე მიწა მიყვარს მესხური (ლექსი), № 11
პუშკინი ალექსანდრ — ლექსები. თარგმნეს **ჯანსუღ ჩარკვიანმა, გივი გეგეჭკორმა**, № 6
სამადაშვილი შაქრო — ლექსები, № 12
სვანიძე თენგიზ — ამ დიდ დამაში (ლექსი), № 11
ტაბატაძე ალექსანდრე — ლექსები, № 12
ტარიელაშვილი ნანი — ლექსები (ჩაშნიკი), № 3
ფრანსუა ვიიონი — მკირე ანდერძი, ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაერთო **დავთო წერედიანმა**, № 1
ფოცხიშვილი მორის — ლექსები, № 2
შალამბერიძე ოთარ — ლექსები, № 8
შალვაშვილი ბელა — ლექსები, № 8
შალაშვილი ცირა — ლექსები (ჩაშნიკი), № 3
ჩარკვიანი ჯანსუღ — მირზა გელოვანი (პოემა), № 5
ჩახავა ჯემალ — ლექსები, № 7
ჩხიკვაძე ვანო — ლექსები, № 2
ციგროშვილი ირაკლი — ლექსები, № 12
ძნელაძე გივი — წიგნიდან: „ვედრება" (ლექსები), № 6
ჭანტარია ტარიელ — ლექსები, № 2
ჭოლაძე ოთარ — წიგნიდან: „გახსოვდეს სიცოცხლე" (ლექსები), № 5
ეიენანდ გივი — ლექსები, № 4
ხასაია ზურაბ — ლექსები, № 8
ხორნაული ვაჟა — ლექსები, № 12
ხოშტარია ილია — ოღბალი (ლექსი), № 10
ჯავახიშვილი თამარ — ლექსები, № 7
ჯალაღონია ნოდარ — ლექსები, № 7
ჯაუბაშია მურმან — მდინარისპირა ყანა (პოემა), № 10
ჯუღაშაძე გრიგოლ — ლექსები, № 4

ძმობის სიმღერა

ალამია გენადი, ამორშანი ვიტალი, ალბა ტიფლისურია რაულ — ლექსები. თარგმნეს **გივი გეგეჭკორმა, გივი ძნელაძემ, ვანო ჩხიკვაძემ, ტარიელ ჭანტერიამ**, № 3
ახუბა ჯუმა — საღლაე ვიღაცას... (მოთხრობა), თარგმნა **ჯაბა ასათიანმა**, № 3
ბაგაევი ივანე, კაზიევი მელატონ, გაგლოევი ვლადიმერ — მოთხრობები. ოსურიდან თარგმნეს **მზია ხეთაგაროვამ, ელენე ბაბარულმა**, № 6
გაგუა ხუტა — ლექსები, № 3
გოგუა ალეკო — ეიღი (მოთხრობა), თარგმნა **ჯაბა ასათიანმა**, № 3
თარბა ივანე — შესავალი წერილი, № 3
კოდალიევი გერასიმ, ალბოროოვი ხაჯუმარ, ეფუმაზოვი მერი, კუსრაევი ეგანატე, თედეევი რიეურიე — ლექსები, ოსურიდან თარგმნეს **ვანო ჩხიკვაძემ, ვიორკი ბესთაუთამ, ეზია ხეთაგაროვამ**, № 6
კოზაევი ისიდორე — ცხოვრებას რიტმში, № 6.
კვიწინაა ნიკოლოზ — ფერფლი (მოთხრობა), თარგმნა **ცოლი არდაშელი

ოთელიანი გია — რკინის არტერიების მსახურნი, № 4
კობერაძე კარლო — ვიღრე ბალი დამწიფდება, № 2
კობერაძე მზია — ოქროს ხელები, № 5
კობიაშვილი შალვა — ბუგის ნაპირებთან, № 5
მეგრელიშვილი რობერტ — „ძია ეორო" და კორჩაგინელები, № 5.
მიქაულაშვილი ვიტალი — გზა კაცისა, № 9
მორჩილაული თენგიზ — ტყე შეუნახე შვილებსა... № 6
სულაკაური ვალერიან, ურუშაძე რევაზ — მწვანე პორიზონტი, № 8
ფანჯიკიძე გურამ — რუსთავის ახალი სიცოცხლე, № 8
ციბაძე ავთანდილ — ბაშვლებო, გაიღვიძეთ! № 1; მე ვხედავ ტუტიზმის რესპუბლიკას, № 11
ჯაველიშვილი დავით — ქარხული სისხლით მორწყულ მიწაზე, № 9

კრიტიკა, კუმპლიციზმი, კუმპლიკაცია

აბაშიძე გრიგოლ — № 8
ამისულიშვილი შალვა — სიკბატეკ და ლექსი ერთთან, № 7
ალიევა დილარა — აზერბაიჯანელი პოეტები ქართულად, № 5
არდაშელია ციალი — ლაზეთი... ლაზეთი... № 1
ავსაჯანიშვილი ეთერ — ალექსანდრე ჯაზბეგი, მთის პოეზიის შემრეკი, № 10
ბაკრაძე აკაკი — რა ჯრის თთქრაძეკეობაზ № 11.
ბარდაველიძე ბეეან — პოეტი მთებში მიდის, № 8
ბათიაშვილი გურამ — სპპყრობილეში, № 8
ბაირამიანი ბრაჩია — ვაეა თბილისის სოფხერ რეეოლუციამდელ პრესაში, № 3
ბრეგვაძე ბაჩანა — ფსეედო-ლონგინეს ტრაქტატი „ამაღლებულისათვის", № 8
ბოჭგუა დოდო — პოოლო იაშვილის უცნობი ლექსები, № 5
გელოვანი აკაკი — „ლუკა" — მარტოხელა ბიჭის ტრაგედია, № 9
გოგობაია ლილი — პოეზიით გაშუქებული მეცნიერება, № 9
გოგენჩაშვილი ომარ — „მითოლოგიური ლექსიკონი", № 6
გუდავა ტო�— ქართული სალექსო სტრიქონის აგებულების ზოგიერთი საკითხი, № 7
გუგუშვილი პაატა — კარგი წიგნი, № 2
გოგუაძე ვახტანგ, იუზა ეფვენიძე — საეტაპო ნაშრომი ქართული სატირისა და იუმორის შესახებ, № 1
გოგუაძე ვახტანგ — სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა" აღზრდის მეთოდის შესახებ, № 12
გორგელაძე მედეა — ეკურნალი „ეურა" და მისი როლი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებაში, № 10
ზარდალაშვილი გრიგოლ — ტოპონიმიკური ეტიუდები, № 2
თვარაძე რევაზ — პლატონი და არეოპაგელი, № 10
თავდიჩაშვილი მურმან — ქართული ფოლკლორის ზოგიერთი მოტივი პაოლო იაშვილის შემოქმედებაში, № 2
თურნავა სერგო — ქართველოლოგია და კავკასიოლოგია საზღვარგარეთ, № 9
თევზაძე გიორგი — რუსთველის ენციკლოპედია, № 12.
იმედაშვილი გაიოზ — „დათა თუთაშხია", № 6
ითონიშვილი ვალერიან — რაფიელ ერისთავი როგორც ეთნოგრაფი, № 11
იმნაიშვილი ივანე — ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები, № 11
კალანდაძე გიორგი — ლირო-ეპიკური ნაკადი გიორგი ლეონიძის პოეზიაში, № 11
კახაძე ვახტანგ — დაგვიროგვინებული საშვილიშვილო საქმე, № 9
კვინტრაძე ცისანა — ნიკოლოზ ბაპოლოცკი და ქართული პოეზია, № 2
კილურაძე ნინო, ლორთქიფანიძე გურამ — დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის ისტორიიდან, № 5
კოპალეიშვილი ნანა — მერი შელის რომანი „ფრანკენშტაინი" და თანამედროვეობა, № 5
კერესელიძე გრიგოლ — დიმიტრი გელია, № 11.
მაკავარიანი მარინე — ერსკინ კოლდუელის რომანი „სახლთან ახლოს", № 8
მერკვილაძე გიორგი — № 4
პაკკორია ოტია — დრო და სახელები, № 7
რევიშვილი შოთა — ჰაპელი და საქართველო, № 1
რეხნავაშვილი სპარტაკ — სხვისშვილობა მთის რაკაში, № 1
როგსოლიანა ზორიგჩაკი, ზურაბ ბუმბერიძე — ტარას შევჩენკო საქართველოში, № 3
ციფნოსկეკე აკუტაგავა — ფიქრები ლიტერატურაზე, რუსულიდან თარგმნა **კარლო არსენაშვილმა**, № 10
საითიძე გელა — დიდი ბელადის სახელის ერთგულნი, № 7
სირაძე რევაზ — ეამთაააღწერილობა და მხატვრული ლიტერატურა, № 4; ბუღგარულ-ქართულ-მიზნანტიურ ურთიერთობათა ისტორიიდან, № 10
ფანჩულიძე გივი — რატომ ჩამოერჩითან? № 2
ფანჩულიძე დავით — ორი პოეტი, № 10
ღვინჭილია ჯანსუღ — ბუნების, ფენომენები ეაეაფშვეველისა და ალექსანდრე ჯაზბეგის გვირთა ხასიათებში, № 12
ყიასაშვილი ნიკო — უნდა ითარგმნოს დევიდ ლორენსი, № 8

ქაფაშვილი იზოლდა — ქეთევან დედოფალი, № 5
ზაროვეა ტატიანა — იდეური ბრძოლის დიდი სკოლა, № 4
შამელაშვილი რაფიელ — პოეტური სიტყვის მაღლი, № 9
ზველაძე ნოდარ — დიადი გადატრიალება, № 10
ჩხაიძე თენგიზ — თამაზ ჭილაძის მოთხრობები, № 1
ჩხარტიშვილი რევაზ — გრიგოლ აბაშიძის ლირიკა, № 4; ცოცხალი სიტყვა, № 6
ჩიტაია გიორგი, ფრეიძე ლევან — ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი, № 5
ჩიჩუა შალვა — „დიონისოს ღიმილის“ კანონისა და სტილის ტიპოლოგია, № 8
ჩხენკელი თამაზ — ვეფა-ფშაველას ლირიკის წყაღში, № 7
ჩიხლაძე ნინო — ნინო თარხანელი, № 9
ჩხაიძე თინა — ბათა ქეკანის ფოლკლორული ხასიათი, № 11
„ცისკარი“ ახალი ამოცანების წინაშე, № 9
წივწივაძე თამაზ — მეტი პასუხისმგებლობა, № 5
წაკლაური მამუკა — ქართული ცხოვრების ქრონიკების მოთხრობები ვახტანგ ჭელიძის მიერ, № 4
წერეთელი ნუგზარ — სოციალისტური შეჯნებლობის მემატიანე, № 1
ჭინჭარაული ალექსი — ღია ბარათი ზვიად გამსახურდიას, № 4
ჭანტურია ტარიელ — „არ შეამოკლოს ქართული“... № 6
ხმალაძე ირაკლი — დედაქალაქის სილამაზისათვის, № 12

ახალგაზრდა მეცნიერები „ცისკარში“

გაბიანი თინა — გურამნული პოეტი გოტფრიდ აუგუსტ ბიურგერი, № 2
ინჭკი თამარ — კონსტანტინე გამსახურდია ქართული სალიტერატურო ენის შესახებ, № 3
კალაძე ზაურ — ფორმის საკითხისათვის უილიამ ფოლკნერის შემოქმედებაში, № 2
ჩხარტიშვილი იზოლდა — ბრძოლა რელიგიური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ჟურნალ „იმედის“ მიხედვით, № 3
ციხისთორიშვილი რუსუდან — ლიონ ფოიხტვანგერის „პიესები ლექსად“, № 3
ხუციშვილი მზიფლა — ჯასტერნაკი და მეოცე საუკუნის ქართველი პოეტები, № 3

მეცნიერება

ლორთკიფანიძე ოთარ — არქეოლოგია და თანამედროვეობა, № 2

ხელოვნება

გაჩეჩილაძე გიორგი — ყვარყვარეს მეტამორფოზები, № 7

მი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი ნაავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ. მგ. მდივნის — 95-08-35. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 25/X-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XII-74 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14,5. შეკვეთა № 3891 უე 01965. ტირაჟი 280.50.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236